

რიტუალები და სეროვნება



1522
2004

N7
7/2007



მწიგნოს
გურამ დოჩანაშვილი

მთევზის
ვასუპტი კოტატიშვილი


მსგებრთა
პეტრა ოცხელი

თაბუქანი
ჯონ გარდნერი

თუაჭნი
მელაა ჯაფარიძე

მუხიკ
ბრიგოლ ჩხიკვაძე

მანაღისთა
რეზო ინანიშვილი



პეტრე ოცხელი

„მუნჯები ალაპარაკდნენ“. გ.ბაზოვი, 1932წ.

„კაკალ გულში“. შალვა დადიანი, 1928წ.



ლიტერატურა და სეროვნება

N7(19)



07/2007

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი

მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა
პეტრე ოცხელი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42

ტელ.: (+995 32) 93 18 69;

(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge



ჟურნალი გამოდის
სულიერების, კულტურისა და
მაცნეობის ალროპინებისა
და განვითარების

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
საეროვნო საბჭოს
საქველმოქმედო ფონდის
მხარდაჭერით

ს ა რ ნ ე ვ ი

ქრომა, ქოხია

- 3 გუჰამ დონანაშვილი - ხაც უფრო მახსოვს,
და მეტად მაგონდება (ჩემანი)
- 25 ვახუშტი კოტეიშვილი - ლექსები
- 27 თენგიზ სვანიძე - ლექსები
- 29 ლევან ცაღულაშვილი - ლექსები

ფრანსუაზა

- 31 ნინო ურდიაძე - დაჯიჯილი სადგეი (პიესა)

თარგმანი

- 49 ჯონ გახინჯი - ლიტერატურის მოხალეი
პასუხისმგებლობის შესახებ
(თარგმანი ლილი მჭედლიშვილი)

ქრონიკები

- 57 ნაზი ხელიაძე - მახადილი დეეი
(მოთხ ქიდაძის „გომი“)

იუცენო

- 64 ნათელა ურუშაძე - სოფლის სახეში
(მედია ჯაფარიძე)

მუსიკა

- 74 თამაზ მესხი - ქართული ეთნომუსიკოლოგიის
პრობლემატიკა
(გვიგონი ჩხიკვაძე)

119

მხატვრობა

- 77 უკო მახანიშვილი - საყვარელი პეტეი
- 79 თეა ურუშაძე - მედამ თანამედროვე
(პეტე ოცხელი)

მონოგრაფია

- 82 ხურო ივანიშვილი - მუხილის აქტივიანი

- 84 ფოტოაქტივიანი

საქონის დაცვა ერთი სიტყვა:

ქაბუა აშირუჩივი, ზახანა ზრუვაძე, ნანი ზრუვაძე,
 პრინციპალი, თამარ ზრუვაძე, მაყაღა ვინაძე,
 ნათელა ურუშაძე, ქახუცი ჩხეიძე, თეიმურაზ ჩხეიძე,
 თამარ ჩხეიძე, ვაჟა ერეკლე.



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
 პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
 ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
 ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



გურამ ფოხსანაშვილი

ჩაც უფრო მახსოვს, და მესად მაგონდება:

(ეპრეთმოდერული
„ავტობიოგრაფიული რომანი“)

V თავი
(გაგრძელება)

ჩვენ ექსტრენად ჩაგვაბარებინეს გამოცდები ჩვენთვის უცხო, სხვადასხვა სკოლებში; ერთიც კეთილმოსურნე კაცი დაახლოებული იყო ჩვენს ოჯახთანაც და განათლების სამინისტროსთანაც (იყო მაშინ, კულტურისა არ იყოს ერთიც ასეთი სამინისტრო), და, რაღაც ხერხებით მიულწევია და ჩაუხედა კიდევაც იქა (ანუ გადაშენებულ სამინისტროში) გასაადამლოებულ რამშიც ღია, გამოცდენ-

ბის დაწყების სწორედ წინაღლით შეუვლია თვალი და მოჩვენებია რომ მე 51-ე სკოლაში ვიყავი გამწესებული დაა, არიქაა, დატრიალდნენ ჩემიანები რათა ჩემისთანა ისედაც-ჩამორჩენილისათვის გამოცდების ჩაბარება გაეადვილებინათ, და გამოწახეს კიდევ შუამავლების წყალობით 51-ე სკოლის მასწავლებლებთან, საერთო, მაგრამ, მეორე დილით კი გამომიცხადეს რომ, მე თურმე 51-ში კი არა არამედ სულ სხვა, 61-ე სკოლისათვის ვიყავ-ვყოფილვარ განწესებული და, ამას ისიც დაერთო, დოლიძის ქუჩაზე იმ სკოლისკენ მიმავალს ფეხი ძალიან მწვავედ რომ გადამიბრუნდა მე ყოვლად-უათერაკიანს და, როგორც იქნა და რომ დავეჯექი რა-უცხო, მერხზე, სიმწრით დავგრეე იმ-დროისათვის დიდად ცნობილი ნანარმოების, „კოლხეთის ცისკარი“-ს ასე ვთქვათ, ანალიზი...

იქაც, იმ სკოლაშიც როგორც ყოველგან დიდად თვალმისაცემურ-განსხვავებულად დამხედნენ პედაგოგები, ზოგი კი — ჩემთვის განსაკუთრებით საბედნიეროდ „ტექნიკური“ საგნების ერთი მასწავლებელი — კარგად, (მეორე — საშინლად, არაა საჭირო მისი გვარი...), და, როგორც იქნა, დავამთავრე სამიანებზე სკოლა, ერთადერთიღა 4-ანი „ყოფაქცევა“ში მყავდა (თუ, „მქონდა?“ — ეგზ რაღადროს ამჩამების გრამატიკების სწავლა, ახლა.)

და თუმც ჯონდომ, ზვიადმა და თამაზ გუნჯუამ ფრიადი მიიღეს ყველა საგანში, არავითარი ოქროსი კი არა ვერცხლის მედალიც არ მიუციათ — ყოფაქცევაში 58, 10-11-სადა გამო, იმათაც რაღა თქმა უნდა ჩემთვის საამაყო ხოლო მათთვის „სიმინდის ატესტატი“ — როგორი გამაფუჭებელმემარცხენელი და აბა რომელსად ვერცხლსა და ოქროს მიამაგებ-მიასკინტლავდნენ ხოლომაც მაგრამ განათლების სამინისტრო როგორც ასეთი მაინცად, იყო,

ხოლო მთავარი გამოცდა მუსიკალურ სასწავლებელში მელოდა, რომელიც აგრეთვე ექსტრენად დავამთავრე რადგან გაკვეთილებზე ის ავად თუ კარგად არსებული საბჭოთაიკური განათლების-სამინისტრო და აიმიისი ინსტრუქტორებ-და-კონსტრუქტორები გაკვეთილებზედ არ მიშობდენ, კი,

გამოცდებზე დამოუკიდებლად კი ერთი მუს-ლიტერატურაში მივიღე ძველინერციით ფრიადი; ქალბატონი კუკულაძე (ჩემდა სამარცხვინოდ მისი სახელი, ამ უაღრესად კარგი ქალბატონისა, აღარ მახსოვს), მანამდე, წინა კურსებზე, ორჯერ ცოტათი ავად რომ ვახხვ, ისე მენდობოდა, რომ, მუსიკალურში დარეკა ჩემს მაგივრად გურამმა ჩაატაროს გაკვეთილებიო — რაც მე გავამაყდილი... ისე რომ, როგორც ხედავთ

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქამდეც კი გამოიყვანა, და, ხოლო შარმონიაში, რომელ-შარმონიასაც მხოლოდ ბებიჩემის დიდი ხვეწნების შემდეგ ისეთის დამადლებით და ისეთის მჭერით — ოღონდ შენ და ბებიაშენი აღარ დაგინახოთ და ნაშედი ამშენ სამიანითო, არადა, მე შარმონიას, გრამატიკასავით, სმენით ვსწავლობდი და არა რაღაც პუნქტებით-კადანსებით, და, სწორედ ამ ქალბატონმა, ქალბატონმა ჭონიშვილმა (მე-სამარცხეინოს და უმაღლეს ველარც მისი სახელი მახსოვს) ისეთი დიდად-შემშველელი სიყვარულით მიმიღო რომ, შემომცქეროდა აი ისე რომ — საერთოდ როგორც მკაცრს, უხეშობამდეც კი, ახლა როგორი თანამდგომლური ცრმელებით ისე ავესო თვალები რომ, განვხ იბრუნა სახე, და ხელისგული ასე მოიხვია თვალბეზე, და მერე, ისევე, ისე ძალიან-როგორ, შემომცქეროდა, და,

4-ანი, დამიწერა... მიუხედავად იმისა რომ შარმონია-მოდულაციის (მოდულაცია შარმონიისა რაღაც-ასპირანტურასავით, იყო,) სხვა-მასწავლებელი, ჩემდა ნუგეშად არაქართელი, ძალიან ცუდ-აგად მიმზერდა...

მაგრამ მათ ვარი მართლაც-გამოცდა, სწორედ რომ სპეციალობაში მვლოდა:

ჩემმა მასწავლებელმა, მიხეილ თიროშვილმა რომ გაიგო კონსერვატორიაში აღარ ვაბარებდი — მეორე წელს უნდა ჩამებარებინა, მუსიკოსებმა იციან და მიმიხედებიან თუ რას ნიშნავს და რა შედეგი მოაქვს 4-5 თვით დაუკვრელობას და რა დიდი დროსა საჭირო ამ დანაკარგის ასანაზღაურებლად, თანაც, დაკვრისას ათ წუთში ისეთი მძაფრი ტკივილი მენწყებოდა ზურგით რომ ხელი უღიროდ მივარდებოდა და, რამდენსაც კი ვახერხებდი მთელ იმ დროს ჰაიდნის იმ ერთ-ერთ სონატას ვუკრავდი კარგ პიანისტოთარ გურთიკაშვილთან ერთად რომ უნდა შეგვესრულებინა — იმას კონსერვატორიაში უნდა უნებარებინა და ანსამბლში აუცილებლად «ფრიადი» უნდა ჰქონოდა, და, მივალნიე კიდევ იმას რომ, არ დავაღალატე, სპეციალობის ექსტერნად ჩაბარებისათვის კი რაღა თქმა უნდა თავიდან ბოლომდე ძველი, III კურსის დროინდელი, მაგრამ თვე ბახის ნანარმოებები უნდა დამეკრა, არადა, კიდევ ერთი-ცა-გარემოების გამო? — უღარესად, კი, უუკიდურეს გაჭირვებაში, ვიყავ.

მაესტრო მიხეილმა, როგორც მოვახსენეთ გაიგო-რა ჩემი კონსერვატორიაში არ-ჩაბარების ამბავი, ისე გამინანწყენდა რომ ხმას აღარ მცემდა, არადა, კონცერტებსა თუ გამოცდებზე ერთსაც საქმეში ის იყო ჩემი ერთადერთი მხსნელი: იმ დღეს, დაკვირვებულ ფეხებს კიდევ არა უშავს და ხელეფიც ისე მიკანკალებდა მღელვარებისაგან, რომ მე, იმოდენა ჯორი ვიოლინოს ჩემით ვერ ვახყობდი,

თავ-ფეხიანა ისე ვცახცახებდი რომ რომელი ვერხვის ფოთოლი, ჩემთან, და, ვიოლინოს აწყობა როგორ არ შემეძლო შინ თუ გაკვეთილებზე მაგრამ კონცერტისა და გამოცდების წინ ჩემი აკანკალული თითებით რომ ვერ გამოიშვებოდა და სიმი გამწყვეტოდა, სადალა მივდიოდი..., და, კონცერტებს კიდევ რა უშავდა, წინა დამკვირვებზე ტრასისა მავსტრო ხალხისთვის შეუმჩნეველად მიწყობდა საკრავს და მე კი საკრავსაც კი ძლივ ვართმევდი და ბანცალ-ბანცალით ავდიოდი სცენაზე — ბავშვობიდანვე კომლინგისეული: „ეს მიშა, მიში, პატარა მონადირე“, და მეც, რა ბუნებრივად, რა თქეშად დამეყვა — „ეს ბახია, ბახი, პატარა მონადირე“, ხოლო რაც შეეხება ჩემს იმ ინსტრუმენტისა ვერ-ანყობას, განსაკუთრებით გამოცდებზე რადაც ყოვლად უტამობისას, სხვა რა დავგვრჩენოდა — მავსტრო სცენაზე ამოდიოდა და იქ მიმომებდა საკრავს, და, ძალიან ძლივს რომ დავუსვამდი პირველი ნოტისათვის ხემს სიმს და, მაგრამ, როგორც-კი ავიღებდი პირველსაც ბგერას მთელ-სამყაროსი ანუ ასევე ჩემიც როგორი კომპოზიტორისას, ბახისას, მისას-მისეულს — როგორც ფლობერს და ფოლკნერს აქვთ გინდაც ცნობილი სიტყვებით ოღონდ როგორღაც მაინც მხოლოდ-თავისი ასევე, ბახსაც? ყოველი-ნოტი? — თავისი აქვს, კი, და, მისით მე ამ უზადრუკ-და-აღ-წევებულს, მაინც, რადაც, ცოტათიც ჩემი ხედვლად იმა-პირველი ნოტისთანავე — „ეს ბახია, ბახი პატარა მონადირე“, და მაშინვე როგორად-მყისივე გადამივლიდა ის წინა-ცახცახი და მთელი ჩემი მორიდებული და შეკვეცილი მაგრამ მთლად-ერთიანად როგორც ყველასათვის ისე ჩემთვისაც ჩემს ერთიან ბახს, შეკედლებული, შემკედლებული სიდიადითა-მისით, გამაშესაძლებლობებინა-მე, დაეუკრავდი ხოლმე ასე თუ ისე კი არა და არამედ როგორ-ბედნიერებად მთლადაც სრულიად-დამონებული ჩემსა დიდ პატრონს, დიდად დიად უუდიადეს თვით იოპანს, კი, სებასტიან, ბახს, მაგრამ აბაღ რა მექნა იმ „სახელმწიფო გამოცდა“ზე (კიდევაც კარგი რომ არ უწოდეს „საბჭოთა სახელმწიფო გამოცდა-სოციალისტური“), რომელზეც, სანამ ჩემი რიგი მოაღწევდა კარგა ხანს უნდა ვმჯდარიყავ ცახცახვადებულ სკამზედაც-კი, და ვაითო ამასობაში ვილიონი ამშლოდა და, ამიტომაც, მაესტრო მუშად ამოდიოდა სცენაზე და, დიდად გაღიმებული ბოლშევიკური კომისია კილამე არ ვთქვი, არა — მითამ-უბრალო კომისიის ასე სახალხოვ (ანუ „დემოკრატიულ“) თვალწინ, სასწავლებლის სტუდენტს, ვიოლინოს მიწყობდა, ჩემს — მაინც ჩემს, როგორ, ჩემალატისა-და-მი-უხედავად! — და სასწავლებელში კი, ბოლო

გამოცდაზე ჩემი როგორი ერთგული და-
ქალბები: ნანა გოგოძე (მამინ აბა როგორღა
ვიფიქრებდით რომ რამდენიმე წლის შემდეგ
ჩემი — ის მერე რა რომ გადმოწერილი, მაინ-
ცად „ჩემ“—ად ითვლებოდა — „სამოსელი
პირველი“ს რედაქტორი იქნებოდა, ნანა),
გულბეკო გოგინიაშვილი და ირა ჩაჩავა (ჩემი
დაქალიცა და ზუსტად არ ვიცი მაგრამ ჩვე-
ნი ბებიებით ჩემი ნათესავიც) ნამომყვან
მაგრამ იმათ „სახელმწიფო გამოცდა“—ზე
ვინ დაასწრებდათ და ამიტომაც გამოძა-
ხებისას ქუჭრუტანიდან დიდ-თანაგრძნო-
ბით კი-მიჭვრიტინებდნენ მაგრამ, ჩემს
ცახცახს ესი-უშველიდა? და, აბა-განა რაც
ვინდა დიდი გულშემატკივრობისა და მიუ-
ხედავად ისინი ამიწყობდნენ მე, თვით სტე-
ნაზე, ვიოლინოს?

არადა, უცნაურია როგორ-ძალიან ცხოვ-
რება, არა? რომელი-ერთი კაცებე-სუკი
ამაღლელებ-და-შემამინებდა როგორც —
ბახი, ყოვლადმონყალე და, დამორგუნვე-
ლიც მისი როგორი, უმაღლესობა,

და, რომ ავედი ჩემი ჩვეული ბანცალ-ბან-
ცალით (თვით კაცებე-ში რამდენად სხარ-
ტად შევდიოდი, კი,) სტენაზე, ისეთი-ჩემი
კანკალ-ცახცახით რომ თითებს თითებზე
პილიტებზე მეტად ვაცემებდი, ძლივ შევა-
მონძე ვიოლინო და, — აშლილი აღმოჩნდა!
და, ჩამომეყარა ვიოლინო-ზემინი ხელები
და, ვგაგვარ ასე, ყურებ-და-ხელებ-ჩამოყ-
რილი და ცხვირი-ჩამომეგებულ-თავჩაქინ-
დრული და დარცხვენილი აი ისე რომ, იმ
სიჩუმეში ძალიან მკვეთრად ჩამომესმა დიდ-
რობ-სირცხვილის ყურთაგლეჯამდე დაღრი-
ალება — ზოგმა სიჩუმემ დროილი იცის? —
შემირცხვენია, ნ.ს. ხრუმჩოვი შოსტაკოვიჩის
წინაზე და, ვიდექ ასე იქამდე, ვინემ, —

და, უცებ,
ნამოდგა ჩემი კეთილი მავსტრო, კომისი-
ისა წევრი

ბატონი მიხეილ თიროშვილი და,
ამწყვო ვიოლინო და,
მეც, როგორმა-გახარებულმა, გულმო-
ცემულმაც დიდად კირომ ავიღე ბახის პირ-
ველი მისი ნოტი,

და,
დაიძრა, საქმე, — დამსახურებულიც-კისა-
მიანი, მივიღე, — კიი...

...
და თუმცა მერვც აღარ მელაპარაკებო-
და, რა დამავიწყებს, ჩემო კეთილო, მთლად
ავაზაკისასბიანი მუსიკოსო ოლონდაც
მხოლოდ გააფთრებისას, ჩემით, — მე ახ-
ლაც, სამოცდაათს რომ ვუკავუნებ როგორ
რა-მხირად მესიზმრება რომ ვითომ თქვენს
გაკვეთილზე მოვდივარ ოლონდ პიესა თუ
ეტიუდი სულაც არ ვიცი და, ძილში მთლად
ოფლად ვიხურებთ,

და მერე, როგორი გრძელიც და მოკლე 35
წლის შემდეგ შეგხვდით, ჩემს თანაკურსელ
თქვენსაც მონაფე სტიოპა ბახინიანთან,
რომელმაც დამირეკა და მითხრა, გურამ მავ-
სტრო მიხეილია ჩამოსული — მავსტრო
დიდი ხნის წინათ გადავიდა მოსკოვში, იქ
დაოჯახდა და იქ იქაურ რადიოსა და ტელე-
ვიზის ორგანიზატორში უკავდა, და, გარუს-
დასავითი, იქ, მამამისი კი თურმე მთელ ბა-
თუმში ერთადერთილა დაიარებოდა ჩოხა-
ახალუნში — უცნაურია, აკი, ძლიერ, ნუთი-
სოფელი, — და სტიოპამ კი, — მიხაილ ალექ-
სანდროვიჩს ძალიან უნდა „საქართველოს
ისტორია“ რომ უშოვო და (არ გარუსებულა,
მთლად... თან, ერთხელ ვილატას ვაკითხინე,
მოსკოვში ჩასულს, მისთვის — რა ენატრება
მავსტროს მეთქი — ვიცოდი მისი მისამართი
და — ლობიო, დასავლურ-წესით დამზადე-
ბულიო...), კიდევ ერთ კვირას იქნება აქ-ო,
აუცილებლად მოდი ჩემთან და მე გადავიცემ,
აქ და აქ ვცხოვრობ და თუ ვერ იმოვი მანც
მოდი ძალიან უნდა რომ გნახოსო, ახლაც
ჩემთან იქნება საღამომდეო, და,

მე კი მაშინვე დაფურცლე ჩემს მამიდაშ-
ვილს — მამიდაჩემის მეკუთხე ვახლდათ,
უკვე გითხარით გამომჩენილი და მართლაც
დიდი ისტორიკოსი გიორგი მელიქიძევილი
და მისი თბავარი რედაქტორობითა და თანა-
ავტორობით სხვა გამომჩენილ ისტორიკოსებ-
თან ახალი გამოსული იყო „საქართველოს
ისტორია“ დიდი ტირავით რომლითაც რო-
გორც იქნა და ყოვლად-გადაგებული „სე-
სერეკა-ს“ (ანუ რუსეთის) ისტორია“ ყოველ
უმაღლეს სასწავლებელსა და სკოლებშიც
შეცვალეს, და, არქივ მიშველე ძალიან მჭირ-
დება-მეთქიზე თან დაფუძლებ ასეა და ასე
ჩემი საქმე ჩემთვის დიდად ძვირფასი ადამი-
ანისათვის, თანაც რუსეთში გადახეწილი-
სათვის მიხდა არადა ჩემსას გადავიცემ-მეთქი
და, რა დაგემართა რამ აგაღლევა ასე კი ბატო-
ნო-ო, მოდი ახლავე წაუღე-ო, მითხრა, და,

მეზობლის მანქანით გავეზარდი მამაჩემის
უსაყვარლეს დისშვილთან (რადგან მამის
დედას, ჩვენს ბაბუშკას ძალიან ჰგავს) ნუ-
წუსთან და იქიდან სტიოპას დაფურეკე ხომ
შინ ხარ-მეთქი და, კი-ოღო ახლავე მოვდი-
ვარ-თქვა, და,

სულ-რადაცაც ოციოდ ნუთში ვიყავი სტი-
ოპასთან მისი დარეკვის შემდეგ,

სადაც,
პატარა სუფრა მოემზადებინათ ჩემთვის,
და თუმცა სტიოპამ სეროფასთანა სიტყ-
ვათმქნაღობები სულაც ვერ იცოდა: ასე
მაგალითად სეროფასათი ის ვერ იტყოდა
„დედას ქონდა (ჰყავდა-ო) ერთი შული (მგი-
ლი-ო), ისაც დუარში (ჯარში-ო) წაღებული
(წყაყანილი-ო)“ რადგან ნორმალურ ანუ სე-

როფას-განხრით ჩამორჩენილს ქართულს უბნობდა, მაგრამ სტიოპა უ-„დარღლა“-ობითაც ძალიან კეთილი, ალალი ბიჭი და მერე კაცი იყო,

და, ჩემგან დიდის განსხვავებით, იმს ზედმეტი მეცადინეობისაგან ხელი ისე ხშირად ეჭიმებოდა და ერთხელ კი ისე ძალიან რომ მკურნალობის გამო მთელი ერთი წელი გააცდინა,

და, რა გულთბილად შემხვდა მასთან, იქაიქ ჩემი მავსტრო, მიხეილ თიროშვილი,

გადამხვებია, გადამკოცნა, შებერებულიყოსავით, როგორ,

და რა განსაკუთრებული სიყვარულით შემომიტკეროდა, თურმე ნუ იცხეთა, რატომ, — „ის მერე რა რომ ექვსის მაგივრად მხოლოდ ოთხ საათს უკრავდი სამაგიეროდ როგორ ძალიან შეგეძლო ნოტების კითხვა, გურამ“,ო,

და რა ლამაზად დამიბრუნა და დამიბრუნდა იმ მცირე-როგორ და როგორ-დიად სუფრაზე ბავშვობა, ჩემი, —

...
ორი წლის წინათ, გარდაცვლილა,

ა! — სად გადმოვხტი

ისე კი, მაშინ სა-მედიცინო-ში ვაპირებდი ჩაბარებას (არ ავაშენებდი, მომავალ პაციენტებს?) და ამისათვის ფიზიკასა და ქიმიას ვემზადებოდი, მაშინ დღეინდელიისაგან რამდენადმე განსხვავებით — რამდენადმე და არა მთლად რადგან ერთიც საერთო ასო აქვთ მაშინდელსაც და ახლაც, კი — ფ-ფლისა და ფ-ასიანობის ნაცვლად სუ-ფ-თა ფ-იზიკა ძალიან ბარდებოდა სამედიცინოზე, კი, დაა, ქ-იმიაც — ქ-საცა ა-ქ-ესა, სომხურაზე, ქ-ქი-იანი ვითო-შესატყვისი, აჟამინდელურად, კქი, და კარგა სამ თვეს საგულდაგულოდ ვემზადებოდი (ისემც...) და, უცებ, ვოვამ, რა გინდა ბიჭო სამედიცინოზე შენ კიდევ ავადმყოფების ყურება გაკლია?ო, წამო ისტორიულზე ჩაგვბაროთ, ადვილი საქმეა თან ჩვენიანები იცი რამდენი აბარებენ?—ო,

და, გამოცდებამდე ორი დღით ადრე ჩემ-გამორჩენილ-ფიზიკოსობ-და-ქიმიკოსობის მიუხედავად? — სა-ისტორიკოსოდ შევიტანე საბუთები,

ერთი დღით ადრე კი ვოვას, ყმანვილს, გაუგია რომ აღმოსავლეთმცოდნეობაზე შედარებით ნაკლები კონკურსიანი და, რადგან მე ვერსად ვუპოვივარ ჯერ თვითონ გადაუტანია ისტორიულიდან აღმოსავლეთ-მცოდნეობაზე თავისი ავტოდ-ავან-ჩავანის, ქალაღები — თან ამისათვის ვილაც ნაცნობი უნივერსიტეტში ელოდებოდა, — გუ-

რამი მოგვიანებით მოახერხებსო, მაგრამ, რადგან იმ დღეს ველარ მიპოვა — ჯონდო-ზვიად-მერაბთან ერთად რატომღაც უვოვა-ოდ ვქვიფობდით,

მეორე დღეს კი ისეთი გახლდით რომ საბუთების გადაწესრეგება კი არა და, სარკეში უცაბედად რომ ჩავიხედე ნეტა ვინაა ესა-ოხერი, მეთქი,

და, აღმოჩნდა ვოვა სხვაგან და მე კიდევ სხვაგან ხოლო რამდენი ხნით ნანატრი კონსერვატორია კი? —

ჩემგან მთლად ალთას და მე კიდევ — მთლად უკომპასო, ბალთას, მოკლედ, აი-ასეთი დალაგებულეებით, ვიყავო,

ხოლო ქართულ ზეპირში დიდად დამხმარუნენ ჩემთვის და მე ვინა ვარ — მთელი საქართველოსათვის საამაყო მეცნიერები (მაშინ იცოდნენ მეცნიერების ფასი და ყადრი):

გამორჩენილი ფილოლოგები ბატონი ივანე გიგინეიშვილი და ბატონი გრიგოლ კიქნაძე, ისტორიაში — გამოჩენილი ისტორიკოსი, საოცრად მაღლიანი და კეთილი ბატონი შოთა მესხია, ვისაც წინააღმდეგობა ისტორიაში ჩემი ყოვლად-მოსულელეო თავი მამიდაჩემმა ელენემ — ბატონი შოთა გიორგი მედიკიშვილის ოჯახის დიდად ახლობელი მძიანდებოდა, და ჩემი ამ სათვალელათლივო „გამოაშკარავებისათვის“ ისტორიაში გამოცდის წინააღმდეგ წყნეთში მის ავარაკზე საღამოხანს ამიყვანა და, სინათლე რადგან არ იყო მასწარმლებმა ასანთს გააქრეს და ასე აჩვენეს ბატონ შოთას ჩემი ის მერე-რა რომ კარგა მოსულელეო, მაინცად დასამახსოვრებელი თავი და, მამიდაჩემმა — ხომ დამიხსსოვრებ?—ო, ბატონმა შოთამ: - აჰ, ამას როგორ არ დავიძინასოვრებო, — ჟანგბადებიან-წყნეთისა ზღვის რაგინდ დონიდან მაინცად 54 კვ, ვიყავ,

და, მაინც-აო, მამიდაჩემმა, აი ასევე შვი პერანგი ეცმევაო და,

ბატონმა შოთამ ხელი ერთი კი გაასავსავა და თქმით თუმც არაფერი უთქვამს, მაგრამ,

აჰ ამას კიდევ სამლოცოვარო პერანგი უნდა-ო? — სახზე ნათლად ეტყობოდა, ეს,

ეს — გამოცდებისათვის ზეპირებ-ში,

ხოლო ქართულ წერასა და რუსულ „დიკტანტ“-ში ჩემით მივიღე 4-ანი და 5-ანი:

ქართულ წერაში მესამე თემად „თავისუფალი თემა“ მოვიდა — „მშვიდობა გაიძარჯვებს ომზე“ და, ჩემი იმპევილი პიიტურობით და სტაჟიან-გამოცდილურის-მგოსნობითა? — რადგანაც მქონდა გამოცდილება ჯერ-თავიდანე გართიმულ სიტყ-

ვევს შორის მკითხველთა-შორისი უპასუხებრომ გამომეგონა-დამემკვიდრებინა (რა ხელოსანი ვიყავი, კაცოვ?...) და მე-უპასუხისტმა მივცხე და მივსცხე სხვისდასხვა ჰაზრთა, გაჭენებასა, კალმისტარულად, და ქართულ ნერის იმ გამოცდაზე, რამოდენიმე ასეულ აბიტურიენტთაგან (და არა ა-ბითური-ენტ-თაგან) ფრიადი არავის მიუღია დღესან ძალიან მკაცრი შეფასებაანი გადაწყვეტის გამომცდელებმა და აი რატომ: არმიიდან დემობილიზებულიები ბევრნი იყვნენ და რადგან მათ მხოლოდ სამიანებითაც იღებდნენ და მათზე ბევრქულიანები კი გარეთ რჩებოდნენ, ამიტომ 5-ანი საერთოდ არ დაწერილა სამავიეროდ ბევრი 2-ანის მისჯა რომ შეძლებოდა და, მეორე გამოცდასზე კი, რომელიც მართლა ჩემით გადმოვიწერე და არა დაწერე და ირგვლივ მსხდართაც კი დავეხმარე რადგან ხოლო ეს რუსული „ДИКТАНТ“-ი იყო, ხოლო ტექსტს ჩვენი რუსულად-მართლწერის შესამონმებლად დიდად მკაფიოდ გკარანახობდა საოცრად მომხიბვლელი, როგორღაც მკაცრი სათნოებით აღსავსე პიროვნება რომელიც შემდგომ არ დაშვლიდა მაგრამ მისი სახე, მისი მომწვანო-მონაცნისფრო როგორღაც მუქადჭრილა თვალებში? — როგორ იმედად, ჩემი აწეწილ-დაწეწილი მომავლისათვის ქვეშეცნეულად, ჩამრჩა, — ბატონი დიმიტრი მგელაძე ბრძანდებოდა იაკო, უმაღლესი განათლების თურმე ოდესახარკოვ-სანკტ-პეტერბურგში მიღებული და, ნოე ჟორდანიაის კი ისე მოხმონებობა საქართველოში დაბრუნებულის მისი რუსული, რომ, ხუმრობდა ბატონი დიმიტრი თავადვე, თურმე: „აბა მე მორზე და ამისთანები კი არა კონვერტზე მარკის დაწებებაც არ შემეძლო“, და, მაგრამ, „იმიტომ დამნიშნა პოჩტა-ტელეგრაფის მინისტრად რომ ჩემი რუსული ძალიან მოეწონა“, —

აჰ, საერთოდაც, აგრეთები მოუტანია ენების, ცოდნას?

ხოლოკი ერთიც მენშევიკი, ისიცა აგრეთვეტელეგრაფისტი ჩემი მეორე დაჭერისას ორთაჭალისა-ციხის საკანში პირველად რომ შემოიძურნა ამას შემდგომ ვიამბობთ, იმ დაჭერას კარგა-საფუძვლიანად რომ მივადგები და შეძლებისდაგვარად გადმოვცემთ და ძალიან გთხოვთ, რომ, შემეძახსენოთა მისი ისი-პირველი-ხილვა, არ გადამაინწყდეს... თუმც, ნეტა-აბა ვინ უნდემეძახსენოს... უიპო, ვინ და — მკითხველმა, ავერ არ ვარ მე და, ავერვე არ ხართ, თქვენც?

ხოლო ბატონი დიმიტრი მგელაძე ჩემი უახლოესი და საამაყო მეგობრის — იმიტომ კი არა ჩემს ნაწარმოებებს ხშირად რომ დგამს თეატრსა, თუ ტელევიზიით, მე ამით

არასოდეს შევემცდარვარ და არც შევეცდები — დიდად ნიჭიერი რეჟისორის, ბატონი მიხეილ თუმანიშვილისმართლაცდაგამორჩეულიმონაფის,ბატონინუგზარბაგრატიონის — ერეკლე III ნამდვილად პირდაპირი ჩამომავალ-ბაგრატიონის რომელმაც ამ-მე გლახუჭადონაწაშვილს სცენობრივად და ტელე-ეკრანულად როგორ მიმატრონა, ხოლო დედამისი, დიდად სათნო, გაუბზარავი ქალბატონი ლიკა, როგორღაც მოცელქო ბანით, მკაცრ ხმაში, ვინც დიდი პიროვნებისა და როგორ ამბულბულად-სევედიანი პოეტის — სასიმ-ლერო ლექსებშიაც კი (რომელ-ლექსებსაც სამწუხაროდ ისე ადვილად წერენ გინდ მოკითხვისა ბარათს სწერდნენ ვისამესადმი), ბატონი პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის რაძენელი ბედის როგორ ერთგულად გამზიარებელი, გახლავთ, ბატონი დიმიტრი მგელაძის შვილი კოვილა,

უცნაურია, რადგან, ასევე, ბატონი დავით იოსელიანი, დიდად მაღალი პიროვნება და ქირურგი, ჩემი მეგობრის, ვახტანგ გვახარიაის თურმე ახლო ნათესავი გახლდათ, —

და, უცნაური კი არა, როგორც წესი, ეს — რომ, ჩვენ ხომ როგორღაც წინასწარვე ვგრძნობთ წინაპართაგან, ახლობლობას, ხოლო ჩემი-სტუდენტობის მთლადაც I-ვე დღე? — რალა თქმა უნდა ხომ ვერ დავარღვევდი ამ ჩემთვის ჩემ-მერყობისსაც კი მიუხედავად მყარად მარადურყვე წესს, — ვაჰხ-რარვი ფათერაკიანი, კი, მე, და ისი-პირველი დღეც ასევე ამა-წესს მიკუთვნებული აღმოჩნდა, კი-კი:

ჩემი სტუდენტობის ლექციები 2 სექტემბრიდან დაიწყო რადგან 1957 წლის პირველი სექტემბერი კვირა დღე აღმოჩნდა, და თუ არ გვერათ, შეამონმეთ, — ხოლო რატომაც გუუბნებთ ამ ახირებულობასა-ამას, — დასაჯერებლად შემოწმებთ? ამისათვის კარგა-საკმაოდ ვრცელურათ-ვრცელი გადახვევა-რამ, დამჭირდება, თუ რატო-რითინ მივადექი შესამონმებლობასა, ამ, დაა — განემზადენით:

ვრცლად განვრცობილი გადახვევიისი, — დასასწისი:

აკი ადრევეც მოგახსენეთ რომ კაცმა რომა თქვას როგორ გვეჯობნიან ზოგიერთ-ზოგსა რამეში მინც, ჩვენი მეზობლები (ტერიტორიალურად? — ვი ნაღდად) და მეგობრები (ვითომ?... ისევეც?...) სომხები ამ-ჩვე ქართველებს. ასე მაგალითად როგორც მგონი უკვემოგახსენეთ სომხები თუკი იხასიან რომა კროენი სომხები იყენ-ჰყოფილანა ასეთი დასტა: შექსპირი, დაესტე პეთხოვნიან-ბაირონიანმა, რამე, თვით ჰომეროსის-ანც-პოეტი-რამე, შავ-პუშკინა და მოცარტ-

კაკრაზ-კიროვაკანსკი, რამე, და ისეთს-მეშ-
კებ როო სულაცა თავი გაეანებოთ და დავ-
ნარგოთა როგორც ჩერქეზმა ისარი, ტოო რა-
ნიარებთი ამ-სომხებიოთინა-ამეტიბინა რანი
არინა ისეთები როგორენიცაა დირიფორ-ალ-
ბერტა-რალა კარაიანა და აკტრისკა-შანუშ
მანიანი და მარჩელოჯან მასტროიანი-ი და ზე-
დაც ზასლუქენი ესესერა-არტისოტ დეიგინა-ხა-
ნიან ფალბათ-უ-შულაო, და, კონტრ-ადმირა-
ლტე-გლავენი-ნაჩალნიკ სოვეტსკი-სვეტსკი-
პო-პოგოზიბესკამ საიუზ-საუზ-სოუზ-ზედვცა
და შამაც ტოლმა-გარაიჩი იმათზე სტარში
სტარშ-გენერლებზედაც ოჩინაც კრუშნი
მაგრ-ბაგრაძიანი-ი!,-იი, და, ემეებ (შექსპირ-
დანტი და ასე შემდეგ) ხომა სჭირდებთა ზა-
რეპიტელ-ი გახაკრეპეკელ-საბუქითთა და,
თავიდან რომ ყველაზე მეტად შექსპირასა
რომ რო-იმონმებენ უილიამ-ინასა კაკრაზ,
შამაც როუსულათ: „**Вахх, если** ეტა-შექსპირა
ელსი რი კროენი არმენინ ტო ტოგდა ტოო
ატკუდა-ბი ტოო ზნალ საესემ ტაკორი არმენ-
სკი უენსკი **Имя** კაკ — **Офиг?**“ — ხოლო ყვე-
ლაფერზე კი მაინც მყარად კი ისა ააქვსო,
რო, დავთარიანსა-ჩამონათვალისას უცებ
ძალიანც გამომწვევად და ნიშნითვალისა ჩა-
გვეითებებინ იმასაც როუსულათ — **но зато по**
ленинградская: „შტო, მოუტე სკაუთი ჩტო ბაგ-
რაძიანი-ვისშიპაგრანე-არმენინ? ეე? ნემხო-
კა გრომა ატეჩაი ა ტო ნე სიშმატ ტოო“, —
და ყურსაცაც კი მოგიმარჯვებენ ორის თითი-
თა და, შენცა-რო დაეთანხმები მა რა იქნება,
არა? — „მაშ-ზნაჩიტ ესე არმიანი ელსი შაქ-
სპირსკი ზემლია-ბაგრაძიანი ვ ეტრო ნე-პოლ-
ნომ სპისკე-არმიანსკა ზასლუქენო **СИДИТ**
ჯღრც-ცაგატანემ“,ო,

ჩვენა კი, ესა ხშირათე მართლაც-როგორ-
მა მოსულელოებ-ქართველებმა? — ვახს!
— სხვა უკეთესი და ატეიტსტვენო-ავტორი-
ტეტნი ვერავინაც ვერ შევიჩრით, და,
ხიტლერნის დედა დათეშიძის ქალი იყო-
ოო, —
აბა?
ესაა, საქმე? —
არა, ნამდვილად გვეგობლნარა-იან-კარა-
იან ჯიბერ-იან ომში ჯიბან-იან-ობით, აისომხე-
ბი

ხოლო მე აკი იმიტომაცე გაეუსვი ჩემ-
შავისმელნით ხაზი იმას რომ, თუ არა გვე-
რავსთ რომა კანკრაზ ასე და ასე იყო ისი
პირველი სექტემბერი კვირაცა-დღე და
ორშაბათი კი პირველ-დღე მაშინა-მეთქი
და მაშინ საგულდაგულოდ შეამონმევით
იყო თუ არა 1957 წლის №1 სექტემბერი უქ-
მე-დღე, მეთქი, და, რო შამონმებთ და,
მართლაც რომ ჩემსას დაამონმებენ, არა?
— სადღა მიდიხართ: მაშინ ხომ გინდაც
მთლადაც ტყუილურ-რამერუმედ რომ

მოგეჩვენოთ ჩემს მონათხრობში რაიმ-შუნ-
ქტი აი ისიცა ხო-სიმართლე გამოვა, არა? —
იმ ზნაჩიტელნი ბაგრაძიანსკი-პირველ-სექ-
ტემბრით, — მანაშ? —

და მაინც რამდენი-ვაჰს გვაქვს სასწავლი
მიუხედავად იმისა რომ უკვე ნასტავლი რა-
ოდენი-რამ, სომხებისაგან, ა.მ. — ანულა ა-სე
მ-აგალითად, ანაშ?

ესა ე-ჩვენი ჩვენის-ჩემისა მეზობლები
იმტელათ კარქა-რამე ხალხმა რო, ო, თურ-
მე ჩვენი რა ჩინებულად-სიამაყე, მცხეთისა
ჯვარი თურმ სომხებმა-მა-პასატროლი
კაკრაზ-ჩვენიენა სალოლ-მახლას თქვენ
ჯერ კიდე რომელსა ვეკ-შია და მერე უფროც
შადვილათ არ ააგებდა იქვე ყურისა-ძირში
ერთსაც ზდანას არსაკიძიანი-ხაჩიკაი?,
ესაა — კანჩნა, ის კი არა და ერთიაც შამო-
ტა რუსთველიანციც აკი სომხები-ლიჩნოსტ
ჰყოფილა რომელიც რომა შამიკ-პომერ-
უსუნეს კროენი პატრომოც ჰყოფილა იმდრო-
იდელოის-პანკეტურათაც და მამ რა ენაზედ
შაიქმნებოდა „ტიგროვსკიშურა“ (როსუ-
ლებს ამდენს მიტო სმაზობენ რო როსული უფ-
რო ადვილად შავა მეფედნაროდნი-ენციკლო-
პედიავშია,ნც, — დიხოს...!) თუ არა დანტე-
ვარდაპეტ-მასწავლებლითა და ჩვენ, ქართვე-
ლებს რო გვითარგმინა თლათ-ქართულათე
ე-როსთაველი რაროგად-ანც-ი (აკილ ანცი და
დაუდევარი) თურმ ისევეც სომხებ-თავიდაბ-
ლებ-მოუსპიათ-ითავიანთი ნატურე-დედანი:
თუ ეგრე უნდათ გაიხარონ და მაგათი იყო-
სოვო ჩვენა-ხო ისევედა მაინც-ცავეყვანან
მიკოინა-ანდანიკიანც და TOT-ტურმან
კამო,კატორი, ტოო, ველისაუტეამ ტაქე-
ხარაშო ვლადელ-ანც-ობდ-აააო, მამ, და
ანბანიცა შაუქშინათ კეთილებს, ჩვენთვი,
ასე იღვწოდენ აემ სომხები კეთილები მეზო-
ბელ-ჩვენიოის მაგრამ ჩვენიც ანბანი ნეტა-
პაჩემუ ნე-ჭიანჭველურსკი **муравейник?**
— შავიქმნესა? — ეტა ნე ზნაემ, და ტაკე
ნემნოეთა ისიც ვერ-ზნაემ ეეშ, ნეტა-რატო,
ნეტაიო რატომ არ ჩამოგვიქვიითდენ გუ-
რამიშვილით-ფიროსმან-იანა, რა მართალია
გამოთქმა ისი რო ადამიანს სიცოცხლემივ
თუ არ ექნა, ბედი? — ვერცაც მერეო, მაგ-
რამ, ამ-ორსა, გინდაც ვერა-სომხებს ეგებაც
მაინცც ჰქონდათ ამაღლებულად უცნაურ-
ბედი და ის მერე რა რომ დამდაგველი, —
ცხოვრებისაგან, სიცოცხლემი მიუხედავად
იმისა რო, აქ მეორეგზის-უნდ-გავცთამამდე
— თურმელამ სულაც ვერა იყვენენ, ვერ ააღნი-
ეს — „იანც“-ობამდე, ეეშ,

და
თუმცა
მხატვრები თუმც მართლა კარგი ჰყავთ
საქართველოში ცხოვრებისაგან ამა-გრუ-
ზიას ნეჩანა და სატყენიროფონოთ გა-

მოვლილები და მსახობებიც მართლაც რა კარგი, მშვენიერი — თუნდ მკრტირანი და კომპოზიტორიც მოეძებებათ როგორი მართლაც სანიმუში და უყვედრებელი — არნო ბაბაჯანიანი თუმც ის მთლად-კლასიკურსა მუსიკაში თავგადადებით არ მუშაობდა არამედ უფრო საესტრადო ხელოვნებაში და პოეტებაც? მშვენიერი, ღრმა — თუნდაც სევაკი და კაპუტკიანი მაგრამ ნეტაი რად გამახსენდა გალაკტიონი რომა ვერ-იყო სულაც, სომეხი, რომელს აღარ გვაქვს თითო-მინუსი, ექვ და კომპოზიტორებს დაუბრუნდეთ — მაგრამაც ზატო, ზატოო, ტოო, კამპანიტოო-რ ეტაჟ არამკუ-ხაჩატურიან ვედს მირაკოი *известна* კაჟიკურა ი ველიჩინა *среди самых* კრუპნიში კამპანიტორა ესლი ეტაჟუ *ты не веришь* აგერ ჩვენსავე *вот* — გე-ეურტა, აემ ზემელზედ რო *обувь*-სტიკამდა ჯეილობაში, იმას დავეკითხოთ, და,

ჩენ,
ქართველებს,
ამდენი რამე რო გვიფეშქაშეს მოდით ის მაინც დაველოთ როო, *НЕКИЙ МУЗИКАНТ КАКОЙ-ТО* ტოო-სტრაინისკი რო ჩამოსულა მოსკოვშია, დაა, თავმოსაწონად *танец с саблями* რო-უთაქნით შიგ-იძის რაცვინ-და რთულ და ამტანსა-და ფაქიზს-მაინც, ყურში, იმ *какой-то „Весна священная“* და *„Петрушка“*-სი (— ვეჰხ, კაკოი მუზიკ-დელო არი შაურანამა პეტრუშკამა და ქინძებ-ობრასაჲ — ვეე...) და *„симфония псалмов“*-ის ავტორს წამდაუნუმად დაჰკითხვიან რუსის-სომხები თუ როგორ მოსწონს სტუმარ-მა-ისტროს ა. ხაჩატურიანი, იმას მართლაც-და გონებით უთქვამს რომ ძალიან დიდი და კარგი პროფესიონალია, ო, მაგრამ ძალიანაც რომ ჩასციებთან ამა-შაზრისა განსამტკიცებლად? — უთმენია და უთმენია და, ბოლო-ბოლო ძალიანურად გაცეცხლებულა და, გულით უთქვამს *его музыка* კაკაია? — ოზე: *„ЭТО взбесившийся рахат лухум“*-ო, — თოო-ვე-ეე, განა მამ ასე შიძულბოდა ამისი შე-სტრა-ინისკეა-ჯაან? და, მაინც, მოდითა და სუკი გავამხელთ ამა-ნათქვამს ჩვე-ქართველები თუნდც ჩვენში, ამას, მამ ის სომხებმიერი დიდი ჰამაგი განად *вода*-ში გადასაყრელია რო-იმდენი „მრავალუამიერ“ მთლადც ათო-ბითა გვარტქეს ისე-რომს თვით-ინა სულაც ერთი რაცხანა-კიკოთ იმისათვის რომ *„вечно будем курва будем“* არ დაიტოვეს? —

აიი, როგორი ბლაგაროდნებია *НА САМOM* დეულე, ცავედ ტანემნი, —
მამს,
შე მალლა იყოს, —
და, ერთს-რამეში მაინც დაგვწყვიტეს, ემთავმდებლებმა ჩვენი უძლები ძაანაც, გული:

კაცო, ამდენსა ხანსა ველიკადუნნათ რა-ღაი შეგვინახეს აი ისა რომ „ჩაკრულო“ ვითო-ჩვენი იყოს, არა? დაა, მაგრამაც, სწორედ რომ ახლა, ამ დედადღიჟ პერეო საუკუნისა მეშვიდე წელსა ამ ჩესტინი-პარენ იანცეებმა, არა? — აიღესა და მთლად „ინტერნეტ“-ში არ გამოჩიბეს როო „ჩაკრულო“ სომხურ-პუოლია — ხო-ასე გვიყვან მაინც, არა? მაგრამაც „ახლო ხევესურეთს ნაჭედო“-ოთი მაინც გავგვიდეს რო ე-„ჩაკრულო“ სომხურ-ი არი ეს *ПОТОМУ-ЧТО*ო-ტოო-ხევესურეთ ვინღამ არ იცის სომხითის როა და, სხვათა შორის, — იმერეთიც, მამ აბა განა სულა-ტყვილათ იძახიანა სომხითისა იმე-ქონია-ში „გულამ“ „კინაღამ“ „წინაღამ“ — ეს ყვე-ლაფერი ხო ლინგვისისტურნათ ხო კაკრაზ აკი ნაღდად სომხური სახელიდამ მოდის ხო-ლო სახელი-ისი? — „გულამ“,

და აბა სად უნდა გავგეცეთ, პირმშვენიე-რო, გელამ,
და, როგორ დაგვწყვიტეს მაინცაღამ, გა-თამამებელი გული — კაცო, ამ-აქამდისი-ნა იმტელი-რამე პადაროკ-გვიყვანა შალა-ლის გულით და, ესა-„ჩაკრულო“ აბა რაღა გაუხდათ ასეთი, ისედაც თქვენი არ არი როო, სინამდვილეში, ტოო, ხევესურეთი ხომ, მთაინც-გორ-იანი ხომ იგივე ნატურ-სომხი-თია აბა „ხ“-ები ტყვილა ხუარ გირევიან ხ-ვე-სურეთ-და-სომე-ხ-თ მესამე „x“-ზე არაფერს ვამბობ,

ხოლო ხევესურეთისა გასასომხითობა აკი იმითაც გვებობა, რომა, ცოტათი ადრე, ხ-რუშჩოვობისას-რო ერთმაც პირშითქმე-ლურმა-დიად-სომეხმა, გვარად ვერმიფე-მა, ვრცელურის გულით ასე დაგვიდგინა, რო — ოდითგანვე-ო, ანუ ოდითგანინანდ-ნიანცევეს: სურამის ქედამდე აფხაზეთი იყო ხოლო მას აქეთ სუ-სომხითი-ეგო, ტოო, და, მეცნიერულად პასუხისა-გაცემას თუმც აგ-ვიკრძალეს ქართველებს ისევე ქართველმა რაღა თქმა უნდა, კი, ისიცა-კი არ დაჰპეტ-დეს ჟურნალ „ნიაგვი“-ში ამა-ჟურნალის იმდროინდელმა რედაქტორმა ნოდარ დუმ-ბაძემ, რომ, „მე მგონი მართლა არა ვართ კავკასიიდან რადგანაც კავკასია თუ მხო-ლოდდა სომხეთი-აფხაზეთია ჩვენ საიდანლა მაშინ, იქაო, ჩვენ აღბათ უფრო პლანეტა მარსი-დან ვართ ჩამოფრენილები რასაც აკი ისიც ადასტურებს რომ ნარდის თამაშისას ნაღო-სამშობლო ისე გვენატრება რომ, მარს-ს გავიძახით“-ო, და აი ესაც კი, აღირე-ბა-როგორი, ჩვენი, არ დააბეჭდინა, ამაღლე-ბინა ეხი-მასალა უკვე აწყობილსა-და-შეკრუ-ლი ჟურნალიდანა ბატონ სოდარს ჩვესური ცე-კა-ს იმა ერთ-ერთმა თავკაცმა გვარ-სა-ხელში რომ იმასაც-რო „რ“ ერიო ვე-რ!-მიმევი-სა არ იყოს „რ“-იან-მა (კაცოო... რო უუკერ-დები, არაა, ეხი-„რ“ ეგებ იმდენათ ტევაღი

და ბევრის შემცველია რ-ოგო-რ-ცაა რ-ომ, თვით-თავად სიტყვა „ისემც“... — უცნაური-რია, ნუთისროფელი... და, ეს ამოღებაკი, იმიტომ? — რაიმე რაობა გამწვანებულყო სესტრეკაში ჰარმონიულად შემავალსა (ისემც...) ჩვენსა და ჩვენს როგო-ძაან-დამ-პურებელთ კულტურაშია, სომეხნთაშიორ-რია, და, ეს იმიტო ქნაა, როო, ხ-რ-უშოო-ბ-რრეწევისა არ იყოსა აგრეთვე როგო-რ-იანების, ძალიან გაზღადთ ხალხთაშიორისი მეგობრობის განმტკიცებისათვის რა-მო-ულელად-ტ-რ-ს-უბადუ-რ-ი

მაგრამ სომეხების სიძემ, დიდმა მეცნიერმა პოეტროვსკიმ სულაც არ დაინდო მისდ-მონათესაო სომეხები და ძალიანც ვინჭრა უფრნალ ერთ-ერთ „Вестник“-ში თავი ხოლო ეს საქმე თუ როგორ გახლდათ? —

სადაც სომხეთში — სომხეთი მუდამ ყველგანაა და სადაცასაცაა, კი, — რომე-ლიდაცა საფლავის ქვაზე რადაცა უცხო ნარნერა შეუშნევიათ და ჰარიქათ იმას დაბ-ხვევიან სომხურ-ყადის მეცნიერები, და, დაუდგენიათ, რომა, ენერა იქა ძველ-ნელ-თადრიცხვით III ათასწლეულისა ძველი-სომხური: „აქ შემომხველმა დატოვოს ყოველგვარი იმედო და ჩვენ-რო გვეგონა რო ეს-სიტყვები ვითო-დანტისი იყო თურმე სომხური არა ჰყოფილა? თუმცადა, მაინც, მეორისა მხრივ დანტე სომეხებისგანა ააა რამგაყო აკი სომეხი არის დანტეა ხოლო რუსმა მართლაც-მეცნიერებმა რომ შეის-ნაღვლეს კი არა, მხოლოდ ერთხელდა რომ დახედეს ნარნერას ამ-ს, თურმე ჩვენს-XIX საუკუნურად არაბულად ეწერა რომ და მარ-ჯვნიდან მარცხნივ იკითხებოდა, რომ „აქა მარხიან მაჰმუდა და ალა“-ოო, ხოლო რად-განაც „გამოკვლეობი“ უკვე ჰყოფილა-გა-მოქცევიბულ სომხურ-სომხურ-რუსულა უფრნალეში? პოეტროვს კიჯან ჰარიქა მო-დი ცავატანემ და გვიშველო და, ბატონმა პოეტროვსკიმ კი, ამ როგორ მაღალმა და მა-ღალისე სინდისის, რადა თქმა უნდა, მეცნი-ერმა, აი ისეთი რამ დასწერა ამ „ინციდენტი“ ეახეთ თქვენ და, თავისმოყრახე, რომო, მთელი მეცნიერ-მსოფლიო მთელისა გულით ხარხარებდა სომეხების-ამ „ჩვენში პირ-ველმა დაინერა ანიც, ბანიც დაღბკაჰეო“ მაგრამ

ახლა კი, მთლადაც ბოლომდე ნუ გამოე-დევნებით სომეხს რადგანაც მუდამ გაცე-ოდა მათდამი ჩვენი თავშეკავება, როდის იყო რომ მათი რაიმე მიგვითვის-მიგვისა-კუთრება, მათი გინდაც როგოლი ხვაე-რუ-მეობი, აბა რომელი ქართველისაგან გაცი-გიათ რომ ჩვენ-ქართველები სომეხებზედაც კი უფრო მეტად რადგანაც მთელს-მსოფლი-ომი საუკეთესო საპოზიციები ეს-ჩვენ ვაარ-თო, და — რაკარქა ვიცით ფულის შანახ-

ვა და ცავადტანემაზოო ისეარო გინდაც ჰამფურხედ ისე ავაცომთ რო არც ჰამფური დაინბა და არც — ფული, ვო და ვინა თ ქო რი ფული გვინყვადარს ფულისა-როგორ-ცავატანემ, ო, და, ეს წერილმანები იქითა იყოს, აფხაზეთისკე და, რომელიმე ქარ-თველს, დასცდენია რომ, აი ჩვენთვის ყვე-ლაზე მეტად ის მიუღებლობა, რომ, ძალიან რბილად, ურბილესად, უურბილურა-რბილად რომ ვთქვათ ასე, რომ — როგორი დიდად ხამუშია ჩვენთვის, ქართველებისათვის გრე-გორიანელობა იმ-თავიანთი მონოფიზიტო-ბით, კი, და რადა თქმა უნდა თქვენ ჩვენ აქეთ უნდა მოგვდგომოდით თქვენის რა-შირად არცთუ მაღალის, ჭკუით, აბა თურქებთან, რომლებმაც როგორ გავუღიკათ და მარ-თლა-თქვენი მინები ნაილო მანცალ აბა რა ხელი გაქეთ, აბა რომელ-რას მიისაკუთრებთ, მათგან, ნაზიმ პიქმედსა? — აბა რა შავ-ჭი-რად გინდათ ისედაცა ხომ ბაირონებმა რამ-თელი-გყავათ, ჰაზინსა-ნესინს? — აბა იმისი შაყირისტობა რაში გარგიათ სერვანტესები ჯერ მპარსულადაა მოხსენიებული მაქ-ტი-ოთხნი გყამთ და მართლაც დიდად პოეტს ჯალალ ად-დინს თურქები თუმცა თურქად აყალბებენ მაგრამ ნებისმიერ ენიცილომე-ლიაში მპარსულადაა მოხსენიებული და რადა თქმა უნდა სამართლიანადაც რადგან სპარ-სელ იყო და სპარსულადვე წერდა და რახან თურქეთში დაიბადა და გარდაიცვალა ამი-ტომიყო, თურქი? ისევე როგორ რა-შილია-მე-მე ისკანდერიც, რომელიც აფხაზეთში კი-და-ნბადა მაგრამ ალბათ მასკევიმ ჩაბარდებდა თა-ვისს, თურმე აფხაზურად აფხაზია და ჰამაც ველე-რ-ველიკანიც — ისევეც... და რახან აფ-ხაზეთშია აღმოცენებული რაღაია როგორ-აფხაზი თურქი რომელიც რუსულათ სწერამს და, რა — აფხაზია? — არადა, ჯალალ ად-დინ როუმს, ისკანდერსაც — მეპატიოს მათი ასე გვერდიგვერდ ხსენება, მაგრამ „რ“ ორთა-ვეს აქვს როგორც ეს წესი — უმრავლესობა სახელ-გაგორცა, მაგრამ, ამ ნაზიმ პიქმედსა და ჰაზინს ნესინს ისეთი მაინც რა-ე-მეტკათ რო აღარცერთი „რ“ არ უძევეთ, არასად?

ხოლოკი თქვენ კი, ა-რ-მენაკებს (თუმც მისტორიულად სხვაგვარად გერქვათ) ერ-თის მხრივ თუმცა ვასაგებია მაგრამ ეს რო-გორ არა-ქრისტიანულად ქართველებისა ასე რომ გშურთ მაგრამ, იცოდეთ, ჭეშმარიტი ქრისტიანობით ნეტა შეიცნოთ, შეიგუოთ ის რომ შური ნამდვილად, ნაღდად ვერაა კარგი-რამ თავი და თავი მოშურნისათვის, რადგა-ნაც, შური, მართლმადიდებლობით ანუ ჭეშ-მარიტებით იმას კი არ ვნებს ვისიცა ჰშურთ — იმას ხომ ავით არა-აკლდება გინდ „კულ-ტურული“ ს მოშურნეობით არამედ — შური-ანს რამდენად უფრო აწყვეტილი იმდენად მეტად აკინებდა და ათ მცნებაში „არა გული

გითქმედებ* - ის მიხედვით? — მოიკრიბევიტ მტელივთაქვენიმართლაცდაარცთუ-საშურ-ეული ჭკუვა და, და, გაიზრეთ, დაემორჩილეთ ამას, ამას თქვენდამი თანაგრძნობა, თანად-გონა მალაპარაკებს რადგან მართლაც-ხომ მეზობლები ვართ, და ამას გარდა როგორ ძმები ვიყავით, ერთ დროს, და ნუ დავკარ-გავთ, ნუ, თავად ამას და რომ იცოდეთ მე იმდენი სომეხი მიყვარს რომ, თქვენ, სამწუხაროდ, ესეც არ გჩვევიათ თუმც ერთმანეთის თავის გატანა ძან კი იცით მაგრამ ესაც კი — ისევეც თქვენი საკუთარი თავებისათვის, ვინ მიყვარებია ბევრად მეტად და ვის ვაფასებ ნაწონრადაც იმა-ნამდვილი კავსათისდასათი საიათნოვა რომ იყო, სახელად არუთისა რომელი არუთინაც-რაოდენ გაძვირფასებული სახელი ჩემთვის, კავკასიელთა შორის ძმობის — სულონიდასი როგორი მაღლი, და თქვენი მხატვრებით და პოეტებით მეც მომაქვს თავი, ან რა-როგორი ახლობლები, ხართ, საბედ-ნიერად მი სომხებით მაინც რომ მყავდნენა, დღესაცა მყავს, — ჩემი სულ თავიდანვე თა-ნაკლასელი როლანდ გალუსტაცი, საოცრად თბილი, კეთილი ძმა-ბიჭი, ბატონი გივი შაჰ-ნაზარი, რა სუფთა კაცი, რა-მოქართულე, რა კარგ-თავალები, ჩემი ის როგორ-უცნაურად მეგობარი ვოვა აბრამოვი — ხომ დამიჯერ-ებთ რომ მხოლოდ ორჯერ შემხვედრია და, აი-ვეგრევე დაემეგობრდით — მასავით ნაღ-დი და შებერტაცილი და ლლი და შინაგანად როგორ-ლამაზად პატროსანი და რა ხალასი იუმორით აღსავეც კაცი იმიათადალა-თუ შემომხვედრია, უძვირფასესი მსახიობი — ფრუნზიკ მკრტიჩიანი და მისი ბიძაშვილი, როგორი მაღალი პიროვნება და ფილოლოგი ლევონ მკრტიჩიანი, რა მომღერლები გყავ-დათ ხოლო სულიწმინდა კი ისე-უხარალოდ და თლათ-ტყვილა არავის ამღერებს და,

ისე გეცხვორთო,
 იაკობის წყაროსთან უფალი იესო სამე-რიტულ დედაკაცს წყალს რომ დაჰპირდა ის წყალი გესვათ, და, და, რა გენა და გამაზ-სენდა აქ და, როგორ არ გითხრათ:

სახარებაში რომ სწრია რომ, იმ ქალის მისვლამდე იესუ დიდად დალოლილი იჯდა იმანყაროსთან, - „მაშურალი ვზისა სღვი-საგან“, და, დაიდეთ აბა გულზე ხელი და, თუ-კი სხეული არა ჰქონდა, რადა დალიდა, — თქვენ როგორა თეული — დმერათ შემინდე! და — რომ ტყუილ-საა, სახარება? და სახა-რება ან-ინამეთ, ანდა, — თუ არა? — ნულარ ამოეფარებით მაინც, მაგრამ ღმერთმა ქნას რომ, — ამას როგორი გულით ვისურვებთ, ასრულებულიყოს დიადი ნათქვამი იესუსი, რამაც ის ცრუშენტელა სამარტელცი კი დედაკაცი როგორ წმიდანად, წაიდა ფოტი-ევე გადააქცია:

„ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან,

რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყურდის უკუნისამდე, არამედ წყალი რომელი მე მივ-სცე მას, იქმნეს შორის წყარი წყლის, რომე-ლი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ“,

და, თავიდანვე ასე უნდა მესიტყვა და თქვენთან, მაგრამ რა გენა რომ ადამიანი და სუსტნი ვარ და თქვენგან სწორედაც „ჩაკრუ-ლო“-ში რომა ამისოს მოთმინების ფიალა კი არა და, მთლადაც დიდი ავიხ თქვენის წარ-სულურ-უმსავსეობით და, გამამწარა, და ამიტომაც მოდით და ამ განწყობილად დავი-თავრებთ თუმც პატარა ხანში თქვენდამი სიყვარულს როგორმე კი არა და, მართლა, გულწრფელად დავმიტკიცებთ, აი ახლა კი, რახან ყველაფერს თავისი დრო აქვს? ამა-ამ გრცელი გადახვევითი გადახვევისა? —

დასასრულიანნი

პოდე, იმას ვამბობდი 1957 წლის პირველი სექტემბერი თუ კვირა არ იყოს და ვიტყვი-ლებოდე ზოგიერთივით ფინტი ვიყო ხოლო იშტარას და მე ერთხელ მშობლები კინა-ლამ მართლა დავგიბარეს (არ ეყოფოდით, ვითომ, ბუბისა და მამამეს სკოლისდრო-ინდელ პედსაბჭოებზე სიარული...), და ეს თანაც როდის, როდის და ჩვე-სტუდენტურ-რად-განმსწავლებლის დანყებისა პირველსა-ვე დღეს, რომელსა-დღესაც ჩვენი პირველი სტუდ-ლექცია იშტარამ და მე, ოთხკედელ-შუა ყოფნას მიუჩვევლებმა (— ჩვენ-ჩვენს სკოლებში მატალეობის ბაკალავრებმა) რო-გორღაც ავიტანეთ, II ლექცია კი მაინცდა-მაინც ფიზ.-მომზადებაში ანუ ფიზ.-კულ-ტურაში ანუ დღეინდელ ჰაი-გიდი კულტუ-რულებისა სამინისტროსეულსა-აკიდებულ ფიზ.-სენინაურად-კულტურაში გვექონდა, ლექციებისა ცხრილ-ვანრივი კი ვერ იყო ჯე-რაც ვამოკრული, და აბა რომელი მივიტან-დით პირველსავე დღეს ამ მაშინ-ცალმხრივ კულტურულსა-ღონისძიებაზედ სპორტულ-სა ფოსტლებს (სად იყო მაშინ ბოტასები და ამისთანები) და შესაბამის თალვარ-ხალათს (თორემ მერე ხომ მაშინ სულაც ავრთვეთ ვერ გამოვინილ-არწარმოებული adidas-ებით გა-დავდიოთ ყირაყირაზე), და ამიტომაც იმდრო-ინდელი დამოკრძინული (ვითომ?) არა-სე-ველმხრივ-კულტურისა (რა გავაჭირებამ სხე-დასხვაურ კულტურებით საქმე) სამინისტრე-როული განხრით ძანაც მიძიმებლისანი ლექტორ-მწვრთნელ-კულტ.-ხელოვნების დაუშასახურებლად (კულტურაში) მოღვაწე ვერა-დირიფორ-მაცსტრო ფიზ.-მხოლოდა-ლა-მომზადების მასწავლებელი ამიტომაც მხოლოდ კინკლა-თერიულიად გვესაუბრა ფიზიკური კულტურისა (— ვაჰხ...) და კი-ნაღამ „ხელოვნების“, აც (— ვუჰხ...) წამო-ცდა მედღეინდელურს, — ის მოგვითხრობ-და დიდ-თვალსაჩინოდ ღვანლზე ადამიანის როგორც ასეთის ჩამოყალიბების კონტრა-

ბუნებრივად განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის მთელს წილადხვედრ-ცივილიზებული საისტორიო მუსკულატურის მხრივ, კარგ-დადებითად მოიხსენია სპარტა, მაგარამაც, მერე, თქვენ წარმოადგინეთ მაინც მოგვყინდა,

და შეგვენებაზე თანაც სივარეტი მოგვინდა, რაკი არ გვექონდა, მომადგურისა ერთ-ერთ კულტ.-მცოდნეობის II საათიდან ეგრევე სკოლიდანვე ძალიან მეტად შემომბლიღებულ მაგარამ სტუდენტურ მხოლოდ პირველ შტაბლოზე იქვე გავგურეთ ჩემს სახლში, მაშინ უკვე მელიქიშვილის 45-ში ეცხოვრობდი, უნივერსიტეტის ბაღის მართალია ყოვლად უმანტიო მაგრამ ჭემ-მარტო რექტორის პოეტ შოთა ჩანტლაძის ეზოში და გადავასწროთა მოვლენებს და, II კურსის II სემესტრიდან, როცა დღევანდელით მაგარად არა მაგრამ მაინცად კარგა შეკუმშული (თუ ცუდად!) საქართველოს ისტორია და არქეოლოგია აღარ გვეკითხებოდა (ახლა კი ვავლახ მგონი რომ ძალიანა მსურთ და ყოველ შემთხვევაში მაკაოვად აპირებენ ამას), — ისტორიულზე 2005 წელს, საქართველოს ისტორიაში გამოცდა აღარ ჩაუბარებინებიათ — ხოკაიბოჭბინა? — დაა, მომდევნო წლებში კი-ქონდათ ამხრივ ჩაგარდა — ანუ ისტორია იბარებოდა, მაგრამ, მომავალ წლებში ეგება მძაფრად გადასწყვიტონ რომ საქართველოს ისტორია საერთოდ აბა რა საჭიროა, მოძველდა, ახლო-მომავალ უახლოეს წლებში კი იმავე მიზეზით ფილოლოგიურზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდასაც — იმა-მოტივით რომ, შამლონიანო, — იავარ-ყოფას დაუპირისპირებენ, ალბათ, მაგრამ არ დასცალდებათ, ღმერთი მოწყალეა და სიყვარული, და იმას ვამბობდი რომ ლექციებზე (— პოლიტიკონომია, ისტმატ.-დიამატები და სხვადასხვა ტვიოუ-მატები და იმათი ახლობლებ-კეთილები და დიდად-მატების პარტისტორიები და ასე შემდეგ) სულად დაგვიოღით თავსა და სტუდენტობაზე ხელაღებულთი ხოლო კი შვასა-სიებზედ თავდადებულები, ასე რომ იმტარას, ვოვა სიხარულიძეს, გურამ ჩხაიძეს, მე და კიდევ კარგი ბევრ სხვასაც უნივერსიტეტის ბაღი გაკრეფებით უფრო აღმოგვამნდა დამთავრებულ პროგრამა მოგახსენეთ შოთა ჩანტლაძის გინდაც ყოვლად უმანტიაობით, მე ჩემი ორკულტრანტობა მშველია, იმტარას, ვოვას და კიდევ სხვებს როგორღაც მაინც ვამქონდათ ყოვლად უდიამატ.-უსტმატები თავი, მაშინ კი, დებიუტურულსა შტაბლოზე, იმტარა და მე თითქოს ველავადით.ე.

შინ არავინ იყო, არიქა სივარეტი, იმტარამ და რადგან ჩემი ყოვლად არამეგრული, მამის მხრიდან რუსი ბაბუშქვა, აცხონოს ღმერთმა, ჩვე-ყმანვილებისათვის თავიდან

ყოვლად-მიუღებელ პაპიროსს (ჩვენ კი ამროგორ მჭახე „პრიმა“-ს მიგვედით, სად იყო მაშინ ფილტრები და სივარეტი დეზინფექცია) მაინც მივეტანეთ, კი არ მოგვინდა მაგრამ არადა ასე მაგარამი-გაჭირვებისას, ყოვლად მისაღებ და ელიტარულსა „ყაზბეგი“-სთან და „კურორტინი“-სთან შედარებით ჩია და მოკლე პაპიროსს „Беломор-канал“-ს მისდევდა და ძალიან იყო შედგომილი ბაბუშქვა (რომელ ნიკოტინურსა-სახეობასაც ჩემი წყალობით — დიდი წყალობაა ნიკოტინი, კი როგორ არა... — მერე და მერე იმტარა ისე და ისე მივჩინა რომ თვით „კურორტინი“-ს კიარა და რამდენად უმფრო-იშვითა „Друг“-საც ვერჩინა, მგონი, რადგან — შეჩვევაზეა ყველაფერი კამოსი და აგრეთვე-კავანოვიჩისაც არ იყოს), გამოვალე შეავი („შკაფი“ რუსი ბების გაკრეფით არ გეგონოთ ნათქვამი არამედ საერთაშორისო სიტყვად და ჰამაც მგონი ანტიფაშისტურ-გერმანული არადაც სხვადასხვაგვარების ინტერნაციონალურ საფაშისტებს შკაფების ნაცვლად მგონია სეიფები ჰქონდეთ, ასე მაგალითად ფაშისტთ-წინამორბედ სვერდლოვსურაღაც ხუთი ოდნისა წინა-და-უკან (!) დიდ-საიდუმლო სეიფი აღმოუჩინეს (რამდენ-ხნისა მკედარს... იმას მიაკვდა —...), სადაც საგულდაგულოდ მუენახავს (მაგრამ სად ჰქონდა, გული... გული არა, ის... რა ის... — ააა... — შო, ალბათ სხეულის სადმე სხვა ალაგას,) ნიკოლოზ მერის ლენინურად ანუ და მისით უმოწყალოდ დახვერტილი ქალიშვილების ქამრებში ჩაკერებული თვალ-მარგალიტი... მაგრამ ჯოჯოხეთის აბა რომელს-ვის რა ნაუღია, სანდო სეიფში, მხოლოდ... გამოადგებოდა იქიდან როგორ არა, კი, ხოლო რომელ ჩვენსა უბრალო-ვითომ შკაფშიაც ბაბუშქვას გამოუღვევდა ჰქონდა „Беломор канал“-ის მოლურჯო-მოთეთრო ლბილი და გატიკინებული კოლოფები და, სულ სულ-სწრაფულად გაგებოღვეთ ორორი ღერი, იმტარამ და მე; და მაშინათვე გავარხინდით, გამოგვიკეთდა მინამდელი უნიკოტინობით-მაინც-მომამაშული, კი, ხასიათი, და, მოგვხსენებთ ადამიანთა ბუნება (რალაც ვიყავით მაინც ადამიანთა ვიყავით ჩვენც) და, რალაც მეტი მოგვინდა კიდევ, ასე ვთქვათ შპი-გიდურად-ურაა-ყარაჩოხ-ლური, და, გამახსენდა, რომ მამაჩემი, რომელსაც უღვევად და არა-იშვითად უფასოდ ჰყავდა არცთუ აკადემიური პაციენტები (აკი ვენეროლოგი გახლდათ), სადაც ინახავდა დენატურატისა და მსგავს მართლაც ცეცხლივით სპირტი, და, ისე ძალიან მონდომებულებმა რომ ყოვლად უკომპასოდ ვიპოვე ის სპირტი, მაგრამაც წყალი-თავანკარა კი არა ჩვეულბრძვიც სულაც არ მოდიოდა მოვინაშროდღავით-არა მაგრამ დროებით მაინც უმშუშავი ონკანიდან, და ამიტომაც რა-

ტომლაც მზეზე მდგარი ჩაიდანინდან იმ ავი სპირიტის გასაზავებლად შემოშველიებულ, დამპურძგლავ-ობამდე თბილ წყალში, გავსსენით ისი მოველურთ კი არა და მთლადაც ველურ-აფთარივით, სპირტი, და ეურტყით და ვურტყით ყოვლად უსამღვგრძელყოფოდ — არ შეშფეროდა, იმა სასმელს — მხოლოდ და მხოლოდ „გაგიმარჯოს“-თი, ეს (ის) ყოვლად აუტანელი სითხისა ერთ-ერთ-ყოვლად-არეულკულტურულათე-სასტიკი სახეობა, ხოლო III ლექციაზე რომ მივბრუნდ-გამოეცხადდით, რომელი ლექციაზე თუმც ძლიერ ბუნდოვნად და მაინც ძველ-ეგვიპტური ნიანგის ნაკბენივით მახოვს, ხოლო ძველ-ეგვიპტურის იმიტომ რომ ხოლოდა თურმე ძველი მსოფლიოს შემსწავლელი ისტორიის განხრით პყოფილა ლექცია ისი, და ერთი ის-ლა მახხოვს დიდ-ამღვრეულად რომ რალაც შუამდინრეთსა თუ მესობოტამიათ თუ რას ეძახიან სწორედაც იმა ერთ დროს ძლიერ-სა მტად რევიონზე რომიცი ააგო და ვახავ-რც-ანარშოა აკად.-ბაასი ლექტორმა, და ის და იგი ერთდროულათე ჰესიმისტურ-ოპტი-მისტურად ანდაც პირიქით საუბრობდა ერ-თდროს მძლეთამძლე ხოლოკი ახლა ვადამე-ნებულ სახელმწიფოსა და მის ადათ-წენებზე რომელი ისი-სახელმწიფოც თათი ტერგოსსა და თავად ევფრატს შუა ათვისებულსა ტერი-ტორიებზედ ყოფილა დიდად შავმიან ნიადა-გებზედ დასახლებული, ხოლო ჩვენ, ამა-მო-ცემულ კოლხ-იბერიელებს (მე ქართლელი ვარ, იმტარა — რაჭველი), დაეუშვათა და ამე-რიკულ კონტინენტზეც კი რომ ვადავეფრი-ნით უაფიონილეთოდ, ისე მოგვეკიდა ათიოდ ნუთში სპირტი და ისე-თვრალეზი გახლდი-თაყე რომ არამცთუ ბილეთებთან არამედ რამდენ-იარსკვლავა დროშებანი ამერიკასში მათ მისისიპია ვერა-რეჩქისავანერგანვას-ხეაეებ-გავარჩევით დაა, აგრეთვეც, თვა-ლებ და გონება ისე-ამოტრიალებულებს რო-შესაძლოა ამაზოქსათან და მას-მიმდებარე უზე ჟუნკლებშიაც კი აგვეროდა აგვრას ჩვე-ნი რამდენად მაინც უწყინარი შავი ყვირილა და შემოვარენულად მას-მიმდებარე უმტა-ცებლი-ცხოველებიანი საღი ჭალეზი, ეეპ, სიტყვამ, კი, მოიტანა და თავისით ყოვლად უდანაშაულოა ძალათი-ზანგი ყვირილა რად-გან ისეცაც ჩვენგან, ადამიანებითაა სიშავე მისი როგორც ასეთი, ეს, რადგან ჩვენგან მო-ძიებული შავი ქვის შავი დამსახურებთაა ასე გამეტებულად შელანძლული ყვირილა თორემ ისე? — უადამიანებოდ,

რა მვეფიერი-კარგი მდინარე იქნებოდა, ხოლო ლექტორმა ჩვე-შესპირტულა ორთა-ვენი — იმტარაცა და მეც თურმე იმა ტყეადი ლექციიდან სხვა სტუდენტებით მხარში შემ-დგარნი გამოგაძევა საცა კი გვინდოდა იმ მესობოტამისაკენ და მაგრამ სამართლიან-

ნობა მოითხოვს აღინიშნოს რომ საგნებით სამართლიანდაც რადგანაც ჩვენი ე-შამინ-დელი ყოფით ჩვე-ორთავენი ერთნაირად უძ-ლურნიც ვიყავით. დ. ტერგოსისა და აგრეთ-ვეც მდ. ევფრატისა წყალთ-უნარიანობის შეფასებში, მეორე დღეს კი, თავ-ატკიებუ-ლებსა და ენობლივით (— ბევრ შემთხვევაში ჩვენზე ჭკვიანია) ფხიზრება, დეკანმა მშობ-ლებსი მიყვანა მოგვისაჯა. სადალ მიდინარ, ახლა... სკოლაში აღარ ეყოფოთად-მეთქი ჩემს მეგრულ-ბებთან და ქართლელ-მამაჩემს პედ.-შ-შთვის ს. (ანუ პედაგოგურ-შ-შეოქ-მედებით-მ-ეგნებულობისათვის-საბჭოთა-მეზებზე) მხრებანურულებს შესვლა-გამოსვლა ანუ მიმოსვლა და, კიდევ კარგი, ისევე რო-გორც მომავალშიც ბევრჯერ, ახლა კი დე-ბიუტურულად იმან გვიშველა რომ როგორ დიად-მაესტრო პენდელიანმაც კი იმი ორ-კესტრის ნეგრად უნდა ვავმხდარიყავი (რო-გორ გამიზართლა? — რადგან სამისაღებო საბუთებთან ავტო-ბიოგრაფიაში იმედინად აღვწუსხე ჩემი მუსიკალური ასე ვთქვათ „შესაძლებლობანი“) და რომ იმავე დღეს რო-გორ-თემც თავატკიებულზე შემამონმესუნე-ვერსიტეტის ჩემთვის შამინ ჯერ ნაკლებად ნაცნობმა დირიჟორმა და მერე კი ჩემმა უსაყ-ვარლესმა მაესტრომ ალექსანდრე ნასიძემ და ორკესტრის დირექტორმა ჩემით ანყოზი-ლივილიონითიდა, წარმოიადგინეთ, კმაყოფი-ლები დარჩენენ ჩემით, რადგან დილექტანტის პირობაზე (აკი მხოლოდ მუსიკალური სკოლა და ოთხკურსიანი მუს.-სასწავლებელი) გარ-და მუსიკალური საგნებისაც და რატომლაც აგრეთვე სამხედრო-მომზადებისა — კინა-ლამ სამხედრო-კულტურა არ ვთქვი... — და რაც მთავარია ფიზ.-კულტურისი ვაკვეთი-ლებიანა გვექნად ბებთან და მე დუეტურად დამთავრებული რადგან ასე V-VI კლასიდან მოყოლებული ვილინიოიანი ბუდის ტარებას მე აღარ ვკადრულობდი ვინმეს „სირისტი-ანი“ რომ არ ვკონტობდი ხოლო ბებიას ჩვე-ფაცა ამ მოხალისურ მოვალეობას პირიქით დიდის სიამოვნებით ასრულებდა ვითარც დომინგო პლანიოდ — ოლონდ ეს შემდგომ — ტურადუს მეთრე არა-სიმღერას გუნ-დთან ერთად ხოლოკი მეკი არამცთუ გვერ-დით ანდა ჩამორჩენილურადაც კი არა არა-მედ სულაც ქუჩის მეორე გადაღმურ მხარეს მივყებოდი; ხოლო ის ჩემი სპეციალობაში ფრიადოსნური III კურსი ჩემს შინაურებს მგონი მაგრად ეამაყებოდათ ანუ როგორც დიადე ვახარებული მამაჩემი, ხუმრობის ხა-სიათზედამდგარი, მხოლოდნახევარ-ხუმრო-ბით მეგრამ ამასთანავე დიდადაც სწორად, ნაცნობებთან ასე ამბობდა, რომ, თურმე, ნუ იტყვითა და, მე? — „ჩემზე უკეთესებზე უარესი ვარ ხოლო ჩემზედაც კი უარესებზე

უქეთესი", და, იმ სამ სექტემბერს, სტუდენტური სნაგლის დაწყების მეორე დღესვე, მიპროტექციის ორკესტრიდან ჩვენს დეკანთან, და მომიხსნეს ჩემთვის ის ყოველად უხერხული მასჯელი და ჩემს მიხედვით არამცთუ დიდად-მწინდელიანი არამედ ყოველად უოფენებახოცკი იმტარახაც ველარ დასჯიდნენ მშობლების დაბარებით რადგან მოიდგინტურულად როგორ-სრულ-ვაი-დ უფლებამოსილი თანამოსაქმეები (ხოლო ციხურად ანუ ნაღდ-გამოთქმითა „პადენიკები“) ვიყავით ერთგვარი სითხისა დარგში, და, შერცხევენისაგან გადარჩენილებს, მთლადაც ისევაც დაელოდო ვინდაც შუადღითაც რადგანაც ასე-ნასმზე გახარებულებს თავი მთლად ორმაც ქუდში გვექონდა თუც ვერცერისა-ჩვენ ბარცერთი არ გვეხურა, კი... რაი და — ქუდი.

ჩემ-სტუდენტობის ასე-ერთთვეში კი დიდად დასამახსოვრებელი, ღირსი, ტატურებასავით ამოსატატურებელსავით მე მყარ-ერთითაც მყარად ჩასაბეჭდი ერთიც-შეხედვრა მელოდა, კი:

ვდგავარ სოფებისა არ იყოს ჩემსაც-მშობლიურ სოლოლაკში და, მოდის და აბა ვინ მოდის თუ გამოიწონობთ... მეტი არაა... — ვინა და, ვარდო მასწავლებელი, ამას თუ ვიტყვილებოდე 1957 წლისაგ-წლისი 2 სექტემბერი და იმისი ჯანი კვლავ შეამოწმეთ იყო თუ არა ორშაბათი და რომ ასეც-აც აღმოჩნდება, არა? — ასე იგი ხომ მართლაცა მოდის ჩემი (რალა-ჩემი... თუმც, მაინც ჩემი...) ვარდიკო მასწავლებელი და, ნარმო-იდგინეთ, ჩემით თუც ტრადიციულად-შეცვარსა და ანურულად-დაქიჩნაჩებულს — მისთვის რაიმე მოსალოდნელი რაიმ-ფათერაკისაგან — თქვენ წარმოიდგინეთ მაინცად როგორღც გიხარდა ჩემი დანახვა-ხილვა და, ფრთხილად მკითხა „გავიმარჯოს“-ი შერე როგორ ხარ ბიჭო-ლოჩანაშვილი, რას აკეთებ?-ო; რა ვიცი, ტყვილა ვდგავარ-მეთქი; არა, საერთოდ რას სჩადიხარ?-ო, სწორ-ქართულითა, მკითხა, მე კი, მთლად-მედიდურმა არა მარა ჩემი ახალი დანიშნულება-თანამდებობით ერთგვარად ამაცმა? —

სტუდენტო გავხდი ვარდო-მასწ-მეთქი. შოო? — აშკარად გავხარდა, მას, ჩემს ყოფილ-მასწს; — და მაინც სად მიგიღეს შენ (იგულისხმევი: „შენისთანა“), ლოჩანაშვილი?-ო, — მან;

მე კი — ისტორიულად ვარდო-მასწ-მეთქი, - მე-მ;

აქ კი, დიდად ეწყინა: ლოჩანაშვილი შენ სუ-ასე უნდა იტყვილი-ებოდე-ოო, — ჩასწავლა, კი, გული, — მას, — ბიჭო მე შენი და შენისთანების გამოძობა (აღელვებულზე აკი მშობლიურ-კუთხურად

უქცევადა და, რაც მართალია მართალია უხდებოდა ეს, კი,) რაფრა-ძალიან გამიხარდა და შენ კიდე მაინც რატო მატყუეფ?-ო, მან; და აჲ, აქლა გამახსენდა რომ ისტორიას რომ მასწავლიდა და ეგონა რომ „თქვენი წყალობით საისტორიკოსო გავხდი“-მეთქი-თი ვებასხარაგებოდი, და,

რომოთხრა: მითხარი ახლა-მაინც მართალი ქერი მიგხედვი ეშვაკობას,ო-ზე? —

გამოვასწორე-მითომ წინა ნათქვამი ოლონდაც გამოიხეღა რადგან რა მეთქვა: ფიზიკა-მათემატიკურზე ან ქიმიურზე ვაარ-მეთქი რომეკი მეთქვა იმასაც ხომ არა და არ დამიჯერებდა — მასწავლებელთაგან ყველამ იცოდა ჩემი სქელშუღლა და უნაოჭებ-ტინმა პოლიტექნიკოსობის რარიგ-ამბავი, და —

სასოფლოზე, მეთქი; მაინცად ეჭვით შემომხედა: ბიჭო-ლოჩანაშვილი, ეს თბილისელი ბიჭი სასოფლოზე არ შეხვიდოდი, ო, — მან და, ოუნდა მეთქვა, პედაგოგიურზე-მეთქი ვერ ივარგებდა — აბა რომელი პედაგოგი მე-თვით-ვერ-აღ-ზრდილი, გამოვიდოდი, ფიზკულტურული-ც ვერ ივარგებდა — ჩემი აის-ნახტომი უფრო გაახსენდებოდა სულაც სხვისადმი შეყვარებითულ-უცაბედობით მაინცდამაინც მას რომ დაეპატიო — შეუყვარებელს და, ამური-საგან დავრებითა გადავიწყებულს, ყოვლად; და, სხვა რა გზა იყო:

— არა ვარდო-მასწ, მრცხენია მაგრამ ზოო-ვიტში მოვეწყე-მეთქი, ჩავექინდრე თავი,

და, ამაზე არამცთუ გავუკილვივარ და არც ათვალუნებით შემოხედავს, არამედ როგორ ძალიანაც, მანუგეშა, კი: მაგ-არაფერი ლოჩანაშვილი, შენისთანებთან გექნება საქმე,ო, — მან, —

და, ნავიდა და,

რაც მე ვიცინე? — ასეა, ასე უცნაურია ძიან, ზუმრობის შეძლება და იმისი ფასი და ყადრო? ნებსითა თუ უნებლიეთ? — ჩვე-ქართველებმა, თითქმის სუვევილამ, ვიცით.

... და თუმც დიდად დავეკიფობით (— არა, მე და ვარდო-მასწ კი არა არამედ მე და ჩემი ძმაბიჭები — რამდენი რამე გასაფრთხილური დაკვირვება გმართებს რაც-გინდა ადამიანს, ამბის თხრობისას?) მაგრამ ორკესტრის რეპეტიციებს მაინცარ ვაცდენდი — მეტყოდნენ ხოლმე ძმაკაცები თუ სად იქნებოდნენ და, მოგვიანებით ვუერთდებოდი — რაცინდ მთვრალები, მაინცა მცნობდნენ, კი, და აი-ამა მე-ს, ნა-ჰენდე-ლარსა და ნა-მოცარტალს „ტირი-აან თუ-

უმის ქა! — ლე" — ფსა! — ერთგვარად-კოხტად მანეიტრალბედასავითა, ნარმოიდგინეთ კი-დეშთან რომელია დრო მქონიყო კითხვისათვის, კითხვა მაინც მთლადაც სუთთავარ-ცხოვრება იყო, ჩემი გინდაც ნაბახუსევზე — ისე არაფერი მოხლოდ მაფხიზლებდა კი არა და, ჩემთან რომელი ფხიზელ-ენოტი და მღერღნელურ-მარჩი-და-თხუნელა — სულ ზეცა-ზეცად და ღრუბელ-ღრუბლებდ დაფერინავედი და ლოდების ქვეშაც თუ რა იყო კიარა და ჭების ფსკერზე კენჭების ფერიც რთულად ეიცოდი, და, მიუხედავად ჩვენი თითქმის-და ყოველდღიური დათრობებისა ზოგიერთ სპორტსაც როგორღაც ვასწრებდი: ადრეც და სტუდენტობაში რიგრიგობით დავდიოდი ფეხბურთზე (დიდად უნიჭო ვიყავი), კალაბურთზე (აგრეთვე უნიჭო ვიყავი), ცურვა-სა და წყალბურთზე (არცთუ უნიჭო ვიყავი), კრიჩზე (აგრეთვე არცთუ უნიჭო ვიყავი მაგრამ, ამითი? — ვაჩემსპატრონს...), ფარიკაობაზე (ისე-რა უნიჭო ვიყავი — კიდოკაი, კი...) მაგრამ მთავარი სპორტი-ჩემი? აბა მე განმკლავ-მიმკლავებს როგორ გავუყვარებდი თავს და ეს ლერმონტოვზე, ჩვეს დერფანში ჩამოკიდებული რგოლები იყო, რომლებზეც მაგონ ევრეთნოდებულ „ჭიმი“-ს თუ „აჭიმვას“ (ანუ რუსულად მგონ „ВЫЖИМ“ ჰქვია) — მოკლედ, ჯერ ნიკაპამედ და მერე მთლადაც ქვემოთკენ გამლილად დაყრდობილ ხელბეზე ისე ავიწიოდი რომ თავს ლამის ჭერს ვუნუდენდი და თავიდან რომ შევქელი დიდის წვალებით ეს ერთხელ, მერე ორჯერ და სამჯერ და ასე შემდეგ მთლად თორმეტამდე შემქმლო ამდაგვარ-ჭიმი-აჭიმვის ჩადენა და ხელე ჯონდოს ჩემი ორფად-„ДВОЙНО“ ძაბნ მოსწონდა რომელ ილიეთის მულამიცა და მთელი ემხიც იმაში გამოიხატებოდა რომ თამბაქოს კვამლს პირში დავივუბებდი და მერედა ძალიან ყოფთხილად ვაკეთებდი „ვიჟიმი“-ს რომ არ ვაგქან-გამოვქანებულ-იყავი და, ვაგხედებოდი რგოლებზე და, იმ დაგუბებული თამბაქოს კვამლით კვამლის რგოლებს რიგრიგობით ისე ვუშვებდი, რომ, მოტივტივეთ ერთიმეორეში ვაძვრენდი, და, როგორ-მომთხოვნს ანცობებში მოსწონდა ეიცო-ილეთით თითჯონდოსაც კი, რადგან ჯონდოს ხომ სჩადიოდა რგოლებზე რამდენიმე ჭიმსა-აჭიმვას ოლენდ კვამლიურ რგოლებს ერთიერთმანეთში ჩემებრ-ოსტატურად ვერ აძვრენდა მაგრამ კი-არ მშურდა ჩემი — ყმაწვილკაცურად-ძმაკაცები ვიყავით, აკი; და, ნარმოიდგინეთ, ყოველდღიურ ქვიფებინსადა-მიუხედავად | კურსის ორ-სემესტრისა დამთავრებისას, აკადემიურად-მეცადინეობა“-საც ვასწრებდი, ახლა არ ვიცი დაბრუნს თუ არა ნალედ-ზედმეტად „ინტერნაციონალისტებმა“ „ზოგ“-ისტორიის სწავლება ხო-

ლო მაშინ კი საქართველოს ისტორიას ბატონი შოთა მესხია და ბატონი დავით გვრიტიშვილი გვიკითხავდნენ, კარგად გავდიოდათ არქეოლოგიასაც ძალიან კარგი, თავდადებული მეცნიერისაც და როგორი ლალი-ბიჭივითაც კი სუყველაფერში როგორ-შემიართული ბატონი ოთარ ჯაფარიძის, ბუნებრივად და გარეგნობითაც დიდად მომხიბვლელი პიროვნების, წყალობით, ვასწრებდი ფეხბურთის ისეთ თავ-გულ-შემატკივრობას რომ, — ამაზე შემდგომ — ამ სასწრაფოვლად ახლაც ძალიან რომ არ ვადავყვე ჩემს ვირუსულსა-გადახვევებს ხოლო ყველაზე, — ცოტასთვ მრცხენია და მაგრამ ყოვლად „ტყვადი“ საქმე-ჩვენი? — ქვიფო იყო, და რანაირი სურფა ანდაც მომიხვედვლი მაგინო არ შეგხვებდრია და არა გვექონდა — არაყ-ხმელ-პურით დამთავრებული და დაწყებული-კი ნაღდი „მაზავის მწვანე“-თი და „უსახვეური“-თი და „ქარაფები“-თი ახიეთით რომ, ჩიტის რძე კი არა თვით უნივ-ბალის უმანტიო რექტორ-პოეტი შოთა ჩანტლაძეც კი არ გვაკლდა; მიუხედავად იმისა რომ შოთა 12 წლით უფროსი იყო ჩვენზე ძალიანაც-ა ვამხანაგობდით და, ან ის მიგვყავდა თანასაქვიოდ ანდაც აგრეთვე ჩვენზე კარგა-უფროსი ნიაზ დიასმიძე, ორივენი ერთად კი — არასოდეს, რადგან, მოგვხსენებთ ერთ ქარქაშში ორი ხმალი რომ ვერ ჩაიგება; არადა, მათთან ენამოსწრებული ხალხი? — გარდა ვალოდია ლლობერიძის, თემურ ჩირგაძის, ოთარ მამფორიასა და ზაურ ბოლქვაძისთან და მათთან კიდევ რამდენიმე კაცის გარდა (ხომ გაომიხვიდა, კი-გრძელ-სია... აი ისე რომ ბიძის ლოლბერიძე და ვახტანგ ცქციშვილი არც მიხსენებია...) მე არ შემიხვებრია და სხვებს თუ სხვები გეგულეობთ? — იცოცხლეთ, გვავედეთ, მე კი „მხოლოდ“ ესენი? — საფეხით, მყავდნენ...

შოთა ჩანტლაძის როგორც წესი მწარედ-უმწარეს ხუმრობათაგან? — რომელი-ერთი მოგახსენოთ...

პო —

შოთას ერთხელ ერთმა პოეტმა, ძალიან კარგმა და პოეტმა-ც-რიგიანმა — არაა აუცილებლად საჭირო მისი ვინაობის გამხელა მით-უმეტეს რომ არცა ვვარში და არცა ცსახელში „რ“ ვერ ურრევია — გადასარრევი... და იმან შოთას ერთხელაც როგორღაც გაუბუდა თავგანწირული შეკითხვა — რა სახიფათო ნაბიჯი-ეს? — შოთა, ჩემი ლექსები როგორ მოგწონს, რა აზრისა ხარ? მართალი მითხარი, ო და დიდზედ-დიდის მღელგანებრითა დაელოდა შოთასი-პასუხს რადგან შეკითხვა-ვი მაშინ შედარებით იშვიათად იბეჭდებოდა ხოლო მისი და შოთას საერთო მეგობარი, ბატონი მუხრან მაჭავარიანი როგორც ყო-

ველთვის მაშინაც ჰქვხდა ხოლო შოთას კი, რომელსაც ერთი პნკარიც კი არ ჰქონდა გამოკვეყნებული არადა როგორი ნაღი პოეტი იყო, მათი შავი და კუპრ-შურითა არ შურდა მაგრამ მათდამი როგორღაც მოაგდებულო, დამოკიდებულება, — რადგანაც მისგან განსხვავებით „გამომზეურებულთა“—დმი, ჰქონდა — მიუხედავად იმისა რომ საკუთარ ლექსებს აკითხებდა მათ საერთო ჯამში მანაც როგორღაც მო-უთავაზო და მო-აგდებულო დამოკიდებულება, ჰქონდა,

ხოლო მეგობარ-კოლეგასი ისეთს-გაბედულ შეკითხვაზე თუ როგორ მოსწონს მისი ლექსები, შოთა ძალიან მცირედ ჩაფიქრდა და მერე კი ახედ-დახედა-რა შემკითხველს, ასე მიუგო:

— ბიჭო, როცა მე მბაძავ შენი ლექსები კიდევ-ჩამოგავს რაღაცას, მაგრამ, მუხრანს როცა ბაძავ? — სისულელეა ეგშენი და იმშენისასონიანისაც სუყველაფერი თავიდან ბოლომდისინ, აო,

ასე უთხრა, კი, თუ არ გჯერავს ავერ იმა-1957 წლის მთლადაც პირველი სექტემბერი შეამონმეთ — იყო თუ არა კვირაძალისი ანუ შაბათურ-სალამოსი მომდევნო დღე და აგრეთვეცა მისიც მომდევნო №2 სექტემბერი იყო თუ არა ნაღდ-ორშაბათი და, შესამონმებლად ავერ არაა 1957 წლის 1-2 სექტემბერი? — 09-ს, ჰკითხეთ,

და მე რომ ახლა ვაკვირდები? — ჩემიც 1957 წლისა სექტემბრისა დამდეგრიცხვები სწორედაც ისე-მოქნილია? ვითარცა გამოთქმა — „ისემც“ ... —

და თუ აგრეა, არა, ხოომ იმა ორ-სექტემბრისა ორშაბათობა? — მაშენ ნამდვილად ხო ასე უთხრა პოეტმა შოთამ იმ მეგობარსაც-პოეტსაც, — კი, კი, —

უცნაურია, ნუთისოფელი. ერთხელ, ზვიადმაც, ისეთი კბენა ინენია შოთასაგან, რომ? —

ზვიადი მაშინ ვის შეარჩენდა რამეს, ამოღებული ხმალივით კი არა და სხვებისა რისხვად ემჩენი კომბლეს „მექანიკური“ კომბალივითა, იყო, კი, მაგრამ შოთას კი, ასაკით ჩვენზე რამდენად უფროსს, ბევრს უთმობდა რადგანაც მაშინ — ახლა შესაძლოა არ დაიჯეროთ მაგრამ უფროს-უმცროსობა მუდამ ვიცოდით — თუ არ გჯერათვით არაა ავერ 09 და მისით იმ-სექტემბრების ტანჯული ჯანი?, და ხოლო შოთამ ერთხელაც ენა-ისეთი მწარეობა უთხრა სხვას რომ ამისათვის უბრალო კი არა შამპანურისა-ბოთლს დაამტვრედა, თავზე, შოთას კი მხოლოდ ესლა აკმარა:

— რა გელაპარაკო, სულელი მამაშენ-ანანისი მიელს,-ო, ხოლო შოთამ კი, რომელიც ნესით და რი-

გით ძალიანც უნდა დაკმაყოფილებულიყო რადგან ზვიადისაგან ასე-უბრალოდ გადარჩენა ებოძ-ენყალობა, მაგრამ შოთა რის შოთა იყო, ამ-“წარმატება“ს არ დასჯერდა და, ასე უთხრა:

— ბიჭო, მამაჩემი ანანია რომ სულელია ამას კიდევ რა უჭირს რადგან ეს მხოლოდ მე და შენ ვიცით მაგრამ შენ იკითხე, რადგან მამაშენი კონია რომ სულელია და შტერია მთელმა ქვეყანამ, იცის,-ო,

და, ჯერ ძაან-დიდათე ვაოგნებულად დაბნეულ ზვიადს რა-ღ დარჩენოდა, ამა-პასუხით სახე-და-მთლადაც-მოფხუწული გონს რომ მოეგო, პირი იბრუნა და, ჩაიქნია, ხელი,

არადა, უფროსებს პატივს როგორ არ ვცემდით მაგრამ, ზურგსუკან? — ახლა არ ვიცო როგორაა მაშინ კი, ჩვენდა სამარცხვინოდ დიდად-მათდამი გვექონდა თაობას-ჩვენსას, ქილიკობანი:

ჯონდო, მაგალითად, არ ვიცო სხვისგან გაიგო თუ თავად გამოიგონა — გაუჭირდებოდა ეს თუ რა, — ძალიან ბევრს ეუბნებოდა „ბიჭო არ გეკადრება ასეთი მარტივად ცალტვინა რომ ხარ ისეთი რთული-საქმიანობის მამიშენისა შვილსა“,ოო,

და, როგორ ჩასაფრებულად მომლოდინე ჩვე-შენილბულთაგან რომ მიიღებდა ასეთ შეკითხვას — ასეთი მაინც რა ხელობისაა მამამისი-ო,

ასე იტყოდა:

— რა ხელობისა და მთავარ-ფოსტისკო შუაგულში დგას ენაგადმოვდებული და მარკის დასაწებულად ჯერ იმას უსჯამენ ენაზე მარკას მეფოსტეები და უიმისოდ წერილი რადგან ვერ გაიგზავნებთ ხელფასიც კარგი აქვს და აგრეთვ-კარგი აქვს წელსკვეითიც ყველაფერი, ო, საშეილო, ო, აჰ, ჯონდოს ყბაში?

სხვა მაგალითიც, ჩვენს-ჩვენ მამებზედ: ერთხელ თამაზ გუნჯუას - ვენაცვალე, — აი ისეთი-რამ დიიდი შეცდომა მოუვიდა მამამის ტარასი-სთან დაკავშირებით, რადგანაც, ვითომც მსუბუქად გავეალიმა:

— კაცო, გუშინ ვილაცამ შეცდომით დარეკა ჩვენთან და უკითხავს, ტუესია? — ო, ხოლო მამაჩემმა რიხით უპასუხა: არა, ტარასია-ო,

და, ჯერ კი მხოლოდ გავიციინეთ, მააგრამ, მერე და მერე?:

აბუყდა მაგრამ რას აბუყდა მამამისის ბინაში ჩვენი რუკვა და ერთილ-კინკლა შეკითხვა-ესი: ტუესია? — რაზეც ბატონი ტარასი, ისევე როგორც პატიოსანი ხალხის უმრავლესობა ისიც დიდად გულუბრყვილო, გინდაც ზედიზედურად ყურმილაურსა შეკითხვაზედ — ტუესია? — მუდამაც აუღელვებელი სე-

როიზნულობით გვპასუხობდა — არა, ტარასია; არადა, რომელიღაცამ მისი სამსახურის ტელეფონის ნომერიც გავიგეთ და აი იქაც კი ვერ ხვდებოდა ამ "ტუესია?"-ს, და იქიდანაც, კი, დიდ-ამსხნელურად გვპასუხობდა — "არა, ტარასია",

და თამაზიც ხომ გაცოფებულსა-გადარევის იყო პირდაპირ შინ რამდენჯერაც შემოესმოდა ეს "არა, ტარასია" მაგრამ რა ექნა, ძმანიჭებს ხომ ვერ გაგვარტყამდა რაც "მტრისას-მტრისას" ანუ "კაგებებსას"-აც იქნებოდა რაღა თქმა უნდა მათ გასახარად მაგრამ მსუბუქად მაინც წამოგვარტყამდა თავში მაგრამ ეს რომ ვერ ჭრიდა ძალიანკი გვთხოვდა რომ ბოლოსდაბოლოს დავჯე-რებულყავით იმდენ "ტუესია?"-სა ამდენ-გზისობას, მაგრამ? — თქვენც არ მომიკვდით, დრო — ბევრი გექონდა ახალგაზრდე-ბი რახან ვიყავით ეს ახლაც რომ წუთით გადის იმოდენა დრო და ვიძახით ჩვენ მაინც "გრინ-ვიჩის დროით ამდენი და ამდენი საათ-წუთია" და, ისევეც რომ, იმ გრძელის დროით ქარაფ-მუტყულები მოცლილები კვლავ და კვლავაც რომ: "ალო, ტუესია?"-ზე თამაზი რომ დაას-წრებდა მამამისს და რომ აიღებდა ყურმილს და იქიდან კი ისეთებს ჩაგვძახებდა რომ, კა-გებების გასახარად? — შემოფოთებულ იყო დიდად, მამამისი: "ვინ იყო ბიჭო ასე ძალიან რომ გაიმეტე"-ო, არა, არაინ", — გაღიზიან-ებულად პასუხობდა თამაზი, "არა, ვინ იყო მაინც ასე ძალიან რომ რამე გაგავცხლავ"-ო, და თამაზმაც უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და: "საბარკიშაბერო უნდოდათ"-ო, რაზეც, ვითომ-გაოცებული მამამისი: "მერეც, შვი-ლო, მაგაზე უნდა დაგვეყვირა ისე ძალიან მეკი მამაშენსაც რომკი დავაფსი შუა-თავ-ზე!"-ო?, და, დააყოლებდა: "აგერ მე, შვილო, ნამდალუნემ რომ მეკითხებიან ტუესიაო კი არ ვუყვირი ისე რომ მეკი მამათქვენს ჩავაფსი კისერში-ო, არამედ წყნარად ვპასუხობ არა, ტარასია, ო, და შენ კიდო თუ გკითხეს საბარ-კიშაბერო ანდა აბანო, უთხარი მშვიდად — არა, თამაზია-ო, ნერვები რომ აიძალო იმ ვი-გინდარებს და აფირისტებს მაგ უნდათ სწო-რედ", —

ა, ასე იყო ეს საქმე, თურმე რომელი რო-მელს ვატყუილებდით რა ვიცოდეთ, კი,

და, რადგან ეს "ტუესია?" — ჩაგვიფლავ-და,

ავიღეთა და მთლად მამამისის სახელი და-ვარქვით, მთლადც "ტარასა"-თი შევუცვა-ლეთ მინამდევ როგორ-უწყინარი სახელი — "თამაზ".

და მეც დიდ-მრავლად მიწნევივა მამაჩემ-პეტრეზე ოხუნჯობანი, გამოხატულნი ძი-როთადეთ ვრაფიკის განხრით: პატიმარს ვითომ უკანალი აქვს გამოყოფილი ვისოსე-

ბიდან და მამაჩემი კი ნემსს უკეთებს, ყვე-ლაზე მეტურ ტუზურ-კიკოდ ამისა-დახატვა პქონდათ, ჩემდამი, მე კი ეს იმდენად სულაც არ მინაღლებდა, რამდენადაც ის, რომ, ციხის ექიმი თურმე დახვრეტას ესწრებო-და...

მე მუდამ შეძრწუნებულს მედგა თვალ-ნინ აი იმისი წარმოდგენა თუ როგორ მიმ-ყავთ ვინმე... — ხანდახან რა ცოტა-სიტყვაა სიტყვა "უბედური" და "უუბედურესი"-ც კი, და წარმომესახებოდა თუ როგორ შემ-ყავთ სახარლად მრგვალი და არა ოთხკუთხე-ოთახში, ცალი ნათური მკრთალად განა-თებულში დასახვრეტი და იქკი უცდიან ციხის უფროსი, "არეტიმის უფროსი" და ჯალათი და, ვაიმე, მამაჩემი, დაჯალათიროგორადებსსიკე-ვდილისკვლას კეფაზე ალბათ მოკლე იარაღს ანდაც თოფით როგორ ესერიან თვალემახე-ულს და ის კი როგორ ჩაიკეცება და ოდნავდა გადახრდება, ანდა მიბმული თუა როგორ ჩაექინდრება ის თავი რომელმა თავმა კი არა არამედ მისგან გამომდინარე იმისმა ხელმა მოჰკლა ვილაც-უბედური და დასახვრეტის მთელი სხეულის სხვა უდანაშაულო ნანი-ლებიც — ფეხი, თვალები, ცხვირი, და ფილ-ტვები და ლაენები მთლად ასე-ერთიანად რად უნდა, მოკედნენ, ხოლო ციხის ექიმი კი, — უმოწმებს მაჯას, — ხომ არ უცემსო... — ხომ არ!-ო, აი იმ-ყოფილს იმისსა მაჯას უმოწმებს ჯალათის ტყეის განსამტკიცებ-ლად რომელი მაჯაც რაღა თქმა უნდა მუ-დამ არა მაგრამ ცოტათი დიდხანს უნდა, კი, უნდ-ფეთქდეს სხეულის სხვადა-ნანილები მაცოცხლებლად და, მერე, კიი, სწორედაც სიკედილს-შემომწმებელი თითებით მაინც როგორ ტებს პურს, როგორა სვამს წყალს, — ექიმი პქეია, და თან შვილს როგორ უყურება იმა თითებით თუ არა და, მზერით, და,

ვიტანჯებოდი,
ვიტანჯებოდი წარმოსახვით-ამ აი ისე რომ,

ერთხელაც, —
ოლონდ შინ ვერა —

სადღაც ქუჩაში... თუმცა, როგორ მახსოვს —
— კოლმურწნობის მოედანთან ვკითხე,

— მამა (ეს მამაშინდელი "მამა" როგორ-ძლი-
ვასლა, ვთქვი...)... — და, მოვიკრიბე როგორც
იქნა, ძალა, და, — მამა, სიკვდილისსჯილებს
როგორ ხვრეტენ?

და, აქ კი ჩემთვის როგორ-ძალიან მოუ-
ლოდნელად, — ჩემთან ყოფნისას მუდამ გა-
ხარებულად ამუჭებულნი თვალემა სულ სხვა
რადაცა-უცხო რამითაც კი, როგორღაც მო-
ნადღობანო-დაბინდულად შორს წაუჭოდა
და, — მე კი, შვილი, როგორის დიდის ძალის-
ხმევით მაინც თვალემაში შევცქეროდი ტყუ-
ილი ანდაც სიმართლე რომ, არც ერთი რომ

საქართველოს
პარლამენტის
მედიცინული
ბიბლიოთეკა

არ გამომპარვოდა, — და, თუმც ჩაფიქრებული მაგრამ დიდად საქმიან-მოსაზრებით, მითხრა:

— გურამ, — ასე არასოდეს მოუშარათავს, — თურმე რომ დახვეწილი მერე ჯერ თურმე ტანსაცმელს გახდიან მის შინაურებს რომ გადასცენ... და მერე რაღაცა მფავას დაქცევულ და თურმე ისეთი რომ შთაღ დაშლის სხეულს და მერე კი თურმე მოლაგს მიუშვერენ და წყლის ძლიერი ნაკადით გისოსებიანი იატაკით კანალიზაციაში ჩარეცხავენ... აბა აბლა ისე კი აღარ არის ადრე რომ ყოფილა სოღანლულისაკენ სატყროთი მანქანით რომ მიჰყავდათ დასახვერტად (— ბეთანელი), — და, ნაღვლიანად დააყოლა, — ახლა ვითომ წინაა წასული ტყენიკა, კი... მგონი ასე ხვერტენ... ძალიან ხომ არ გამოვიკითხავდი, ასაიდუმლოებენ...

რა გავიხარე! — რადგან მამა? — არა, არა, არა,

არ ტყუოდა და მე ჩემსავით ბედნიერი, როგორ ძალიან გაბედნიერებული ისე რომ სხვა აბა ვინ უნდ-მგულეობდა ასე ძალიან ბედნიერად, მამინ, ჩემს ბედს მთლად სუკაც კი ვერ დაჰყვდა, როგორ მომეხსნა და გამიქარვდა ის საშინელი დარდი კი არა რაღაცა დიდურ-მავალაჯუნურად, მეტი, ახლა ჩემსა-მამბიჭებ-გრაფიკოსებზე უფროდაც მე ვიცინოდი როგორი გულით იმა-გრაფიკულ „ნამუშავარზე“ რომელზედაც რომ ასახულ-იყო „ნატურალურ“ათ მამაჩემი თურგორ ურჭობდა პატიმრებს ერთსაც არცთუ თელათ-ბოლომდე პატივცემულსა ადგილას, ნემსებს ოღონდაც — მოსარჩენად, და,

ჩემი მეორე დაჭერისას მყარ-საბოლოოდ როგორ დავრწმუნდი ამაში რადგან ერთმაც — „კოლეგები“საგან — კანონიერ-ქურდებისაგან ეჭვ-და-წყალმყენებულმა, შოთამ, რომელიც ჩვენსა მეხუთე-სართულუოვან საკანში — ძირითადად გამფლანგველების, აფერისტებისა და ჩემსავით მოხულიჯნოებისაში „ნატივ“-იდან ანუ ქურდების დაბლასართულეებისად საკნებშია იყო გამოირიდებულო, მითხრა:

— შენ გინდაც ჩვენთან სპეცში ჩავსვით იქ უფრო მეტ პატივს გცემდით აბა აქ ამითთან რა გინდოდა (აიბზუა, ტური), ფაშისტებთან (რუსული ციხურ-ტერმინისაგან განსხვავებით „ფაშისტი“ ჩვენში — ეს რომელ ჩვენში.. — „გამფლანგველს“ ნიშნავს და არა რუსულ-ტერმინოლოგიით — „ნაბოზარს“), მამამენს ჩვენაც ყველანი პატივსა ვცემით,ო,

და, მიყვებოდა მამაჩემთან დაკავშირებით სხვადასხვა ამბებს რომელთაგანაც

ყველაზე მეტად ის მომეწონა კი არა და, საბოლოოდაც აღფრთოვანდი რადგანაც თურმე „მოთავარი ექიმი“ შვებულეებაში რომ გავიოლდა დასახვერტები მთელ 28 დღეს მშვიდად იყვნენ — მოსამსახურე „პერსონა“-ლიდან იგებდნენ ამას — საკვების დამტარებლებისა თუ ბიბლიოთეკაში მომუშავენ პატიმრებისაგან რომ იმ 28 დღეს ყოველ ფაჩუნზე აღარ მოვლანდებოდათ მათი დასახვერტად გაყვანა,

და, დიდად კი ვმისობ რომ ამ-დღევანდელ ყველაზე კაიკაცი მამაჩემია რადგან მე ვყავარ ასეთი“ო-სავით არ გამომივიდეს, მაგრამ,

ასე-12 წლის შემდეგ მამაჩემი ძალიან მოულოდნელად, ყოველად უავადმყოფობით რომ გარდაიცვალა, ჩემზე ბევრად უფროსი კაცი, — შესანიშნავი, დალაგებული, შრომისმოყვარე, პატიოსანი, ბატონი თენგიზ ზალდასტანიშვილი დიდად დამწუხრებული რომ მოვიდა ჩემთან, კაცი რომელიც ჩემს უფროს მეგობრებთან — ოტია პაჭკორიასთან, გივი მალულარიასთან და კიდევ რამდენიმე ძალიან კარგ პიროვნებასთან ერთად სიძებუკეში სწორედ 58, 10-11-თი ბევრ გრძელ ნელიონადს იჯდა (ინვაც, კი, — მონყალეური არი, ჩეკა), ციხეებ-თავერებში და ამას კიდევ რა უჭირდა (!) — თავიდან დახვერტაც კი შქონდათ მისჯილი, მრავალ-ნატანჯი კაცი გახლდათ, და, მოვიდა ჩვენსა და,

— რა იყო შენი პეტრე-ექიმი გურამ?-ო, — მკითხა,

— მამა, — მეთქი, და, ისე თბილად რომ, თვალში სისოველ ძალიანაც მოძალბებული-ც, კი, შემომაცქერდა, — აპ რა-ლამაზად, — შურდაც-კი, ჩემი, მითხრა:

— გურამ, ეს ერთადერთი კაცი იყო ციხეების და ბანაკების თანა-შრომლების ხროვაში ვინც მხოლოდ კეთილგანწყობით კი არა იყო ჩემთან არამედ გრძელი თანაგრძნობითაც კი მიყურებდა და, როგორ ვისტიმული როგორ ტკიოდა ჩემზე გული, და მისი სახე, როგორი რბილად აღერსიანი სულ თვალნიმედება მთელ იმ გრძელ წლებში აქედან შორსაც, ძალიან შორს, ციმბირში, ყაზახეთში,

და, მე ამით კვლავაც უზომოდ გახარებული, — არადა, ახლად გარდაცვალებულ მამით, ამ ახლადდატეხილ ობლობაზე სხვა ასე რაღა გამახარებდა, მე ამით თვით იქიდანაც ვიფრებოდი, მისით, და მეც როგორმხსენლად გამახსენებდნენ ჩემები — ბატონი დავით იოსელიანი, დეიდა თამარ მიქელაძე, და კიდევ დიდად-დაიდი ექიმი ბავშვთაც და ჩვენ-ყველასი მოზრდილებისაც რაც მთავარია სულს მომვლელი, მე-ვისაც მასთან

შეგვედრების ბედნიერება მღირსებია — ძია დათიკო, ნოდებით ვითომ მხოლოდ-„შედი-აჭრი“ მაგრამ, რომელიც, ისიც ავრთვევ 58, 10-11-თ დახარისხებული პატიმარი, მოგვიანებით ჩემსაც ერთ-ერთ აღსარებაში მოთხრობაში „იქამდე“:

— მაშინ, მოკლედ გიამბობთ, ღირსო მამაო. — ბატონი დავით ის ექიმია, გადასახლებაში თვითონ რომ ოცდაცხრამეტი გრადუსი ჰქონია სიცხე, ოცდათვრამეტ-გრადუსიან ავადმყოფთან ნასულა, რალა თქმა უნდა ყოვლად უსასყიდლოდ და უანგაროდ. ძია დათიკოს თავის გრძელ გადასახლებაშიაც კი, ორჯერ იყო ნასამართლევი („ნასამართალო“, კი...) და სადაც ოცი წელი ისე გაატარა რომ, ციმბირულ ქარბუქსა და ყინვები ათი და ოცი კილომეტრიც გაუვლია ავადმყოფი რომ ესხნა, — რის გაბორბლება, რაის ხელჩაქნევა დაჭერის გამო, ყოველთვის, მუდამ, სხეულზე ზრუნავდა. და ერთადერთიდა, მოსაფრთხილებლად არად უღირდა საკუთარი თავი. ღირსო მამაო, ძია დათიკო ექიმა რომ? ერთხელ, შორ-ზღვისპირეთში ზამთარში წავედით ვითომაცადა დასასვენებლად და ერთ-ერთი შვილი, ბიჭი ძალიან მალალ-სიცხიანი გრიპით გამოიხდა ავად და იქაურმა ექიმმა თუმც ბევრი და გულით მამშვიდა, მაინც იქამდე ვერ მოვისვინე სანამ თბილისში არ დავრეკე და ავადმყოფობა რომ ავუნერე, — ძია დათიკოს ხმა აქვს, ღირსო მამაო? დამეგავებლური, მომფერებელი, რბილი და სათნო, ნუგეშად-წყნარი და, რომ იცოდეთ, იმსიპირიდან რა ბუნებრივად და როგორ ლამაზად დამამშვიდა... და, მგონია რომ, ძია დათიკოს რამდენ მშობლებზე მეტად უყვარდა მათი, ანულა სხვისი შვილები, თუმც, აქ სიტყვა „სხვისი“ რა ზედმეტია...

— და, ის ექიმი რა გვარისაა.
— ბატონი დავითი? კვიტიანიშვილი გახლავთ, მამაო.

— ის კაცი მუდამ თვალწინ გედგეს. იმა თავისა გადასახლებაში სათნო-დ რომ დარჩა, გახსოვდეს მუდამ რათა ძნელ დროში არ გაბოროტდე” —

ძია დათიკო, როგორად გმადლობთ, და ხედავთ, არა? სად რა-კეთილად მიმიყვანა ჩვენს-ჩვენ მამებზედ ასე ამა-უმსგავსა ამაშნოდ ოხუნჯობებმა, რას აღარ ვტყნ-გიცვობდილობდით იქნებ იმიტომ რომ თითქმის ყველას უშემძიმესი ხვედრი გველოდა

ხოლო ერთხელაც ისეთს სანახაობა-რასმს გადავანყვით რომ, ჰომეროსული-სიცილიცაც კი ძაანაც უკან ჩამოვიტოვეთ:

ფული კი-გექონდა ხანდისხანობით ხოლო ფული ყველაზე დიდ-ხმირად ზვიადს ჰქონდა ხოლმე, ის ერთადერთი იყო ქვეყნად ვისთა-

ნაც ამა-საქმეში დიდად თავშეკავებული ბატონი კონსტანტინე ხელუხევი ბრძანდებოდა — და „მაგარ“ რესტორნები დავდიოდით, როგორც მოგახსენეთ ან შოთა ჩანტლაძესთან ანაც ნიაზ დიხასიძესთან, ერთად, და, ერთხელაც ფუნიკულიორზე რომ ავედით საბაგირო ტრაპავით და მერე, ზამთარი იყო და რესტორნის გარედგობს რომ მივაშურეთ? — ვინ დაგვხედა მაინც, ჩვენთვის თურმე როგორ-როგორი სულოდაგულიო! — მეგარდერობე, ვისაც-რომელსაც ზუსტად ზვიადისთანა წვევტილ-ძახილისნიშანად დაყოლებული მოძრაობები აღ!-მო!-აჩნი-და! — ზვიადმა პალტო: თრახი-თრახი-თრახი-და თრახი-აული მოძრაობებით გაიხდა და იმა ნაცა: თრუხი-თრუხი-თრუხი-თრუხი ულად ჩამოართო და, არ ვიცი როგორ გადავურჩით სიცილისაგან დაბრბობას, თანაც ისე მაცვრათე-უშუალო გამომეტყველება ჰქონდათ იმათ-ორთავეს სახისა — აბა სხვა რისა... — თუმც! — ხელებ-როგორწვევტილად-ამეტყველებულნი? — იმათი ნახვა? — ერთ რამედ კი არა... მთლადაც თერამეტნახევაარ ჩამედა ჰლირდა, და, ის დღე იყო და, ფულ-ზვიადითა ხელთჩავარდნილები კი არა — ამოვარდნილები? — მთლად უცილობლად ფუნიკულიორისა-რესტორანსა მივაშურებდით თუკი ზამთარი იდგა რასაკვირველია და გარდერობიმიძღაერა-წყვეტილა-მუშაობდა; თანაც, ფუნიკულიორის რესტორანში ერთიც ისეთი საესტრაოდ ორკესტრი იყო რომ, ვიოლინოც კი ერთათ ხოლო ესე-საკრავი რესტორნებში ხომ უცხო ხილია და ჩვენ, როგორი ხმაურიან-და-აყალბაყალ-ებიანი მხოლოდლა-ხულიგებნი ძალიან რომ ვეგონეთ იმა რესტორნის სხვადასხვა და ცვლად კლიენტურას აი ისე რომ გაუციებელ მწვად-ჩიჭიპიფის მიტოვებასაც კი რომ დააპირებდნენ ჩვენს ღრიანცერზე? — აი სწორედაც მაშინ ავდიოდით იმ-რესტორნისა ესტრადაზედ რამოდენიმე ჩვენგანი და,

ორკესტრანტებმა სუ-თავიდან დიდად უნდობლად და მაგრამ — ძალა აღმართსა ხნავსო და ისე დავვითმეს, შემკრთალებმა თავთავიანთი საკრავები და, ზვიად-მერაბმა პიანინოზე ოთხი ხელით, თამაზ გუნჯუამ გიტარაზე ხოლო ამ შემთხვევაში მე ძალიანაც დიდად პრიმათე-მო-ულოდნელმა ვიოლინი რომ დროინათოდ მოვიანდირე და ესე-ყოვლად ძალიანაც ვერსახულივანო საკრავი რომ მივისაკუთრე და, სუყველა ამ-ჩვენმ ერთად, ხოლო ზვიადმა იმა-თავისი ხამუშ-ხამუშად მოძრაობებით რომელიდაცა-რალაც მოკლასიკური რომ დაფუკართი? — ვერკი მახსოვს რა, მაგრამ ნამდვილად —

არც ისე გლახათ? —

დავიმსახურეთ, დამსახურებულათე, პაპ-ლოდისმენტებე,

და, მაგრამ ოლონდაც რომ მივაყოლეთ და დავამღერეთუც აი ისეთი მოაგდებულო როგორებიცა იყო „ტირიან თუშუშის ქალბ-სააჰ!“ და „აღმოსავლეთის პროკოლოგოი“ და „მოლოდიოულ გზაზე ყვავილი ვნახეე“ მთლად ჩემიანად — აბა მე-რო მეღმანდამა მითო-ბაზისტმა, არა? —

აპპლოდისმენტებებს მაინც არ ჰქონდა, ზღვარი, და ჩვენც, გარესტორნებულ-ხელოვნებე მერე დიდადაც დარბაისლურად ვუბრუდებოდით და შემოვუსხდებოდით სუფრას ხალხისა-თელში ჩვენდამი ვახარებოთი-პატივისცემა მთლადაც ნყალიო რომ არ ვადაგვეყოდა დიდ-სინარნართი ვმოძრაობდით ერთი ეგ იყო ზვიადი რომ იმა-თავისი მოძრაობებით ისე ასწევდა ჭიქასა რომ? — ლამის ჭერამდე უწვდებდა ლეინოს, მაგრამ, ხანდისხან, ყოვლად თუჯ-ურად უსმენოებიც იყენენყე იქა, და,

ვერ გვაფასებდნენ,

და,

და დამტერული ჭურჭლისა-ფულს ჩვენი მშობლები თანაბრად იხდიდნენ, „ნემეც-კი სწოტი“ ხოლო მილიციიდან კი, ჩვენი ისეთი ადვოკატი რომ იმისთანა აბა სხვა-თავისთი ეყოლებოდათ, — ჩვენი ბიძია-ბატონი-ნი ისე რომა მთლადაც უშო-ნი-ორარო კო-ნი-სტა-ნი-ტი-ნი-ე გვისხნიდა ხოლმე და, თანაც, ზოგ-ადვოკატივით ქადაგად კი არ დავარდებოდა, არამედ სულაც ტელეფონ-ურად? —

ორიოდ. სიტყვით. გვიხსნიდა. ხოლმე. — ემაშინ მწერლებს რღაცა-პატივს მაინც სცემდნენ, კი... არა, სცემდნენ კი არა, გულით უძღვნიდნენ სამადლობლებს თქვენა საბჭოთა ეძახეთა და, თითო მილიციაც,

კი.

ხოლო ახლა კი, რა შეფიქრებით ვფიქრობ ხოლმე, რომ, ისა-ჩვენი მართალია ყოვლად უბოროტო რადგან ანგარიშ-მიუცემელი ჩვენი ისა-უნყვეტი ტინეჯიკობები და ხიფათებთან ლლაბუცობანი ეგებ იმიტიომ გვდევდა შესარიგებლად, რომ,

გაცეცხლებულებს წინდანივე, თითქმის მთლად-ყოველ ჩვენთაგანს, თურმე,

მერე და მერე თურმე თურმე-მეთქი რა მწარე ხვედარი, გველოდა. ეჰ...

ხოლო ჯონდოს მერე კი თვით-თავად ბატონ კონსტანტინეზე ამოჩემებულ „СВИМЕОН“-იჩს, ამა-მიმართვას ჯონდისაგან, ერისთავისაგან, რქმენა? — ამგვარად მოხდა:

ჯერ ის იყო და, ბატონ კონსტანტინეს ალბათ როგორღაც-ეცოტავა თვით წმიდა პეტ-

რესი (— კლდის) ერისკაცობის თავდაპირველი სახელი „სიმონ“ და „ვ“ მთლად თვით „ნ“-სავით ჩაუმატა მამისა-სახელს ძველქართველობის ნანაბაძით ხოლო ამ ჩვენმა ჯონდომ კი, თავისის მხრიდან დიადი მიმრქმელისა და მესვტეების ნანაბაძით ზვიადის პაპილოს მთლად „სვიმეონ“ შეარქვეა — მაშინ აბადა რა ვიკოვით თუ აბა როდი შეიძლებოდა ასე შაყირი თუმცა შაყირი კი არა და, მთლადაც ცოდეა, მაგრამ, ჯონდი ემ-ზვიადს ატყობდა-რა რომ მთლად-ნამდვილად არ სიამუნებდა ზვიადსა, ეს, წამდაუნშუად ეკითხებოდა: „А ну-ка, Хирчла, хевсурски прямо отвечай როგორსა-კარგსა поживает-ს აკეთამს დიდი კანსტანტინ სვიმეონი?“-იო,

და, ეს იქამდე, რომ, სანამ ზვიადმა ერთხელაც ძალიან მკაცრად არ გააფრთხილა, „იციოდ, ერთიც გითქვამს ასე, და მერე შენს თავს დააბრალე“-ო, და,

თუმც ძლიერსა-ანცს, რა ექნა იმასაც, ჯონდოს,

მაშინ ზვიადის გადაკიდება — და მგონი, მერეც? — ოლონდ სხვა კუთხით — ნაღდად ვერ იყო დიდად მარგი.

მაგრამაც, ჯონდომ? — მაგრამ ეს მხოლოდ მე: „მე თუ ზვიადს საპაპამისო (საბა-ბუამისისოო, ანუ) სახელი როგორმე არ მოვანონო? — მთლადაც ბოლოდან უკანასკნელი კურვა ვიყვე“ო,

და,

ისე აგხდათ, ყველაფერი: პირველი კურსის სა-იანვრო არდადეგებზე ბაკურიანში წავიდათ — ჯონდო, ვოვა, მერაბი, მშვენიერი ყმაწვილი კაცი მომავალი როგორი კარგი მშენებელი ცნობოლ არქიტექტორთა, ქურდიანების ოჯახიდან — ალეკო, რომელიც ჩვენმა ძმაცაცმა კაკული-კა ვასაძემ, ალეკოს მეზობელმა, ჩვენ „ჩაგვაბარა“ ალეკოს თავი, და მე ბაკურიანში ერთად აღმოვჩნდით, მთის ქუჩა №6-ში, ზვიადი დიდა მირანდასთან და დასთან — თამარიკოსთან (— ეჰჰ... რა ადრე გარდაცვალა, უკურნებელი სენი რომ შეეყარა...) ერთად საღლაცას სხვაგან, იმდროინდელურ-„კომფორტაბელურად“ ისვენებდა-ვითომ ოლონდ რა დასვენება ისი-იყო რახან მთელი დედა ჩვენთან დაყოლობდა ხან თხილამურებით და ხანაც-ისე-უბრალოდ, რადგანაც ჯონდი-ერისთავი და მე თითან ცოტინე-დადინი თხილამურება ვერას-დიდებით ვერ შევეყვით — მაშინ სად იყო საბაგორები და ამისთანები, და, ერთი-ორჯერ ძლივს რომ ავბობდით მაშინდელ 25-ანად წოდებულ გორაკზე და იქიდან კი ჩვენი ჭკუით ვითამ თხილამურებით დავეშვით ხოლო დოკუმენტურა-სინარდვილემი კი იქიდან სულაც ერ-

თსაც ჩვენთვის ავტო-ადგილით-ჯდომითობას კიდევ რა უშავდა სუ-მთლადაც დიდის კოტრიალ-კოტრილობით ნამოვევით და, ზვიადმა რომ დაგვიჩემა (თვითონ მშვენივრად დადიოდა იმ თხილამურებით რომელსაც თსაც ზვიადის ისი-მოდრობით როგორღაც უხდებოდა კიდევ) მეორე-მესამე ჩამოსვლაზე ისწავლით მუხრუჭს და მოხვევასო, მაგრამ, მეოთხე-მეხუთედაც რომ სწორედ ი-პირველური რამე განმიხრდა? — ერთი ამ ოხერ-თხილამურებისაცაო — ჯონდომ და მე, და, ბაკურიანულ დაბლობზე ფეხით მივა-დედეთ მთის ქ. ნიქვსს და ისე შევსდით კრ-კრ-თი ორ-ორი შუშა რიო სკამიდანაც სუარ გადმოვევარდნილვართ არამცთუ გაყინულ თოვლზე დავენარცხებულვართ, — ასე არ, სჯობდა? — შედარებითია, ყველაფერი, ამ უცნაურსა-წუთისოფელში — ხო-ჯობდა, ესა, და, მომდევნო დღეებშიაც ასევე განვაგრძობდით იმა-ჩვენთვის-უემური სამთო-სათხილამურო სპორტის ჩვე-ყოვლად-ნამ-დევილად ვერ-ქეშიკები, და ვერცერთ ზამ-თრისა-თამაშების სუმთლად ნამდევილად ანტი-ოლიმპიელები ი-ურისთავი და, მე, ჯი-უტმა ვოვამ მაინც მშვენივრად შეითავისა თხილამურებით კობტად სრიალი რადგან ყოველთვის, ყველაფერში გამორჩეულად სპორტული იყო, ალკომაც თურმე ამკარად შეისწავლა თხილამურული რალაც-რულაცები ხოლო ზვიადი ადრეც მშვენიერი-კარგა სლალომობდა რადგან როგორაც მოგახსენეთ ინგლისურსავით დიდად ადრე ინდივი-დუალურ-კერძოდ დაჰყავდათ ბაკურიანში და სულ-სუ შაი-გიდებით თხილამურობდა ის მერე-რა-მეთქი რომ იმა-თავისი ფუნქი-ტორიული გარდერობიკის მთლადც-იდენ-ტური მოძრაობებით — აკი ვითხარით, — კი, თხილამურებს რომ, კი, მკონია-კაცო კი-ცა და კი-დოც უხდებოდაყვე ძახილ-ნიშნაინ-წყვეტილობანი და ზვიადს კი ჩვენ კი — ჯონ-დური-პერცოგ-ერისთავი და ესივეი მაინც მოვენატრებოდით ხოლმე და, შემოგვივლი-და ხოლმე ჩვენს იმ დროებით მთის ნიქვსში და, გვპატრონობდა ჯონდომ და მე-ს (ვოვა და ალექო თხილამურობდნენ, მერაბი სად დაბოდილობდა არ ვიცო,) — გვახსივნებდა ჩვენი დუკუ (ეს მოდასავლეთური სახელი ჯონდომი შეარქვა — აბა მენგრულ-კაცს ზო-გეირითივი ხირჩლას ხომ ვერა-დავუძახებ-დით,) ბაკურიანში ჩვე-კრ-კრ-ისტებს სუფ-თა ჰაერზე გვახსივნებდა — ამოიხრჩვებით თქვე სანყლებო და ოხერებო და ხანდახან კი — მთლადაც მარხილით რომელი-მარხილის დაქირავებაც ძალიან "შიკ"-ად ითვლებოდა ინდროინდელსა ბაკურიანში, და, ერთხელაც რომ დაქირავა ერთი მარხილი რომელზე-დაც ასე-შუახნის — დავარქვათ თავისი უფ-რო-საფერი სიტყვები და, — მედროგე იყდა,

ისეთად ჯაგლაგ-ცხენიანი, რომ — ზედაც მინვესულ სიბერეში ისეც ბებრეკად ჭჭუა-გაქუცულ-გინაც-სუქანი ბრეშენეი-იგი, ორ-დენნიანან-ვარსკულავენნიანი, და, ოლონდა ისე ამავად ეჭირ-ეკავა იმა-მედროგეს კივი-სხელი-თავი, რომ, ჩვე-დროგ-თავანთან სამ-თავან ერთ-ერთმა, კერძოდ ჯონდომ რომ სთხოვა **ВОЖЖИ**-ები დაგვაჭერიეო? — მედ-როგემ თხოვნა-ავსი არამცთუ ძაან შორს და-იჭირა არამედ ძაანც-იუკადრისა:

ლამის სომხურად:
„ეტა ქაქ მოყნა ტაკოი აბჩანი ლოშად ვ ვაშიზ არიო-რუკას **совсем а в пропасть кинется**“-ო —

მგონი ბაკურიანელი ოსი იყო თუ მოგა-რუსებულოსავით რომელიმე-კავკასიელი, მთლად სუფთა რუსულად? — ჩვენ-სეროჟა-სი ქართულითავით ბოლომდე ნაღდად ვერა ჰვლობდა სხვა-თუ-არარა გრამატიკულთემ მანაც, ხოლოკი, ჯონდომ, თითოთ ზვიადისა-კენ გაახებდა:

„**Дяденька, хоть ему доверь твои вожди**“-ო,

და ზვიადსაც ხომ, — მედროგის გვერდით ვინცაცა იყდა და ძალიანც რომ უნდოდა იმა დროოგისა ტარება ძაან ამკარად ეტყობოდა სახეზე (აბა სხვაგან სად...) მაგრამ, მედრო-გემ, ოპიტნ-ლიხი **наездник**-მა?:

— ნეეტ, სლუში, ეტა კაკ მოყნა ია ნიკავო ნე დავერაუ ეტატ ლოშადა აბასნმა ვოჟჟი-ო, რაზედაც, ჯონდომ, მულამიანმა და მერე როგო:

„**Как это ты ему не доверяешь, его отец же известный кавказский джигит Канстантин Свиמעониц Азизбеков, разве ты такого коллегу не слышал?**“-ო, და,

მედროგემ კი? — ცხენურს-ნაეზნიკ-საქმეში მთლადც-ბითური რომ არ გამაჰ-სულიყო?:

— **Аа, знаю, знаю, как не знаю мы** ვ აღინ კონიშნა ვემსტე სპალი,-ო, — და, გა-უნოდა ვოჟჟები ზვიადს, რომელსაცა რომ ჯერ „სემიეონიჩობა“ არ ეყოფოდა და შა-მაც ზედაც თომ მამათავისის-შაზიზბეკობა და, თანაც თურმე ხირჩლას მამი ამ-მედ-როგესთან **вместе спали** და, თანაც, რა გუ-ლის-გულურ-გულიანად და მაგრამ მაინც როგორღაც-მაინც ქვეშევეშურადა ეცინე-ბოდ-და-კიომა და, — ეხარხარებოდა, და მაგრამ რომელ ზვიად-ხირჩლაი-დუხათისა-სა მედროგესგან როგორ ებოძა სხვათათვის როგორ დალუქული ვოჟჟებ-სადავე ანდო იმა-შაზიზბეკოვის-სარეცელგამყოფმა მედ-როგემ და, დიდადაცა სამსახსოვრო და-სურათხატებული სურათ-ვიზიოთი და მე-ჯონდ-შაზიზბეკოვით-ერისთავმა და მე-ცა-ცოტნურ-დადიანმა იმა თოვლ-ჭყაპში, — რადგანაც?:



„ვნახეთ ნაცნობ-მოყმე ვინმე ჯდა ამყად დროვის პირსა, შვე-ჯავლაგი სადავითა ჰყვა ხირჩლას და ვითა-გმირსა, სწირად ესხა ტალახ-ტულახ ლაგამ-სვიტურ-უკანალსა — რა იყო არამედ-უნაგირსა“ —

და ხოლო მერე იზვესტინ-დფივიტის შვილისა ხათრით ჯონდოსა და მეტ გვენყალო-ბა ვოჟუბი-ისი, და მთელი შემოხვედრილი ბაკურიანის იმდროინდელი საწყალშალერო-ან-თხილამურებიან-მზის-უარკებო ბეჩავ-პუბლიკა მთლად დიდადც-გაოცებულები ჩვენ-როგორ-რარიგ-რაფრა გადაამაყებულ-ლებს რადგან მედროვეები როგორცა ნესი თავ-თავინათსა-თავინათსაურ ბუცეცხლ-ურებს არავის ანდობდნენ, და ხოლო იმავე-სა-ლაპოთი

ჯონდი-მა და მემ-ცოტნემა ერთიც კარ-ქათა ჩვენებურად რომ როშაუბურეთ მაგ-რამ სასმელი (იგულისხმება ალკოპოლიანი-ნი, აბა სხვა რა,) რომ შემოგვალდა, ჩვენი — ვოვასი, ჯონდოსი და ჩემი — დიდად და-ქალთან, ჩვენსა-კლასელ ცუგო დოქსოპუ-ლოსთან ნავედით და იქ, სადაც როგორც თბილისში ასევე ყველგან დიდად სტუმარ-თმოყვარე ცუგოსთან მუდამ იკრიბებოდნენ მიმსვლელ-მომსვლელნი, და, ჯონდოი-ესი, ჩვენს ყარაჩოხლურ-ნასვამობითა და სა-ხელგაყარდნით უკვე რადგანცა მეტაჭა-ტუცეცხლურისა მტკიცის ხელითაც დამ-მორჩილებულია — აკი სახელი რახან უკ-ვეცა გავარდნილ-გექონდა და ზოგ გინდაც ლამაზ-ქელს ზოგ-შემთხვევამ სხვამეტა რალა უნდა და, ერთსაც მშვენიერ გოგონის? ესი-ჯონდოი? — გინდაც ხელ-ერთგვარ-უძალდიანო, არ მოეჩონა? ეგრევე? უცებ? თუშე, რალა უცებ, — აბადა ტყვილით იყო განა ესჩვენი ჯონდო ჯონდი-დნოდებულ-ერისთავი და მერე ვისგან, თელათ იზვესტინი დფივიტისაგან, და,

ცუგოს პირით? მეორე დილით? — ისე ძალიან მომენონაო ეს ჯონდოო რომ, მგონი მართლაც რომ შემოყვარდა, ო, დააა, ჩვენსაა? —

კვლა-იმავედღეს ისევ ისე და ისეთუ-რადგ დაღულები (ოღონდ რალა თქმა უნდა ახლაც ალკოპოლიანი-სასმელითა) ვესტუმრეთ ცუგოს და, ლამის მთლადაც გადაღტაცებული დავგვებ-და-შემოგვებდა ამა-ჯონდოთი შენყვარებული გოგონი-ისი, გვიანობამდე ვიყავით იქა, ესა ჯონდოი — მონიზებულად გამორჩეული მე კი — რი-გითი მაგრამ ძმაბიჭის ეს-წარმატება ამ აბა როგორ შემშურდებოდა,

და, მესამე დღესაც ასევე-მივედით დიდ-ნახვამები ხვდებით ალბათ თუ რითიც რადგანაც ჯონდოს თავისის მხრითაც აკი-ამასაც შეუყვარდა გოგონი-ისი

ხოლო

აკი უკვე ხომ ძაანაც კარქა-მოგვეხსენე-ბა რომ სიყვარული რას არ შერება რასარ შერება რასალარშერება და,

გავიღვიძე ამა-ამბიდან (ცუგოსთან პირველ-სტუმრობიდან) V დღეს და, იმა-V დილით? რიჟამაზე? ბინდბუნდში მაგრამ რასა ვხედავ: ამ ვილაცისა ჯონდო უარი თუ ერისთავი თუ ხევისთავი თუ ხევისბერიო? — დაუჭერნია ორის თითით თან ძალიან ზიზლით და თანაც მინც ერთგვარ-მუყა-ითურად ჟიბიტაურით სავც ტოლჩა და, სვამს მაგრამ რას სხვამს — იმა ერთნახად ჟიბიტაურსავით უსასზიზლრესი სასმელი არამცთუ მეტ კი მერეცკი მთლადაც-არსად ვერ შემხვედრია ხოლო უზმოზე, თითან კა-მოი-ც ვერა-შესვამდა, ამ-ამისთანას და, მაგრამ ამას აბა რას ვხედავ: თვით ჯონდოს-განაც კი, როგორ ყოვლად მოულოდნელ-და-ანაზღუდულისაგან აი ჩემთვისაც კი ვი-ცნაც მეგონა რომ მთლად მოხარშულსაც კი ვცნობ-ვიცნობდი ამასა, ჯონდოს, მცოდნე ვიყავი მითამაც, მისი, ძალიანაცა სუნთქვა-შეკრულს გამიკვირდა ის, რაც დავინახე, განცვივრებასა დიდად-დიდურსა დავექ-ესა-მე; იმა ტოლჩიდან? — იქამს ჯონდოი ერ-სა-ორულ კრ-კრ-სა კი არადა, ვაიად ყულუპს და, სპაზმებიანა-ათრთოლებული მაშინვე იქვე-გადანვება ლოგინზე გული ძაან რო არ აერიოს, დაა, მაგრამა, იმა ტანჯულს-უზმო-ზე? — კვლავაც მოიკრებს აცახცახბულ ძალასა და, მოვა ვითომ გონს, და, ისევა იმ-ამოჩემებულს ყლუპსა ჩაიდენსა და — ჯონ-დოსი ყელის ღრჭიალი მესმის, სულაც ვერა შვამს იმასა რომ — „ყელი მოუღერებია“, დაა, არამედ? — ისევ ძალიან გადანვება და, შეეუძახე — რა იყო ბიჭო რაა ამას რომ რას აკეთებ ამ დილაადრიან ჟიბიტაურის აბა რა ძალა გადგია ბიჭო-მეთქი, ხოლო ჯონდომა — ჯერ თითი მიიღო ტურჩებზე — სხვებს ეძი-ნათ — და, ძლივს მიასახა, გულისა-წამო-ზიღინებასთან ბენვა-ციდა-ზედ, მდგარმა: ასეა, გურამ, საჭირო-ო, გადავირიე, მთლად: რაა ბიჭო საჭირო, არც ისე ლოთი ხარ ასე ძალით ასე ძალიან რომ იტანჯები, მეთქი, — არადა, თანაც ძალიან-არა მაგრამ ძაან-ბუნ-დოვნად მაგრამ რალაცას თითქოსაც მინც მიგრძობდა გული და — თუ რად იტანჯავ შე-საცოდავო და საუღელო თავს ასე ძალიან, მეთქი, და, რომ დაუეჩემე და დაუეჩემე, გა-მომტყდარიყო, —

იმანაც კარგა იცოდა ჩემიც გინდაცა-მო-ხარშულისა ჩემი ამბავი და მშვენივრდაც მოეხსენებოდა — რაგინდც ნაჟიბიტაურალს რომ — არას-დიდებით მოვეშვებოდი, და,

მიუხედავად იმისა რომ სხვებს, — ვოვას, მერაბს და ალექოს აკი მაგრადაც, დილის ძილთ გულით ძინიათ, მაგრამ მაინცალ ძაან ჩურჩულით, მითხრა:

— დღეს დილით იმას უნდა შევხვდე, -ო.

გადავირიე:

— მერედა, ეს უპიტიური დასაჯლანად თუ კისრნისთვის გინდა!!?-მეთქი, შააპხ!!!- თქვა, მე-მ, მაგრამ,

მააგრაამ, მოჩონებულმა — გვერდიგვერდ გვეძინა იქამდე, ვითომ, — ძაანაც ყურში? ისევე ჩურჩულით?:

— იმას... ნასვამი... მოვეწინე-ო,

ხოლო იმ-იმა-იმი-გოგონიმ კი, ვისზედაც იმ-გადასარევე-მართლა დილით რომ გამო-მიტყედა და მითხრა თვისი-ხეაშიადე ჯონდიმ თუმც რალა ჯონდ-ი-მ რადგანაც ამ-შემ-თხვევაში აემ-ჩვენმა სულაცე არა და ვერ-ერისთავმა — მეტი საქმეი ერისთავებს არ ჰქონდათ რო გარიჟრაჟისას ნაუხემცებლად ე-ერთნახადი უპიტიური ძალით ეყლურ-ნნათ — ეს უფრო მოვირისთაოების საქმე, ღა, იყო, — და, იმავ დილით, იმა-გოგონის თურმე ძაანაც რომ ეცნობის-დიამდე-ენადი-ღებოდა ამა ჯონდოსი ფხიზლისა-ხილვა — ნეტა ფხიზელი, როგორიო, და ხოლო დი-ლით ეს-ი-ჯონდო მთლადაც მთვრალი-არა მაგრამ შეუიარაღებელი თვალთაც რომ ბანცალ-ბანცალით გამოეცხადა? იმა-გოგო-ნიმ, ერთხანს მითომც-სასძლომ ჩვენმა, ისე-ვე ჩვენი ნაღდი-დაქალის, ცუგოსი პირით იმ გოგონისი ნრფელებად ნათქვამი მოუყედა ყოჩად-ჯონდოსა, კი: „Ах как надоел мне этот горький пьяница-несчастный“, -ო,

და,

„чтоб мои глаза этого пьяницу недопоска больше не видели“, -ო, რომელ გამონათ-ქვამთა შორისაც სიტყვა ყველაზე-დ მეტად შეეფერებოდა ემ-ჯონდოთა ვერ-ერისთავსა რადგან რა იყო ერთნახადი უპიტიური თუ არა ამაზრზუნულად — ГОРЬКИЙ, ხოლო კი ჯონდომ, ისევე მოულოდნელად უვარ-ჰყო-ფილმა როგორისც დია-უცხადეობით შეაყ-ვარა იმ-შალალ-გოგონის, თავი? — გადაყ-ვარაც, ჩვენ კირო ვიცით სასმელებით-იმ, — და ხუთიოდ დღეს ვერ ბაკურიანში და მე-რე თბილისში ექვსიოდ დღეს მოსაშუალოდ იდარდა-რა ესი ამბავი, ქართულ-რუსულად და მოკავკასიუროდ (იმ-მედროგეთი) ნა-თარგმანევი? — ეე...

ასე რომ ჯონდოს რალაცა უფრო-ქი-მიკალიურ ვიდრე ნამდვილის გინდც-ფი-პიტაურ-სასმელისა ამბავი ხახვივით შერჩა კი არა და, ხახვივით ძაანც-ანტიც-შერჩა, და ზედაც შთაებეჭდ-ამოეტატურიებაულა

ყრალსუნიანის ამოტიფრობით და ოღონდ როგორც მოგახსენოთ 11-ოდე, დღით, რადგანაც ასევე ჩქარა-შემდგომ? სულაცე იმა თავისსა სიყვარულობანას ავან-სცენაზე ახალ-გოგონი გამოუგმანდა, მორიგი ნეოსევერებისა კანდიდატურა კიარა და, მთლადც პრავისორულის ბაკლავგობით შეუყვარდა, კი,

რადგანაც, იმან? ახალ-მოქმედმა? — ამას თვით ამა-საქმეში გამოჩენილი სეროჟაცა ვერ-ვერ იტყოდა — იმას აესე უთქვამს ვი-ლაცის დღეობ-კამპანიში ამა-ჯონდოსი თანდასწრებით, რომ, თურმე ბორჯომის ხე-ობაში სადღაცას ძაან ტყე-ტყედ რომ იყვნენ ისეთი რამაც დაუნახავთ, რომ? — სწორე-დაც რომ საკვირველი და ვასაკვირვალი — დიდად ქობილდა ირემისათვის მოუკრავს თვალი, და, სწორედაცემა-ჯონდოიანისაზო-გადოებისათვის დიდად-აღრთოვანებულს განუცხადებია, რომ ხარირემი ენახე-ო კი არა, აი ასე უთქვამს, რომ: „ის რა ლამაზი კაცი-ირემი დავინახე“ -ო, და, რისი იმისი კა-ცურ-ირემით აღფრთოვანება, გადაღვრთო-ვანება თქვენა ჯონდოსი უნდა გენახნათ — „ვაჰ ეს რა კარგი რამე თქვა“ -ო,

ოოო, და, აღმოჩნდა ჯონდი უპიტიუროდაც კვლავ-ვის მგზნებარე-შეყვარებული, ეს — მერე იყო,

ხოლო იმდროინდელურს ბაკურიანში ფუ-ლი რომ ძაან გამოგველია და ახლა კი მარ-თლა მოუნდა ჯონდო დათრობა ოღონდ თვამონონების განმტკიცებისათვის (— ისემც...) კი არა და, არამედ მეტრფურ-დარ-დისა ჩასახბობად? აიღო ჯონდომ, ამ-შემ-თხვევაშიც ჩავარდნილმაყე ვერ-ერისთავმა (განა რომელი ერისთავი იზამდა ამას...) და, აი თუ რა ჰქმნა:

ჩვენზედ კაკულიკასაგან მობარებულმა ალექომ მთლად პირველსავე დღეს მთლად-ახლად გამოსული ჰემინტუვის ორტიმეული რომ შეიძინა ვილაც ნიგნთ-ქორვაჭარისაგან ისეთი გახარებული მოვარდა ჩვენსა დროე-ბით შინ-ს, მთის ქუჩაზე,რო, მთლადაც რუ-სულად (კარგადა ჰყოლობდა) გავციზიარა აღფრთოვანება: აი ისეთი „ТАКОЙ СЧАСТЛИВ“ რომ ნობელიანტ ჰემინტუვის ორტიმეული ვიშოვნე, და აი ისეთი ვეზუჩურად ბედნიერი (счастливым, რალა) ვარ რომ თვალებისა არა მჯერაო, და, ახლა ამას რუკზაპკი სულ ქვეშ ფსკერზე („НА ДНЕ-на...—ხოლო ამ „НА ДНЕ“-ს კვლავაც შევხვდებით, მომავალსში-ა,) რადგან ამ ბაზარში და „беспорядок“-სა და „вертявость“-ში (ანუ ანენილ-დანენი-ლობასა და მოუსვენრობაში) ჰემინტუვის

რა ნამაკითხებს როგორ ვაკადრებ **ЧТЕНИЕ**-ს აქა არადა როგორა-**ОЧЕНЬ** ერთი სული მაქვს სანამ თბილისში ჩავალ და აქ კი არცკი დავხედავ აბლოჟკა-ზე რადგან გული ოჩენ ჩამხედება რომ ჯერ ვერ ვკითხულობ-ო და, მართლაც,

რომ შეინახა რუკზაჰის ფსკერზე („**НА ДНЕ**“ ხომ კარგად დაიმახსოვრეთ) სვიტერ-ჯემპრზე შემოხვეული-ორტომეული (ვაჰ! — რთმაც, კაცო? — „ეული-ეული“... რამე, დროდადრო მაინც გამძაფრებულ-სა თავის-სა (... შეროვა იცის რითმამ, კაცოო...) თითვე...სა! — ვაჰხ...) თავისი ერთ-ერთი დედურა ხელის-სა (...)) გარეგან-ულად შევალედა იმ ოთხ-კუთხეი გამობურცულ — ეგრე რა, კაცო, ურითმობანა არა სჯობიან? ასე ხო-უმფროც თავისუფალი-რამე ხარ, რამე... ორტომეულს და, „**АХХ, когда же буду в Тбилиси и в родном уютном доме**“-ო, ზეშთავონებით გაიძახოდა, და ჩვენსა ბოლო სამ-დღესაც ხომ განსაკუთრებით, ისე-გარედან ეფერებოდა ჰემინგუეის ორტომეულს მაგრამ მგონია-რომბა სულა-ტყულიად რადგან იმ ბოლოდ სამსა-დღეს ჰემინგუეის ალექსანდრის თურმე-როგორ-ამაოდ-ნადვანისა ბელეტრისტულ ტომთა ნაცვლად? — ორი გვერდულა-მეზობლურა ანგური იდო რუკზაჰი **НА ДНЕ**, რომელი-ისი ანგურებიც სა-სამთო-მოთხილამუროდ წასულს ალექსის ჯონდომ ჩაუდო აკურატულად ორტომეულის გამობურცულობა-ნამს გავსებით ხოლო კი ისი რამდენჯღისი (ვაიმე, ბიჭო... არ გადაყვეე მთლად, პოეზიას... დავილუპევი...) ექ-სენებ-ული ორტომე-ული (მიშველეთვინცხამ!!) იქვე-მიჰყიდა ვილაც შეძლებულურსა-ოჯახისეულს (ეგრე,რა...) ორას მანეთად რაც იმ-დროისათვის იმა-200 მანეთით კი, სასმელებისა (ვიციტ, როგორისც), მთლადაც-არსენალ, მოგვივიდოდა და,

ალბათე როგო-დიდ გადარევეს იყო ჯონდოსი ხორი — იმა წყეული ჟიპიტაურ-სულაცვერ-დამპიტურ!-ის შემდგომ? — შამპანურები, სემიჭკა, რამე,

დაა, ისი ბოლო სამი დღე ანუ 72 სრული საათი გრინვიჩის დროით? —

სულ ვერ ვიყავით ენოტიხევე-ფხიზლებია რომელ-ენოტიც თავშეკავებით როგორამდენად ხშირადა გვეჯობს... ადამიანებს რადა თქმა უნდა, აბა-ნიანგებ სიფხილთა ის ვერ აჯობებს, იმას ვამბობდი... რაცხას ვამბობდი ვინცხან მწერალზე მესკლეროტიკი... —ჰო!

„ვინცხან“ კი არა, ჰემინგუეივე, დიდი მახსტრო, მერე და მერე როგორ-ძალიან დაგვიახლოეთ ჩვე-ულირსები თუმცა ზვიადს

ინგლისურად უკვე-ნაკითხული, ჰყავდით, ჯონდოს, ვოვას და მე და სუყველას-ჩვენ-გველოდა მერე, ნაკითხვა თქვენი, დიდ-მა-ესტროსი, ვისი სიტყვებით თარგმნილია კი — ფლოტერისა და ფოლკენერის მსგავსად ნაკლებ-ჰკარგავენ ჰორველყოფილებას, ვოვა თქვენსავით წვერსაც უშვებდა ერთი პირობა რის გამოც ერთსაც მეტსახელსაც ისე ხშირულად ვეძახდით რომ, მერე ძალიან შეიმცირა ის თეთრი წვერი ძალიან ადრე რომ როგორღაც-მუქად გაუქვალარავდა,

ისე ძალიან რომ, ერთხელ ზვიადი ასე ჰყვიდოდა:

— გავიხედე და, შორიდანვე თვალი მომტაცა ვილაც მოხუცმა და აგრეთვე შორიდანვე რომ ეტყობოდა ლამაზი რომ იყო ისეთს გოგონას ისე ძალიან რომ შორითგანვე ეტყობოდა რომ გატაცებით ეუბნებოდა რაღაცა-ნივთს, რომ, გავიფიქრე, ეს ბერიაცი შვილიშვილს ალბათ ტყუას არიგებს ძალიან-მეთქი, ალბათ სწორ ვაზაზე დასაყენებლად, მაგრამ როცა კი ახლოს მოუეახლოვდი, რას ვხედავ, კაცო, — ვოვა არ შემჩნა?


და, ზვიადმა ვოვას თავისივე შერქმეული მეტსახელი — „ზაქი“ — ვოვა საქციელით და სიტყვა-პასუხით ვითომაც ძაან-დუნე იყო... — ისა-როგორი მეხიდაცეცხლი! — მეტსახელ-„პაპი“-თ შეუცვალა,

და, პოეზია აიქანამდე თუ უნებურად მეჭრებოდა? ახლა, მთლად ნებსით — რაღან ვოვა-ზე მივდა საქმე მთლად ლექსით უნდა-უნდ წარვადგინოთ — მიჩოვა-იცის, რით-მამა, აკი, ოღონდაც, ერთგვარ პერიფრაზით, აბა სად მაქმე მთლად პოეზიის „აკი“ რითმულად ერთგვარ-რამის, ევე...ჰო, თავი: — ახლა კი დროა, მკითხველო რომა, ხო-გინდათ ხომა გავაცნოთ რომა უნდა მე — ვოვა, —

ან ამდენსა ხანს, ვოვითი მაინც როგორ ვიყუზე ... ეს — ვოვასთანა დაკავშირებით თორემაც, სხვაფრივ? — მუნჯი სუარ ვარ ...

ჩვენ-სუყველამი ნიჭიერებით თუ ჯონდო გვეჯობდა, მერე და მერე ჩვენში ყველაზე უკეთესი თამაზ ზუნჯუა რომ დადგა, ვოვაც ასევე სუთავიდანვე გჰპირველობდა ერთს-ერთს განზრაში — აი, აიიმა-ამა-ჩვენსშიაც კია, ზაქ-პაპისთანა ახირებული და ჭირვე-ული? — ვერც-ერთი კი არა და, სულაც-რო ერთად რომ დაგედეთ? — მაინც ვერა, აჰ, ვერ ვიყავით ... ერთ-იმისთანა —

(გვარძილება შემდეგ ნომერში)



ვასუშქი წაქეწიშვილი

ჩვენ არყოფნიდან მოვედით და ვნახეთ, ყოფნა რაც არი, აზრი ამქვეყნად ყოფნისა თითქოს არი და არც არი. წინ-წყალი, უკან მენყერი, ცეცხლი და ბოლოს ნაცარი. ბედნიერებას ვეძებდით, მაგრამ ვერ ვპოვეთ მარცვალი. სიკვდილი დედა ყოფილა, სიცოცხლე — დედინაცვალი.
5 მარტი, 2007წ.

შენს დანახვაზე მე ფაფარს ავშლი, ძარღვებში სისხლი იფეთქებს ცხელი, და შენი ძუძუ, ვით ევას ვაშლი გამომეწედემა მაცდური ხელით.
შემომერღვევა ზნეობის რვალი. შემომერყევა რწმენის გოდოლი და შენ შეამჩნევ ქალური თვალით, როგორ მომწყდება ლედვის ფოთოლი.
14 მაისი, 2007წ.

ქართლი

ქართლი მაინც ქართლია:
რკონს, კავთას და სამთავისს
(ჩემში ვისიც მადლია)
ვენაცვალე სამთავეს...
სულს როგორ დაათენდა
ნილკანს, ლარგვისს, იკორთას...
დანახვისზე ატენთან
მზე რომ გადმომიგორდა!
ბეთანის მარხული
დღესაც მახსოვს ის ბერი...
ქვევიდან დანახული
შიო-მღვიმის კლდის ფერი.
ვარ მტვირთველი ამდენის,
სხვამ რალამ ამაღელვოს,
როცა ვხედავ ატენის
ან ყინწვისის ანგელოსს!
მე აქ არ ვარ სტუმარი,
და სხვა არ-რა მამშვიდებს
ასე, ოდეს მდუმარი
ვუმხერ ბოლნისს, სამშვილდეს...
სოფლის მყუდრო საყდარი,
მცირეც, მეტიც, ყოველი
არის სულში ჩამდგარი,
როგორც სვეტიცხოველი.
ჩემთვის ქართლით დაინყო
შარაენდნი, აზმანი,
სანამ შუბლმა წაიციხო
ზარზმის აიაზმანი,
სანამ ხატი უფლისა,
ხელთუქმნელი ნახატი
გამიცხადდა უბისას...
სანამ გელათს ვენახვედი,
სანამ გრემს ვიბოდებდი,
სანამ ნეკრესს ვევერებდი,
სანამ გავიბოდებდი,
გავილაყვრდებდი...
ვინც მე დამათავთავეს...
მცხეთას, ჯვარს თუ სამთავროს...
ვინც მე მომცა სათავე,
ისევ მან დამამთავროს!
1999წ.

იქნება

გზას იმედში ველარ ვიგნებ,
რა იქნება გაის ამ დროს?!
თუმც ვინ იცის, სულმა იქნებ
ერთხელ კიდევ გაიზამთროს.
დღეებს ვარაუდით მივდევი,
თანაც ვწრუბავ მიჯრით ლეინოს,
რომ მზის სხივმა ერთხელ კიდევ
სულში შემომიჭყრიტინოს.
ველარა ზტის გვარზე კვიცი,
უკანასკნელ ძალას ვიკრებ,
ვიცი, ყველაფერი ვიცი,
მაგრამ მაინც, მაინც იქნებ?!...
2001წ.

ხევისპარულივით

ერთ ქალა დამისწორფერდა
ქუტუკოკობი, ბატარა,
ხან სამოთხეში მაფრინა,
ხან ჯოჯოხეთში მატარა,
მაუნდა - ბალღად მაქცივა,
მაუნდა - დევე-გმირს მადარა,
ერთ ყლუშად დამაცლევინა
მთელი სიცოცხლის მათარა.
თუ მკითხავთ: რაად ვინდარ?
მე გიპასუხებთ: რაად არა?!

1995წ.

სიცოცხლე — ქვიშის საათი

მიახლოვდება სამოცდაათი
და, სამწუხაროდ, ვგრძნობ, რომ ვებერდები.
როგორც უბრალო ქვიშის საათი
ზემოთ ვიცლები, ქვემოთ ვებვრდები.

ფიქრს მოსწყინდება რიალ-რიალი,
სულს გაეყრება ცოდევილი ხორცი.
დავრჩები ზემოთ სიცარიელე,
ხოლო ქვემოთ კი — პატარა ბორცვი.

2003წ.

უაახსუო კითხვაები

„—ტომი! — პასუხი არ არის.“
მარკ ტვენის

არსი არსებობისა
იღუმალი რამეა.
ჩვენ არ ვიცით, რა გველის,
იქ დღეა თუ ღამეა?
სულეთს მზე ანათებს თუ
მთვარის მკრთალი კამეა?
ყველგან სიმღერივით თუ
ზოგან სიკამკამეა?
ეს კითხვები ჩვენს სულში
ისრის დარად ისობა,
მაგრამ განა პასუხებს
ისერის მარადისობა?!

2004წ.

გოლო განწყობილვაა

სინამდვილე მივატოვე
და ოცნება ვინამდვილე,
ნლებს თმა-წვეერი მივათოვე,
ნლითი-წლობით ვიმარტივლე,
ნილამ მერგო სიმარტოვე
და ცხოვრების სიმარტივე-
ალარც მინდა რამეს ვმკიდე,
ყველაფერი სულერთია.
სულს ჩემო, ცოტა კიდევ:
იქით უკვე სულეთია.

1992წ.

გაპაფიო კაფია

გავიბოთურეთ სამშობლო,
მართლაც სამოთხის სადარი.
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო სად არის?!

1994წ.

შაირ-სიტყვანი

გამომვილია ცხოვრება
ისე, ვით ველი დიღმისა,
გამომყოლია ვალეები
უქმად ნაფლანგი სიყმისა.
ტალღებზე ატივტივებულს
არ-რა მცოდნია სიღრმისა,
რა გაიგება გამოღმა
ამ წუთისოფლის მიღმისა!

2003წ.

სიცოცხლე ვისთვის ტანჯვაა,
ვისთვის კი — ნათლის სვეტია,
ზოგი ბევრ ნლებსაც ვერ ჰკმარობს,
ზოგისთვის — ცოტაც მეტია.
ჩემი ნატანჯვი ტანიდან
სული ვერ ამოეტია,
ამ ტიალ წუთისოფელში
თურმე სიკვდილიც ბეღია.

2003წ.

ანახაპური

ცაზე პატარა ვარსკვლავი
სულ ციმციმებს და ციმციმებს,
აღბათ არც დარდი ანუხებს,
არც საკუთარი სიმძივე,
ცალკე გაკიდვანებულს
არ აკრთობს სიცხე-სიცივე.
- რა აციმციმებს ნეტავი?
- რა ვი, უნდა და ციმციმებს.

2003წ.

გოგო, ვისი ხარ ეგეთი?
ან ვინა გყავდა ნათლია?
მაგ სატანფებო მასალას
რომელ ალვის ხეს ათლიან?
ეგ შენი თითო წამწამი,
მე მგონი, თითო ადლია.
ბებერს რო მესურვილები,
ცოდევა კი არა, მადლია!


2003წ.

გოლო სადღებრძელი

ესეც ჩემი იღბალი თუ ბედი —
გამიფრინდა სიხალისის მტრედი.
ესეც ჩემი იღბალი თუ წერა —
ქვეყანაზე აღარაფრის მჯერა.

სიბრძნე, ღვინო, დუღუკი თუ ქალი,
ყველაფერი ამ ჭიქაში ვკალი.
შესასმელი დამარჩა ბოლო ჭიქა:
ჭირი აქა, ხოლო ღვინი იქა!

1993წ.



თენგიზ ჯვანიძე

ლექსი ველური

ქარი — გრიგალი, ქარი — ვერანი,
 მზემ ოქროსფერად ზეცა გაფერა,
 სულში ჭიხვინებს ტატოს მერანი,
 მიხმობს მის მხედარს ცაში საფრენად.
 გული დამფრთხალი შევლივით მიცემს,
 მიმაფრენს ბედი, ო, ნეტავ საით?..
 ლექსი ველური კოსმიურ სივრცეს
 მიაპობს, მიჰქრის რაკეტასავით.
 ცა თავზე მთეარეს გვირგვინად მადგამს
 და შორით ვისმენ ვარსკვლავთა შიშინს,
 და ფერფლადქცევის სულ არ მქაქს შიში,
 სული არ იწვის, არ იწვის რადგან!..
 ღმრთის საუფლოში გრგვინავ-გრიალი
 ჯილდოზე მეტად არის ნაშება...
 ვარ უკეფავების თანაზიარი,
 თავდებად მიდვას წმინდა სამება!
 ტანჯული ქვეყნის შვილი ვარ ვიდრე,
 ტკივილი როგორ გაეიადვილო?!.
 ზეცის საეანე რომ დაიმიკვიდრო,
 უნდა ეწამო და იმარტვილო!..

თენდება... მთეარე — სულის მერდინი
 თითქოს მზის ახლოს, მზის ჩრდილში მინვა...
 გზა მელის გრძელი, რომ განწმენილი
 კვლავ დაფურუნდე მშობლიურ მიწას.
 ვინ დამინესა გზა უსამანო,
 სანამ იქროლებ ფრთებით ოცნების?..
 ცა ბუჩქს ჰგავს — გამწილი იასამანის,
 მინაზე ვკვდებით ცაში ვცოცხლდებით!

.....
 მზემ გაიტაცა ეს დღეც კაენის,
 მტოვებს ნუთები ცრემლმორეული
 და მიმლიგინებს ცის ლაჭვარდებში
 ოქროსდებუება ლექსი ველური.

გამოგლოვილი დრო

ბევრი დღე-ღამე გამოვიგლოვე
 ჭმუნვა-ჭიდილში ბედის ადრებთან...
 ყოველი ნუთი სეედას მტოვებს,
 ის კვდება მხოლოდ, რაც იბადება!
 სიბერე მტაცებს ნელ-ნელა ძალას
 და ფერდმელენილ ქარს ვგავარ მკივარს...
 ტკივილებს ზოგჯერ ქურდივით ვმალავ
 და რასაც მალავ, ის მეტად გტკივა!
 ვის ესმის სულის გვემა და ტანჯვა,
 მოდის სიბერე, როგორც აფთარი
 და შემლილს ლექსი გისინჯავს მავას,
 ლექსი — ტკივილთა თავშესაფარი.
 ჯერ ისევ ცისკენ გუნევა ფრთები
 და მიუნვდომლის მიწვდომას ლამობ
 და უსიკვდილო სიკვდილით კვდები
 ყველაფრისა და... არაფრის გამო!
 დრო აფთარია და კიდევ აფთარობს,
 ზღვებს მთებად აქცევს,
 მთებს კიდევ — ზღვებად...
 გამოგლოვილი დრო, — ღმრთის სატრფო, —
 დაუტირებელ კუბოში ნვება...

და შენ მაჩიჩა

მზის გულზე ფიქრის ღურჯ კარავს გავშლი,
 ცეცხლოვან ზღვაში შეეგო ხელახლა...
 თვალეზნიბლია და სულ მთლად ბავშვი,
 ჩემი თოჯინა იქნებ შენა ხარ,
 შენმა თვალეზმა რად შემომცინა?!
 (სუყველაფერი შენით ელფერობს!..
 ნეტავ გაქცია მართლა თოჯინად,
 რომ აგიტაცო და მოგვეფრო.
 შენი თვალეტი — გულის მახეა,
 რომ მომაჩვენოს ეს გზა წაღმართად...
 სივრცე, რომელიც შენ შეარხიე,
 უნდა ვისუნთქო, სხვამ არ წამართავს!
 ღმერთმა ცრემლები მეც მიწილადა
 და რას ვავხდები, თავიც ვიმტვრიო
 და შენ მაჩეჩებ ხელში ჩირაღდანს,
 გზა სიკვდილისაკენ რომ გაეიკვლიო.

**და იმ ბავშვობის ცოცხლობს განცდები
ნოდარ გოგავას**

ფიქრმა უდარდელ ბიჭების სტვენით
წარსულის წლები ამოიბრინა
და გააცოცხლა ბავშვობა ჩვენი,
ვით გრილმა სიომ — მოლი ბიბინა.
ცაში განიბინა იმ დღეთა ხმები,
როგორც ნაცარა ჩიტთა ყდურტული,
ხე, სიცოცხლის ხე თანდათან ხმება,
შორს მიგვაქანებს ფაში — შურდული.
ჩვენს სამეგობრო ღარიბულ სუფრას
არასდროს აკლდა სიტკბო, ხალისი...
ისევ ერთად ვართ (მაღლობა უფალს!)
და უკეთესის გვეჯერა ზვალის მზის.
ჩვენს წრფელ ხილვებში ფიქრი ანცდება,
მზით შეფერილი წარსულ წლებივით
და იმ ბავშვობის ცოცხლობს განცდები
სულივით წმინდა და ღვთაებრივი.

მტირალა დღეები

უცნაურ ძალით სული შესძარი,
ეს რა ცეცხლი გაქვს, ცეცხლი რამხელა!...
სულში მანვიმს და გარეთ მზე არი
და მე ლექსს გიძღვნი უკანასკნელად.
ჩემსავით ვერცინ ვერ მოგიგონებს,
გული, ეს გული შენ ერთს გემსხვერპლა...
მთვარის სიწმინდა ტირის სტრიქონი,
ვერ მოუფერნენ რადგან ერთხელაც!
ფიქრები ახალ ტკივილებს ბადებს
და ნუთბივით წარსულს ვბარდები...
ყველა გზა არის შუენცნობადი
საესე ვარდით თუ ეკალ-ბარდებით.
ამნაირ გზებით მოვედი შენთან, —
ბედის ბორბალი ასე ტრილებს...
მაინც ვერ ვითხარ, რაც უნდა მეთქვა,
რა მოუზებრხო გულს სატიალეს?!
სულს მიცხებს ფიქრი ნისლიან წამთა,
ვერ ვხვდები, რისიც მინდა მიხვედრა...
ბედნიერების არასდროს მნამდა, —
ჩემსკენ ერთხელაც არ მოიხედა!
და ვდგავარ შენს წინ, მორცხვი და მუნჯი,
ეჰ, სიბრძავესაც როგორ ენატრობდე...
რატომ მგონიათ, ცა ასე ღურჯი,
ღიმოლს არიგებს, ღიმოლს მარტოდენ.
ცრემლს ღვინოსავით რატომ მაძალებ, —
ულმოხელია ეს განაჩენი...
ვხედავ, მენგრევა ტრფობის ტაძარი
და მეშინია მარტო დარჩენის.

არ იბადება კაცი ურწმუნო,
არც უსულგულო, — მითქვამს ყველგანაც...
საკუთარ ბედზე არ იწუნუნო,
იტირე, როცა ტირის ქვეყანა!

თუ ემღერება მამულს, მეც ვმღერი
და მერევენება, — მთებიც დავძარი...

.....
ჯოჯოხეთია — სამოთხის მტვერი,
სამოთხე — უფლის ღურჯი ტაძარი!

სევდიანი საღამო

ბილიკს მივყვები ბალის,
ფოთლებს აცეკვებს ქარი...
ყველაფრისაგან დაღლილს,
სევდიან ლექსს მთხოვს ქნარი.
ვინ ვარ?! საითკენ მივლა?! —
შინს მგერის ამგვარი ფიქრი...
მინას აღმოხდა გმინვა...
ვინ დგას ყველაფრის იქით?!
სულს ზურავს ნისლია ბადე,
ქარი ქარს მისდევს ძრწოლით...
ახალ შეკითხვებს ბადებს
თუნდაც პასუხი სწორი!
გული ვერავის ვანდე,
ან კი რომელმაც მთხოვა?!
ტკივილს გაუფლო რამდენს, —
დარდის მოძალდა ბროვა.
ცხრა საათია, არც კი,
დაცარიელდა ბალი...
ერთი ვარსკვლავიც არ კრთის,
სულში შემოდის ჯანლი.
გული, სანამდე გაძლებ, —
სევდა მენვია მწველი...
მთვარეს დრუბელი აძევს,
როგორც ფოთოლი სველი.

და მიჩვენება

შენზე ოცნებას ავედევნები,
ვით ჭრულ პეპელას თვალები ბავშვის...
მომელანდები მზე — მოჩვენება,
მოვა საღამო და უმალ წავშლის.
ვისთვის შრიალებს ასე შენიღბვით
შენი ცისფერი სულის აფრები...
მხოლოდ შენს გამო,
მხოლოდ შენით ღირს
ემონებდე ტკივილს, სულში ჩაფრენილს.
ნეტავ შენი მზე რამ წამიკიდა,
ვინ დაადევნა ქარებს ძახილი? .
ვინ მიანვდინა თვალი ცის კოდეს,
მზე ვინ იხილა მინას დახლილი?!
ო, მბრძანებლო, გული ინებე,
სიყვარულისთვის ხომ არ მიწყრები?..
არ ჩანყნარდება ჩემში ის ვენება,
ცეცხლში რომ მახვევს თავდაიწყების.
გვალერსება ფიქრი — ფარეზი,
მიზიდავს შენი ბაგე — ჭინჭილა
და მეჩვენება: ვდგავარ მთვარეზე
და დედამინა ხელში მიჭირავს.



რუსი
წარუღესაშვილი

რამინა

ვფიქრობ ამორძალო, რომ
ღმერთებს ანრისხებ, მუარით ხორბლისფერ სხეულს იმოსავ,
— ქალწულო,
მაგ მკლავთა მოხვევა მაღირსე!
მერე სამარეზე დამირგე მიმოზა...
მე სხვა ღმერთს ელოცულობ
ფშაველი წარმართი,
იქ ვტოვებ ანაბეჭდს ნასანთლარ ნიშებთან,
ლექსები შქონდა და ლექსებიც წამართვი,
ასე აფროდიტეც ვერ გამაგიჟებდა!
წუხელის მესიზმრე,
მოხვედი ფარფატით,
ფარვანას ფრთებით და
ნამნამით დამჩრდილე,
მოხველ,
მონყურებულს შემასვი შარბათი
და სული მიპყიდე უსახურ აჩრდილებს...
ნახვედი,
დამტოვე!
შენ მშვიდად გეძინა
იებთან,
— მათ ჯობდი,
უკვირდათ მადონებს,
მე კი დაგვეძებდი,

გეძახდი რეგინა!
მაგრამ,
ჩაძინებულს ხმა ვერ გაგაგონე.
შენ კვლავ გაურბიხარ
კერპებს და წარმართებს,
არც გამართებს ირწმუნო უფლის განგების,
ყველაფერს — ლექსებს და
თავსაც კი წამართმევ,
რალაც მანქანებით და რალაც მავებით.
შენ უცხო ტომელი სხვა ქალებს ანრისხებ,
გიხდება მუარით სხეულს რომ იმოსავ,
— ქალწულო!
მაგ მკლავთა მოხვევა მაღირსე,
და მერე?
საფლავზე დამირგე მიმოზა!

ნ-ს...
ლურჯ ფერდობებზე ზეცა დანვა —
შენი თვალები,
ჩანს მთაზე თოვლი, როგორც
ღანვზე ცრემლის დაფენა.
გაიჯახუნა მოგონებამ მძიმე კარები
და სულს მოუნდა სხეულიდან ცაში აფრენა.
გადაუფრინა მინდორს ჩრდილმა
მაგი მერცხალის,
თეთრი პეპელა ეამბორა მწვანე სამყურებს,
მზე გაიხლართა ნარიაწი,
როგორც კურცხალი,
როგორც კულულში სევდიანი ნინოს საყურე.
მწყდება სურვილი —
გულისპირზე თეთრი საკინძე
სულს სიმახინჯე შეეჩვია, გვამს მარტოობა,
ცა უმანკოა, ცისთვალეზა, მინა საგიჟე
ამ საგიჟეთში მანიკიერი გველის გართობა.
როს წარინჯისფრად ავითება დასალიერი
და მშვიდი ზეცა იცრიცება ჭარივით გველის,
დამიბრუნდება სულით პოეტს კაცის იერი
და უსასრულო სიგიჟეში სიკვდილი მელის.
სიკვდილი მელის,
ვგრძნობ სხეულის გადაფითრებას,
სამყარო მკვლეელი —
ფიქრობ ღმერთი არ მიმატოვებს,
სიკვდილი მინდა და
ზეცაში მსურს დამკვიდრება.
უფალო ღმერთო, დამიფარე და მიპატრონე!
ამაღამ, ვიცი, ქარიშხალი პაგანისს შეცვლის,
თვალებზე ლიბრი გადამიკრა
წყვედიადი მფარავს,
მე უკუნეთის დაწყვეტილი მუსიკა შემშლის,
როდესაც ჩვილი მქრქალ
თითებით დააღრწობს კალამს
ხვალ სული მინდორს გადაუფრენს
როგორც მერცხალი,
როცა პეპელა
ესტუმრება ცვიან სამყურებს,
გაიხლართება მზე ბარდებში
როგორც კურცხალი,
ვით ქერა თმაში სევდიანი ნინოს საყურე!

მაქვს მოლოდინი რატომღაც ახლის, თავშიც სულ უცხო აზრი ტრიალებს, მინდა ამ წუთას დავეტოვო სახლი და უსასრულოდ ვიხეტიალო!..
მაქვს მოლოდინი რატომღაც ახლის, არ მსურს დავენებდე მღვრიე დინებას, სანამ ცხოვრება ბოლომდე დამდღის, სანამ მარადის ჩამეძინება!
ვერძნობ, შეუმწევნელად მინას დავეშორდი, გული ვერ უძლებს წყლულებს, იარებს, სანამ სიკვდილის მძიმე აკორდი ჩემს სულის სიმებს დააფრთიანებს!..
სანამ ძაძები — მღვრიე მანდილი დედის მკრთალ სხეულს ჩამოაღამებს, აუნყობელი როგორც ფანდური დაუნდობელი შემოლილი დამე...
როგორ მბეზრდება ყველა კითხვები და პასუხებიც მანადგურებენ, სევდის მომტანი მძიმე სიტყვები, შემოლილი სხეულში ისადგურებენ!..
ქარს გვირბლები გაუფატრია, გვაძვინებენ მძიმე ძველი სევდებით, ვამთენიისას, როგორც ნათლას, სვეტიცხოველთან სიკვდილს შევხვდები!..
მაქვს მოლოდინი რატომღაც ახლის, თავშიც სულ უცხო აზრი ტრიალებს, მინდა ამ წუთას დავეტოვო სახლი და უსასრულოდ ვიხეტიალო!..

ეს ქარი მართლაც არ ჰგავს სხვა ქარებს და ველვაც ისე, როგორც არასდროს, ბუდიდან თითქოს შაშვის ბახალი მვარდება და სურს გვამს უღალატოს. ეს ქარი სხვაა, სხვა მხრის, სხვა სულის თითქოს მძიერი, თითქოს მძაღარი ნატყრფალს მისდევს ქერა ასულის ვით მიორზას, ფონტზე მძიმე მახარა. ნარსული შერჩათ იფრის ნაპირებს, გვერდებზემჭკნარი ფოთლის მძივებით, გვირბილა თითქოს ძებნას აპირებს მიმობნეული ქერა სხივების. ეს ქარი სხვაა, მთვრალი სხვა ღვინით, მირონნასვამი ქრისტეს მავიდან, ცაზე ღრუბლების თეთრი ნახირი მზეს აედევნა და მზე გაგიჟდა! ეს ქარი სხვაა და მე ის მიყვარს და აფეთქება ლურჯი კვირტების, ამ ქარებს სული უფალთან მაქვს, ვით ლადოს ქლექით საესე ფილტვები. ეს ქარი სულაც სხვა ქარებს არ ჰგავს, ნამით შორდება მავას ხუნდები, არც დაფიქრდება, გაისვრი ნავანს და ცას თეთრ მტრედად დაუბრუნდება. შევხებთქები მკერდით ლაფუარდებას, სხვა რამის გტანჯავს იდუმალება, ცას სევდით საესე ღრუბლებს ნაართმევ

და ჩამოიტიან ლექსის ბნეკარებად. ეს ქარი სხვაა, როგორც მანდილი ცა ჩანს უმანკო სატრფოსთვალება, ფშავლის ოჯახში ღრენა ფანდურის და ზედ ხელების აფართხალება. ეს ქარი სხვაა პოეტის ფილტვებს ხველით სტრიქონი შემოაფრთხილოს, სურვილი შეგვაძამს, კისერში მისწვდე და ლურჯ რეველებს შემოანწყვიტო! ეს ქარი მართლაც არ ჰგავს სხვა ქარებს და ველვაც ისე, როგორც არასდროს, ბუდიდან თითქოს შაშვის ბახალი მვარდება და სურს გვამს უღალატოს. ეს ქარი სხვაა, მთვრალი სხვა ღვინით, მირონნასვამი ქრისტეს მავიდან, ცაზე ღრუბლების თეთრი ნახირი მზეს აედევნა და მზე გაგიჟდა!!!

ღამეა, გარეთ წვიმს, ღვარი და ცოფია, და ცა ქლექიანი ფილტვიდან ახველებს, Qui vivra verra pro tempore sofia, გარეთ ქრის, კეკლუცობს ძახველი. ქარი ქრის და წვიმა აწყდება ჩემს მინებს, ძილს მიფრთხობს და მოაქვს წარსული ფრაზები, Qui vivra verra pro tempore sofia, აღმოძხდა და ჩამოსხდნენ წამწამებზე ცრემლის ჯამბაზები. ახლა ვფიქრობ, კმარა მოტყუება თავის, მოგონებით ვერასდროს ვიცხოვრებ, Satis verborum ღამეა და ქარი და მკერობს სხეულთან სიმძრე! Qui vivra verra pro tempore sofia, რითმების გვირგვინიდან სტრიქონად იწერები, ახლა ჩემი საკოცნი ტუნჩოფგვინილი დოქია, თუმცა წყურვილს კი მიკლავს, მაგრამ ვერ ვეფერები...
ო, როგორი წყვდიადი ჩამოსავა ჩემს ოთახს, უკუნეთმა სიბნელემ შემომინა სანთელი, ჩემს მუჭაში კანკალებს და მეკვრება მეგობარს და ილევა მტვენებზე, როგორც თოვლის ფანტელი. Qui vadis sofia სურვილებით კეთილი, სად მიდიხარ sofia pia desideria, ბოროლის კომკი მესიზმრა, მე ვიყავი ვეზირი, შენ კი წმინდა სასახლის საოცარი ფერია. ღამეა, გარეთ წვიმს, ღვარი და ცოფია, და ცა ქლექიანი ფილტვიდან ახველებს, Qui vivra verra pro tempore sofia, გარეთ ქრის, კეკლუცობს ძახველი.



(ზამთრის საღამო)

ნინო
წულუაძე

(წიგნის კონფერენციისთვის)

დაახლოებული საღამო

პირადად

მოქმედი პირები :

ოლიმპო — რკინიგზის სადგურის მფლობელი

ცირცვა, **ოლიმპოს** „გიოლ ფრენდი“

როზინა

პიკოლო

ევა, **ოლიმპოს** ქალიშვილი

იკაროსი

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი

პიკოლოს დედა

ექიმ ბრუმი

მეველდ ფრანკენშტაინი, **როზინას** საქმრო

მომღერალი საათი

კენტავრი

შერაკლე

მოქმედების ადგილი : **რკინიგზის სადგური**

მოქმედების დრო : **არაკონკრეტული**

ქალბატონი გოტბერგი სკამზე ზის. თავი ჩაუქინდრავს და როზინას შეკითხვას არ პასუხობს.

როზინა (ხელში ჩაის ფინჯანი უჭირავს) — ქალბატონო გოტბერგ, ჩაი მოგიტანეთ. დალევთ და ზამთრის სიცივეში ოდნავ მაინც გათბებით... იქნებ ჩაი არ გიყვართ? ყავა მოგართვათ, ქალბატონო? მადლობა თქვით, რომ მებრალეებით და მის ოლიმპოსობასთან არ გაბეზრდებით სკამის მითვისებისათვის. კარგად მახსოვს: ეს სკამი ცოტა ხნით ითხოვეთ: დაეჯდები, სულს მოვითქვამ და წავალ. მაგრამ მთელი ზამთარი აქ ზიხართ. შიშნულით სული გტვრებათ, თუმცა ჩაის ისე იწუნებთ, თითქოს ყოველთვის გქონდეთ მისი გახსნივების შანსი. როგორ გადიდგულეულხართ! ახლავე გაეთრიე აქედან შე მათხოვარო, შენა! უსახლკარო რომ ხარ, ეგრე ჩემი პრობლემა! აქ რკინიგზის სადგურია, მოხუცთა თავშესაფარი არ გეგონოს! ადექი სკამიდან და წადი შენს გზაზე! (ქალბატონ გოტბერგს ხელს წაადგილებს)... ვაიმე, მგონი მოკვდა! გაიყინა! ქალბატონი გოტბერგი მოკვდა!

(გაზაფხულის საღამო)

ოლიმპო — აბა, მატარებლის შემოსვლის სცენა გავიართო! თავიგულეები აიღეთ!.. რა ცხვირპირი ჩამოგტყრით! ღიმილი, ბედნიერი ღიმილი მინდა!...

როზინა — სად გააქვს თავიგულეები თქვენო ოლიმპოსობაზე! ამ სიბნელეში ყველა ყვავილი დაქენა.

ოლიმპო — თქვენც ხელოვნური აიღეთ. (პიკოლოს ხელოვნური თავიგულეები მოაქვს და ერთს როზინას აძლევს)... კარგია! პიკოლო, წინ გამოდი და ლექსი თქვი!

პიკოლო - მოდის მატარებელი, ისეთი, როგორც მე მინდა, ისეთი, როგორც შენ გინდა, მაღალი, გამხდარი, ლამაზთვალეა.

ევა მატარებელი, ეაშა, ეაშა მატარებელი!

(ლიანდავის გამოვლით შემოდის ცირცვა. პიკოლო მას თავიგულს აწვდის).

ცირცვა — გამაღობ ზემისათვის, გულითადი მიღებისათვის, მაგრამ მე რომ მატარებელი არ ვარ?

როზინა — როგორ?

პიკოლო — ჩვენ მატარებელს ველოდით...

ოლიმპო — აქ რაღაც გაუგებრობაა...

ცირცვა — მე ცირცვა ვარ, ოლიმპო.

ოლიმპო — ცირცვა შენ? პელოსის და პერსეს ულამაზესო ასულო, რას უნდა ვუმადლოდეთ შენს გვიან სტუმრობას?

როზინა — ამ ბნელი ღამით ან ციკლოპის არ შეგეშინდება, ან გველემების?

ცირცვა — ჩემს კუნძულ აიაზე ელევა-დეპეშა მოვიდა, რომ ვინმე ქალბატონი გოტბერგი რატონმალე გარდაიცვალა. მინდა გითხრათ, რომ შოკში ვარ. ეს რა დაგვემართა!

როზინა — ნუ გვკითხავთ, დღემდე გონს ვერ მოგსულვართ.

ცირცვა — ასე შეიძლება? ცოტა ადრე მაინც გეთქვათ, იქნებ ღმერთებს რამით გვეშველა. ზეგს გადაუურეკავდი, ვთხოვდი უკვდავად ექცია.

ოლიმპო — დიდხანს არ უნვალია, უცბად გათვდა.

როზინა — ხელში ჩამაკვდა . . . იმ დახანავე საღამოს, უცებ საუბრის ხასიათზე მოვიდა, სახე თითქოს გამოუტოცხლდა, ყვაა მონიღობა სანყალმა და ამ დროს . . . ოჰ, რა გადავიტანე, ამ დროს გვიღალატა . . .

ცირცვა — თქვენ არ იზერვილოთ, მის დაკრძალვას პერმესს მივანდობ, სიკვდილის მეუფეს. სამძიმარზეც ყველა ღმერთი მოვა: ზევისი, კრონოსი, ათენა, პოსეიდონი . . .

ოლიმპო — გადავიტანე, რომ ნუ შენ-უხდებიან: უკვე დაესაფლავეთ.

ცირცვა — როგორ მენყინა! . . .

პიკოლო — ცივი წყალი ხომ არ მოგართვათ?

ცირცვა — არა, გმადლობ, ზედმეტი ყურადღებაა. იმ სამწუხარო დეპეშას მალე, მეორე მოწყვა, საიდანაც ისევე სამწუხარო ამბავი შევიტყვე: თქვენი რკინიგზის სადგური კოსმიურ მავ ხერულში ჩავარდა და დროში დაიკარგა. რა გჭირთ, გამაგებინებთ, რა ყველა უბედურება თქვენ უნდა დაგემართათ? ან ასე, პირდაპირ თქმა შეიძლება? ცოტა „ლაითად“ ვერ შემომაპარებდით? კინალამ კომპა ჩამავადეთ, თქვე არადადამიანებო! მაგრამ მე გულში, ღრმად მნამდა ჩაძირულ, დაკარგულ სივრცეებში თქვენი არსებობის.

ოლიმპო — რალე საეჭვოდ, ოპტიმისტურად ლაპარაკობ, ცირცვა.

ცირცვა — თქვე უგულვებო, ოდისევის მივატოვე, რომ დაკარგული სადგური მუპოვანა.

ოლიმპო — მპოვნელი დასაჩუქრდება.

ცირცვა — მე მთელი სამყარო მოვიარე და მაინც მოგავენით.

ოლიმპო — ნუთუ?

როზინა — ხომ არ მოგველანდა?

პიკოლო — „ცვეტში“ მოჩენებაა.

ცირცვა — აი, აქ ვარ. რკინიგზას ნელ-ნელა, აუჩქარებლად გამოუყვავი, ბევრი ვიარე თუ ცოტა, მოვედი.

ოლიმპო — ლიანდაზე გრაციოზულად მოდიოდ. (როზინას და პიკოლოს მიმართავს) დოვლაპიებო! ამ უნაზეს, ფაქიზ რკინიგზაზე თქვენც ასე ფეხაკრებით, ნარნარით უნდა დადიოდეთ! მლასტიკას რომელი გრაცია გასწავლიდა, ცირცვა?

ცირცვა — „მეკაიფები“? მპოვნელისთვის შე-

პირებული საჩუქარი მომეცი და „პაკა“, წავედი აქედან.

ოლიმპო — ანგარებიანი არ მეგონე.

ცირცვა — ანგარება რა შუაშია, დანაპირები შეასრულე. მე მარტომ, უმწეომ, მთელი სამყარო გადავატრიალე შენი უგზო-უკვლოდ და კარგული სადგურისთვის ციკლოპებს და გველეშაპებს რის გაოვაგლახით დავაღწიე თავი! უმაღლო, ზეგის რისხვის გეშინოდეს!

ოლიმპო — ღმერთებს მშვიდათ სძინავთ. სიზმრადაც ვერ ნახავენ, რომ ცირცვა რკინიგზის სადგურში მატარებელს ელოდება.

ცირცვა — მე ველოდები მატარებელს, თუ . . .

ოლიმპო — აბა, მე ხომ არა? მატარებელი სწორედ ის საჩუქარია, რომლითაც დაკარგული სადგურის მპოვნელი დასაჩუქრდება. (სკამის სთავაზობს) აი, აქ დაჯექი და მატარებელს დაელოდე.

პიკოლო — უნინ ამ სკამზე ქალბატონი გოტბერგი იჯდა.

როზინა — რომელიც რატონმალე მოკვდა.

ოლიმპო — ჩამოვკეცი ცირცვა, ნუ გეირდება.

ცირცვა — არა, გმადლობ ოლიმპო, შენი საჩუქარი რალაც აღარ მინდა.

ოლიმპო — რატომ? იქნებ მატარებელი ღმერთების საკადრისი ძღვენი არ არის?

ცირცვა — შენი საჩუქრით აღტაცებული ვარ, მაგრამ ოდისეისთან უნდა დავებრუნდე. მატარებელს ვერ დაველოდები.

ოლიმპო — დარჩი ცირცვა, შენისთანა „გიოლ ფრენდზე“ არც მე ვიტყვად უარს.

ცირცვა — საუბედუროდ, მე თქვენს ენას სრულყოფილად არ ვვლობ. ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა ჩემთვის გაუგებარია.

ოლიმპო — ეგ არაფერი, გასწავლი.

ცირცვა — „გიოლ ფრენდი“ რას ნიშნავს?

როზინა — ვითომ არ იცის.

ცირცვა (როზინას) — ხმა ჩაიწყვიტე, შე გველო! (ოლიმპოს) შენი „გიოლ ფრენდი“ რომ გავხეხი, რას გამაკეთებინებ?

ოლიმპო — ამაზე მერე. ახლა რეპეტიციას მივხედით. როზინა, დასჭექე სიმღერა მატარებელზე!

როზინა — არ შემეძლია, ვერ ვიმღერებ.

ოლიმპო — რას პქვია ვერ იმღერებ! ნარმოიღგინე, რომ ამ მატარებლით ბაბუაშენი ბრუნდება პირველი მსოფლიო ომიდან ორდენებით მკერდდამშვენებული, ახალგაზრდა სანიტრის სიყვარული გულში დაჭრილი, ახალი ცხოვრების ფინით შეპყრობილი ბაბუაშენი!

როზინა — არა, არ შემეძლია! ქალბატონი გოტბერგის გაყინულ მზერას ვერ ვივინყებ... ოჰ, საბარალო ქალბატონი გოტბერგი!

პიკოლო — ყინვას რომ არ მოკლავ, ახლაც ჩვენს გვერდით იქნებოდა.

ოლიმპო — საკმარისია, საკმარისია... აქ დავამთავროთ. გული ამიჩუყეთ, ცრემლები მახრჩობა... ცირცვა, ცხვირსახოცი მომანოდე.



პიკოლო — წამოდი ძვირფასო, წნევას გაგიზომავ, ხელოვნურ სუნთქვას ჩაგიტარებ. (ცირცვა და ოლიმპო მიდიან).

როზინა — პიკოლო, თუ იცი, რომელ მატარებელს უნდა დაეხვედო? ვაგონებში მართლა ჯარისკაცები იქნებიან? დაჭრილი ჯარისკაცები? **პიკოლო** — ეს მის ოლიმპოსობას ჰკითხე.

როზინა — ოპ, კარგი ერთი! პირდაპირ გეტყვის რამეს?

პიკოლო — ამას თქმა სჭირდება? მატარებელი მთავარი არ არის. აი, ჩვენ კი, მისი მოსვლისთვის მუდამ მზად უნდა ვიყოთ. უნდა ვიშრომოთ, ოფლი უნდა ვვღებოთ.

როზინა — ამ საღამოს უკვე მეორედ გაეპარიალე ლიანდაგი, მაგრამ მაღლობაც არ უთქვამს.

პიკოლო — ლიანდაგი ისე საგულდაგულოდ უნდა გაწმინდო, თითოეს ნუთი-ნუთზე მატარებლის გამოჩენას ელოდები.

(შემოდინ ოლიმპო და ცირცვა)

ოლიმპო — უსუსურნი და უგუნურნი! მატარებელზე წარმოდგენაც არ გაქვთ, მაგრამ სულ პირზე გაკერიათ!

როზინა — წარმოდგენა როგორ არ გვაქვს! ჩვენ ერთად რკინიგზის სადგურს წარმოვაგვიგნით.

პიკოლო — ჩვენზე უკეთესს ამ წარმოდგენაში ვერავის დააკავენთ.

ცირცვა — მატარებლის როლზე ვის დაამტკიცებ?

ოლიმპო — სწორედ მატარებელს წარმოვიდგენთ ხოლმე. . . აბა, მწკრივში, ვაგონებივით დავეწყე! წრეზე სირბილით იარ! . . . შენც ცირცვა! ეს შენც გეხება!

ცირცვა — ოლიმპო, მე წონას არ ვუჩივი.

ოლიმპო — მიდი, ცირცვა! არ შემარცხენიო! ამ უსუსურებს დაანახე, როგორი უნდა იყოს ნამადვილი ჩქაროსნული ვაგონი!

ცირცვა — კარგი, ბოლო ვაგონი ვიქნები.

ოლიმპო — პიკოლო, მოუმატე სელას! . . . არა, არა, ამ ტემპით თუ გააგრძელებთ, ლიანდაგზე ვერასოდეს დადგებით!

პიკოლო — თქვენო ოლიმპოსობავ, ნახშირი თითქმის გაგვითავდა! სიჩქარეს ვკარგავთ!

ოლიმპო — სრულიად მოუმზადებლები ხართ ექსტრემალური პირობებისთვის! ბარგი გადაყარეთ! დაუჩქარეთ! (მითითებას იძლევა და თან ცირცვას ნელზე ხელს ხვევს, ეფერება).

როზინა — მე უკვე გადავყარე, თქვენო ოლიმპოსობავ!

ოლიმპო — რა გადავადე შე გლახა?

როზინა — სკამი.

ოლიმპო — რომელი სკამი?

როზინა — ქალბატონი გოტბერგის.

ოლიმპო — ჩვენი მემორიალი? როგორ გაბედე? ისევე სანაგვე ყუთში ჩააგდე?

როზინა — არა, თქვენო ოლიმპოსობავ, იქ ადგილი აღარ იყო. ამიტომ, სკამი ნახი ტყორცნით დაგებრუნე თავის ძველ ადგილზე. აი, ნახეთ, სრულიად მრთელია.

ოლიმპო — შენ, პიკოლო, რა ბარგი გქონდა?

პიკოლო — საათი, თქვენო ოლიმპოსობავ.

ოლიმპო — რამდენჯერ ვითხარი, საათის მაგივრად ბურთი ისროლე-თქო? შენს ხელში რამე ვადაჩრება?

პიკოლო — ამჯერად ისე ფრთხილად დავაგდებ რომ მხოლოდ შუშა ჩაემსხვრა. თავი ისედაც გაბრტყელებული ჰქონდა.

ოლიმპო — ცირცვა, შენ რაღაცას მალავ... არ გინდა შეელიო...

ცირცვა — მე ამას არც ვმალავ (კაბის გულის-პირს შეიხსნის).

როზინა — უი, სილიკონის ძუძუები ყოფილა! ახლავე მოიშორე! მატარებლის კატასტროფის ასაცლებლად საკუთარ ტვირთს ყველა უნდა შეელიოს! გამონაკლისს არ დავუშვებ!

ცირცვა — მერე მე ვინ-ღა შემომხედავს?

ოლიმპო — როზინა, მოხსენი შემადგენლობიდან ურჩი ვაგონი... ცირცვა აქედან დაშეკარვე!

ცირცვა — თვალთაც აღარ დაგენახებო!

ოლიმპო — არა, სულ კი არ დამეკარგო, ჩემი სიცოცხლე, მოგვიანებით მემორიალურ სკამთან შეეხვედეთ ერთმანეთს.

(ცირცვა მიდის).

ოლიმპო — როზინა პიკოლო! დაიძარიო!... სტომ! პიკოლო, პლასტიკა უნდა დახვეწო. განსაკუთრებულ მოსახვევებში გიჭირს, მეტი მოქნილობა საჭირო.

როზინა — ლიანდაგზე როდის დავგაყენებთ?

ოლიმპო — ჯერ ბაქანზე ივარჯიშეთ და მერე ვნახათ.

როზინა — ჩემი მკვირცხლი ნახიჯი არ მოგენონათ?

ოლიმპო — ისე რა. ნახშირი და ცეცხლი გაკლდა... რა გატირებს, პიკოლო?

პიკოლო — ბავშვი დაიკარგა! მატარებელში ბავშვი დატოვეს.

ოლიმპო — სად? რომელ მატარებელში?

პიკოლო — ცეცხლმოკიდებულ ვაგონში დედამ ბავშვი მიატოვა... ყველა გარბოდა, ისიც გაიქცა... ბავშვი დატოვა...

ოლიმპო — ახლავე თუ არ შეწყვეტ ისტერიკას, მატარებლის ბილეთს ჩამოგართმევ!

პიკოლო — ოღონდაც ბილეთი არ წაშართვათ! არ წაშართვათ!

ევა — მამა!

ოლიმპო — ევა, მე ხომ გაგათავისუფლეთ ფიზკულტურიდან!

ევა — ისეთი აურზაური ატეხეთ, ვიფიქრე, მატარებელი მოვიდა.

ოლიმპო — გაიცანი, ჩვენ სტუმარი გვეწვია: ცირცვა, ჰელიოსის და პერსეს ასული. ეს კი (ცირცვას მიანიშნებს) ჩემი ქალიშვილია — ევა.

(ცირცვა და ევა ერთმანეთს ესალმებიან).

ევა — ჩემი მეგობარი არ ჩამოსულა, მამა?

ოლიმპო — „ბოი ფრენდი“ გაიჩინე? ამისთვის გრზდიო? მზის შუქსაც კი არ გაკარებდი!



ვეა — არა, მამა. ამ საღამოს ჯოკონდა უნდა მწვეოდა.

ოლიმპო — ჯოკონდასგან რადიოგრამა მივიღეთ: ლეონარდო და ვინჩი მხატვას და არ მცალიაო. ნადი, მთვარის სხივებს ეთამაშე, ცოტას გაერთობი.

ვეა — კარგი, მამა.
(ვეა მიდის).

ოლიმპო — თქვენ კი, უსუსურნო და უგუნურნო, შრომას შეუდევით! მენ პიკოლო, ბაქანს სარკესავეთ გააპრიალუბ, შენ, როზინა, რადიოში ამინდის განრიგს გამოაცხადებ.

(ოლიმპო მიდის).

როზინა (რადიოში აცხადებს) — ყურადღება! ყურადღება! მოისმინეთ მატარებლების... ფუ, უკაცრავად, მოისმინეთ ამინდის განრიგი: ნომერ N157 მოვა დროულად და გაჩერდება სადგურში ხანგრძლივად. ამას მოჰყვება ღრუბელი N13, მთვარის დაბნელება და ქარიშხალი. გამადლობთ ყურადღებისათვის.

პიკოლო — ის ბავშვი...

როზინა — ჩუმად, ცირცვა გვისმენს...

ცირცვა — არა, განაგრძეთ, ილაპარაკეთ. ისედაც ვიცო, მატარებლებზე ჩურჩულებთ. მე კი ახლავ შემიძლია აქედან წავიდე და ამისთვის არც ბილეთი მჭირდება და არც მატარებელი.

როზინა — ნაბძანადი, რა გიმლის ხელს?

ცირცვა — ამინდი.

როზინა — მშვენიერი, მთვარიანი საღამოა, უკეთესს ვერც ინატრებს შეგვიანებული მგზავრი.

ცირცვა — კი, მაგრამ, რადიოში შენ არ გამოაცხადე მთვარის დაბნელება, წყალდიდობა და შტორმი?

როზინა — ეგ ნოეს კიდობნის დროინდელი ამინდის პროგნოზი იყო.

ცირცვა — თუ ასეა, რატომ გამოაცხადე?

როზინა — ისე, ყოველი შემთხვევისათვის. ნებისმიერი ამინდისათვის მზად უნდა ვიყოთ... ეჰ, საბრალო ქალბატონ გოტბერგს ჩემი პროგნოზი რომ გაეთვალისწინებინა, თოვლსა და ქარაბოტში ბაქანზე აღარ გაიყინებოდა.

პიკოლო — მაინცდამაინც ამ სკამზე უნდა მომკვდარიყო, ყველას თვალწინ!

როზინა — აბა! ეს რა გაგვიკეთა!

ცირცვა — როზინა, ქილიკს სჯობია, საღაროს მიხედო.

როზინა — ჰო, რა თქმა უნდა, თქვენ ხომ არ მიხედავთ! თქვენ ხომ არც სუფრას შლით, არც ჭურჭელს რეცხავთ, არც ლიანდაგს უკლით!

ცირცვა — მე ჩემო კარგო, ოლიმპოს „გიოლ ფრედი“ ვარ. პიკოლო, შეზღონგი გამომალე გეთაყვა: მთვარის აბაზანების მიღება მომინდა!

(პიკოლო ცირცვას შეზღონგს უშლის)

როზინა (საღაროს ამონებებს) — საღაროში მხოლოდ ერთი, უკანასკნელი ბილეთი დარჩა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთ მგზავრს მანსი ექნება...

პიკოლო — მანსი არავის აქვს! (შემოდის ვეა)

ვეა — როზინა, ყავა დამისხი!
როზინა — ინებეთ...

ვეა — შეგიძლიათ ნახვიდეთ... პიკოლო, რას აკეთებთ?

პიკოლო — (ვეას ფერხითი ჯდება) — თქვენს ფერხითი ჯდომა სიამება განუზომელი!... ყური მიუგდეთ: მთვარე მწუსრის ზარებს რეკავს... ჩვენ მწუსრის დედოფლის ბნელ დარბაზებში დავიკარგეთ, როგორც უსიერ ტყეში პატარა ბავშვები... ვეა, ეეა, მითხარი ლა ძვალბი, თოლემ ალ დაეიძინებ...

ვეა — ჭკუა სულ დაკარგეთ: ბავშვივით ძირს ხოხავთ და ათასგვარ სისულელეს ამბობთ.

პიკოლო — რადგან დროის საზღვრები არ მბორკავს, მე ცხოვრება ნულიდან მინდა და ვინცო: ჯერ შემტყვევებას ვისწავლი და ფეხს ავიდგამ, შემდეგ სკოლაში შევალ, უმაღლესს დავამთავრებ და ვინ იცის, იქნებ პროფესორიც გავხდე. წარმოიდგინეთ ვეა: ერთ მშვენიერ დღეს პროფესორის ხარისხს მომანიჭებენ. ჩემს მოსალაცემად სადგურში ხალხი შეიკრიბება. ჩემს პატივსაცემად დაუკრავს ორკესტრი, იმღერებს კაპელა. თქვენც მზერას მე მომამყრობთ და გაიღმებთ... თქვენ გაიღმებთ, ვეა.

ვეა — ეს სადგური მამაჩემის შექმნილი პატარა საყვარელია. მგზავრებიც მამაჩემის თამაშის წესებს ემორჩილებიან. ამ თამაშში ნაკებული მუდამ მგზავრები არიან, პიკოლო.

პიკოლო — მამათქვენს დიდი გონების კაცია! მეტად კეთილი და მონყავიც არის. მგზავრებს მატარებლის ბილეთებით აჯილდოებს, სადგურში უფასო ღამისთევის ნებას აძლევს. ნუ-თუ ეს ცოტაა?

ვეა — თუ თქვენთვის ეს ცოტა არ არის, მაშინ მოეშეთ პროფესორობაზე ოცნებას და ბაქანის წმენდა განაგრძეთ.

პიკოლო — მოისმინეთ, ვეა!

ვეა — იმუშავეთ პიკოლო, იმუშავეთ.
(ვეა მიდის. შემოდის როზინა).

როზინა (რადიოში აცხადებს) — ყურადღება, ყურადღება! ღრმა მწუსრებით ვიუწყებით, რომ ადვლე მცდელობის მიუხედავად „ატიტანიკი“ მაინც ჩაიძირა, ატლანტიკა დაილუბა, არც არკადიიდან ჩანს მაცნე, პომპეი ლავამ დაფარა ოულიუს კეისარი ვერაგულად მოკლეს... ძვირფასო რადიომცენებლებო! თქვენ მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები. სადგურის დროით, როგორც ყოველთვის, 22 საათია. იძინე მშვიდად, მატარებლის მოლოდინით დაღლილი სადგურო.

პიკოლო — მორჩი ნეკროლოგების კითხვას! მოდი, ცოტა კარგიც გავისხენოთ. გახსოვს, როზინა, მისმა ოლიმპოსობამ მატარებლის ბილეთით რომ დამაჯილდოვა?

როზინა — აჰ, რა დრო იყო, რა დრო! მატარებლის მოლოდინში მგზავრები ჩემი ამინდის

პროგნოზებს უსმენდნენ! მახსოვს, ჩემი ნი-
ქორეობით მოზობილული ერთ-ერთი მგზავრი,
ექვსი მიველედ ფრანკენშტაინი მუსსლეზე და-
ჩოქილი მევედრებოდა: „ძვირფასო როზინა,
ოლონდ თქვენი ნათელი გონება მე მიანდერძეთ
და სანაცვლოდ რეანიმაციას გაპრდებოთ“ -ო.
პიკოლო — ფრანკენშტაინს, ალბათ, ალბერტ
აინშტაინი ეგონე.

როზინა — გულით კი ვუყვარდი!

პიკოლო — მენ თუ გიყვარდა?

როზინა — რეანიმაციამდე. შემდეგ თვალები
ამეხილა და სარკეში ჩაიხეხედე...

პიკოლო — ეგ არ უნდა გექნა! გული ისევ გავი-
ჩერდებოდა.

როზინა — როცა სარკეში ჩაიხეხედე, მივხედი,
რომ უკეთესი მამაკაცის ღრსი ვიყავი.

პიკოლო — ნიგნს მათხოვებ, როზინა? გადაე-
ხედავდი, გადაფურცლავდი. ეს ევაზე შთაბეჭ-
დილებას მოახდენდა.

როზინა — სულ ერთი ნიგნი მქონდა, სახელწო-
დით „როგორ ვმართოთ ორთქლმავალი“. მის-
მა ოლიმპოსობამ მაჩუქა ავტოგრაფით. მაგრამ
დიდთოვლობის ფაშს, როცა ძალიან შემცივდა,
ბაქანზე ცეცხლი დავანთე და ფურცელ-ფურ-
ცელ კოცონს შევუკეთე.

პიკოლო — ამ ნიგნს სანთლით ვეძებდი! არც
კი იცი, რა განძი დანვი!

როზინა — არა უშვავს, მისი ოლიმპოსობა კიდევ
დანერს.

პიკოლო — თვალში გამოიხეხე, ის მოდის... ის
უკვე აქ არის!

როზინა — მატარებელი?

პიკოლო — მგზავრი მოდის, მგზავრი.

როზინა — ჩქარა, პიკოლო, მის ოლიმპოსობას
აღწიებ.

(პიკოლო გადის. შემოდის იკაროსი).

იკაროსი — მატარებელს ელოდებით?

როზინა — მოგზაურობისთვის სად მცალია!
მე აქ საკეანძო მოვალუობებს ვასრულებ: ვარ
მოლარე, დამლაგებელი და რადიოსადგურ
„მღალადებლის“ ნამყვანია.

იკაროსი — აჰ, ეს ხომ ის რადიოსადგურია,
ვერცერთი ტალღა რომ ვერ ახშობს! თქვენ
როზინა გქვიათ, ხომ ასეა?

როზინა — დიხს. თქვენ საიდან საით, მგზავე-
რო?

იკაროსი — მე — ზემოდან ქვემოთ.

როზინა — ჩვენზე ზემოთ ნუთუ არსებობს რა-
მე? მთვარეს არ ეთვლი, რადგან შინაურია: მი-
სი დიდი ბაბუა და ბებიჩემის ძმა ნათესავები
ყოფილან. ერთმანეთში დიდი მისვლა-მოსვლა
და პურ-მარილობა ჰქონიათ. ეს კი, ეს გაჭირვე-
ბული, ისე გვეცოდება, რომ შუქს სამადლოდ
ვართმევთ, თორემ სხვი ჩვენ კაი ხანია აღარ
გვჭირდება. ერთხელ მთვარემ მწვანისის და-
სათესად დამიძახა. ავედი, მივეხმარე, წინმატი
დავუთესე, მაგრამ გვალვამ სულ მოუსპო. ამის
მერე ჩავარდა დარდში. მოვა, დამადგება თავზე

სევდიანი სახით. მეც ბებიაჩემის ძმის ხათრით
არაფერს ვეუბნები, თორემ შავ ხერცხლი, ამხე-
ლა გზაზე რომ დაგვემგზავრა, რა იმედით, ბა-
ტრონი?

იკაროსი — ბებიათქვენი ძმა ვინ იყო?

როზინა — პოეტო-ასტრონავტი. მორიგი კოს-
მოსლორ მოგზაურობის დროს დაიღუპა. მთვა-
რის მაგივრად შემთხვევით დედამინაზე დაა-
ჯინა ხომალდი. არ ესიამოვნათ ეს დედამინე-
ლებს, „ლიმონკა“ ესროლეს და გადარჩა, ტყვედ
ჩავარდა და გაიქცა, სდვის — ვერ დაიჭირეს,
ბოლოს, საკუთარი გასროლილი ბუმერანგი
მოხვდა და იქვე გაათავდა, სახყალი.

იკაროსი — რა გენყინოთ, მაგრამ...

როზინა — არ მაგრამ?

იკაროსი — როგორ გითხრათ... თქვენზე მალ-
ლა არის კიდევ რალაც...

როზინა — დარწმუნებული ხართ?

იკაროსი — საკუთარი თვალით ვნახე. ის არის
კაშკაშა, ცეცხლოვანი. მას მზე ჰქვია.

როზინა — ჩვენზე მალლა ისევე გართ. ასე
რომ, მზისთვის ადგილი აღარ დავტოვეთ.

იკაროსი — ის არსებობს. მან მწველი სხივები
შემახო და ფრთები ფერფლად მიქცია.

როზინა — ქვები?

იკაროსი — მე ფრთები დავკარგე.

როზინა — მე კი მომესმა „ქვები“. რა გქვიათ?

იკაროსი — მე იკაროსი ვარ.

როზინა — არის ან სახელში რალაც იდუმალი,
არამნიერი... თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა
არ აქვს. მთავარი ის არის, რომ თქვენ ჩვენი
სადგურის მგზავრი ხართ. ამ საღამოს მისი
ოლიმპოსობა, სადგურის მფლობელი, პირადად
დაგაჯულიდოვებთ მატარებლის ბილეთით.

იკაროსი — ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ აქე-
დან ნასვლა ჯერ არ მიფიქრია.

როზინა — თქვენს გამგზავრებაზე მისი ოლიმ-
პოსობა იფიქრებს. ყოველ შემთხვევაში, უბი-
ლეთოდ მაინც არ დაგტოვებთ... აი, ისიც თავის
ქალიშვილთან ერთად მობრძანდება!

(შემოდან ოლიმპო და ევა).

როზინა — თქვენო ოლიმპოსობაე! სადგურში
მგზავრი მოვიდა, რომელსაც ქვები დაეკარგა.

იკაროსი — მე ფრთები დავკარგე.

როზინა — მოულოდნელად დაგვატყდა თავს,
თითქოს ციდან ჩამოვარდაო. კიდევ კარგი,
ქვები დაკარგა. სეტყვასავით დაგვიშენდა.

იკაროსი — მე ფრთები დავკარგე.

ოლიმპო — გამოგიტყდებით, ზოგჯერ მეც სურ-
ვილი მიმყრობს, ავინთა მალლა, ცის თალისკენ,
მაგრამ ცხოვრება ისეთი კედელია წმანვილო,
რომლის სიმაღლე ზეცაზე მალალია.

როზინა — ასე რომ, ქვებზე ნულარ იფიქრებთ.

იკაროსი — ჩემი ფრთები იმდენად საოცა-
რია, რომ მასთან შედარებით თქვენი შრომა
და გნებები ოკეანეში ჩაძირული კენჭებოვით
უმნიშვნელო ჩანს.

ოლიმპო — ჩვენთან, სადგურში, მძიმე ტვირ-

თი სასტიკად აკრძალულია, თავს ვიზღვევთ ზედმეტი ბარგისგან, რომელიც შეიძლება კატასტროფის მიზეზი გახდეს. სამაგიეროდ, ბილეთის ქონა აუცილებელია. (როზინა ოლიმპოს სალაროში დარჩენილ ბილეთს მიაბრუნებს)... აი, ეს ბილეთი ყმანვილო, მგზავრის ჯილდოა. (ოლიმპო ბილეთს იკაროსს აძლევს).

იკაროსი — ეს ხომ ლატარის ბილეთია!

ოლიმპო — გილოცავთ იღბლიან ბილეთს: თქვენ მოიგეთ მატარებლის ბილეთი, ისიც მოგვებანი და კიდევ ერთხელ გილოცავთ: თქვენ მოიგეთ ტურისტული საგზური (საგზურს აძლევს). ამ საგზურით თქვენ ციმბირის თოვლიან ტყეებში დაისვენებთ. დაბრძანდით (ქალბატონი გოტბერგის სკამს სთავაზობს) და დაელოდეთ თქვენს მატარებელს.

იკაროსი (ქალბატონი გოტბერგის სკამზე ჯდება) — მე არ ვაპირებ გამგზავრებას.

ოლიმპო — მგზავრი ყოველთვის მზად უნდა იყოს მგზავრობისთვის.

იკაროსი — მე თქვენთან ჩამოვედი.

ვეა — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სიზმრების სამყაროში. თქვენ პატივი გაქვთ მთელი ღამე ჩვენთან ერთად გაატაროთ. აქ კი მუდამ მწუხრის სიო ჰქვრის და ღამე გრძელია. შეიძლება ითქვას, რომ თავად დრო შეუერთდა ღამეს და იგი მარადისობად აქცია.

იკაროსი — თუნდაც ბნელ ღამეში იყოთ გამოკეტილი, თქვენს გულში მზის სხივი ფეთქავს.

ვეა — მზე შორსაა, როგორც მიუნდომელი ოცნება.

(ვეა მიდის).

ოლიმპო — რაც დედამისმა სული უფალს მიაბარა, ევას სახეზე ღიმილი აღარ მინახავს. ჩემი მუდულე, გულსუნდა, განსაკუთრებული ქალი იყო. საქმე იმაში გახლავთ, რომ გულსუნდამ მატარებლის მართვა მოინდომა: მომბეზრდა ავტომანქანებში. თუ მატარებელს არ მიყვია, თავს მოვიკლავო. მეც ცოლის თავშესაქცევად პატარა სადგურის აშენება დავიწყე. 25 წელი ვაშენებდი სადგურს, ვიდრე გულსუნდა არ გარდაიცვალა. ცოლზე მგლოვიარეს მატარებლის შექენა არც გამახსენებია, მაგრამ ხალხში ხმა გავარდა, სადგური აშენდა და მალე პირველი მგზავრებიც გამოჩნდნენ: ატილა, კარლოს დიდი, რიჩარდ ლომილე...
იკაროსი — მატარებლის გარეშე სადგურს რა აზრი აქვს?

ოლიმპო — მატარებელი მხოლოდ უმნიშვნელო დეტალია.

იკაროსი — მაშინ რა არის მნიშვნელოვანი?

ოლიმპო — მგზავრები, ყმანვილო, მგზავრები! ყოველი მგზავრი მნიშვნელოვანია, საბატოა. ამ სადგურის ხშირი სტუმრები იყვნენ: ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტე და სხვები.

იკაროსი — ახლა სად არიან თქვენი წარჩინე-

ბული მგზავრები? მათი ადგილი მოსაწყენმა სიცარიელემ დაისაკუთრა.

ოლიმპო — მათ დრო-ჟამს გაუძლეს, ძლიეს დროსაც და უდროობასაც, მაგრამ თავისი ბუნება არ შეუცვლიათ! დიდგვაროვანმა მგზავრებმა დაყინებით მოთხოვეს პირადი მატარებლები, ინდივიდუალური განრიგები თუ სხვა პრივილეგიები. ვითარება ისე გამწვავდა, რომ მატარებლის დაგვიანების გამო, ნაპოლეონ ბონაპარტე ომის დაწყებით იმუქრებოდა, რიჩარდ III ფარულად ჩემს დამხობას გეგმავდა, ხოლო თავადები გაუთავებელ ინტრიგებს ხლართავდნენ. იმუღებული ვახვდი ბაქანზე მგზავრების შეკრება სასტიკად ამეკრძალა. როგორც კი მათი საეჭუო თავყრილობა დაეშალე, სადგურში წესრიგი დამყარდა. თანდათან ბაქანზე მხოლოდ მშვიდი, წყნარი ბუნების მგზავრები შემორჩნენ. სხვათაშორის, სკამზე, სადაც ახლა თქვენ ზიხართ, უნინ მშვიდად განისვენებდა ქვენი ყველაზე უტყვი მგზავრი, უსათნოესი ქალბატონი გოტბერგი.

როზინა — იმ ზამთარს, როცა ქალბატონი გოტბერგის გარდაცვალება ჩემთვის ცხადი შეიქენა, დიდი თოვლი მოვიდა. სადგური ნამქერმა დაფარა და ლიანდაგი აღარ ჩანდა...

ოლიმპო — როზინა, სადგური ნამქერმა კი დაფარა, მაგრამ ლიანდაგი მაინც ჩანდა.

როზინა — მთელი სადგური თოვლმა დაფარა. ალბათ, ლიანდაგი ჩანდა.

ოლიმპო — „ალბათ“ ამოიღე.

როზინა — ლიანდაგი აქა-იქ მოჩანდა.

ოლიმპო — აქა-იქ?

როზინა — კარგად ჩანდა, რომ ლიანდაგი ჩანდა.

ოლიმპო — ეს უკეთესია. შემდეგ!

როზინა — თოვლის ცივ ფანტელებს შორის მე თოვლის ქალი შევნიშნე, რომელიც ძალიან ჰგავდა ქალბატონ გოტბერგს. მე მას მიუახლოვდი. „გამარჯობა“ — თქვა მან.

ოლიმპო — მას არაფერი უთქვამს.

როზინა — ერთი სიტყვით. . .

ოლიმპო — უფრო განავრცე!

როზინა — მე თოვლის ქალის მკაცრ სახეს მივაშტერდი. დიდხანს მივშტერებოდი. თანდათან მეც ყინული მომეკიდა. ველარ მოვითმინე და ღრმად ჩავხვეული. ჩემს სუსტ ხველას ვიღაც გამოეხმაურა.

ოლიმპო — ვის ეცალა შენთვის!

როზინა — ეს თოვლის ქალი იყო. მან ძლიეს გასაგონი ხმით მითხრა: „რა უსახელოდ კვდები, როზინა.“ ამის გაგონებაზე ზურგი შევაქციე თოვლის ქალს და ლიანდაგთან დავებრუნდი, რომელიც ნამქერს...

ოლიმპო — არ უღერს, მარჩილი აკლია.

როზინა — რომელსაც მარჩილი მოვაყარე.

ოლიმპო — კარგად მოგიფიქრებია.

როზინა — აბა, რა ეგონა ქალბატონ გოტ-

ბერგს? თან გადაფეხვებოდი? ყავას საკმარისად დამაქურულს თუ არ მივართმევდი, სკამით მცემდა...
ოლიმპო — რატომ ვერ გიტანდა?
როზინა — წუნურაქი ხარო, მებრალეხდა.

ოლიმპო — რაც იყო, იყო, რაც არ უნდა იყოს, მგზავრი გვეწვია: მამაცი მოგზავური!
როზინა — მამაცი მოგზავური! გაუმარჯოს იკა-როსს!

ოლიმპო — მაგრამ სიხარულმა კი არ უნდა დაგვავბრძავოს!
როზინა — ჰო, სიხარულმა კი არ უნდა დაგვავბრძავოს!

ოლიმპო — კარგად დააკვირდი მგზავრს, როზინა!... არა, არ მომინოს! ზერელედ გამოვდის. უფრო ღრმა, გამჭოლი მზურა მინდა! მგზავრი, მზერით გაპკეეთე!... აი, ასე უკვე არა უშავს! ახლა დაკვირვების შედეგი მომახსენე!
როზინა — მგზავრს ნაღვლიანი თვალები აქვს.

ოლიმპო — უგუნურო! მის სამოსელს შეხედე! იცოდ, ტანისამოსს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი სადგურის მგზავრს კარგად უნდა ეცვას. ნარმოადგინე, რომ მატარებელი მოვიდა. ჩემს მგზავრს კი ამ დროს „სეკონდ ჰენდის“ ძონძე-ი აცვია, არა, რისკს ვერ გავწევ. ჩემი მგზავრი სამყაროს რომელ ნაწილშიც არ უნდა აღმოჩნდეს, იქ სადგურის სახე ღირსეულად უნდა წარმოაჩინოს. ამიტომ, ციმბირის საგზურს თან თბილი სამოსიც უნდა ვაახლოთ.

როზინა (იკაროსს) — მობრძანდით, ტანსაცმელი მოირგეთ.

იკაროსი — ფეხსაც არ მოვიცევი. მე არ მინდა ციმბირში.

ოლიმპო — როზინა, მამაც მოგზავურს ზამთრის კოლექციის საუკეთესო მოდელები შეურჩიეთ! (ოლიმპო მიდის).

როზინა — აი, ეს სიასამურის ქურქი მოიზომეთ, გეთაყვა.

იკაროსი — უკვე ვითხარით, რომ არ ვაპირებ...
როზინა — ეს ნიანგის ტყავით განყობილი ბუნვის ქუდი, სპეციალურად ამბიციური მგზავრებისათვის არის შექმნილი.

იკაროსი — არ მინდა ციმბირში, არ მინდა!

როზინა — ჩექმები ზღვის კატის ტყავისაა.

იკაროსი — ხომ აგისხენით...
როზინა — იქნებ ფიქრობთ, რომ ხელოვნური ტყავისა და ბუნებულის შემოტყუებას ვცდილობ?

იკაროსი — როგორ გეკადრებთ!

როზინა — არა, არა, რა თქმა უნდა, თქვენ უფლება გაქვთ ეჭვი შეიტანათ...
იკაროსი — მე ეს არ მითქვამს...
როზინა — მაგრამ არ იცვამთ. თქვენ ექსკლუზიურ კოლექციას ინუნებთ!

იკაროსი — მე არ ვინუნებ...
როზინა — ქალბატონი გოტბერგი ასე არ მოიქცეოდა! სიხარულით ჩაიცვამდა თუნდაც აი, ამ

თბილ წინდებს, რომელიც მე მისი ოლიმპოსობისათვის მოვესოვე, მან კი დრო ვერ გამოინახა, რომ ერთხელ მაინც ჩაეცვა. სადღა არიან ახლა ქალბატონი გოტბერგისთანა დახვეწილი გემოვნების ადამიანები! მისი დატირების ღირსიც არ ვარ! კლიმატს რომ არ დაეჩავრა და არ გაყინულიყო, მას მისი ოლიმპოსობა უთუთად ციმბირში გაისტუმრებდა! რა დასანაწია, რომ არ დასცალდა ამ გრანდიოზულ პროექტში მონაწილეობა! ცუდ დროს მივგატოვა ქალბატონმა გოტბერგმა! ახლა მის გარეშე რა გვეწვლება? ციმბირში ვინ გავეთქვამს სახელს? **იკაროსი** — ნუ ტირით, მე... მე ნავალ ქალბატონი გოტბერგის მაგვირად ციმბირში, თუ ეს ასე მნიშვნელოვანია...
როზინა — ჩინებულის! თქვენი სამოსით ციმბირულ დათვებს გადარევთ! დაეცემიან, როცა უკანასკნელ მოდაზე შექმნილ ქურქს იხილავენ!

იკაროსი — ოღონდ ერთი შენიშვნა მაქვს...
როზინა — გასაგებია: თქვენი სპილოს ძვლის ღილები არ მოგწონთ. პრობლემა არ არის, შემიძლია სხვა მასალა შემოგთავაზოთ: კუს ბაკანი, ცხენირმის რქა...
იკაროსი — არა, არა, ღილები საესებით მაკმაყოფილებს. ჩემი აზრით, ამ კომპლექტს ტურისტის კონსერვი აკლავს.

როზინა — ერთი მითხარით, რა ბედენაა კონსერვის ქილა ციმბირის მშვიერ ზამთარში, თუკი ზემალაღი იდეა არ გასაზრდოებთ?

იკაროსი — ეგ ზემალაღი იდეა რას გულისხმობს?

როზინა — არ, მაგალითად: იდეა არსებობის არსის ახსნის არსებითობისა, იდეა ართიმეტიკული არეალის რითმიკისა, იდეა არსებობათმორისი ართიმოისა! იდეების მეტი რა არის!

იკაროსი — ერთი იდეა მაქვს: ყოველი შემთხვევისათვის, ციმბირში რეზინაც გამატანეთ.

როზინა — ქვა რომ მქონოდა, მწარედ გამოგიქანებდი!

იკაროსი — დიდად დამაველებთ, თუ ერთ კონსერვსაც მტყორცნით.

როზინა — უპატრიელ კუნძულზე პარამუტიტ ჩამოგიგდებთ... პარამუტიტ კინალამ დამავენიყდა!

იკაროსი — რა პარამუტიტ?
როზინა — ნამოღით, აუცილებლად უნდა მოგცეთ.

(როზინა და იკაროსი მიდიან. შემოდიან ოლიმპო და ცირცვა).

ცირცვა — უჰ, კარგი იყო!
ოლიმპო — რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა მთვარის აბაზანა!

ცირცვა — თუმცა საკმარისად მომბეზრდა. ზევსს უნდა ვუთხრა, რომ ჩემთვის ახალი მნათობები შექმნას.

ოლიმპო — კიდევ კარგი, რომ ზევსი არ ვარ!...



დაჯექი ცირცვა (ქალბატონი გოტბერგის სკამს სთავაზობს).

ცირცვა — არ მინდა, შეზღონდები დიდხანს ვინეტი. შენ დაჯექი.

ოლიმპო — მეც ფეხზე დგომა მირჩევნია.

ცირცვა — ისე მომეჩვენა, რომ შენი ნაწუქარი მატარებელით გასეირნებაზე უარს არ ვიტყოდი!

ოლიმპო — ძალიან კარგი. დაჯექი ქალბატონი გოტბერგის სკამზე და რამდენიც გინდა, ელოდე მატარებელს.

ცირცვა — ისეთი რამ ჩაიღინე, რაც ამაღელვებს.

ოლიმპო (ცირცვას კონცანს ცდილობს) — ჯერ მთვარე ჩააქუქე!

ოლიმპო — ამის გერიდება? ეს აქაური, ჩვენებული მთვარეა, ეგეც მატარებელს ელოდება. სულ გზას გაჰყურებს და იმის იქით რა ხდება, არ ინტერესდება.

ცირცვა — შენი იდუმალი მგზავრი მაინც გამაცანი. შორიდან მოდის, ქვეყნად რა ხდება, მოგვფევებოდა.

ოლიმპო — უქო?

ცირცვა — თორემ ჩვენ ვიყოთ ქვიანები!

ოლიმპო — იმას ახლა ისე სცხელა, ისე სცხელა!

ცირცვა — რატომ?

ოლიმპო — ქურქი ჩავაცვი.

ცირცვა — რატომ?

ოლიმპო — მას მომგებინა ბილეთი შეხვდა.

ცირცვა — მატარებლის ბილეთის მაგივრად ლატარიის ბილეთი აწუქე? რატომ?

ოლიმპო — რა არის ამაში ცუდი? მგზავრმა ტურისტული საგზურიც მოივო და მოგზაურებისათვის საჭირო აღჭურვილობაც.

ცირცვა — საგზური რად უნდა, თუ მატარებელი არ არის?

ოლიმპო — იმიტომ, რომ მატარებელი მთავარი არ არის, და მოერჩეთ!

ცირცვა — შენ კი აღელდი, მაგრამ მე?

ოლიმპო — მოდი ჩემთან, მე ავალელებ (ცირცვას კონცანს)...

(შემოდის პიკოლო).

პიკოლო — წყნარი საღამოა. რა სჯობია სადგურის ბაქანზე ლამისთევას: ნეგხარ გულაღმა და ვარსკვლავებს შესცქერი, მერე თვალებს ხუჭავ და შენი ოცნების ფინალი გესიზმრება...

ოლიმპო (ცირცვას კონცანს) — ოჰ, რა მაგარი ქალი ხარ!

ცირცვა — აჰ, ოლიმპო . . .

პიკოლო — რაც გინდათ ის იფიქრეთ, გნებავთ, შემეკამათეთ, მაგრამ ტექნიკური პროგრესი მაინც გაიმარჯვებს ცხოველურ ვნებებზე: "ჰომო საბიენსი" გამოიგონებს ზებორბალს, გააკეთებს ზეძრავას და ბოლოსდაბოლოს, შექმნის ზემატარებელს, რომელიც ქვესადაფურებიდან, ზესადაფურებისაკენ აიჭრება!

ცირცვა — რა ეგზოტიკური სიზმარია! ძრავა,

მატარებელი... რა ემოციური ხარ, პიკოლო!
ოლიმპო — ზედმეტად ემოციურია! ასე არ შეიძლება ყმატროლო, თორემ გაგიფედები.
პიკოლო — შეშლილის სიტყვაშიც მოიძებნება სიმართლის მარცვალთ.

ოლიმპო — შენი სიზმარი შესანიშნავი სიუჟეტია ფანტასტიკური ფანრის რომანისათვის. ნერე ყმანელი ფანტასტიკა, რა შენი საქმეა სიტყვებში სიმართლის გარევა.

პიკოლო — ფანტასტიკური ხასიათის ლექსი რომ წავიკითხოთ, შეიძლება?

ცირცვა — შე და ოლიმპო ჭკუას ეკარგავთ ფანტასტიკაზე! გისმენთ, პიკოლო.

პიკოლო — ხე მარადმწვანე და ჭიანჭველები, ცხოველებდენ ასფალტის ბაღში, სადაც სეირნობდა რკინის ხალხი, მაგრამ, როდესაც ხემ სიმაღლით და სიდიადით დაჩრდილა ჭიანჭველების ბუდე და კომლი, ჭიანჭველებმა ააშუქეს კოშკი,

აკოცდნენ მალა და გადმოიხედეს: ხე კოშკიდან ჩანდა ისეთი ტანმორჩილი,

და ამგვარი გართობით ისე გახალისდნენ ჭიანჭველები,

რომ კოშკის ამღობა დაიწყეს, სადაც, ღრუბლებში,

ციურ ტრამალებში ავიდნენ ხითხითით და კოსმოსში გაუჩრდნენ.

ვერც ხემ იხიერა თვისი სიმაღლით და სიდიადით:

რკინის ხალხმა იგი მოჭრა, რადგან რკინას არ სჭირდება ჩრდილი.

ცირცვა — ფანტასტიკური! განსაკუთრებით სანტერესოა სტროფემორის არსებულ სიერცებში გაბნეული აზრები.

ოლიმპო — მაგრამ ზოგიერთი სიმბოლო ბუნდოვანია. თუნდაც, "რკინის ხალხში" ვის გულისხმობთ?

პიკოლო — რობოტებს.

ცირცვა — უაღრესად სექსუალურია! გირჩევთ, ეროტიკულ პროზაში სცადოთ კალამი.

ოლიმპო — ლიტერატურული საღამო მეტიმეტად გაგიგარდელდა! ნავიდეთ ცირცვა, გაეცხეირნოთ, საღამოს მაციონი ორივეს ვაგარებს.

პიკოლო — სულ დავიბენი, თქვენი ოლიმპოსობა: ეროტიკულ პროზას დავეწაფო თუ მაინც რომოტებისა და ეროტიკის პოეტურ შერწყმავზე ნაეიმუშაო?

ოლიმპო — ბაქანს მიხედე! . . . ტუტუცო!

(ოლიმპო და ცირცვა ერთად მიდიან.

პიკოლო მათ მიჰყვება.

შემოდინ იკაროსი და ცირცვა).

იკაროსი — კარავი მიქვს, კომპასიც. დათვების დასათვლელად კალკულატორიც მომცა, მაგრამ კონსერვი მაინც დამაკლო! უმორჩილესად გთხოვთ, მიშუამდგომლოთ როზინასთან, რომ მოგზაურის სრული აღჭურვილობა მომცეს.

ევა — მადროვეთ! თქვენს სამოსს კარგად უნდა შეეხედო. . . არა, მაინც ვერ მივხვდი: რომელ მო-

დაზე გაცვიათ? არ გეჩვენებათ, რომ პარამუტი მეტად უცნაური აქსესუარია? ჩემს მეგობარს, ჯოკონდას რომ ენახეთ, ღიმილს ვერ შეიკავენა. მე სხვა სამოსს შეგირჩევთ.

იკაროსი — რა საჭიროა? ეს — სიასამურის ბენვის ქურქია, ჩექმებიც ნაღდი ტყავისაა!
ევა — ახლავე გაიხადეთ!

იკაროსი — რა გავიხადო?

ევა — დაბეჯითებით მივითხოვე: შეწყვიტეთ ცხოველთა ექსპლუატაცია, გაიხადეთ ბენვეულის სამოსი!

იკაროსი — დიახ, ახლავე... ახლავე... თქვენ სავსებით მართალი ხართ. მე უნდა გამეთვალისწინებინა ცხოველთა დაცვის საზოგადოების აზრი.

ევა — სწორედ ასე უნდა მოქცეულიყავით... ახლა აი, ეს რანდის სამოსი ჩაიცვით... აბა, კარგად მომიხმინე, ლომგულო რაინდო: ამ საღამოს პარციფალთან გაემგზავრები, გრაალის მცველთან. შემდეგ ზიგფრიდსაც ენვევით და მეფე არტურსაც, ეტყვი, რომ ჟამი დადგა მათი გამოჩენისა!

იკაროსი — ოჰ, ჩემო ქალბატონო, თქვენს წინაშე მუხლს ვიყრი და შემოგფიცებთ, რომ ამიერიდან დავიცავ თქვენს ღირსებას, თქვენთვის ჩავიდევ მრავალ გმირობას!... თქვენ იცინით? ნუთუ სიზმარი არ არის ეს მზის ბადალი ღიმილი?

ევა — ჩემო რაინდო, ჩემი სიცილი, თქვენი სამოსი — ერთი თამაშის ნაწილია.

იკაროსი — თქვენ გეშინიათ . . . სიმართლის გეშინიათ. სიცილიც და სამოსიც — ორივე ნიღაბია.

ევა — ჩვენი სიმართლე თამაში არის. თქვენი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი სიმართლისთვის, სრულიად მოუზმადებელი აღმოჩნდით. არ მესმის, ჩვენთან რისთვის ჩამოხვედით?

იკაროსი — მე მინდა სასწაული გაჩუქოთ... გესმით? საათმა დაჰკრა!

საათის სიმღერა: — „შშვენიერება უკედავია, მე შენ მიყვარხარ, ევა.“

ევა — საათი მღერის! მე, დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ მხოლოდ ძვირფას ქვებში ერკვეოდით, ახლა კი ვხედავ, რომ საათის ცნობაც მკაძლებიათ.

იკაროსი — თქვენ ჩემი არ გჯერათ . . . ფრთები რომ მქონდა, ყველაფერს მიხედებოდით.

ევა — მაშინ რას ჩაიდენდით?

იკაროსი — მე თქვენ მზეს გაჩვენებდით.

(იკაროსი და ევა მიდიან.)
შემოდინ პიკოლო და როზინა, და ბაქანის დასუფთავებას იწყებენ).

საათის სიმღერა: — „რა ნათელი დღეა, ჭიკჭიკებენ საათები, ხარობს ჩვენი ბუნება და ზეცა, რა ნათელი დღეა,

ჭიკჭიკებენ საათები, ხარობს ჩვენი ბუნება და ზეცა, რა ნათელი დღეა, ჭიკჭიკებენ საათები, ჭიკჭიკებენ საათები, ჭიკჭიკებენ საათები...“

პიკოლო — როზინა, შენმა რადიომ ჩაიხვია.

როზინა — ჯერ ერთი, არ ჩაუხვევია, უბრალოდ, ეს ძალიან ვრცელი სიმღერაა, მეორეც, რადიო არაფერ შუაშია. ეს, საათი მღერის თავგამოდებით.

პიკოლო — როგორ, აი, ეს თავგაბრტყელებული ხმის ამოღებას ბედავს?

როზინა — მერ რა, რომ გამოუცდელი მომღერალია! თანდათან დაიხვენება.

პიკოლო — თუ კიდევ იჭიკჭიკებს, თავს მეორედ ვავებურტყელებ.

(საათი სიმღერას შეწყვეტს და ნიკნიეზე გადადის).

როზინა — გედევით ტკბილად მღეროდა.

პიკოლო — კიდევ დადუმდა, ველარ იმღერებს.

როზინა — მაგრამ სადგურში ახლა იღუმალის ხმა გაისმა.

როზინა — თითქოს ვიღაც გვიახლოვდება...

პიკოლო — შო, ვიღაც გვითვალთვალებს, გვიწაფრთვდება . . .

როზინა — აბა, ვახედე ერთი ვინ არის, ფანარი ნაილე თან.

პიკოლო — გამოვიჭირე! ისეც ეს არის, ეს თავგაბრტყელებული! ჩუმი ნიკნიკით, ჩუმი ყვირილით, აღარ გვახსენებს! აღარ გაჩერდა!

როზინა — ნავსიანი საღამოა. მატარებელი ისეც არ მოვიდა. ამასობაში მოვიდა მგზავრი, რომელმაც სინდისიერი სანტენტიკოსივით იმდენი უტრიალა საათს, რომ აარაკაკა.

პიკოლო — თუ თავანწყვეტილი მღერა-ნიკნიკი მგზავრმა ასწავლა?

როზინა — შო, ქვების ქვებით ჩვენი უფრო საათიც კი ნყობიდან გამოიყვანა. ეს კიდევ არაფერი... სხვა უფრო ძნელად ითქმის...

პიკოლო — კიდევ რა მოხდა?

როზინა — შეთხვევით ქალბატონი გოტბერგის სკამზე დაეჯექი.

პიკოლო — ნუ გეშინია, დაგასაფლავებთ.

როზინა — შენ იყავი გულარხინად და, რაც მე მოვისმინე, მიკვირს, ზეცა როგორ ითმობს!

პიკოლო — რა, სკამზეც ენა ამოიღვა?

როზინა — ვზივარ სკამზე ჩემთვის, წყნარად.

ასე მგონია, ღმერთებმა უკვე წამიყვანეს და ინგლისის ტახტზე დამსვეს. ოდნავ დარწმუნებელი ვზივარ და გვირგვინს ველოდები. ამ დროს რა მესმის? იკაროსი თავის დაკარგულ ქვებს ევას აცოდებს. ევაც თანავარძნობით უსმენს. ქვებზე ჩიჩინით კინალამ ჩაქოლა საბრალლო ვაგო. მაგრამ ის მაინც უთმენს. სულ დაკარგა თავმოყვარეობა. იქნებ მამამისი ჩაეროთ?

პიკოლო — კარგი აზრია.

(შემოდინი ოლიმპო და ცირცეა)

ცირცეა — ამათ შეხედეთ, ისევე მატარებელზე ჩურჩულებენ.

როზინა — თქვენი მატარებელი ჩვენ სულ არ გვაინტერესებს. ჩვენ უფრო მაგარ რამეზე ვფიქრობთ.

ოლიმპო — აქ შეთქმულების სუნი ტრიალებს! როზინა, აბა კარგად დაფიქრდი და მერე მიბასუხე: რა შეიძლება იყოს უფრო მაგარი?

პიკოლო — რა თქმა უნდა...

ოლიმპო — შენ ჩუ! ამათ მინდა მიბასუხოს, ამ უტყვიანო, ამათ!

როზინა — ქვე...

ოლიმპო — როგორ?

როზინა — ქვები, თქვენო ოლიმპოსობავ.

ოლიმპო — რომელი კლასში ხარ?

როზინა — ყოველთვის პირველი კლასის მატარებლის იმედი მქონდა.

ოლიმპო — გადახვალ პლაცკარტში.

როზინა — ყველაფერი მგზავრის ბრალია თქვენო ოლიმპოსობავ! იმან ავივრია თავგზა!

ოლიმპო — მგზავრმა? ან მგზავრი, მამ! გადადი ისევე პირველში!

როზინა — უხ, რა მაგარი ვარ!

პიკოლო — მე და როზინამ ერთმანეთს სწორედ მგზავრზე და იმ მშვენიერ არსებაზე გადაუქარით სიტყვა...

ოლიმპო — რომელი ფერი დააბრმავა თავისი ქვები? სხვისი ბუნდერების არ მშურს, მაგრამ არც მკურა.

პიკოლო — არ ვიცით იმ ფერის სახელი.

ოლიმპო — ანუ?

პიკოლო — არ ვიცით, როგორ გითხრათ...

როზინა — დეტალებზე მე გაცნობებთ, როცა რადიოტალღებით სივანდი მომივა, რომ ევა და იკაროსი ქვებივით ჩაცვივდნენ ათენის აეროპორტში.

ოლიმპო — პიკოლო, რამეს ხომ არ დაამატებდი?

პიკოლო — არა, თქვენო ოლიმპოსობავ.

ოლიმპო — იქნებ ორიოდ სიტყვით აეროპორტზე გეთქვათ?

პიკოლო — ეს სასაცილო, სულელური გამოთქვაში პირველად მესმის.

ოლიმპო — მაშინ დღევანდელ კონფერენციას ჩაშლილად ვაცხადებ. დოყლაპიებო! ახლავე დაიშალეთ! ეს ეპიზოდი საერთოდ ამოიღეთ სპექტაკლიდან! სადგურის დასუფთავება განაგრძეთ! კოსმოსური მტერის ნამტყციც არსად ვნახო! ცირცეა! შენ...

ცირცეა — ოჰ, ოლიმპო, შენს «გიოლ ფრენდს» მტერს მაიკარებ?

ოლიმპო — არა, როგორ დაგაჭერინებ შენ ცოცხს და აქანდავს! შენ უნდა დაისვენო.

ცირცეა — შენც საფუძვლიანი დასვენება გჭირდება. მოდი, ზღვაზე წავიდეთ.

ოლიმპო — შულამისას ყველაფერს კარგი ძილი სჯობია.

ცირცეა — მე არ მძინება.

ოლიმპო — უძილობის დასაძლევად არსებობს უეზარი საშუალება.

ცირცეა — ასი ცხვარი უნდა დავითვალო? რა მოსაწყენია!

ოლიმპო — შენ ძილის აბები უნდა მიიღო, ცირცეა. ეს შენ დაგამშვიდებს, შენს აღზნებულ ნარმოსასხვას დააცხრობს და შევებას მოგგვრის. ზღვა, პალმები და ჭრელი თოთიყუშები შენი გადაღლილი გონების ნაყოფია. ყველაფერი უნდა დაიფიქრო, რაც ამ სადგურის მიღმა არსებობს, რადგან ის, რაც იქ არის, სიმახინჯეა.

ცირცეა — სიმახინჯეა?

ოლიმპო — ზღაპარშიც ყველაფერი ლამაზია, მაგრამ სიყალბეა. სიყალბე სიმახინჯეა, ცირცეა. აი, ეს აბები დალიე და დაიძინე. დაიძინე, ცირცეა.

(ოლიმპო და ცირცეა მიდიან).

როზინა (ლიანდაგს მტვერსასრუტით წმინდავს. პიკოლო ნაფიქრებული ზის) — შრომამ დაგალა, პიკოლო? ბაქანი მორეცხე, თორემ მის ოლიმპოსობას ვერ გადაურჩები.

პიკოლო — იცი, როზინა, გადავწყვიტე, მემუარების წერა დაეწყო, რომ ჩვენი სადგური კაცობრიობის ისტორიას არ დაეკარგოს. პირველ რიგში იმას აღვწერ, როგორ დანვეს ამ ბაქანზე ჯორდანო ბრუნო.

როზინა — ჯორდანო ბრუნო? ეს მგზავრი არ მახსენდება. კარგად თუ ავად, მახსოვს ექიმი მევლედ ფრანკენშტაინი, გრაფი დრაკულა, ჩვენი დაუფრწყარი ქალბატონი გოტბერგი... ისიც მახსოვს, ზამთარში, როცა ძალიან აცივდა, გასათბობად მისი ოლიმპოსობის წიგნი დავწვი...

პიკოლო — სახელწოდებით «როგორ ვმართოთ ორთქმავალი». როგორ გაიმეტე?

როზინა — ჰო, დაეწვი, მაგრამ დამიჯერე პიკოლო, ჯორდანო ბრუნოსთვის მე ხელი არ მისლია!

პიკოლო — მე მხოლოდ ის მიკვირს, ჯორდანო როგორ არ გახსოვს: ცეცხლის ალი ცას სწვდებოდა, გამარჯვებას ზეიმობდა ინკეიზიცია! სადგურიდანვე ძლივს გადაურჩა, შენ კი, არაფერი გახსოვს.

როზინა — მოგონებებს გირჩვენია ბაქანი დაასუფთაო.

პიკოლო — განსაკუთრებით, გონებაში ის მატარებელი ჩამეტყდა...

როზინა — რომელი?

პიკოლო — მატარებელი 414, ნაღმზე რომ აფეთქდა... თავზარდაცემული მგზავრები ვაგონის სარკმლებიდან ხტებოდნენ. ამ არეულობაში ბავშვი ყველას დაავიწყდა: ის ცეცხლით მოცულ ვაგონში დარჩათ დედას და მის მეგობარს.

როზინა — გუმლებმა პიკოლო: მატარებელი 414 მეკოლოვებმა ჩაძირეს კარბის ზღვაში.

პიკოლო — მართალი ხარ: ნომერი შეგეშალა! თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ნომერს: ის ხომ ნამდვილად მატარებელი იყო, რომელიც ნაღმზე აუფიქსდა...

როზინა — ეგ ვატმანის ბრალია. როგორც ნესი, მატარებლები ამ სადგურს გვერდს უვლიან. **პიკოლო** — ის კი პირდაპირ ნამოვიდა. დაანვა და ნამოვიდა... ნამოვიდა, სულ წინ მიდიოდა... სად მიდიოდა? რას იქაჩებოდა? რა უნდოდა?

როზინა — ჩვენი საათივით ყოფილა: ერთი რომ ჩართო, მას შემდეგ გაჩერება აღარ მოინდომა.

პიკოლო — საათის ნიკნიკმა ლამის ტყუიდან შემშალოს! ზოგჯერ მის მონოტონურ ნიკნიკში სხვა ხმებიც ჩამეცმის და ეს, კიდევ უფრო აუტანელია. კარგად უსმინე: პირიდან ტყვიის ზუზუნნი და ჯარისკაცების შეძახილები ისმის.

როზინა — ქარი იქნება. ქარი თამაშობს ველური ალტაცებით, სხვისი განცდებით, თვითონ კი, არაფერი ტკივა, არაფერს განიცდის.

პიკოლო — იქნებ ზღვის ტალღებია? ან ქექაქუხილი? ან წვიმა?

როზინა — მო, ისევრან, დაჭრილებიც არიან, მაგრამ რა შეგვიძლია? ჩვენი სადგური ღამეში დაიკარგა. ჩვენ თუ ველარაფერს ხედავთ, ვერც ჩვენ გვხედავენ და არც ჩვენი ესმით.

პიკოლო — მე ხმაური ხელს მიძლის აზროვნებაში! აქ გაჩერება აღარ შემოძლია. ექიმი ბრუინის სახლში მოვითხოვ თავშესაფარს. ჩემი საკანი ხმაურგაუმტარი კედლებით იქნება შემოზღუდული. იქ ცხოვრებას ნამდვილ, სასარგებლო შრომას მივუძღვნი. მშვიდ გარემოში თავდაუშობავად ვნერ, ვიღვანებ, რომ ქალაქზე ფლტალურად გადავიტანო ჯორდანი ბრუნოს დაწვის ამბავი.

როზინა — ამას რომ გაიგებენ ევა და იკაროსი, შენს სანახავად ჩამოკვირდებიან.

პიკოლო — მე მათ კარს არ გავუღებ. მაგრამ როცა საჭიროდ ჩაეთვლი, მაშინ გამოვალ და მამო...

როზინა — იქნებ ნანამდე?

პიკოლო — ევა უნდა დარწმუნდეს, რომ მე დრო უქმად არ დამიკარგავს. სანამ ჯორდანიოზე ნივს არ დავნერ, მის ნახვას არც ვიფიქრებ. (შემოდან ექიმი ბრუმი და ოლიმპო).

ექიმი ბრუმი — მე ექიმი ბრუმი ვახლავართ. ეს თქვენი განცხადებაა? (პიკოლომ განცხადებას აძღვეს).

პიკოლო (განცხადებას კითხულობს): — „გნერთ რკინიგზის მუშა, იმავდროულად სადგურის სტაჟიანი მგზავრი. გაცნობებთ, რომ სადგურში მრავალწლიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში მივიღე არაერთი შრომითი ტრამევა. განსაკუთრებით მტანჯავს ხმაურის მიმართ ზემოქმედება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ცხოვოთ

მომცეთ თავშესაფარი და გამომიცოთ ხმაურგაუმტარი საკანი.”

ექიმი ბრუმი — კეთილი, ნამობრძანდით. იმედი მაქვს, ჩვენიან მოგვწონებათ.

ოლიმპო — შეჩერდი! იცი, რა ლექსებს წერს ეს ყმაწვილი? განსაკუთრებით სტროფებშირისი სივრცეები გამოირჩევა პოეტურობით. მისი შემოქმედება მეტროლ, გმირ, რკინის ხალხს ეძღვნება, რომელსაც რობოტებს უწოდებენ.

ექიმი ბრუმი — რობოტები? ეს ხომ უაღრესად ეროტიულია!

ოლიმპო — თქვენც, ასე ფიქრობთ?

ექიმი ბრუმი — რა თქმა უნდა. იცი, რა გოგონები მყავთ რობოტებს?

ოლიმპო — მითუმეტეს, ასე თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს, პოეტს, რა უნდა გიყის საკანში?

ექიმი ბრუმი — ჩემს სახლში თავს კარგად იგრძნობს, რადგან იქ ბევრს ნახავს ისეთ გამოჩენილ მოაზროვნებს, როგორებიც არიან: მფრინავი თევზის პილოტები, უცხოულანეტელები და ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ბორტინჟინრები.

ოლიმპო — ისეთ მოაზროვნეზე თუ გსმენია რამე, რომელსაც ქვემო დავიკარგა?

ექიმი ბრუმი — არა, რა თქმა უნდა.

ოლიმპო — მე ვიცნობ ერთ ყმაწვილს, რომელმაც ქვემო დაიკარგა.

ექიმი ბრუმი — უცნაური შემთხვევაა.

ოლიმპო — იკაროსი ამტკიცებს, რომ ფრთები დაიკარგა, ჩვენ კი კარგად ვიცით, საქმე ქვემოშია. ის გვარწმუნებს, რომ მის, ასე ვთქვათ, ფრთებთან შედარებით, ჩვენი შრომა და ენებები, ზღვაში ჩაძირული კენჭებივით უშიშვნელოა. ის ზომით კენჭებს ფრთებს უდარებს, ჩვენ კი უურჩევთ კენჭი ქვას შეადაროს, რაც უფრო მართებულია. ხოლო შრომა და ენებები, აქ რა შუაშია?

ექიმი ბრუმი — ყმაწვილს სიცხე ხომ არ აქვს?

ოლიმპო — დიხ, მეტად მაღალი. ცხელი უთოს ქვეშ მივიწეებული მანვეტივით იწვის და ვერ გავავარილებთ.

ექიმი — ასეთი სიმძიმის წვა და დადაგვა უთუ-ფო მის მძიმე ადმყოფობაზე მეტყველებს.

ოლიმპო — მეც იგივე აზრის ვარ.

ექიმი ბრუმი — მაჩვენეთ ის ყმაწვილი.

ოლიმპო — ის ჩვენს სადგურში დაბინავდა. მოსახეთ იკაროსი, თქვენს მყუდრო სახლში წაიყვანეთ და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ მისი ქვემი. ოღონდ, პოეტი-რობოტოლოგი მე უნდა დამითმთო.

ექიმი ბრუმი — შევთანხმდით.

(ექიმი ბრუმი მიდის).

ოლიმპო — პიკოლო, ისმინე მამა-შვილური დაროგება: არახოდეს მიატოვო შენი კუთხე, შენი სადგური. იქ მაღლა, უცხო სტიქიაში შენს გმირულ პესიმიზმს სიცოცხლე დააყრია მომავლის რწმენით აღესხა კოსმონავტები.

პიკოლო — ოღონდ, საათი გააჩუმეთ! საათი გააჩუმეთ!

ოლიმპო (საათს ბატარეას ამოცალის) — საათი რუმად არის, დუმს, ხომ ასეა როზინა?

როზინა — რა თქმა უნდა, დუმს, ჩუმად არის.

ოლიმპო — აი, ხომ ხედავ? ყველაფერმა გააიარა, ყველაფერი გაჩერდა, ჩაწყნარდა, აღარაფერი არღვევს ღამის სიჩუმეს.

პიკოლო — მხოლოდ შორიდან...

ოლიმპო — პო, მხოლოდ შორს, რაღაც ღამის ფრინველი ყვირის... ისიც მალე გაჩუმდება, გულს მოიოხებს ყვირილით, ხმის ჩახლენჯამდე იყვირებს, იტირებს და გაჩუმდება.

როზინა — აი, რა ადვილად მოგვარდა ყველაფერი.

ოლიმპო — როზინა, ლიანდაგზე! პიკოლო, ბაქანი შორეცხე!

(ოლიმპო და ექიმი ბრუმი ერთად გადაინ. როზინაც ლიანდაგის სანმენდად გადის. შემოდის იკაროსი, რომელიც საათის ისრებს შეხედავს, მიხედება, რომ საათს ბატარეები ამოცალეს)

იკაროსი (საათს) — მე რა ვითხარი, ჩემს გარდა ნურავისთან იმღერებ-თქო, ხომ ხედავ, აქ შენ "ფანები" არ გყავს.

პიკოლო — თვალს ნუ მარიდებ, მეზავრო. მეც შენსავეთ ამ სადგურის მეზავრო ვარ.

იკაროსი — თქვენი ბილეთი მიჩვენეთ.

პიკოლო — ვა, კონტროლიორი ხარ? (ბილეთს ამოიღებს და იკაროსს აძლევს). ყალბი არ გეგონოს: ოლიმპომ დამამასჩუქრა.

იკაროსი (ბილეთის წარწერას კითხულობს) — ლივერპული — მანჩესტერი.

პიკოლო — ახლა ხომ დარწმუნდი.

იკაროსი (ბილეთს ათვალიერებს) — კითხვა არ გცოდნიათ. ეს პრემიერ ლიგის ფინალური თამაშის ბილეთია.

პიკოლო — „იეს“! მიუღივარ!

იკაროსი — დროშა არ დაგვიწყდეთ! ეგ თამაში, უკვე გასულია. მანჩესტერმა მოიგო. თქვენ ფსონი ლივერპულზე გქონდათ დადებული. ნაავთი, პიკოლო.

პიკოლო — შენს დაკარგულ ქვებს მიხედვ.

იკაროსი — პო, მე ქვები დავკარგე. მთელი ტომარა. მაშიდამ სოფლიდან გამომატანა: რომ არ დაიკარგო, გზა ამ ქვებით დანიშნეო. მაინც დაფიქრე. გზა ამებნა, ღამის სიბნელეში ქვები ვეღარ ვნახე. საწყალი მაშიდაჩემი, ალბათ, როგორ ნერვიულობს! უკან მატარებლით დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ ისიც არ ჩანს. ხშირად არ დადის, ალბათ.

პიკოლო — შავ ხერეღში გაიჭედა.

იკაროსი — მაშ, ღამის გათენება აქ მომიწევს.

პიკოლო — ისედაც დიდხანს ავტიანეთ!

იკაროსი — სიტყვა მიწყინეთ? ბოდიშს გიხდით.

პიკოლო — შენი ბოდიში ვის სჭირდება? დროზე დაახვიე აქედან!

იკაროსი — თქვენი წყრომის მიზეზი ოლიმპო სანცნობარია. იმედოვანი გქონდათ, რომ როდესმე, ერთხელ მაინც ევას დიმილს ეღივებოდათ.

ბნელ სადგურში თქვენ ბედნიერი იყავით, რადგან იმ მშვენიერ ასულს თვალწინ ხედავდით, მაგრამ დამწუხრდით და გულში ავი ზრახვა ჩაიდეთ, როცა გზაზე მე გადავტელობეთ. **პიკოლო** — გამეცალე, მეზავრო.

იკაროსი — თქვენ დრო დაკარგეთ. ახლა ანტიდროს ითვლით ფუჭად. კარგად მოიტყვევით, თუ ზოგჯერ საათს მომართავთ.

პიკოლო — ვშრომობ, თავს არ ეზოგავ... არა, დრო არ დამიკარგავს. დრო თავის ნებრუნებაში ჩაიკეტა! დრო დაბრმავდა, დაყრუვდა, ხალას და შეურყეველი არაფერი შეჩინა. მე სხვა დავკარგე...

იკაროსი — ოცნება მიუწევდომელი: ევა!

პიკოლო — ნულარ მახელებ, გეტყვი: მე დედა დაეკარგე. ჩვენს შორის აღმოდებული მატარებელი ჩადა, ცეცხლის კედელი! დედამ ვეღარ დამინახა, ვეღარ მიპოვნა.

იკაროსი — თქვენ მას იპოვნით.

პიკოლო — ეგ ლაპარაკი რაღაც ხრიკია!

იკაროსი — თქვენი იმედი დაკარგეთ და უიმედობას შეეფარეთ.

პიკოლო — თავიდან მომწყედი, თორემ მოგკლავ! მე შენ დანას გაგიყრი, შენი სისხლით ბაქანს მოვრწყავ და ლიანდაგებს, ამ გაკრიანელებულ ლიანდაგებს სისხლით შეველიებ! ამ მთავარესაც სისხლით დავაბნელებ! შენს გულს ფეხებით გავსრისავ, თვალსაც ტალახით ამოგივსებ! მე შენს მოგკლავ! მოგკლავ! მოგკლავ! (იკაროსს, დანას ჩაარტყამს, დაჭრის)... უკვე სისხლისგან იცლები და ნამდვილად ჩემი ხელით გინერია სიკვდილი.

იკაროსი — შენ არაფერი იცი... შენ ვერ მომკლავ... მე წავალ... შენ ბევრს იფიქრებ... საკუთარ თავში ჩაიძირები... დაიკარგები.

(დაჭრილი იკაროსი მიდის).

პიკოლო — აქ ღამეს გაუშლია შავი ქვები, და ღამის ქვეშე, ჩამომსხდარან მეზავრნი, დალილინი შრომით, მხოლოდ ხარი მთავარისა რეკავს შორით, მიდის ღამის ქარავანი გლოვით...

(შემოდის პიკოლოს დედა).

პიკოლოს დედა — რა ბინძური, ქუჭყიანი სადგურია!

პიკოლო — მთელი საღამო ვალაგებდი, თქვენ კი ამბობთ, ბინძურიაო. აქ ყველაფერი სუფთაა: ეს სათუთი მთვარე, ეს ღრმა ღამე. აი, ეს სულ უხმარი ლიანდაგია, მას ჯერ მატარებლის ერთი ბორბალიც არ შეხებია.

პიკოლოს დედა — ამაზე რას იტყვი? განა, აი, ეს, სისხლის ლაქები არ არის? ჩანს, აქ კაცი მოუკლავთ... აი, აქ კი, ცეცხლის კვალს ვხედავ: ვიღაც დაუწვავთ... აქ აფეთქების კვალა... მატარებელი აფეთქდა, თორმეტივე ვაგონი...

პიკოლო — მშვენიერია! აი, ეს მესმის! რა კარ-
გად თქვით სისხლზე, ცეცხლზე, სიკვდილზე...
თუმცა მე ეს სრულებით აღარ მალელებს...
ყველაფერმა გაიარა, ყველაფერი ჩანყარდა...
პიკოლოს დედა — კი მაგრამ, რა არის მშვენიერ-
ი სისხლში, სიკვდილში?

პიკოლო — არაფერი, მაგრამ მე მაინც მსია-
მოვნებს, როცა ამის შესახებ ყვებით.
პიკოლოს დედა (სიგარეტს მოუკიდებს) — ყუ-
რის ნამდებმა ზმამ მოიცვა მთელი სადგური:
სისხლი, ხორცის ნაფლეთები, რკინა და მინა
ერთმანეთში აირია და იქნა სიკვდილი, ცრემ-
ლი, ვაება... უამრავი გვაში გაიტანეს, დაჭრილ-
თა კენესა სისხლის სუნით გაფლენითელ შაერში
აიჭრა და ძრწოლის მომგვრელ წველებად და-
ადგა სადგურს... აი, აქ, ამ ადგილას...

პიკოლო — უკაცრავად, სიტყვას რომ ვაწყვე-
ტინებთ, მაგრამ აქ მოწვევა სასტიკად აერქალუ-
ლია. სიგარეტის ნაწიემაც შეიძლება აფეთქება
გამოიწვიოს.
პიკოლოს დედა — ლანჩაკო, შენ მე ჭკუა რო-
გორ უნდა მახსავლო, როცა წარმოდგენა არ
გაქვს რა არის რიტორიკა და ლოგიკა, აღარ
ელაპარაკობ თეზისსა და სინთეზის შორის
სხვაობაზე! ... შა, მიდი, მონიე! (სიგარეტს სთა-
ვაზობს).

პიკოლო — არავითარ შემთხვევაში თქვენც,
გირჩევთ თავი დაანებოთ ამ... ამ
პიკოლოს დედა — რას?

პიკოლო — ისეთ რამეებს, რაც დიალექტიკური
აუცილებლობით არ არის გამოწვეული.
პიკოლოს დედა — ენაჩაიგდევა მონიე. დედის-
ტოლა ქალთან კამათს არც უნდა ბედავდე. სად
გაიზარდე შენ?

პიკოლო — აქ, სადგურში.

პიკოლოს დედა — ეს კატასტროფა!
პიკოლო — თქვენ ასე ფიქრობთ?

პიკოლოს დედა — მე ასე ვდარდობ.
პიკოლო — რას დარდობთ?

პიკოლოს დედა — ბავშვს . . . ის კი, ბავშვზე
სულ არ ფიქრობდა. უფრო სწორედ, ამისთვის
მზად არ იყო.

პიკოლო — ვინ?

პიკოლოს დედა — გიუ-გიუ.
პიკოლო — გიუ-გიუ? ქალთა უფლებების დაც-
ვის საერთაშორისო ლიგის აქტიური წევრი?

პიკოლოს დედა — დიას, სწორედ ის გიუ-გიუ.
მისი სახელი შორს არის განთქმული. ის ხომ
მოძალადე ქმრების დაუძინებელი მტერია. მან
მრავალი ქალი გამოსტაცა სასტიკ, შუბრალე-
ბულ მხეცს, რომელსაც, რატომღაც ქმარი ჰქვია.
ნღუბის წინ, როცა მე გიუ-გიუს ჩქაი პროვიცი-
ელი, გაუთლელი ქმრის შესახებ ვუცამე, მან ცი-
ვილიზებული სამყაროში გაქცევა შემომთავაზა.
მეც მოვიკიდე ხელი ბავშვს და დათქმულ დროს
მატარებლის სადგურში მივიღი. გიუ-გიუ უკვე
მელოდებოდა. ჩვენ ჩავსხედით მატარებელში

და გავემგზავრეთ. მაგრამ ცივილიზაციის კენ-
მიშავალი ლიანდაგი დანაღმული აღმოჩნდა.
აფეთქების შედეგად, მატარებელს ცეცხლი გა-
უჩნდა. გიუ-გიუმ ვაგონიდან ჩემი უვნებლად
გამოყვანა მოახერხა, რადგან ის ყველგან, ყვე-
ლა სიტუაციაში ქალთა უფლებების იცავდა.
თუმცა სიჩქარეში...
პიკოლო — სიჩქარეში?

პიკოლოს დედა — დიას, დალუპვის დიდი რის-
კი იყო... რისკი სეროზული იყო... ის არ იყო ამის-
თვის მზად... ის ხომ...
პიკოლო — ესე იგი, ბავშვის გადარჩენა ვერ
შეძლო.

პიკოლოს დედა — გიუ-გიუ მხოლოდ და მხო-
ლოდ ქალთა უფლებების დამცველი იყო და არა
გმირი.
პიკოლო — შემდეგ რა მოხდა?

პიკოლოს დედა — გიუ-გიუ ნავიდა.
პიკოლო — სად?

პიკოლოს დედა — რა თქმა უნდა, სხვა ქალე-
ბის გადასარჩენად.
პიკოლო — თქვენ?

პიკოლოს დედა — რა მე?

პიკოლო — დაკარგული ბავშვი არ გიძებნიათ?

პიკოლოს დედა — მე მასზე ვდარდობდი.
პიკოლო — ამდენ ხანს სად იყავით, რას აკე-
თებდით?

პიკოლოს დედა — თავს სხვადასხვა ასოცი-
აციებს ვფარებდი. ბოლოსდაბოლოს ისეთი
ასოციაცია შემექმნა, რომ ირლვეოდა წინააღ-
მდელობათა მთლიანობა, ირლვეოდა მიზეზთა,
შედეგთა და უშედეგობათა კავშირი. სამყარო
იძლებოდა, ნაწევრდებოდა და მტერადქცეუ-
ლი, უნაპირო სიბნელეში იძირებოდა. იქ კი,
სივრცეთა იდუმალ ნიაღში, უფლის ნებთ, რო-
დესმე, კვლავ წარმოიქმნებოდა სიცოცხლე...
პიკოლო — დედა!

პიკოლოს დედა — რა გაყვირებს! ისეთი ბებე-
რიც არ ვარ, რომ ყურს მაკლდეს.

პიკოლო — შენ ღვთაებრივად ლამაზი და ახალ-
გაზრდა ხარ, მაგრამ უკვე ოჯახის დანგრევა მო-
ასწარი. რატომ დედა, რატომ მიმატოვე? რომე-
ლი ასოციაციის ვაგონ?

პიკოლოს დედა — წარმოუდგენლად ვრცელი
წინადადებაა მამაკაცისთვის! სად გაიზარდე
შენ? აჰ, თუმცა ევ ხომ უკვე ვიცო: შენ ამ სა-
დაგული სადგურის პირმშო ხარ... რა დაგეპრო-
ბა? ... სახეზე ფერი არ გადავს...
პიკოლო — ოჰ, დედა, დედა...

პიკოლოს დედა — ხომ ვიცო: უჩემოდ რაღაცას
დაამავებდი!... რა ჩაიდანე?

პიკოლო — ისეთი არააფერი. ამ საღამოს ერთ
უცნაურ მგზავრს ვეკამათე.

პიკოლოს დედა — სულ ეს იყო?

პიკოლო — მერე კამათი სერიოზულ უთანხმო-
ებაში გადაიზარდა. შენც იცი, ეს როგორ ხდე-
ბა...



პიკოლოს დედა — მოკალი?

პიკოლო — არ მომიკლავს... დაეჭერი: ფეხზე ნელა წამოდგა, უხშირდებამეცალა.

პიკოლოს დედა — აი, როგორი დაუნდობელი გაგზარდა სადგურმა!

პიკოლო — სადგურზე აუფი აღარ დაცდეს! ცეცხლმოდებულ ვაგონში დანებს მისმა ოლიმპოსობამ, სადგურის მფლობელმა გადამარჩინა. იმ ღამიდან შეერჩი სადგურს ობოლი, მიუსაფარი ზავში. ეს სადგური ჩემი მეორე დედაა.

პიკოლოს დედა — რა სასტიკი და უღმობელო ცხოვრება! ჩვენ ტიკილის ოკეანეში მივცურავთ... მივცურავთ... არც სიყვარული, არც ნუგეში... არც ფული... ჩემი დანაზოგით სიწვერსაც ველარ ვეყოლებო.

პიკოლოს — ის სიგარეტს მისტირის!

პიკოლოს დედა — ნეტავ ერთი პატარა, სულ პატარა მანქანა მაინც მქონოდა.

პიკოლო — დედა, ბავშვობიდან შრომას ვარ მიჩვეული. დრო უქმად არ დამიკარგავს. ყველსგან ფარულად სუპერორთქლმავლის შექმნაზე ვმუშობდი და აი, ახლა, შემძლია ის შენ მზავიძევა. (ჯიბიდან სათამაშო ორთქლმავალს ამოიღებს).

პიკოლოს დედა — რა ღამაზია! შეიძლება ჩაეჯდე?

პიკოლო — რა თქმა უნდა. ამ ღილაკს თითს დააჭერ და სუპერორთქლმავალი შენთვის სასურველ ზომაზე გაიზრდება. შენ შეგიძლია ორთქლმავალში შტაბ-ბინა მოაწყო, სხვადასხვა ასოციაციის წევრებთან გამართო მიღებები, „ალა ფუშეტები“ და „ფართები“.

პიკოლოს დედა — ორთქლმავლის მართვის მასწაველი?

პიკოლო — მართვას?

პიკოლოს დედა — მოგზაურობა რომ მომიხდეს, ორთქლმავალი როგორ უნდა დაეძრ?

პიკოლო — სამწუხაროდ, არსებობს ერთი დეტალი, რომლის შექმნაც მე ვერ შევძელი. მის გარეშე ორთქლმავალს ეერ დაძრავ.

პიკოლოს დედა — რა დეტალია, რა ჰქვია?

პიკოლო — რას შევადარო? ის ბავშვივით თრთის ქარში, მტრედივით ადის ქარში.

პიკოლოს დედა — შენს ორთქლმავალს იალქანი აკლია.

პიკოლო — არა, ის იალქანი არ უნდა იყოს.

პიკოლოს დედა — ნუთუ, შენ ფრთებზე ოცნებობ?

პიკოლო — არ ვიცი, არ ვიცი! რასაც ვუყურებ, რასაც ვფიქრობ, ყველაფერი გულს მირევს. გიყურებ შენ და...

ქალი სიგარეტით — და რა?

პიკოლო — შებრალები. არ უნდა მებრალებოდე, მაგრამ... ქალბატონი გოტბერგივით მებრალები.

პიკოლოს დედა — ეგ ვინ არის?

პიკოლო — იყო ერთი, ძალიან დაიტანჯა... ის ტანჯული ადამიანი იყო. ზომ გესმის, რას ნიშნავს ტანჯული ადამიანი?

პიკოლოს დედა — ასოციაციურად ასეთი რამ არ გაიჭვია. მოდ, ჩვენ დაეაარსოთ ტანჯული ადამიანის ასოციაცია!

პიკოლო — ამ სადგურში ველარაფერს დააარსებ. აქ, უკვე ყველაფერი არსებობს, რაც კი ადამიანს მოუვა თავში: ყველანაირი სიტუატუცე, ყველანაირი სიშლევე, თვალთმაქცობა, თამაში, ღალატი...

პიკოლოს დედა — შენც ასეთი ხარ: შლევი!

პიკოლო — ჰო, ამაზრუნე შლევი ვარ.

პიკოლოს დედა — მაინც არ მჯერა, რომ კაცზე ხელი აღმართე.

პიკოლო — არც მე მჯერა... მგზავრი მისმა ოლიმპოსობამ თავიდანვე აითვალწუნა, მერე სადგურიდან გააძევა. მგზავრიც რაღას იტყოდა, წაედა თავის გზაზე... მაგრამ ბაქანზე სისხლიანი კვლი დატოვა.

პიკოლოს დედა — კვალი დატოვა! გააძევეს! ეკამათენს! აითვალწუნეს! დასციენს! დანამდვილებით არ იციან, იყო თუ არა! რამდენი შეუსაბამობა! ამ საქმეში გარკვევას დრო სჭირდება.

პიკოლო — დრო არ გვაქვს. სადგურში ყველაფერი გაჩერდა, ჩანწარდა, დამთავრდა...

პიკოლოს დედა — მაშინ ჩემთან წავიდეთ, იქ დრო თავზე საყრელად გვექნება.

პიკოლო — სად?

პიკოლოს დედა — მე აქვე ვცხოვრობ, სასტუმრო „მირაჟში“.

პიკოლო — არა, არა, მე ვერ წამოვალ. დარწმუნებული ვარ, შენი ოთახი მუდამ სტუმრებით არის გაჭვდილი. ისინი სიცილს დამაყრიან.

პიკოლოს დედა — რისთვის? ტანჯული ადამიანის ასოციაციაზე ვის გაცინება? უფრო ატირდებიან ზრდილობის გულისთვის, ვიდრე გაიცინებენ.

პიკოლო — არ მიყვარს ხალხმრავალი თავიროლობები, დედა, ეს გაუთავებელი ჭორაობა, მანჭვა-გრეხა... მღლის! მე სულ სხვანაირად ვარ გაზრდილი. საკმაოდ გულწათხრობილი, ჩაკეტულ გარემოს შეჩვეული, ტრამვირებული ბავშვი ვარ. მაქვს უამრავი კომპლექსი... არ მინდა ჩემს ვაშლ ვინმეს რამე ეწყინოს, ან გული დასწყდეს, ან გული წაუვიდეს. არ მინდა ვინმეს ცუდი თვლით შევხედო, ან პირიქით, ვინმე შემოხედოს ცუდად. არავისთან ჩხუბი არ მინდა, არავის საქმეში არ მინდა ცხვირის ჩაყოფა და საერთოდ, ყველამ თავი დამანებეთ! თავი დამანებეთ!

პიკოლოს დედა — კარგი, კარგი, არავის დაგბატოვებ, ჩემი „ბოი ფრენდს“ ვარდა.

პიკოლო — ჰო, რა თქმა უნდა, გიუ გიუს გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია!

პიკოლოს დედა — ჩემს ახალ „ბოი ფრენდს“



ზიგმუნდი ჰექია, რაც განათლებულმა მშობლებმა ზიგმუნდ ფროიდის საპატივცემულოდ დაარქვეს.

პიკოლო — თუ ისტორიის გიუ-გიუს ნინაპრებზე ცნობები არ შემოუნახავს, სამაგიეროდ ზიგმუნდზე ჩვენ ვიცით, რომ ის წარმოშობით ინტელაგენტური ოჯახიდან არის... კარგი, დედა, შენს წინადადებაზე ვიფიქრებ და პასუხს იმიელით შეგატყობინებ. ოკეი?

პიკოლოს დედა — რა მოფიქრება უნდა? შენ უკვე გადაწყვიტე: შენ ჩემთან წამოხვალ... ახლავე, უკან მოუხედავად წამოხვალ. შენ სადგურს სამუდამოდ დაივინყებ...

პიკოლო — შო, დედა, მე მას დაივინყებ... დავივინყებ, რადგან მას მე არ ვუყვარვარ...
(პიკოლო და პიკოლოს დედა მიდიან.)

(შემოდის როზინა).

როზინა — ორი კაცის საქმეს ვუძღვები. ეშრომობ და ეშრომობ... ყოჩაღი ვარ. ძლიერი ვარ. ჯან-ღონით სავსე. ენერჯის ვაფრქვევ...
(შემოდის ოლიმპო და ცირცვა).

როზინა — ის ბლენდი და მისი „გოლო ფრენდოსობა“ სასტირნოდ გამოსულან. ჩრდილივით გავირინდები, იქნებ მოეკრა ყური რაზე მალაღფარდოვნებენ (როზინა ქალბატონი გოტბერგის სკამზე ჯდება).

ცირცვა — მინდა გავერთო, ბოლომდე დავინარჯო! ეჰ, სად არის ახლა პიკოლო, პოეზიის საღამოზე მოვიწვევდი! მე მას ეროტიულ პროზაშიც სიაშინებები გამოცდენო...

ოლიმპო — პიკოლო მეტად სასარგებლო საქმით დავაკავე: ყმანვილმა მთელი საღამო ბაქანი უნდა წმინდოს. შენც შეამჩნევდი, თავდაცნობები უყვარს შრომა.

ცირცვა — მე შევამჩნიე, რომ მან მიგვატოვა. პიკოლოს დიდი ხნის უნახავმა დედამ მოაკითხა: შეულო, რატომ დამივინყეო, სულ აღარ მკითხებო. იმდენი ცრემლი ღვარა, იმდენი ინუნუნა, მანამ ისარი მიზანში არ გაარტყა.

ოლიმპო — ისე, რკინიგზას ერთი მვისრე კი სჭირდება. დედამისს ხომ არ შევთავაზოთ?

ცირცვა — სხვათაშორის, დედამისი შეურაცხი ოფილი დარჩა, როცა ნახა, რომ მისი შვილი სადგურში მანანნალასავით ცხოვრობდა.

ოლიმპო — მე ობოლი, გაჭირვებული შევიფარე, ჩემი სიკეთე ვინ დაინახა? ჩვენი პიკოლო, ჩვენი პოეტი-მუშა, შურისძიების ჯადოქარმა, მეგერამ მოვტაცა, მაგრამ ჩვენ სულით არ დავცემულვართ!

ცირცვა — ოჰ, ჩვენი ბედუქუდმართი პოეტი! არასდროს ღირსებია სიტობო, ალერსი!

ოლიმპო — პიკოლო! გამოდი შავი ხერელის მეცამეტე ხერელიდან! ვიცო, რომ უჩვენოდ ერთ საღამოსაც ვერ გაძლებ. განსაკუთრებით ზიგმუნდი მოგიტხრის ნერვებს. თავისი გენელოგორი ხის შესახებ ვრცელ ნაშრომებს ნავიკითხავს. სამაგიეროდ, თავისი დაბადების დღის თარიღს მკაცრად გაასაიდუმლებს, რომ

ჯორდანო ბრუნოზე დანერვილი შენი ლექსების კრებული არ აჩუქო. განა ეს სამართალია?
(შემოდის პიკოლო).

პიკოლო — თქვენი ოლიმპოსობაზე, აი, მეც გამოვალნიე ვართო სუფთა პაერზე!

ოლიმპო — რაო, დედიკო სახლიდან არ გიშვებდა?

პიკოლო — დედაც და... თქვენ ხომ კარგად ბრძანდებით?

ოლიმპო — არა მიშავს, ძველებურად. სადგურში მუშახელი გვიჭირს, ლიანდაგის მვისრე არ გვყავს.

პიკოლო — მეც ამიტომ შემოგარეთ.

ოლიმპო — მე კი დედაშენზე ვიფიქრე. ახალგაზრდა ქალი, ცოლია სამსახურის გარეშე.

როზინა (ისევ ქალბატონი გოტბერგის სკამზე ზის) — დედამისი მოხუცებული ქალია, ყავარჯნებით ძლივს დადის.

ცირცვა — ამ სიბერეში ფორმულა ერთის პილოტობა რომ მოინდომა, ახია მაგაზე!

როზინა — ამბობენ, სიბერისგან ხელი ისევ უკანკალებს, რომ ისარს მიზანს აცილებსო.

პიკოლო — დედაჩემის მაგიერად მე მიმსახურეთ.

ოლიმპო — იცი, პიკოლო, ბევრი ვიფიქრე და გადაწყვიტე, ორთქმავლის როლი შენ მოგცემ,

პიკოლო — ვიციოდი, რომ ჩემი იქნებოდი!

ოლიმპო — ოღონდ, სიჩქარე კარგად რომ განავითარო, ბარგი მოიცვილე...

პიკოლო — ბარგი არ მაქვს.

ოლიმპო — შო? ჯიბეები ამოატრიალე!

პიკოლო — ცხვირსახოცი არ დამამძიმებს.

ოლიმპო — დაუქქარე, პიკოლო!

პიკოლო (ჯიბეებს ამოიტრიალებს. დანა ძირს დაფარდება).

ოლიმპო (დანას აიღებს) — აი, თურმე რა!

როზინა (ისევ ქალბატონი გოტბერგის სკამზე ზის) — დანაზე სისხლის კვალია.

ცირცვა — ოჰ, სისხლი! (გული შეუღონდება).

ოლიმპო — როზინა, შენ არ გელირსოს ჩემს ლარივით სწორ ლიანდაგზე მაგ მოღრეცილი ფეხის შედგმა!

პიკოლო — შო, გაეთრიოს აქედან! როზინამ, თქვენი ოლიმპოსობაზე, თქვენი წინა დანა?

ოლიმპო — რომელი? „რა ვაკეთოთ საღამომობით“ თუ მეორე, „რა არ უნდა გვაკეთოთ საღამომობით“?

პიკოლო — მესამე და ყველაზე საინტერესო: „როგორ ვმართოდ ორთქმავალი“.

ოლიმპო — როზინა! აკრიფე შენი ბარგი-ბარხანა და შავი ხერელიდან მაინც გავარდი ლამაზად!

პიკოლო — მე, თქვენი ოლიმპოსობაზე, რას დამავალბებ? ბაქანი ხომ არ მომერცება?

ოლიმპო — შენც, როგორც გამოხვედი შავი ხერელის მეცამეტე ხერელიდან, ისე შევარდი უკან!

(პიკოლო მიდის. ოლიმპო გულნასულ ცირცვას ხელში აიყვანს და გაჰყავს).

როზინა — მას სურს ნაშალოს ჩემი ნაშრომის კვალი, რომელიც მთელ ლიანდაგზე კარგად ჩანს. მისრეს მოიყვანს, რომელიც თავის შხამიან ისარს გულში გამიყრის. ნახსი საღამოა: უკვე სკორედ დაფეჟე ქალბატონი გოტბერგის სკამზე. აღბათ, მეც იმისადგივ დაგებრდი, დაგვლახაკი. მუხლებში ძალა გამომელია, ყურადღების კი არავინ მეტყვეს. წყალი მაინც მოწონადებინა ვინმეს, ერთი ჭიჭა წყალი...

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი (ლიანდაგის მეორე მხარეს დგას, სცენის სიღრმეში) — როზინა!

როზინა — ქალბატონო გოტბერგ! ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი — ისევ ზამთარია? ისევ თოვს, როზინა?

როზინა — არა, ქალბატონო გოტბერგ, არ თოვს, თუმცა იმინდის გაუარესებას ველოთ.

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი — კარგად კი მოვასწარი ვალმა ვასვლა! დედამინაზე ჩემთვის შესაფერისი კლიმატური პირობები აღარ არსებობს.

როზინა — ნავიდა ის დრო, ნავიდა! მთვარე გადაგვარდა, ძლივს ბუტუავს, მზე ჩაქრა. ამბობენ, საღდაც, მიუვალ მთებში, მონადირეებს მიძირალი მზის უკანასკნელი სხივი შეუნიშნაფთ, დადევნებინ, მაგრამ სხივი უფსკრულში გადაიჩეხა და მათ ტყვედ არ დანებდა.

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი — საოცარი გმირობის მაგაბლითია! მხოლოდ მზის სხივი თუ იზამდა ამას! ... ეჰ, არც აქ თბილა. სკამიც კი არ მეტყეს, რომ ჩამოვჯდუე.

როზინა — ქალბატონო გოტბერგ, მე მოვლიანთ სკამს. დაჯვებით, დაისვენებთ. (როზინა იღებს სკამს. ის უნდა გადაიტანოს ლიანდაგის მეორე მხარეს, ქალბატონ გოტბერგთან. ამ დროს ის მის ორთქმავლის საყვირის ხმა, მოახლოებული მატარებლის ბორბლების ხმაური. ლიანდაგზე გამორბის კენტაერი, რომელიც როზინას ეჯახება, ძირს აგდებს და ფლოქვეით თელავს. კენტაერი თვალს ეფარება, მატარებლის ხმაური თანდათან მიჩუმდება. როზინა ლიანდაგიდან ძლივს ნაშობდება და მის მეორე მხარეს გადადის.)

როზინა — აი, თურმე როგორი ყოფილა ნაშბვილი მატარებელი! თვითონ ხომ ცხოველს ჰგავდა და ვატმანიც ვეღური ჰყავდა: საჭეს შიშველი მართავდა.

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი — ხომ არაფერი დაგიმედა, გენაცვალე?

როზინა — ჭიანჭველასავით გამსრისა, ქალბატონო გოტბერგ, გაზაფხულის ნაზი ყვავილეით გამთელა, თუმცა ახლა უკვე არაფერი მტკიავ, ყველაფრმა გამიარა, საიქიში ვარ უკვე... აი, სკამი მოგიტანეთ.

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი — დაჯექი, გენაცვალე, სული მოითქევი.

როზინა — გმადლობ. (სკამზე ჯდება) გასსოვთ, სადგურში როგორ ვიყვარდათ ამ სკამზე ჯდომა? საბრალო ქალბატონო გოტბერგ, ჩემს გარდა ვის ენაღვლებოდი? თქვენთვის სკამიც არ დამენანა, თან ნაშობიღეთ. (სკამზე მოხერხებულად მოეწყობა).

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი (ფეხზე დგას) — არ იფიქრო, როზინა, სადგურში მატარებელს ველოდებოდი...

როზინა — აჰ, როგორ გეკადრებათ! აზრადაც არ მომსვლია.

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი — უსახლკარო მოხუცს ვაგონში ვინ შემიშვებდა? ან სად უნდა ნავეყვანე იმ ოხრად დასარჩენს? ვის გაუზარდებოდა ჩემი სტუპრობა? ვინ შემიცივლებდა? ვიჯეჟე სკამზე, ღია ცის ქვეშ, ავდარში და გაზაფხულის მოსვლას ველოდებოდი, სითბო მენატრებოდა... მსურდა მენახა, როგორ დადებოდა ყინული, როგორ გაგიბებოდათ ყველას გული... როგორც კი გული ზამთრის სუსხი მოცილდებოდა, ვინმე აუცილებლად შემამჩნევდით, შემიცივლებდით... მაგრამ ზამთარმა დამიმარტოვა, ზამთარმა დამიმარტოვა...

როზინა — გვეყოფა ნარსულში ხეტოლი, ეგ არას ვეარგებს. რა არაჩვეულებრივი სინყნარეა!

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი — როგორც ზამთარში.

როზინა — სიჩუმეს მოვუსმინოთ ქალბატონო გოტბერგ, დაეწყნარდებით.

ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი — მოვუსმინოთ... სიჩუმეს მოვუსმინოთ... (სცენაზე შუქი ქრება. როზინა და ქალბატონი გოტბერგის აჩრდილი სიბნელეში უჩინარდებიან. შემოიანა ოლიმპო და ცირცვა).

ცირცვა — თითქოს რაღაც დააკლდა სადგურს... ჩემი აზრით, ეს მცირე დანაკლისი ჩვენნი საბრალო როზინა უნდა იყოს. ძალბა გვიან კი შევამჩნიეთ, რომ ალარ ღარ გავა...

ოლიმპო — ერთ საღამოს მივხვდი, რომ...

ცირცვა — შენ კი არა, მე მივხვდი, რომ როზინას ზედ ლიანდაგზე დაეღია სული. საწყალს, როგორ უყვარდა რკინიგზა!

ოლიმპო — დაკრძალვაზე ღმერთები არ გამოჩენილან, მაგრამ ჩვენ ამაყად დავხარეთ თავი და მათი არყოფნა არც კი შევიმჩნიეთ.

ცირცვა — როგორ არ მოვიდოდნენ, მაგრამ მაგი ხვერლის მესამე ჩიხის მაგივრად მეორეში შევიდნენ და იქ ჩვენსავით დაიკარგნენ.

ოლიმპო — სამაგიეროდ, ექიმ ბრუმს არაფერი შეშლია. გვამს დახვდა თუ არა, მაშინვე ზუსტი დასკვნა გამოიტანა. მან დაადგინა, რომ როზინას ჯოჯს ჩამორჩენილმა კენტაერმა გადაუარა.

ცირცვა — რა საზარელი სიკვდილია! მაგრამ, ექიმ ბრუმს შეეძლო უფრო მსუბუქად ეთქვა. მაგალითად: როზინას შიშით გული გაუსკდა, როცა უცხო ტომის მამრობითი სქესის ინდივიდი დაინახა.



ოლიმპო — ან ასე: როზინა, სწორუპოვარი გმირი, გელურ ტომებთან ბრძოლაში დაეცა, მაგრამ სადღურით ამით არ დანგრეულა. დგას მყარად სადღური, როგორც შუქურა ბნელში.

ცირცვა — ესეც ხომ საქმეა!

ოლიმპო — დედამ რომ ჩამოაკითხოს?

ცირცვა — ჩვენც ნუ ვიტყვით, რომ მოკედა.

ოლიმპო — რა ვუთხრათ მის საცოდავ მშობელს?

ცირცვა — ხმა გავერცელოთ, რომ როზინა ზევსმა მოიტაცა, ვითარცა თვალნარმტაცი ევროპე.

ოლიმპო — რა თქმა უნდა, ზევსს დავებარალოთ! ... ყავა ხომ არ დავგველია, ჩემო კარგო?

(მშობლის ექიმი მეველედ ფრანკენშტაინი).

ექიმი მეველედ ფრანკენშტაინი — უკაცრავად, როზინა აინშტაინი აქ ცხოვრობდა?

ოლიმპო — თქვენ მისი ნათესავი ბრძანდებით?

ექიმი მეველედ ფრანკენშტაინი — მე როზინა აინშტაინის საქმრო ვარ, ექიმი მეველედ ფრანკენშტაინი. როზინას ელევა-დეპემა მივიღე: «ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ჩამოიღი»-ო, ცოტა შემავიანდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე სჯობდა. ნემჭი სად არის?

ოლიმპო — მოჩვენებებით სავეც აკლდამაში.

ცირცვა — ის რეანიმაციაზე თანახმა არ არის.

ოლიმპო — სასტიკ უარზე დგას.

ექიმი მეველედ ფრანკენშტაინი — თქვენც დაგჭირდებით...

ოლიმპო — ძლივს დაეთანხმეთ.

ცირცვა — თქვენი როზინა სარკოფაგში ნევს და მშვიდად გველოდებათ.

ოლიმპო — მამ, როზინას შერთვა გსურთ? არ მშურს. ამბობენ, თქვეც შეგიძლიათ მისი ტვინის უჯრედები გამოაცოცხლოთ. არ მჯერა. როზინას ხომ ტვინი არ ჰქონდა.

ექიმი მეველედ ფრანკენშტაინი — როზინა უაღრესად ნათელი გონების პატრონი იყო. მას ჩემთვის ხშირად უთქვამს: «ეს სადღური რომ ჩემი იყოს, ლიანდაგის ადგილზე, ნინშატს დაეთესავდი»-ო

ოლიმპო — ეგ უტვინო, როგორც კი თვალს გაახეულ, უთხარით, რომ ლიანდაგზე მე შეისრეთა პოლკს დაეაყენებ.

ექიმი მეველედ ფრანკენშტაინი — აუცილებლად გადავიცემ.

(ლიანდაგზე როზინას აჩრდილი მომაკედავი გუდის პარტიას ასრულებს. ექიმი მეველედ ფრანკენშტაინი მას აიტაცებს და ვაჟყავს).

ცირცვა — ეს კარგი. ახლა იმაზე ვითფიქროთ, დრო როგორ მოვკლათ.

ოლიმპო — დრო, როგორც მახსოვს, მე უკვე მოვკალი.

ცირცვა — ეს სალამო როგორ გვატარაოთ?

ოლიმპო — ყავა დავლიოთ.

ცირცვა — სულ ყავის სმაც აღარ შემიძლია. სხვა გასართობი მოიგონე, თორემ ოდისევსს დაფებრუნდება.

ოლიმპო — შავი ხერხელის მესამე ჩიხშიც ნასულხარ, თუ ოდისევსს კიდევ ახსენებ!

ცირცვა — აბა, რაზე ვილაპარაკოთ?

ოლიმპო — ლაპარაკი არ გჭირდება. ბუნებით დატკბი. აი, ამ ლიანდაგს შეხედე: რა ლამაზად ლაშლაპებს მთვარის შუქზე!

ცირცვა — კარგი იქნება თუ სადღურს რკინიგზას მოაცილებ. როდემდე უნდა ვუყუროთ ამ ჯართს?

ოლიმპო — სანამ მატარებელი არ მოვა.

ცირცვა — მე მატარებელი მძულს!

ოლიმპო — ანდაზა მაინც არ გაგიკონია? ნაჩუქარ ცხენს კილებს არ უსინჯავენო! ჰე, მიდი, დაჯექი სკამზე და დაელოდე შენს ნანატრ საჩუქარს.

ცირცვა — მატარებელი კი არა, სკამიც აღარ გაქვს.

ოლიმპო — აი, აქ ... აქ, სკამი იდგა!

ცირცვა — საბრალო სკამი! რა დაბალი, შეუხედავი და შეუღებავი იყო! სულ საკუთარ თავში იყო ჩაეკტილი, მმას არაიხს სცემდა. სულიერი მეგობარი სჭირდებოდა, მაგრამ ვერ მიუხვდით, ვერაფრით დაეხმებოდა. ნავიღო და თავისი დარდი თან წაიღო...

ოლიმპო — სად წავიდა?

ცირცვა — თუ იდგა, რატომ აღარ დგას? თუ ისიც დავერძალოთ, რატომ არ გვახსოვს? ერთ ცრემლს იმის საფლავზეც დაველრიდით.

ოლიმპო — ჩვენი მემორიალი, ჩვენი ტკივილი — ქალბატონი გოტფრედის სკამი, წყვილიდის ძაღვმა წაგვართვეს! გავეძარცვეს, გადავიკარეს, მაგრამ მაინც გადავჩრით!

ცირცვა — ძარცვა წყვილადმი... გასაგებია: ვერც, ამ საღამოს გავერთობით!

ოლიმპო (ცირცვას ყავის ფინჯანს აძლევს) — თუ ბევრს იფიქრებ, ცირცვა, ყავა გაგიციფდება, ჩემო კარგო.

ცირცვა (ყავას სვამს) — ჯადოქრობა ჩემი ხელობაა. ჩემი გრძნულულების ბადეში ოდისევსი დიდი ხნით დავატყვევე, რადგან მსურს, რომ მას ცოლად გავყვე. შენ კი, ოლიმპო, თუ ოდისევსთან აღარ გამიშვებ, ისეთ სანამილავს მოგიზნადებ, რომ ხოჭოდ გაქცევი. მარად ძვე ხერხელში დარჩები და ვერაივნ გიპოვის.

ოლიმპო — სანამილავს რაც შეეხება, დავასწარს: ყავაში სწორედ ხოჭოდ საელაღი ჩაიყარე. დალევ თუ არა, ოდისევსს დაქარავებ და ცოლად ვეღარ გავყვები.

ცირცვა — მტარვალო! მეც მომისმინე: სასწაულს მე უფრო სასტიკს დავადებ: გმირ ჰერაკლეს მოვიზნობ და ვეტყვით შენი რკინიგზა ჩემს კუნძულზე გადაიტანოს.

(მშობლის ჰერაკლე, რომელიც ლიანდაგს ასწავს და წაიღებს. ცირცვაც ჰერაკლესთან ერთად მიდის. შემოდის ევა.)

ევა — მთვარე ღრუბლებს ეფარება, მიდის... კენისის...

ოლიმპო — ოდისების არ მესმის...

ევა — კენესის ვილაც...

ოლიმპო — რად უნდა ლიანდაგი?

ევა — მამა! სადგურში, ვილაც დაჭრეს...

ოლიმპო — მატარებელი ვაჩუქე — არ მოინდო-
მა.

ევა — ვნახავ, ვინ არის ის დაჭრილი.

(ევა მიდის).

ოლიმპო — არ მომისმინა. მაინც თავისი გაი-
ტანა.

(შემოდის ექიმი ბრუმი)

ექიმი ბრუმი — უმთვარო ღამეში გარეთ რა
გზნებავთ?

ოლიმპო — ლიანდაგს მატარებელი აღარ სჯო-
ბია?

ექიმი ბრუმი — აქეთ მობრძანდით, ალექსან-
რე მაკედონელმა თავისი კარავი დაგიტოვო. იქ
მოსივებით.

ოლიმპო — ძღვეამოსილ ლაშქარს ბრძოლაში
გაყვებები...

ექიმი ბრუმი — თქვენ ოღონდ წამობრძანდით.
აქ ვეღარ დარჩებით, სიბნელები დაიკარგე-
ბით...

ოლიმპო — იკაროსს სწორედ სიბნელის ემი-
ნოდა.

ექიმი ბრუმი — ჰო, მართლა, თქვენი უცნაური
მგზავრი ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად ვნახე,
მზის სხივივით დაიკარგა...

(შემოდის ევა).

ევა — მამა, მე ის ვნახე.

ოლიმპო — ვინ?

ევა — დაჭრილი.

ოლიმპო — მე სალაშქრედ მივიღე, შენ კი
ერთ დაჭრილს დარდობ.

ევა — დაჭრილი მგზავრია...

ოლიმპო — იკაროსი?

ევა — ჰო, იკაროსი.

ოლიმპო — შეუძლებელია! არსებობს ექიმის
დასკვნა, რასაც ვერ გავუქცევით. ამ დასკვნაში
გარკვევით ნათქვამია, რომ ის მზის სხივივით
დაიკარგა. ხომ ასეა, ექიმი ბრუმი?

ექიმი ბრუმი — წყალი არ გაუფა.

ევა — მაგრამ, მამა, ის დაჭრილია...

ოლიმპო — ევა! ვერაფერს შევცვლით! დას-
კვნა უკვე არსებობს: იკაროსი მზის სხივივით
დაიკარგა, გაქრა. რა გადაარჩენს?

ექიმი ბრუმი — ჩვენ დაგვიჯერეთ, ევა. ჩვენ
ყველაფერი ვიცით, ყველაფერი გვინახავს...

ოლიმპო — ის, რაც გაქრა, მას ვერ ნახავ, ვე-
ლარ უშველი...

(ოლიმპო და ექიმი ბრუმი მიდიან)

ევა — ოჰ, იკაროს, შენ სისხლის ზღვაში ჩაგძი-
რეს, როგორ გიპოვნე?

(შემოდის იკაროსი).

იკაროსი — ევა!

ევა — მათ მითხრეს, რომ ველარ გნახავდი...

იკაროსი — სისხლის, წყვიდადის ზღვაში ვინე-
ქი. მე ხელები ზეცისკენ აღვმართე და იძრა ცა.

ქარი, ღუბლები, ცეცხლი და მინა ერთმანეთს
შეერწყა და სხივად იქცა. სხივი სისხლის ზღვას
დაეცა და ზღვაზე უკან დაიხია. მე იმ სხივის ბი-
ლიკს გაყვებო.

ევა — საით?

იკაროსი — მზისკენ. წამოხველ ევა?

ევა — ჰო, დაკარგული მზე ვიპოვნოთ, იკაროს.
(ევა და იკაროსი მიდიან).

ერთი წლის შემდეგ:

(შემოდინან როზინა და პიკოლო.

როზინა საღაროს ჯისურში ზის).

პიკოლო — დაიკო, ერთი ბილეთი მომეცი ევ-
როპის თასის ფინალზე: ბარსელონა — მილანი.
როზინა — ეს რკინიგზის სადგურია, სტადიონი
არ გეგონოს, შე ბრუციანო!

პიკოლო — დაიკო, რატომ ღელავ? რადგან რკი-
ნიგზის სადგურია, მატარებლის ბილეთი მომე-
ცი. ისევე ბარსელონა — მილანი იყო.
როზინა — დაიგვიანეთ. ყველა ბილეთი გაყიდუ-
ლია.

პიკოლო — რა „რეია ბაზარი“ დამინყე! ბილეთ-
ი მომეცი!

როზინა — შენ ვის „ენალები“?

პიკოლო — შენ ვინა ხარ რო?

როზინა — მე როზინა ფრანკენშტაინი ვარ.

პიკოლო — უკაცრავად, ველარ გიცანი, როზი-
ნა!

როზინა — როგორ მიცნობდი? ჩემმა მეგულუ-
მა საკუთარი ხელით გამოიკეთა პლასტიკური
ოპერაცია.

პიკოლო — უდავოდ მის სტილში ხარ.

როზინა — შენ, პიკოლო, ისევე ჯორდანოზე
ნერ?

პიკოლო — ჯერ სამსახური მინდა დაფინყო...
სადგურში სამუშაოს რა გამოლევს. როზინა,
იქნებ მის ოლიმპოსობას ჩემზე სიტყვა ჩამო-
უგდო?

როზინა — მამ, არაფერი გცოდნია. მაკედონე-
ლის უცნაური სიკვდილის შემდეგ მისი ოლიმ-
პოსობა კუნძულ აიაზე გადასახლდა ცირცე-
ასთან. უპატრონოდ მიტოვებულ სადგურს
ახლა მე ვუვლი. მეცოდება და იმიტომ. აი, ლი-
ანდაგის ადგილზე ნინმატი დაეთესე. ჩემმა
მეგულუდმა ისეთი ჯიშის მწვანილი გამოიყვანა,
რომელსაც მზე აღარ სჭირდება. მერე კარტო-
ფილიც მიინდა...

პიკოლო — მუშახელი გჭირდება, ალბათ...

როზინა — რატომაც არა...

პიკოლო — ნებიმიერ შავ სამუშაოზე თანახმა
ვარ...

როზინა — ბაქანს მორცხავ?

პიკოლო — ენით ავლოკავ.

როზინა — მაშინ, მიდი, პიკოლო, შეუდექი საქ-
მეს! აბა, მალე, დაუჩქარე! თუ იზარმაცებ, ბა-
ქანზე უფასოდ არ დაგაძინებ, შე გლახა!



ჯონ გარდნერი

ლიბერალური მოხელის

ხანის მმართველობის შესახებ
(ნანწყვეტი ნიგნიდან)

ნიგნი, რომელიც ესოდენ ფართო საგანს აშუქებს, პირველსავე ფურცელზე საჭიროებს მეტაფორას, რომელიც იმედის ილუზიას მაინც დაბადებს. არის ერთი ძველი თქმულება, რომლის მიხედვითაც ღმერთი თორი მტრის მორიგი თავდასხმის ასაცილებლად ყოველწლიანად დედამიწას წრეს შემოატარებდა. მაგრამ, გადიოდა წლები, თორს სიბერე ეძალეობოდა და წრე, რომლის შიგნითაც ღმერთები და ადამიანები ცხოვრობდნენ, თანდათან ვიწროვდებოდა. მაშინ სიბრძნის, ომისა და მშვიდობის უზუნაესი ღმერთი ოდინი ტროლებს ხელმწიფესთან მივიდა, მკლავები მაგრად მოხედა და სახოვა, გაენდო ის საიდუმლო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რათა ნესრიგს ქაოსი დაეჯახა. „მომეცი შენი მარცხენა თვალი და გეტყვი“ — თქვა ტროლების ხელმწიფემ.

ოდინმა უყოყმანოდ ამოიღო თავისი მარცხენა თვალი, ტროლების ხელმწიფეს გადასცა და მიპასუხეო, — უთხრა. „მთელი საიდუმლო ისაა, რომ „ორი თვალით უნდა იყურებოდე!“ ... — უპასუხა ტროლმა.

ოდინის მარცხენა თვალი იყო ის უკანასკნელი უტყუარი იმედი, რაც ღმერთებსა და ადამიანებს დარჩენოდათ თავიანთ ყოველის მხრივ წყვილიდით გარემოცულ სინათლის სამეფოში. დიახ, ერთადერთი, რაც დაგერჩა, თორის ჩაქუჩია, იგი უხეში ძალის სიმბოლო კი არა, ხელოვნების სიმბოლოა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩაქუჩს ორი ბოლო აქვს, ხელოვნებისა და კრიტიკის. თავად თორი, ცხადია, ვერ დაგვეჩვენებდა, ვინაიდან სხვა ღმერთების მსგავსად, თორიც მოკვდა. ჩვენს ხელთ მხოლოდ ღობის ძირას, ხშირ შემთხვევაში მიეჩნებოდა მისი იარაღი. კარგი იქნება, თუ გვეცოდინება, როგორ გამოვიყენოთ იგი.

ეს ნიგნი წარმოადგენს სწორედ იმ რაღაც გარკვეული წესების შემუშავების მცდელობას, მიზეზების გაანალიზებას, რამაც ბოლო წლებში ერთგვარი ზიანი მიაყენა ხელოვნებას, კერძოდ ლიტერატურას, სადაც ასე თუ ისე, გარკვეული გახზავნით. ასევე იმ მიზეზების გაანალიზების მცდელობას, რამაც ლიტერატურული კრიტიკის არასახარბიელო მდგომარეობა განაპირობა.

კრიტიკოსების ენა, აგრეთვე იმ ხელოვნათა ენაც, რომლებიც ყურს უგდებენ და ანგარიშს უწევენ კრიტიკას, მეტისმეტად უცნაური გახდა, აღარავინ ლაპარაკობს გრძობებსა თუ ფიქრის შედეგებზე, აღარავინ ლაპარაკობს მღელვარების მომგვრელ სოუფეტებსა თუ მშვენიერ ხასიათებსა და იდეებზე. ნინადადეგები ისეთი გრძელი სიტყვებით არის შედგენილი, როგორცაა პერმენავტიკული, ევრისტიკული, სტრუქტურალიზმი, ა. შ. და ა. შ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ცდილობენ ზუსტი განსაზღვრება მისცენ რაიმეს, მაგალითად, განსაზღვრონ, რა განსხვავებაა მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის — მათმა ამ მსჯელობამ ოდნავ საზრიანი ძროხებიც კი შეიძლება გაოცებაში მოიყვანოს. ისე, როგორც არასდროს, გართულდა რა აღსაქმელად კრიტიკა, იგი სულ უფრო ზერელე და ზედპირული გახდა.

თავის დონეზე ამ ზედპირულობას აქვს რაღაც გამართლება, როგორც გასართობს რაღაც გარკვეული ღირებულება გააჩნია. მაგალითად, რატომ არ შეიძლება ვინმე სპილოს ხორთუმზე ამოსული ბუსუსების შესწავლის საქმეში დახელოვნდეს? კრიტიკა თავის უნაღლეს, უსერიოზულეს გამოვლინებებშიც კი, ისე, როგორც ხელოვნება, გარკვეულწილად თამაშია და ეს ყოველმა ნამდვილმა კრიტი-

კოსმა იცის. ჩემში ნინაალმდეგობას ინვეეს არა თამაშის ხასიათი, არამედ ის ფაქტი, რომ თანამედროვე კრიტიკოსების უმეტესობას, ისე, როგორც ხელოვანთა მნიშვნელოვან ნაწილს, ყურადღების მიღმა რჩება მისი არსი და მნიშვნელობა, ვინაიდან, სირცხვილია თავს სპილოს ხორთუშზე ამოსული ბუსუსებზე იქცევდეს, თუ ამ დროს სპილო ფეხებზე თითო ბავშვს თელავს. ჩვენს დროში ალბათ აზრადაც არავის მოუვა, რომ ხელოვნებას, ყოველ შემთხვევაში ამერიკაში მაინც, შეუძლია თითო ბავშვზე გათვლას, თუმცა ამას იგი გამუდმებით და, რაც მთავარია და რაც ყველაზე უარესია, თვითკმაყოფილი ღიმილით სწადის. მე მომიწია დაეკვირვებოდი, გნებავთ მწერალი, გნებავთ კომპოზიტორი თუ მხატვარი, როგორ ჰპიპირად მოახლავორთებს ხოლმე თავის „ქმნილებებს“, თუმცა ყველა ისინი დიდებული ადამიანები არიან.

საერთოდ, შემოქმედი ადამიანი სასაიამოვნო ადამიანია, ისინი სიძულვილიც და სიყვარულიც ბავშვებით არიან, ცუდ სურათს, ცუდ კომპოზიციასა თუ წიგნს ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე ქმნიან. მათთვის უკეთესი, ანდა იმის შექმნის გარანტია, რაც საკუთარ მოწოდებად მიაჩნიათ, მხოლოდ პატივმოყვარეობაა. წუნი არა მათ მიერ შექმნილ სახეებში იმალება, არამედ მათი აზროვნების ხასიათში. გვთავაზობენ რა თავიანთ ნაკლებ-ყოფიან ხორაგულს, მომიხიბვლელი ღიმილით აცხადებენ, ხელოვნება თამაშია, ანდა ნაწილობრივ თამაში, თან ისეთი მომაკვდიონებელი გულგრილობით, როგორითაც ჩასუქებული ქალიშვილი შევეითოდ კოტლეტებს. ის, რასაც ისინი ამბობენ, ასე თუ ისე, სწორია. არაფერ არის იმ ადამიანზე მოსაწყენი, ვინც სულ გაიძახის — ეი, კმარა, მოდი უფრო სერიოზულები ვიყოთ! მაგრამ ახლა, ამ მომენტში, სწორედ ამის ძახილი გახლავთ საჭირო.

ქვეყანაში, სადაც თითქმის ყველაფერი, რასაც ხელოვნება ჰქვია, ჩამკვდარია, მხოლოდ საბაზროდ, მხოლოდ გასაყიდად არის გამოწვეული, ლაქლაქისა და აკადემიზმის სუნი უდის. ხელოვნების არსისა და დანიშნულების, ისე, როგორც კრიტიკის ძირითადი მოვალეობის თაობაზეც, მე კვლავ ძველებზე მოხედვლენაზე ვდგავარ. და, დავიცავ რა ამას გონივრული დანახებებითა თუ მაგიდაზე მუშტის დარტყმით, არავითარი სურვილი არა მაქვს, ხალისი და სიხარული ჩამოვპორო ხელოვნებას, მაგრამ არც ზომ ყველაზე მსუბუქსა და თავშესაქცევ გასართობს აწყენდა მცირედენ მორალურ პასუხისმგებლობას თუ დავაკისრებდით და მორალური ბანალობებისაგან განვწმენდით.

აზრი, რომელიც ამ წიგნს უდევს საფუძ-

ვლად, ისეთივე ძველია, როგორც სამყარო, მე იგი პოპერისის, პლატონის, არისტოტელეს, დანტესა და სხვა მრავალ მსგავსთან მაქვს ნასესხები. დასავლური ცივილიზაციისათვის მეთვარამეტე დაუკუნის ბოლომდე ეს აზრი მისაღებად ითვლებოდა. თვითუღ კრიტიკოსსა თუ ხელოვანს ეს თითქოს კარგად უნდა ჰქონდეს გათავისებულები (ბევრს ალბათ აქვს კიდევაც), მაგრამ, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, უნივერსიტეტების აუდიტორიებსა თუ სალამოს წვეულებების შემდეგ სამზარეულოში დამეული საუბრებისას, ეს ტრადიციული შეხედულება ხელოვნების შესახებ ბევრისთვის გასაოცარ აღმოჩენას წარმოადგენს.

ტრადიციული შეხედულება კი მდგომარეობს იმაში, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება მორალური უნდა იყოს, უნდა ისწრაფოდეს, ცხოვრება კი არ გააუარესოს, დაამძაბლოს და გააუბრალოს, არამედ უკეთესი გახადოს. ისწრაფოდეს, თავიდან აიცილოს ღმერთების მწუხრი და ჩვენი მწუხრიც, ყოველ შემთხვევაში, გადააადლოს მინც. არ უარვეყოფ, რომ ხელოვნებას, ისე როგორც კრიტიკას, უფლება აქვს ქება-დიდება შეასახას სისულელეს, იხუმროს, იპამპულოს, გაერთოს, მაგრამ ზერელე, ზედაპირული ხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა სერიოზული, ურჩხულვებთან მებრძოლი, სამყაროს საიმედოდ დაქცეული ხელოვნების აჩრდილი. ხელოვნება დამანგრეველი, ხელოვნება ნიჟილისტებისა, ცინიკოსებისა, სიცოცხლის მოძულეებისა — არ არის ჭეშმარიტი ხელოვნება. ხელოვნება თავისი არსით სერიოზული და სიკეთის მომტანია. ეს არის თამაში ქაოსის, სიკვდილის, ენტროპიის წინააღმდეგ.

ნამდვილი კრიტიკა, ისე, როგორც ნამდვილი ხელოვნება, თავდაცვითი ტრაგიკულ ბრძოლას ეწევა ენტროპიის წინააღმდეგ. ცხოვრება თანანყობის პრინციპზეა აგებული. საგნები და მოვლენები ცუდი თანანყობით მისდევენ ერთმანეთს, ვთქვათ, ასე: ძროხები, ომები, საღვთო რუზინი, მთის მწვერვლები... ხელოვნებაც თავის საუკეთესო, უმნიშვნელოვანესი ნიმუშებით ურთიერთდაქვემდებარებას ეფუძნება — დანაშაულია იმიტომ, რომ ცოდევა, ცოდევა იმიტომ, რომ ტკივილია. ხელოვნების ყველა დარგი ურთიერთდაქვემდებარების ბერხებს შეისწავლის, ხოლო ლიტერატურა განსაკუთრებული ჩაკირკიტებით მსჯელობს იმაზე, თუ რას, როგორ და რისაკენ მივყავართ. ხელოვნება, იცავს რა ბუნების ყოვლისგამათანებელი ძალისაგან იმას, რაც ჩვენში განსაკუთრებულია — ჩვენს ცნობიერებას, იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელშიც ყველა ატომი არამც და არამც ურთიერთთანასწორი არ არის, დროებით თავშესაფარს აგებს. გვაინტრო-

პიის დღესასწაულია, გვამში ფეხის ფრჩხილებიცა და ტვინიც ერთმანეთთან არის გათანაბრებული. ხელოვნება კი, იცავს რა ჯიშების სუვერენიტეტსა და მისი სამფლობელოების უსაფრთხოებას, იმ ღირებულებებს განამტკიცებს, რომელიც რწვევას და დაცემას ენიშნავს. ყოველ ახალ თაობაში ხელოვნება ისევ და ისევ თავიდან გამომავლს იმას, რაც კაცობრიობას საარსებოდ ესაჭიროება. კრიტიკა განმარტავს ამას და ამით დაცვით საზღვრებს განამტკიცებს. დაცვისი რა ჩუქმუმაღ თავის მყიფე ქმნილებებს, ხელოვანი თავადვე იცნობიერებს, რომ ეს თამაშია და რომ ამ თამაშში თავად ღებულობს მონაწილეობას. ხელოვნებასაც და მის კვალდაკვალ კრიტიკასაც, მხოლოდ სურათის მთლიანობაში აღქმით შეუძლია აკეთოს საკმაოდ ნაყოფიერად თავისი საქმე. ვთქვათ, მთლიანობაში უნდა აღიქვას ციხესიმაგრე თავისი კედლებით, კედლების მცირეოდენი ზნარებებით თუ კედლებს გარეთ მობობოქრე ქარიშხლის მძეინარებით. მაგრამ საკმარისია ხელოვნისა თუ კრიტიკოსის ცნობიერებამ საგანი ან მოვლენა მთლიანობაში ვერ აღიქვას, ყურადღება ცალმხრივად, ვთქვათ, ფორმაზე გადავიტანოს, რომ მთელი ნაგებობა უკვე ნგრევას იწყებს — კედლები წარმოუდგენელი სისწრაფით ინგრევა (დაახ, ჩვენ ვიცოდით, რომ დაიბზარებოდა და დასკდებოდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს ასე სწრაფად შეიძლებოდა მომხდარიყო), ხოლო ხუროთმოძღვარი ვარდება რა პანიკაში, სულ უფრო მიუდგომელი ხდება.

არაგინ არის უფრო გულფიცხი და ჭირვეული, არაგინ არის უფრო მიდრეკილი, ცაში აიყვანოს, ძალზე დიდი ფასი დასდოს თავის ნამუშევარს, ვიდრე ის ხელოვანი, რომელიც მართალია ბუნდოვანად, მაგრამ იცნობიერებს, რომ გზას ასცდა, რომ მის ნაღვანს არაფერს აქვს საერთო იმასთან, რისთვისაც, გნებავთ, შექსპირი, გნებავთ, ბრამსი თუ რემზანდარი იქნება. ხელოვნებაში ხელოვნების სიყვარულის გამო მოსული როცა ერთხელაც აღმოაჩენს, რომ თურმე უნარი არ შესწევს თავის შემოქმედებაში დაიცვას ის, რაც განამტკიცებდა და ძალას მატებდა ხელოვნებას ყოველ დროში, გააყვებული ილაშქრებს ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ. იცავს რა დატინებით თავის მიერ წარმოებული ზნარუნების დიდ მნიშვნელოვნებას, ცოფდება, ხშირად უკიდურეს ცინიზმამდეც მიდის და ხელოვნებაში თავის თანამომძიებს „ლიტერატურასს შეტყობინებებს უგზავნის: „ლიტერატურასს ის ძალა აღარ შესწევს“, „ფერწერა, გარდა თავისი თავისა, აღარაფრის ფარდობაში არ არის“. ასევე იქცევიან კრიტიკოსებიც, ებრძვიან რა შეუპოვრად ნამდვილ თუ გამოგონილ მონიშნულმდეგებს,

სულ უფრო მეტსა და მეტ ინტელექტუალურ ენერჯიას ხარჯავენ წერილმანებზე. მაგალითთად, ზოგიერთების მთელი ძალისხმევა ისეთ რამეებს ხმარდება, როგორცაა, ვთქვათ, ტერმინ „პოსტმოდერნიზმის“ რაც შეიძლება ზუსტი განსაზღვრა. ხოლო ის, რომ ადვილი შესაძლებელია მასში არავითარი აზრი არ აღმოჩნდეს, ანდა იგი სრულიად არასტაბილი იყოს, რომ ამ პრობლემის მიმართ კრიტიკოსების ინტერესი ადვილი შესაძლებელია შუა საუკუნეებში არსებული „ცეცხლის ბინადარი ცხოველების“ მსგავსი კატეგორიების (როგორცაა ნინამდღერებთან მომხიბვლები, არაგინ ანუხებს. აღნიშნულ შემთხვევაში იგარაუდება, რომ ხელოვნება, მსგავსად მეცნიერებისა, თანდათან ვითარდება. აქედან გამომდინარე შემინგური ფორმურად მკაფიუმდე უნდა მივიდეს, ხოლო ბელოუ ბარტილამდე. ამ თვალსაზრისით ტერწერი, თუ მას ადრთან იმპრესიონისტად ჩავთვლით, გამოჩენილი ხელოვანია, ხოლო სრულიად უმნიშვნელი, თუ მასში უკანასკნელ კლასიციზტს დავინახავთ. როცა კრიტიკოსი თავის თამაშში ამგვარად კარგავს იუმორის გრძობას, იცავებს რა უკიდურეს პოზიციას და იცავს რა მას ძალის მეშვეობით, მისი შეცდომები ძალზე სერიოზულ სასიათს იღებს. ხელოვნებაში, ისე როგორც პოლიტიკაში, კეთილი განზრახვითა და კეთილშობილი სიტყვებით გავამაგებულ შეცდომებს ამქვეყნად ყოველგვარი ღირებულების გაუფასურება შეუძლია. პრობლემა ნაწილობრივ იმითაც არის განპირობებული, რომ თვით ყველაზე საუკეთესო კრიტიკა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა კრიტიკოსის როლში მწერალი, კომპოზიტორი, ფერმწერი, მოქანდაკე, მოცეკვავე თუ ფოტოგრაფი გამოდის, თავად ხელოვნებაზე ვატილებთ მეტად ისწრაფის, რათა თავი უცილობლედ დოქტრინად გადასალოს. ემყარება რა ლოგიკასა და სქემას, ემყარება რა მტკიცების მკაცრ დასაბუთებულობას, კრიტიკა, განსხვავებით ხელოვნებისაგან, მიმართავს ცნობიერებისათვის უფრო ხელმისაწვდომს, კონკრეტულს დაქვემდებარებულ უბნებს. კრიტიკის მიმართ ნაყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა თანმიმდევრულობაა, გარდა ამისა, მოვლენას იგი მთლიანად, თავიდან ბოლომდე უნდა აღიქვამდეს. ხელოვნების ქმნილება კი მხოლოდ მკითხველის წარმოსახვის შემოქმედებითა აქტიურობით მოწმდება და შესაბამისად იოლადაც აღიქმება, ვინაიდან ეს პროცესი ცნობიერების ესოდენ მრავალგვარ თვისებას, მის მრავალმხრივობას არ მოითხოვს.

კრიტიკის დანიშნულება განხილვა და შეფასებაა. იგი თავისი ანალიტიკური ბუნებით ოპერირებს, იგი კონკრეტულს აბსტრაქტულ-

საწყისის საბით იყო ბეთჰოვენის შემოქმედებები მონიშნული. ან ისე, როგორც ჯოსა-სოსმა, შემინველიმ, ფოლკნერმა აიტაცა ჯო-ისისა და გერტრუდ სტაინის იდეები. ზოგჯერ ახალი ძველზე უფრო რეაქციულ ხასიათს იღებს. მაგალითად, ო'ჰარის დროინდელი სოციალური რეალიზმი ადვილს უთმობს ფაბუ-ლიზმს, ფაბულიზმი კი თავის მხრივ, ეჭვი არ არის, ადვილს სიურრეალიზმს, რეალიზმს ან რალაც სხვას დაუთმობს. მიაჩნია რა ახლის აღმოჩენის ნიშნად, სინამდვილის ახლებური აღქმის გამოხატულებად, ზოგიერთი კრიტიკოსი მიესალმება ყოველგვარ ცვლილებას, მაგალითად, კარგად დამუშავებულ სიუჟეტებიანი რომანის, ანდა კარგად ორგანიზებული დრამის დაცემას; მუსიკაში მელიოდიაზე, ანდა ფორტოგრაფიასა და კინემატოგრაფში რეალურ სახეებზე უარის თქმას, ვინაიდან ხელოვნებაში სამეცნიერო-ქაოსზე უახლესი წარმოდგენის გამოხატულებად მიაჩნია. მაგრამ ამგვარი მიდგომა, როგორც ზევით აღვნიშნე, ადვილი შესაძლებელია უამრავი შეცდომის საწინააღმდეგე.

შეცდომის საფუძვლად კი იგი შეიძლება ორი ძირითადი მიზეზის გამო იქცეს. მიუხედავად თანამედროვე ფილოსოფოსების მიერ ამასთან დაკავშირებით ნაშრომები ღრმავალი შორისდებულისა, მეტაფიზიკური სისტემები გონების უფრო გვიანი და ღრმა განათების ზენოლით კი არ ირღვევა, არამედ, როგორც ნეი, იმ სისტემებს, უბრალოდ, აღარ იყენებენ. აღარ იყენებენ ისევე, როგორც დრომოქმულ ციხესიმაგრეებს, ზოგჯერ გაუთავებელი შეკეთებებისა და უშედეგო განახლებების შემდეგაც კი. ცხადია, ნაწილობრივ სწორედ ამაზეა აგებული ორონიის თამაში კავკას „ციხე-დარბაზსა“ თუ სხვა ნაწარმოებებში. მას ხშირად იმ ხელოვანთა შორის ასახელებენ, ვინც ტრადიციული აზროვნების ნეხების კრახი „წარმოაჩინა“. მათი აზრით, მეტაფიზიკის ციხესიმაგრე, რომელსაც სასონარკვეთილი ხალხი საუკუნეების მანძილზე შრომითა და გარჯით აგებდა, აფართოვებდა, საკერებელს ადებდა, საბოლოო ანგარიშში შეცდომა აღმოჩნდა. თუმცა კავკას შემოქმედებაში ბევრად მეტია განმჭყრეტელობა, კომიზმი, ორონია, ვიდრე ჩვენ მას ამგვარი ნაკითხვის დროს აღმოვაჩინეთ. მისი ნაწარმოებების შემოქმედების ძალა მნიშვნელოვნად იმ გრძნობით არის განპირობებული, რომელიც მათი კითხვისას გვიჩნდება — რომ ნამდვილი საიდუმლოებანი დავინწყებულა, რომ საიდუმლოს ნამდვილი გასაღები შეუმჩნეველი დარჩა, ოდესღაც არსებული აღქმის მთლიანობა კი დაიკარგა და მისი აღდგენა ახლა უკვე შეუძლებელია. თითქმის ამასვე ამბობს მეღვი-

ლი „თაღლითში“, თუმცა უკვე სრულიად სხვა ტონში „იზრალი პოეტის“ ბოლოს. იანკების ტრადიციულ ქრისტიანულ სათნოებასა და ზნეობას, რომლის განსახიერებასაც იზრალი პოეტური წარმოდგენს, გვირგვინი კი არა აქვს ახდელი, ან უუნარობას კი არ ამტკიცებს, არამედ, აღარავინ მისდევს, მისი აღარ ესმით, იგი უკვე მოძველებულად მიაჩნიათ.

მოაზროვნებმა, რომლებიც მსგავსად ნიქ-შესა და კერკეგორისა, ინტელიტური ფილოსოფოსობისაკენ არიან მიდრეკილნი, უკვე დამრდილეს ისეთი მიზნის თვლები, როგორი მიმართულებისაც, ვთქვათ, იდეალისტების ოქსფორდული სკოლა, თუმცა მათ შრომებში არაფერია ისეთი, რაც არღვევს ან უარყოფს იდეალისტურ პოზიციებს, უფრო მეტიც, ამ შრომებში ისიც კი არ ჩანს, რომ მათ ავტორებს ნათლად აქვს გაგებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც გონიერი სიკეთის არსებობის შესაძლებლობის საკითხი. ასე და ამგვარად, ტრადიცია, რომელიც ბრედლისა და კოლინგვუდისაგან იღებს სათავეს და რომლის გამგრძელებლებიც ჯორჯ სევეჯიკი და ბრენ ბლანდისონი არიან, რომ აღაზრათ ეთქვათ თანამედროვე ფენოლოგებზე, სულაც არ არის უიმედოდ მოძველებული, მას, უბრალოდ, აღარ სწავლობენ ჩვენი თანამედროვეები, იგი ისევე ითვლება მოძველებულად, როგორც სისხლსავსე ხასიათებითა და სიუჟეტებით სავსე რომანი ან სონეტა. მეორეს მხრივ, დღეისათვის მოზიემ ვეზისტიციზმის, ან-სურდისტების, პოზიტივისტებისა და სხვათა პოზიციამ ვერ გამოიჩინა თავი, როგორც უფრო მყარმა და საფუძვლიანმა — უბრალოდ, იგი უფრო მიღებული აღმოჩნდა ამ დროისათვის. თუმცა გაჩნდა რალაც ნიშნები, რომლის მიხედვითაც ეს დრო უკვე გადის. სინამდვილე კი ისაა, რომ სამყარო სტრუქტურულად მხოლოდ ნაწილობრივ არის მოწესრიგებული — ესე იგი, ნაწილობრივ მოწესრიგებულია, ნაწილობრივ — არა. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ტოტალური ენტროპიისათვის ნინაღმდეგობების განევას ვერავინ შეძლებდა (ეს ახლა უკვე დამტკიცებულია მათემატიკურად. თუ გახსოვთ, სასიკედილო სარეცელზე აინშტაინი სწორედ ამ პრობლემით იყო დაკავებული). ჯერჯერობით კი, ვიდრე ფილოსოფოსების ყურადღება სამყაროს მხოლოდ მოუწესრიგებელ ნაწილზეა მიპყრობილი, სიკეთე და ბოროტება (იმ შემთხვევაშიაც კი, როცა საკუთარი შეილების სოციალურზეა ლაპარაკი), ისე განიხილება, როგორც საკითხის რუდემენტული გაგება. ვიდრე აღამიანების დიდ ნაწილს, ჯერ ისევე სჯერა ამ ფილოსოფიის, ის დრამატურგები, რომლისტიები თუ სკულპტორები, რომლებიც ასახავენ ამას თავიანთ ნაწარმოებებში,



არის მარცხისათვის განწირული. ჭეშმარიტი ხელოვნება კბაძავს ბუნებრივი პროცესების ორგანიზაციას. გაუთავებელი პრმა ექსპერიმენტების კვლადკვლად ისეთივე მკაცრი შერჩევა, მხატვრის ისეთივე გონივრული განსჯაა საჭირო, როგორც ლომი განსჯის, ვინ შეჭამოს და ვის (ვთქვათ, მარტორქას ან ზოგიერთ საშიმ ველს) ჯობია (ლომის თვალთხედვით) სულაც არ გაეკაროს. ხელოვნება, ქაოსის დაუძინებელი მტერი, თავის შინაარსობრივ პათოსის ჩამოყალიბების პროცესში ავლენს. სწორედ ამამა მისი მორალურობა. ხელოვნებაში მნიშვნელობით სრული არ ემორჩილება პერიფრაზს, თუმცა პერიფრაზის მოშველიებამ შესაძლებელია ზოგიერთი რთული რამ თვით ხელოვნისათვისაც კი გაამარტოვოს, უფრო ნათელი და გასაგები გახადოს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, როგორც ამას ჯონ ბარტი ამტკიცებს თავის რომან „ქემერიონში“, რომ „საუნჯის გასაღები თავად საუნჯეშია“. ამ უკანასკნელის მიხედვით (ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთ ინტერპრეტაციის დონეზე მაინც), თუ ეს გასაღები ხელთა გაქვს, გამოდის, რომ სწორედ ამ გასაღებს უნდა მივითხოვოთ მნიშვნელობა და არა რაღაც სხვა ეძიო, მაშინ, როცა ხელოვნებაში გამოვლენილი ნამდვილი ცხოვრების, ანუ „საუნჯის“ ღირებულება სრულიადაც არ შეესაბამება გასაღების ღირებულებას. ამასთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აბსტრაქციული აზროვნების ენაზე ხელოვნებაში ნამდვილი ცხოვრება არ გადაიტანება, არც მისი კვლადკვლად შეიძლება.

ჭეშმარიტად საინტერესო, ცხოვრებისეული კრიტიკა ახლოს დგას ხელოვნებასთან — იგი თხზავს გამონაკლისს საფუძველზე და, მამსადამე, როგორც მეცნიერება აზარად ეარგა. წარმოაჩინო კონკრეტული აბსტრაქციის დონეზე, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უსათუოდ დაამახინჯო. ემოციური განვითარება ღებულობს ლოგიკური თანმიმდევრობის სახეს, ხოლო ხელოვნების გონების განათება — რაღაც თეზისის სახეს. უბედურება ისაა, ხელოვნის გამონაკლისი თუ ისეთი განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, რომ მისი კვლადკვლად ნარმოების აუცილებლობას ჩინში შეჰყავზარ, კრიტიკოსის შენათხზი ადვილად ისაკუთრებს უღავო ჭეშმარიტების ავტორიტეტს, ვინაიდან ეს გასუფთავებული, გამარტივებული, უარეს შემთხვევაში კრიტიკოსის მიერ გაგებულ მთავარ იდეაზედ დავყვანილი ხელოვნებაა. ავტორიტეტული, სერიოზული კრიტიკოსის სიტყვას შეუძლია დახუროს მუხუმი, არ დაუშვას წიგნის უბოლიკაცია, ხელი შეუწყოს ცუდი წიგნის წარმატებას. ამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითის მოყვანა საჭირო არ არის. მაგალითად, მიუ-

ხედავად იმისა, რომ ჰინდემიტმა აღმოაჩინა „უნტერტონი“, როგორც ბევრითი რეგისტრის საფუძველი, ხლო მონბერგი პრინციპულად არ სცნობდა ატონალიზმს, გავრცელებული მცდარი კრიტიკული აზრის გამო, რომლის მიხედვითაც ატონალიზმა აინშტაინის ფარდობითი თეორიის ექვივალენტად იყო აღიარებული, წლების მანძილზე ავტორიტეტის ის მუსიკა სარგებლობდა, რომელიც მართალია ფორმალურად მონბერგს მისდევდა, მაგრამ არ ჰქონდა რა შემკვიდრებით მიღებული მისი მგზნებარება და შემოქმედებითი ძალა, არსებითად ნამდვილ აბდაუბდას წარმოადგენდა — იგნორირებდა ან უხეშად ძალმომრეობდა ცნობიერების სტრუქტურაზე. ავიღოთ თუნდაც ლიტერატურა. იყო წლები, როცა წიგნს ოზის ქვეყნის შესახებ ბავშვებს მხოლოდ იმიტომ უმაღლავდნენ, რომ ვიღაც ფსევდოკრიტიკოსებმა (მეორე ხარისხის პედაგოგებმა და მოყვარულმა ფსიქოქმედებმა) ერთ დღესაც გადაწყვიტეს, თავის მოკვითის სცენებში (რადღაც სასაცილო და უწინარიც არ უნდა ყოფილიყო ეს სცენები) კასტრაცია იგულისხმებოდა. თუმცა არც თუ ისე დიდი ხნის წინ იმ საშინელი წიგნების, სიმფონიებისა თუ ფერწერული ტილოების უზარმაზარი გორები იქმნებოდა, რომლითაც უხეირო კრიტიკოსების ძალისხმევით ზემოქმედების განსაკუთრებული უნარი მიენერებოდა. თუნდაც, მაგალითად, ისეთ ნაწარმოებებს, სადაც ზანგებისა და ქალების მდგომარეობაზე, მათ პრობლემებზე იყო საუბარი. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს მოდა იმავდროულად ამ თემებზე შექმნილ ჭეშმარიტ ხელოვნებასაც დაუჭერდა მხარს, მაგრამ, არა — ზანგებისა და ქალების პრობლემებისადმი მიძღვნილი ნამდვილად კარგი წიგნის ან სურათის გასაღებად დღესაც ისევე ძნელია და ისეთსავე დიდ ჯაფას მოითხოვს, როგორც ადრე. ნამდვილი ხელოვნება მეტისმეტად რთულია, თუ იგი მხოლოდ გარკვეული პოლიტიკური ტენდენციის ასახვას ცდილობს. ისწრაფის რა აჩვენოს ჭეშმარიტება მხატვრული შეღამაზების გარეშე, იგი ძნელი გასაგები, უხეში და ციციც კია, ამზობს ჩვენს კუმირებს, ჩვენს რწმენას, მოულოდებლად არღვევს თავაზიანობის ნესებსა თუ კაცთმოყვარულ კომპრომისებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ხელოვნება მორალურია თავისი არსითა და დანიშნულებით და, მამსადამე — ქმედითი. მორალურია თავისი შემოქმედებითი ბუნებით, მორალურია თავისი პათოსით. გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვენდანის“ ნაკითხვის შემდეგ მთელს ევროპაში ადამიანებს თავის მოკვლა რომ დაენდოთ, ამ შემთხვევაში ან გოეთეს ნაწარმოები არ იყო ჭეშმარიტი ხელოვნება, ან იგი

მკითხველმა არასწორად აღიქვა. ზოგჯერ ასეთი მწარე სიტყვებიც აღმოხდება ხოლმე ხელოვანს: ჩიტი რომ ჩიტია, ჩიტიც კი ბუდეს აგებს, მე კი ეერაფერს ექმნით. მაგრამ მისი ეს ჩივილი საგნის მხოლოდ სასურველსა და ჯეროვან მდგომარეობაზე მიუთითებს — ხელოვნება ქმნის, იგი აშენებს, იგი არასოდეს ჩერდება უმოქმედოდ, იგი მხოლოდ ბოროტების მიმართ არის დამანგრეველი. ხელოვნება, რომელიც ანგრევს სიკეთეს, ლეზულობს რა შეცდომით ბოროტებად, უდიდესი ცდომილებაა, სიკრუეა და ეს სიკრუე დაუფარავად უნდა ამხილო. როგორც უკეთეს მოგახსენეთ, ჭეშმარიტმა ხელოვნებამ უნდა დაიცავს ღმერთებითა და ადამიანებით დასახლებული სამყარო, ეს მისი არის და მისი დანიშნულებაა. ამისთვის ჭეშმარიტმა კრიტიკამ ცამდე უნდა აიყვანოს ჭეშმარიტი ხელოვნება, რაც შეიძლება ფართოდ გააშუქოს, ნათლად დაანახოს მისი ღირსებები, ხოლო იმედგეროულად ამხილოს ცრუ ხელოვნება თავისი დანიშნულების, ნამდვილი მოწოდების ლალატისათვის. კრიტიკის ამოცანა ადვილი არ არის, ვინაიდან ტროლები ცრუ მაქინაციების ოსტატები არიან.

თანამედროვე ხელოვნების დიდი ნაწილი ან ზედამიწულია, ან მცდარი. უფარვისი ხელოვნება ყოველთვის და ყოველ დროში არსებობდა, მაგრამ იმ ხელოვანთა უმრავლესობისათვის, რომელთაც ცუდის კარგისაგან გარჩევის უნარი არ შესწევთ, ასეთი ხელოვნება მისწრაფების საგნად მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს, როდესაც მოცემული კულტურის ფარგლებში მსოფლიაღქმის საფუძვლები და ესთეტიკური თეორია უხამსობამდე დამახინჯებული. განა პლატონისეულ ათენასა ან შექსპირის დროინდელ ლონდონში ვინმე დაუარავდა ტაშს, სიცოცხლის, ცხოვრების მოძულეს? ჩვენი დროის ხელოვანთა უმეტესობამ უარი თქვა იმ ბრძოლაზე, რასაც ტრადიციულად ხელოვნება ეწეოდა, ბრძოლაზე, რომლის მიზანი იყო, დაენახებინა ცხოვრება, ეჩვენებინა, როგორი უნდა იყოს იგი. ხელოვნება ასევე უნდა ხედავდეს, რა არის ცხოვრების არასრულფასოვნების მიზეზი. მხატვრებს ელვის მსგავს სინათლეზე როდი გამოაქვთ ცხოვრება, რათა დაგვანახონ, სად ვიმყოფებით — ისინი ატყულიზბრალოდ კარგავენ დროს თავიანთი უმოქმედობითა და გაუწყობით, ან დასცინიან რა სიკეთეს, აქებენ უნაყოფობასა და სიმახინჯეს. გვარნმუნებენ, რომ ყოველი ახალი რომანიტი, კომპოზიტორი თუ მხატვარი გაცილებით საინტერესოა, გაცილებით მეტად «გადალელებს» და «გვაფორიაქებს», ვიდრე წინა, კაცობრიობის ექვილდლეობაზე ზრუნვა კი მხოლოდ პოლიტიკაზეა მინდობილი.

საქმე არც კრიტიკასთან გვაქვს უკეთესად.

თანამედროვე კრიტიკისათვის, ხელოვნების რომელ დარგსაც არ უნდა შეეხებოდეს იგი, საფუძველშივე უცხოა ჭეშმარიტობა. ჩვენი სკოლები სრულიადაც არ განიცდიან იმ ადამიანთა ნაკლებობას, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ მუშაობს ხელოვნება, იმაზე კი, როგორი სამუშაო უნდა შეასრულოს, ყოველნაირად გვერდს უვლიან. მუსიკაში მოდერნიზმითა მთელი არმია ვექტორული ანალიზისა და კომპიუტერის დახმარებით ამტკიცებს, ტერციების ქვევით სვლის ტენდენცია ბრამსის სტილის გველაზე დამახასიათებელი თვისებაა, ხოლო პეტოპოვენი მთლიანად თავისი ნაწარმოებების თემატიკით იყო გატაცებული. ასეთი ანალიზი თანაბარი წარმადებით შეიძლება ჯაფარას სტენისავე მიუვსადავო, მაგრამ ამგვარი ანალიზით იმის განსაზღვრა, რომელი უკეთესია, ბრამსი თუ ჯაფარა, შეუძლებელია. რაც შეეხება პოეზიასა და პროზას, აქ ჯერ კიდევ ახალი კრიტიკოსების დროიდან (რომელთა შორის ყველა ცუდი კრიტიკოსი როდი იყო), მხოლოდ ტექნიკაზე გვემის ლაპარაკი, იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს შეწყობილი მხატვრული ელემენტები ერთმანეთთან, მიუხედავად იმისა, რა დანიშნულება აქვს მთელს. ასეთ მიდგომაში არათუ იმის უნარი შესწევს, ცოტა რამ მაინც გვაუწყოს დიდებულები, მაგრამ უხეშად აწყობილი ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ, როგორც, მაგალითად, «მაკარული სამოთხე» ან «მინის მხნეული პეტრეა», უნარი არ შესწევს დაგვანახოს განსხვავება «ძმე კარამაზოვებსა» და «ომსა და მშვიდობაზე», რომ აღარაფერი ვთქვათ, განსხვავება ისეთ საუცხოო ნაწარმოებებს შორის, როგორცაა ჯონ ფაულზის «დანიელ მარტინი» და ჯონ ბატრის კარგად დაწერილი, მაგრამ ნაჭუჭივით ცარიელი რომანი — «თხაქაბუკ ჯაილი». სტრუქტურალისტიები, ფორმალისტიები, ლინგვისტური ფილოსოფიის მიმდევრები გვარნმუნებენ, რომ ხელოვნების ქმნილებები მხოლოდ ალქმის ობიექტებს წარმოადგენენ, ისეთს, მაგალითად, როგორც ხეობა და პრინციპულად გაურბიან ყოველგვარი პუმანისტური ხასიათის საკითხებს, ვთქვათ, ვის დაენმარება ხელოვნების ეს ქმნილება ან რომელ ყრმას ემუქრება გათელვით? კრიტიკის ძირითად საქმედ დეფინიციების გამოგონება იქცა, მორალი კი ცხადის პოზიტივისტური იდეალამდე იქნა დაყვანილი. მაგრამ, მთელი უბედურება ისაა, რომ «ცხადი» არასწორად შერჩეულ ობიექტთან მიმართებაში შეიძლება ისეთვე საშიშ შეცდომად გვექცეს, როგორც, დავთუშვათ, იმ შემთხვევაში, გრაფი ფოსკოს ნიაფისათვის ოთხსაგირეანქიანი მოლიმარი ცხოველი რომ გვეწოდებინა.

თარგმანი

ლილი მჭედლიშვილი



ნაზი
ხელათა

მახილიანი ლაღი

(ოთახ ქიდაძის „ბოლოში“)

საუკუნეთა განმავლობაში ხელოვანი და ხელოვნება ამშვენებდა, ამაღლებდა, აფერადებდა ღვთისმშობელს, ისევე უთვალავი ფერით ბოძებულ ქვეყანას. თავისთავად, ადამიანს და მთელ კაცობრიობასაც (გააჩინა შემოქმედის პოტენციის), ერთგვარად მოძღვრავს და აცნობიერებს: რადგანაც „სახითა მის მიერითა“ (ე.ი. ღვთისმშობლით) შეგქმნა არსებამრიგემ¹, მისგან არს ყოველი ხელმწიფე“ და ადამიანს უფლება არ აქვს დათმოს ეს ხელმწიფობა. კ. გამსახურდიაც ხომ შთაგონებით ამბობდა „ყოველი კაცთაგანი უფლისწულია თავისთავადო“. ნ. ლორთქიფანიძეც შთაგონებდა ყოველი კაცთაგანის ერთადერთობას და განუმეორებლობას, ე.ი. ყველა მათგანი აპირკეთებდა, ამშვენებდა იმ ფასადს, საიდანაც ღვთის შემოქმედებით ნიჭის ყველაზე სრულფასოვანი ქმნილება — ადამიანი იწყებოდა, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ, მაშინ, როდესაც კაცობრიობა იყო „ბავშვი“, შემდეგ კაცთა მოდგმას ან ჩაეძინა, ან მოსწყინდა მუღ-

მივად კვარცხლობეზე დგომა და უცვებ იწყება თავდაღმართი, ათასგვარი იზმებითა და დეკადანსით, დეგრადირებით, დაცემითა და დაკნინებით. ეს ისე, ერთი თვალის გადავლებით, მაგრამ საფუძვლიანად თუ განვჭვრეტთ ყოველივეს, ადამიანს საკუთარი ნებით არ დაუთმია სიმაღლე და კვარცხლობეკი, იგი მეცნიერებამ და ტექნიკამ ჩამოაბრძანა აქედან, უფრო სწორად, ჩამოახეთქა... ხელოვნება კი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ასე თავგამოდებითა და თუნდაც ასე თავდაჯერებით შესტრფოდა უზუნაესის უმაღლეს ქმნილებას — ადამიანს, ახლა გრძნობს, ახალი გზაა საძიებელი. გამოსახვისა და გამოთქმის ახალი ფორმებია აუცილებელი რეალობის აღქმისა და იგივე რეალობაში გარკვევისათვის — შემოქმედი, ჯერ უკან იხევს, ინიღბება, სანგრებში, თავშესაფარებში ემალება ათასგვარ გამანადგურებელს, რომელმაც შეშალა, თითქმის ჭკუიდან გადააყვანა კაცობრიობა.

„გუმისთვის გაღმა, ფიჭვნარით დაფარულ ფერდობზე, ერთ-ერთი ფიჭვის ძირას კომკავშირული გოგონა ჩამაძვარა, ზურგით კანდამსკეპარ ხეზე მიბჯენილი, თვალდახუჭული მისჩერებია მზეს, ირუჯება აფხაზური მზით... გვერდით ოპტიკური შაშხანა უდევს. საორტული... კომკავშირული გოგონა მურმანსკიდანაა ჩამოსული და ერთი მასაგით მოხალისე კრასნოდარელი კაზაკი მოსწონს, იმას კი, კაზაკს, სკივრიდან ამოღებული, ალბათ, მაპის ნაქონი კაზაკური ქუდი გვერდზე კობტად მოუგდია, ასევე ძველი ნითლამამასებიანი შარვლის ფიბეები მოხალული მზესუმზირით ამოუვსია და განუწყვეტლივ აქანანუნებს თეთრი, ნაფოტა კბილებით. „ერთი ქართველი — ერთი მუტა მზესუმზირა — ეუბნება მას, კომკავშირულს, სნაიპერს, შეყვარებულს — ტყუილუბრალოდ, ერთმარცვალსაც არ მოგცემ, იცოდ, მიყურე და ყლაპე ნერწყვები...“

— იცინის საკუთარი ენამახვილობით „კახოელი“! „უმზერს თუ წარმოსახავს მსგავს სცენას მწერალი და ვგრძნობთ, რაოდენ დავმორებივართ იმ დროს „ნა შეეხი ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენეო“, რომ წერდნენ მიჯნური ქალები ვაეებს... შექსპირმა, მართალია, გამეტებით ჩაგვახედა ადამიანის სულის სარკვეში, მაგრამ თანამედროვეობის „სიურეალიზმი“, თავით ადამიანის სულის ჯურღმულეებში ლაღად მონაჯარდე შექსპირსაც გააოცებდა. თანამედროვე „იზმების“ მწვერვალები: კაფკა, კამიუ, ჯოისი თუ სხვები, აგერ, არა დალოცვილი, არამედ მათთვის უკვე „დაწყველილ“ მინაზე ხედავენ ჯოჯობით, ამიტომაც თანამედროვე მწერლობა ნამდვილად ვერ იქნება ვარდებითა და ფასმინებით გაბრუნებული სიყვარულის მომღერალი.

„ფარდის იქით... მთელ სანაპიროზე ყველაზე ჭორღლიანი გოგო წევს, ჭკუასუსტი ინგირა, ფერდობილა. ფარდის აქეთ კი ბიჭვის რიგი დგას, უფრო ზუსტად ზის. სხედან მინაზე,

¹ „ბელოში“, 2002, 7-8, გვ. 96.

ენეიან, იფურთხებიან ვალაჯულ ფეხებს შორის, ენაბილნობენ, დასცილიან ერთანებს და მოუთხრნაღდ ელოდებიან თავიანთ რიგს, აძვეურად ფარდის იქით სოხუმელი ბორია გასული. „კია აზლა ბორია, ანდენი მტერი გვეყავს შე კაცო, მაგას ზომ არ უნდა შეკალი თავი“ — ეძახის შორაპნული ვახო“ (78, გვ. 94).

თითქმის პათოლოგიურ ამაზრზენობამდე მისული რეალობა ყოველდღე ნახსა და ამაღლებულს ამსხვრევს, მიდის და მოედინება ღვარცოფად და ეს მოვლენა მსოფლიო საგოდებელია. „ადამიანი ერთგვარადი მპრიციციოთაა დედისათვისაც, მამისათვისაც, ცოლისათვისაც... მისი ზედმეტად გამოყენება სახიფათოა, შიდასი იცის, საერთო გამოქლიავება, საბოლოო დაქინაითრება და ცუმპა-რამპა“ (78, გვ. 27).

ელეზბარი ამბობს, ადამიანი ცუდი კი არ არის, ცოდნაო (31), „რაც არ უნდა ამაზრზენი არსება იყოს, ადამიანი შეცოდებასა და თანაგრძობის იმსახურებს, მხოლოდ მეორე ადამიანისაგან, რადგან მეორეც ისეთივეა, როგორც პირველი, სულ სხვის მოლოდინშია, ზოგჯერ მთელი სიცოცხლეც და სულ სხვა შერჩება ხოლმე ხელში. ადამიანს შეუძლია მხოლოდ თავს აენიოს და თუ ისეება, ამის გამო ისეება სწორად, სულიერია, ღმერთისაგან თუ სინდისისაგან. ღმერთი და სინდისი ერთიდაიგივეა. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება უსინდისოს ღმერთს სნამდეს და უღმერთოს სინდისი ანუხებდეს. ასეა მონებილი ადამიანი — ყველაფერზე იფიქრებს, გარდა იმისა, რის გამოც ამ დღეშია ჩავარდნილი.“

დასაბამიდან ხელოვნება ადამიანის სულის ლაბირინთებში იშვირება და მის ფიზიკურ და სულიერ სიმაღლეს ადიდება, მაგრამ საუკუნეებმა სულის უკიდურესი შრეებიდან ბლადამი, სიბინძურე და სიადვეც ამოიყოლა. თითქმის რაღაც შემკულულმა შთანთქა სათნოება, სიმწიდე და სიკეთე. ადამიანი გარდამქმნა, გარდაიხსა, იმ „ორფეხა ცხოველს“ დაემსგავსა, ნიკოლორთიფიანდის „გულთამხილავის მსჯავრის პერსონაჟი რომ აცხადებს — ადამიანი არასოდეს მომიკლავს, მაგრამ ორფეხა ცხოველი, ადამიანს რომ ეძახიან, მრავალი“. ასეთ ორფეხა ცხოველთა“ ხოცვა თუ უკვე ნ. ლორთქიფიანითი გმირებს არ მიაჩნიათ ცოდვა, თანამედროვეთ როგორ გააოცებ კამელედისთა და „კამელონით“... და მართლაც, „გოდორის“ ავტორი არცის გაოცებას არ ცდილობს, იგი მხოლოდ წერს, ხატავს, ასახავს, რასაც უშუაურს, რასაც განიცდის. ძნელი დანახვა და გრძნობა იმისა, რასაც დღევანდელითა აგებებს ავტორს, მაგრამ უფრო ძნელი კიდევ ასე წერია, მით უმეტეს, იმ სტილისა და სულის შემოქმედისთვის, როგორც ოთარ ჭილაძეა, მაგრამ არც თავის მოტყუება შეიძლება და მით უმეტეს, არც მკითხველისა. დროის ფარდა დაემკა, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფარდაახდელი სინამდლის მეთხზვა-მელაბზება უკვე საჭირო არ არის, პირიქით. სიღრმეში უნდა ჩახვიდ, იქ დაგუბებული ბინი და ზადი უნდა ამოიტანო, რომ მოულოდნელად თავად არ ამოედინოს ცხელ ლავად.

„მე კი ვმალავ, მაგრამ ჩემი სატიკვიარი არა მალავსო“ ბრძანება და ვით გურამიშვილი და შეძლებისდაგვარად, მართლაც გრძნული დასატაქარივით კვეთდა იმდროინდელ ყოველგვარ მონყულად ხორცმეტებას და სიმსივნეებს. ახალად დროის მერნები“ გლაკტიონისებურად რომ ვთქვათ — „ახალი დროის მიდგრები“ მოვლენა და ოთარ ჭილაძე ქართული მწერლობის ასეთ „მხედრულ“ რომა მიწვეული, ამას უკვე მტიკვება არ ჭირდება, თუმცა დასატარის დანის ასეთა გამეტებით თუ მოიქნევა და ქვეყნის დაწყობლებულ სხეულს თუ ასე დაუნდობლად გამოვიგნავდ, არ მოველოდით...“

დაიას „გოდორი“, ოსტატი დასატარის მიერ განკვეთილი წყლულებია, რომელთა წარმოჩენა ვეჭვობ, მხოლოდ ერთ მარადიულ მიზანს ემსახურება — ქართველი და საქართველო დროზე მოეგოს გონს, ბოლოსდაბოლოს, დასრულდეს ეს „მარადიული დუელი“, მუდამ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე რომ ამყოფებს ყველა ქართველს, მუდამ რომ უფსკრულის პირას მოფარფატე მთვარეულისებერ არიონებს და თუ ერთი — „პეის“ — შეუძახებენ, მზადაა ამ უფსკრულში გადასაშვებად.

„ციცინათელას საკუთარი განათება აქვს, საქართველო კი ბნელში ზის, ავტო უკვე ექვსასი წელია, რატომ? ციციანთელაზე უფარგინა? არ შეუძლია საკუთარი ელექტრონების გამოშუშება? როგორ გეკადრებათ, გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე სხვებს შგონით და ეიდრე თავად სჭირდება, ამიტომაც ზის ბნელში. დაიას, მხოლოდ ამიტომ, შეცდომის ჩადენა შეიძლება, გამოსწორება — არა...“

ექვსასი წლის წინ დაშვებული შეცდომის, ეტყობა თავის კულმინაციას აღწევს და ამის ბრალიცაა, ერთ დღეს რომ ცუდად არიან და მეორე დღეს — გაცილებით უარესად. ასე იქნება სულ, ვიდრე სამარცხვინო წარსულის მშორითა და ზინზლით აქოთებულნი მათი საზოგადო, მათი სამშობლო, მათი აკვანიცა და საცხედრეც, თავის ზღაპრებთან-ღვეცნებებთანად, გეოგრაფიულ სივალბერ, ისტორიულ აბსურდად გამოცხადდება და არა თუ თალთით კარტოგრაფის შედგენილ რუკაზე, ამ ცოდვილ დედამინაზეც აღარ დარჩება მათთვის ფეხის მოსაკიდი ადგილი... ვინც ამხოლა, ყველა მოკვეთეს, გააძევეს, ნვერით ათრიეს, ანდა ტყვია დაახალეს შუბლში — ხოლო ვინც მოუწონა სივალბე და უმსგავსობა, მამულიშვილის გვირგვინით შეამკეს და ფარზე შეასკუპეს მამინე“ ...

მხილების ეს გზა აუცილებლობაა თანამედროვეთათვის, შეუძლებელია ცხოვრების ამ ატორტიმანებულ ტალღას ასე დაუკვირვებლად, ბეციტი და ზოგჯერ ინბეცილივითაც მიჰყვეს ქართველი და საქართველო. საკუთარ თავში, საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ სულიერ, გონებრივ და მატერიალურ რესურსებში თუ არ მოძებნი ხსნისა და მომხდელს ვზას, უსაყრდენსა და უსაფუძვლოს რომ ცხოვრების მდინარე სწრაფად წარგიტაცებს და მოუსაველის მორევში ამოგაყოფინებს თავს — კარგად ეცნო-

და ყველა ეროვნულად მოაზროვნე ქართველს, მაგრამ ახლა ისეთი დრო მოდის, არათუ ეროვნული, აზროვნების საკითხი საერთოდ არ დგას. მანქანა — სისტემა აზროვნების ჩვენს მაგივრად, მანქანა — სისტემა აკეთებს ყველაფერს ჩვენს მაგივრად და ჩვენ, თუ ამ მანქანა სისტემას ნებავს, მოვიგვადებს წყალსა და პურის ნატეხს, ანდაც უწყლოდ და უპუროდ დაგვყვრის, მდინარის ნაპირზე გამოჩივლდ, უწყლოდობით დასუჩუნებდასივრცულ თევზთა დარად... და საბოლოოდ სწორედ ამ თევზთა ბედისწერით დასრულდება ჩვენი ყოფაც, თუ „ჩვენი თავი ჩვენადვე არ გვეყვდება“ არადა, თანამედროვეობა და განსაკუთრებით ახალგაზრდობა, სულაც არ დაგვიდეს „ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნება-არყუდნებას“. და ეს თუნდაც იმიტომ ხდება, რომ ისინი „სხვათა ჭაღების ბრდღელია“ არიან დაბრმავებული, თუმცა მწერალი იმედოვნებს „ეროვნულად იქნება, იმთავაც აებილებები მათი დასანახი თვლი, ვინც სხვათა ჭაღების ბრდღელია დააბრმავა“, უმთავლესურვოდ გამოსული შიშობილური სიბნელიდან... ისინიც გაიხსებენ იავნანას, უფრო სწორად, იავნანას იმთავაც გაახსენებთ, რა არის ანი და რა არის ბანი... გაახსენებთ, სამშობლოში ღვთაებმბივით, მოხმობილენი რომ იქნებიან ყოველთვის, ჩიხებდაკონკილიც, უსამშობლოდ კი მლილნი, არარობანი, ჰაერის ბუბტები, თითის მიკარებისთანავე რომ სკდებიან, ქრებიან უკვალოდ“ (გვ. 75).

ეს ხომ სინამდვილეა, მაგრამ სამშობლოშიც რომ გადაღებზეა თითოეული ქართველი, არც ესაა განსამდვილი. ქართველს ასე სიბნელე-გაძლიების ზღის მატარებელი სამშობლოც ამოუვიდა ყელში — არ გვექნება, ნუ გვექნება, ჩვენ ვადაგვარინოს უფალმა და სამშობლოს ჯანდაბამის გზა შეინაო — ბევრი მივიდა ამ დასკვნამდის. თავად „გოდორის“ ავტორმაც იცის, რომ „საქართველოში ქართველს გარდა ვერჯერებოდა არავინ დაჩაგრულა. რაც დიქტატურამ დაგვაკლო, დემოკრატია მოგვითავა... მოკლედ, ჩვენ შინიდან გაჯერდით, სხვები ძალით გვივარდებიან შინ. მაგრამ ეს ვისი რა ბრალია? ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს და მთავარია, არ დაირღვეს დემოკრატიული პრინციპები, ანუ არც ჩვენთან დავეშალოთ გატყვევად და არც უცხოის ჩვენს ქვეყმე დამკვიდრება... მოყვრად მოსული სტუმარი კი არა, ვერც ერთი ჩვენი დაუძინებელი მტერიც ვერ იტყვის, კუდადმოქმედი გამომამბრუნეს უკან... დიბა... ჩვენ ვარსებობთ, მაგრამ არ ვჩანვართ, ვიდრე ჩვენს ბინებშიც არ აინთება სინათლე“... უსინათლოდ თითქმის უყველადრო საქართველოში, სადაც ყოველივემ მოიმატა ფასი, — არსებობის ყველა საშუალებამ, ერთადერთი ადამიანი გაუფასურდა, უფრო სწორად ქართველი გაუფასურდა და შუა საუკუნეების რენესანსის ხანის მოაზროვნეთა დარად პათეტურად რომ შემოვძახოთ — დაუბრუნეთ ადამიანს დაკარგული ადამიანობა, ანდა უფრო კონკრეტულად — დაუბრუნეთ ქართველს დაკარგული ქართვე-

ლობა — დიდი არაფერი მოხდება, საქმეა საჭირო და აუცილებელი ილიასი არ იყოს — მაგრამ სამშობლომ საქმე რომ მოგვთხოვს? სწორედ ამ საქმისთვის უნდა იყოს მზად მოაზროვნეც, მწერალიც, პოლიტიკოსებდა სახელდებულნიც თუ რიგითინი. ეს საქმე კი ეროვნული ინტერესებიდან, ქართული სახელმწიფოებრიობის სამომავლო მიზანდასახულობათან უნდა ამოვიდეს და არა „სხვათა სამოყვარის თასმების ლოკისაგან“. ქართველები კი ამ საქმისთვის არ აღზრდილან და არც დღეს იზრდებიან, ისინი ისე დაფარვატებენ, როგორც „გაჭურბებული მამიდან ამოფარენილი პეპელა ბრმად და ალაღბებზე აწყდება გაუჩინარებული, გამქრალი სინამდვილის კედლებს, გაუჩინარებულს, რა თქმა უნდა, მისი მიზეზითაც, მისი წყალობით სიჯიუტის და გნებათ, სიბრძნის წყალობითაც და ჩვენში რომ ვთქვათ, მეტი არც მოეთხოვება ერთ შეცდომას გადაყოლილი ქვეყნის შვილს... მისმა წინაპრებმა იმდენჯერ დაუშვეს ერთი და იგივე შეცდომა, იმდენჯერ ჩაყლაპეს ერთი და იგივე ანკესი, ბოლოს მტერსაც ყელში ამოუვიდა მათი სიბრძნე, მობეზრდა მათთან უკუშუალაობის თანამი და საერთოდ ამოშალა ისინი სათვალავიდან!

ყველა პირობა შეიქნა სამშობლო — საქართველოს — იავარსაყოფად, რა ძალა ვასწვდებოდა ქართულ მიწაზე თვალდებაცქცებულ მოძალადეთ, მკერობელთ, მტაცებელთ, მაგრამ „რაკი შინცდამაინც ორ ზღვის შუა გაგაჩინა ვანგებამ, უნდა გაუძღვოს, უნდა აიტანოს, უნდა შეეგუო ვარემოს, ან ვარდაქმნა მარად ცვალებადი საარსებო პირობებისა და მარად უცვლელი ლანდშაფტის შესაბამისად. განმდნე მოდა, თავს დააბრბალი, უფრო სწორად, თვითონ მიხედ თავს. სხვა არავინ შენუხდება შენი გულისთვის, გაბარცვე სამშობლო და შეიმოსე სარცხვინელი შენი...“ სწორედ ამ პირობებით შემოგვევარჯა სამშობლო ხელში, ანდაც, შემოგვექამა, მოძოვეს, მოხვეტეს, მოასუფთავეს ყოველი მოსახვეჭელი, თითქოს მართლაც მირაჟად იქცევა ოდესღაც — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გააქმებული ქვეყნის ზღუდენი.

აკი ამბობს კიდევ „გოდორის“ პერსონაჟი: „საერთოდ არ ვარსებობთ, საერთოდ აღარ რჩება ჩვენთვის ადგილი, არათუ თაღლითი კარტოგრაფის შედგენილ რუკაზე, არამედ ბუნებაში და თქვენი ყბადაღებული „სრულიად საქართველო“ ისტორიული სინაჟი გამოდის მხოლოდ... მეკვდარი ვირის სიზმარი, ტელევიზია კი ჩივის, საქართველოში მოუ-ბიზნესი არ არსებობსო. ღვთის რისხვება, აბა რა არის? არც ახლა მეთანხმები?, ამასაც ვიკონებ? აღარ მისხნო ეროვნული მოძრაობა! გთავადა, თვალები გამოიჩინე, ქვეყანას ისევ ჩემსაგით დაობებული კომუნისტები და შენსავით „ეროვნული მოძრაობიდან“ მოსული კომკავშირლები მართავენ... ნამდვილად აირა ყველაფერი, ირგვლივ ქაოსია და ამ ქაოსში ვარკვევა ყველას უჭირს. ადამიანს ცხოვრების მიზანი ეკარგება

— მამულიშვილს მამულიშვილური გრძობა, თითქოს ყველაფერი ინგრევა და იმსხვრევა, სულშიც და გარეთაც. იმიტომ, რომ ღალატით და სამშობლოსაგან უკუქცევია სხვა შედეგს ვერ მოიტანს, ნუ მოვიტყუებთ თავს, თითქოს მოღალატეობით უკვდავების მოპოვებაც შეიძლებოდა, არავითარ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ზოგიერთ ჩვენგანს, იგივე რადიკალურ კემლის სახსენებელი, შეიძლება საუკუნეებს შემორჩეს, თაობიდან თაობებს გადაეცეს მისი წყევლა და გინება, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო უკვდავებასთან. ჩვეულებრივი სიკვდილი სანატრილი გაუხდება, საფლავშიც ვერ ელირდება სიმშვიდე. საფლავი თუ შუარჩინეს, რა თქმა უნდა, იქაც მიწვედება პატრიარქალი, შვინიბული, დახვრეტილი ხალხის რისხვა, შთამომავლობით გადაამავალი თაობიდან თაობაზე, სანამ ჯერ კიდევ დროა, როგორმე ჩაიკლათ ეს სამარცხვინო, დამლუპველი მითოზიზაცია. სხვა გზა არ არსებობს ჩვენი ხსნისა. ან სამუდამოდ ავიღოთ ღალატზე ხელი, ან სასწრაფოდ ვუღალატოთ იმას, ვინც მოღალატეობად გვაქცია, ან ეძლიოთ სიხარბეს, ან ვთქვალიყოთ სამშობლოს ღემი და ერთმანეთს ვურწყით ვიბებში. ერთად ვუშველოთ სამშობლოს, ნუ განუდგებით სიღარიბის გამო, ნუ ვითუკადრისებთ სიპატარავისათვის, ნუ დაფუნუნებთ გარეგნობას. ვანა ყველა მშობელი ერთნაირად ღამაზი არ არის? მოუხნოთ ჭკუას და დაგბრუნდეთ შინ გაქცეულნიც და გასაქცევუდაც გამზადებულნიც... ბარგზე მჯდომარენიც...

„ბორიტება და დიდი უბედურება“ შეუფერხებლად მოისწრაფის ჩრდილოეთიდან. საცაა დაპყრავს ჟამი და აღარ ერქმევა ამ ადგილს აფხაზეთი, არამედ, სასაკლაო... ვაზს მტევანი აღარ მერგება, ლეღის ხეს, ლეღვი. გავიფანტებით შემოდგომის ფოთლებივით და თავლაფდასხმული მოვედებით ქვეყანას, რაკი ჩვენივე ნებით მივატოვებთ, რაც მამა-პაპისთვის უკუნითი უკუნისამდე მოუცია უფალი... რაკი დიდიდან პატარამდე და წინასწარმეტყველიდან მღვდლამდე, ყველანი მომხვეჭტყველად და ყალბისმქმნელებად ვიქცით. ზერელედ ვმურხნობთ ქვეყნის ჭროლობებს და არკი გვრცხვენია თვალთმაქციობა. მივდივართ, გავიძახით და არ არის მშვიდობა, გავიმარჯვებთ და აპა, ერთხელ კიდევ დაემარცხებით... უსამართლობა ზეიმობს ყველგან, უსამართლობა სჯის და ნონის, ზნეც ანან შეგვიცვალა და გზიდან ამანაც გადაგვაციდინა, ნიპაილისკენ კი არა, სიბნელისაკენ ნავიძელვა უსამართლოდ შემოიწყარალი უფალი, ტანჯვა-წამების ორმოში ჩაგვყარა და საუკუნო წყევლიაში ჩაგვმარბა მკედრებივით“.

ამ სასუქონო წყვდიადიდან თავდახსნას სამშობლოს გადაარჩენით თუ შევძლებთ, თორემ ისე უარეს წყვდიადში ჩავიტრებთ, სადაც არ უნდა ვაიქცეთ, ვისაც არ უნდა შევხებინოთ, ყველგან უსამშობლო ხიზნები გვერქმება და

არა, ქართველნი და მამულიშვილები. მამულის დაცელება ფესვების მოკვეთაა, ფესვების მოკვეთილი ვერც ერთი მცენარე ვერ გადარჩება და მით უმეტეს, ბუნების ყველაზე მეტად მგრძობიარე და სულიერი არსება — ადამიანი! „მასუნთქეთ ჩემი სამშობლოს სურნელი. ხურდა არ მინდა, სიცოცხლეს ვიხილ მთლიანად, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ჩვენს დროში, სამშობლოს სურნელს ვერ გაყავი, სამშობლო იყიდება, მისი სურნელი კი არა. სურნელი, მაინც აქ რჩება გამოცარიელებული სივრცეში, ნასამშობლარზე“... არადა, მართლაც ხომ ყოველივე იყიდება, იკარგება, ჩუქდება, ნადგურდება, ნებით თუ ძალადობით ყველას რაღაც მიაქვს საქართველოდან, თითქოს თავად უკვე არაფერი ჭირდებოდეს, თითქოს უკვე ყველაფერი კარგავს ფუნქციას და ეს ფუნქციადაკარგული ქვეყანა, ერთ თუ ბერი როგორ შეინარჩუნებს სამთხვე: „ქართველები ვინდები მართლები იყვნენ, სად გაგონილა სამოთხის მითვისება?! სამოთხე ყველასია, იმან რა დააშავა, ვინც მურმანსკი დაიბადა?!“ საკავშირო მინიშნულობის სამოთხეა, „ყველა ეკუთვნის“.

— აი მურმანსკელი 17 წლის სნაიპერი გოგონას ფიქრი, რომელსაც სურს წილი დაიდოს ქართულ სამთხვეში. აბა, ამ ბაღლი მტაცებლის მადას, ხომ ფრიად აღემატება ზრდასრულთა და ნიადაგმტაცებლობით განთქმულთა ავი ზრახვანი, რით უნდა ეშველოს ამდენ წართმევა-წაგლეჯვაზე თვალდაცეცებულთაგან ჩვენს საქართველოს?..

ყველა და ყველაფერმა დაკარგა მიზანი და გზა. ყველა და ყველაფერი გაუბრუნეს სინამდვილეს, რადგან ეს სინამდვილე მთლიანად შხამია და მომწამველი, თავიანთ ნიჟარში იკეტებიან ერთ დროს მამულიშვილნიც და მამულის ბედზე მეორეხარისხი. „უსვინდისო თვალთმაქცი, ეს წუთია აფხაზეთში იყო თითქოს, ახლა ქვიშხეთში. სინამდვილეში არ ისვენებს, არც ომობს, იმალება. ემალება ყველას, ნაცნობსაც, უცნობსაც, შვილსაც, სიძესაც, საკუთარ თავსაც... აღარაა შეესაძლებელი გამოსაჩენი პირი. ქვეყანა მისთვის დღითი-დღე უცხოვდება და ისიც დღითი-დღე ეკარგება ქვეყანას. ყველასაგან გადაკარგვის მეტს, ევრაზიის მოიმოქმედებდა ამ პროცესის შესაჩერებლად. საზარელი ძალაა მისი წარმმართველი — საკუთარი უმწეობისა და საკუთარი არარაობის შეგრძნება“.

არვის, არც ერთი სფეროს, არც ერთი მიმართულების, არც ერთი მსოფლმხედველობის, არც ერთი ასაკის ადამიანს არ შემორჩა მომავლის გზა და მიზანი. „მამა ახლაც მართალია, მაგრამ ლიზიკოსაც როგორც ყოველთვის, ახლაც მზადაა აქვს პასუხი: „აი ერთადერთი გზა, რომელიც მან ცხოვრებით დაიმსახურა — არსიდან მომავალი და არასათ მიმავალი, გზა კი არა გზის ნაგლეჯი, გზის მონარჩენი, ასფალტმოსხმული და ნაბლის მწვანე ბურჯლებით მოღვენილი...“ თითქოს ყველა თაობის გზა და-

კომპლექსებულია და ეს კომპლექსი იმდენად არაფრისმომცემია, რომ უგზოობას უტოლდება „სხვა გზა არ ჰქონია და საერთოდაც არ არსებობდა, „სხვა გზა“. ყველა ადამიანი თავისი საკუთარი, ერთადერთი, განუმეორებელი გზით იბადება და თავცოცხალი ვერ გადაუხვევს იმ გზიდან“.

ბედისწერის ფაქტორია ანგარიშგასანევი, უფრო მეტიც, ბედისწერა ყველაფერია, ყოველისმომცემელია. მისი ბრჭყალებიდან თავდახსნა თითქმის შეუძლებელია. „ისიც მამამისივით უბედური იყო, უბედურად შობილი. დაამბავით უბედური და ამავე დროს, მამაზე უფრო მეტადაც, რადგან მამისგან განსხვავებით, უბედურების ყოველ წამს მოსახლოდნენ და განუზრელად მზარდი დარტყმებისა კი არ ემისოდა, არამედ ბედნიერების იმ იშვიათი და მოსაფნამავალი მეგრძნებებისა, ყოველთვის მორლოდნელად რომ გათელვებდნენ ბოლმე მის არსებაში, როგორც გვირახის ნათურები მატარებლის ჩაბნელებულ კუბში, და ერთი ნამით კი გამოიყვანდნენ წყვდიადიდან, მერე უფრო დიდ წყვდიადში უკრავენ თავს“. „გოდორის“ ერთ-ერთი პერსონაჟის შებენიანი ასე ფიქსირდება ბედნიერება-უბედურების, ანუ ბედისწერის ურთულესი წარმოსახვაში. და ზოგჯერ ამ ბედისწერის შეგრძნებას ისე ემონებთან ისინი, როგორც ყოველდღიურ — ქარს, თოვლს, წვიმა-დარს, ავდარს, ანდაც დამსახურებულ სასჯელს. მეტად საინტერესოა ბედისწერის მსგავსი განცდა, თანაც ყოველივე ეს ისე დამაჯერებელი, ისე აუცილებელი და გარდუვალია, პერსონაჟებიც თრთიან მოსალოდნელი უბედურებით, იმატებთან და ბოლოსდაბოლოს, გაურკვევლობის ბურუსიდან გამოსულნი ხვდებიან, რომ უკვე წინასწარმეგუებულნი არიან ბედსა და თუ უბედობას.

„მერე?! რა მოხდა მერე? ამოდურღა როგორც იქნა, თუმცა თვითონვე გრძნობდა ამ შეკითხვის უაზრობას.

რაც მერე ხდება, ყველაფერი უმნიშვნელოა; უკვე მომხდართან შედარებით, ნაკლებად საინტერესოც. მოკლედ, ისლა დაგვრენია, ნაცარი დავიყარით თავზე და ფეხები ჩაუვარდეთ ბედისწერას, პატების სათხებში და უკარა, რაც შეიძლება, დააჩქაროს სასჯელის აღსრულება“.

თუმცა ბედისწერასთან არც თხოვნა ჭრის და აღარც ბრძანება — ის არსებობს, არსებობდა და იარსებებს, წარმმართველი არა მარტო ადამიანთა, არამედ — ქვეყნების, სახელმწიფოების, უძლიერესი იმპერიებისა, თვით მთელი სამყაროსი საერთოდ, ყოველივე არსებულისა და არარსებულის ბატონ-პატრონია, ჩვენ ვინავართ — უმწეო ბედურები, მლიქვნელები, რომელთა ნამიერყოფას ბედისწერის ერთი ვრთის შემრიალებაც კი არ სჭირდება. ბედისწერასთან ბრძოლა ამაოა, გრძნობს ყოველი პერსონაჟი: „რაც ელისოს თავს ხდებოდა, უელისოოდ ხდებოდა და ახლაც ზუსტად ასეთი ვრწმობა ჰქონდა, თითქოს სხვა, უფლებამოსილი და უჩინარი,

წარმართავდა მის ცხოვრებას, ანუ საკუთარი ცხოვრებით კი არ ცხოვრობდა, სხვის ცხოვრებას თამაშობდა, მაგრამ გმირი კი არ იყო, რაზეც ოცნებობდა ზაგვრობიდან, არამედ გმირის შემცველი მეორეხარისხოვანი მსახიობი, უფრო ზუსტად, უნიჭო... როგორ უნდა მორეოდ თავს, როცა ყოველი მისი სიტყვა, ყველა მისი ნაბიჯი წინასწარ იყო გათვლილი ვილაცის მიერ...“

ბედისწერასთან ბრძოლა ამოუვება მიაჩნიათ პერსონაჟებს, მაგრამ მისი შელამაზების მცდელობა ამკარად იგრძნობა თითოეული მათგანის მსჯელობიდან. „გოდორის“ მოქმედი პირები თითქმის ერთგვარად უმოქმედნიც არიან, მათი ხვედრი განსაზღვრულია. სამშობლო და ისინი ერთად იძირებიან უმომავლო წარსულში. დრომ თითქოს დაკარგვა არსი, ყოველ შემთხვევაში, დაქსამი დრო ნამდვილად არ ფუნქციონირებს. წარსული, აწმყო და მომავალი ისე გადანასკვია ერთმანეთს, მათი გამოცალკეება ძნელდება. თითქოს სამართლიანობის, სამართლიანობის ახალი განხორციელება შემოვიდა და მათშია ჩაძირული „გოდორის“ პერსონაჟთა ბედი და უბედობა, ტანჯვა, ტკივილი, სიხარული, მოსურნობა, უგზოობა, უსასობა. ბედისწერას ვინ აღსდგომია წინ. მოსახდენი მიიწვი მოხდებოდა და კარგია რომ მოხდა... ის მაინც გავიგეთ, რანი ვყოფილვართ... მაგრამ ქჭუა კი არ უნდა დავეკარგოთ უარესად, ქჭუას უნდა მოუვხმით ბოლოს და ბოლოს. მუჩისძიებაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ — მონანიებაზე... ერთად თუ არ ვიყავით, ახლა უნდა გავერთიანდეთ... და თუ არ გვიყვარდა, ახლა უნდა შევიყვაროთ ერთმანეთი“. ეს არის სიტყვები კამელუბის უკანასკნელი ნაშიერებისა, იმ კამელებისა, რომელთა დინასტია საერთოდ არ ამოსულა გოდორიდან, გოდორში აიზარდნენ ამ გოდორშივე ეუფლებიან მათთვის სამყოფ ცხოვრების სიბრძნეს: რაც შეიძლება მეტი მიიტაცე, დაე-საკუთრე, რადგან ისიც იცინა, რომ გოდორიდან ვერასოდეს დაიხსნიან თავს, გოდორი მათი ბედისწერაა და ეს ბედისწერა უბიძგებს მათ თავიანთ სულშივე ჩაახშონ ყოველივე მშენიერი და ამაღლებული, ყოველივე დიადი, სრულფასოვანი და არათუ თავიანთ სულში, ბუნებამაც უნდა ანადაგურონ ის, რადგან ასეთია ბედისწერა — გოდორისკაცთა, მეძავი კლავას ნამიერთა, უსახითა, უარაფროთა, და რადგან უარაფრონი და უსახიბო არიან, შეუძლებელია მათი სტრომის ამოვსება, მარადიულ მეძავებად, მარადიულ მტაცებლებად და მკვლელებად იქცევიან ისინი და მარადიულ სამიშროებას უქმნიან კაცობრიობას. როგორც ქვეყნად არსებულ ყოველ საგანს ჭირდება საყრდენი, ასევე გრძნობისა და სულისმიერ განცდებებსაც ჭირდება გენი, კოდი, სულიერი საყრდენი, სადაცაიდან, ვილაცისაგან, უნდა და მოდიოდეს ის ადამიანის სისხლში, საგვარეულოდან, სისხლისმიერი წინაპრებისგან უნდა იღებდეს იგი სათავეს და იგივე სის-

ხლისმიერი წინაპრების სახელი, მოქმედება, წარსული, საფლავიც კი საყრდენი უნდა იყოს მისი ზნეობრივი სახის...

ბულგაკოვის „Саванье сердце“ გვახსენდება. მისი პერსონაჟიც სწორედ იმ დროიდან იღებს სათავეს, რომლისგანაც გოდრის პერსონაჟები და გოდორის პერსონაჟებიც ძალიან გვახსენებს ბულგაკოვის ძალისგულა პერსონაჟს. რა თქმა უნდა, „გოდორის“ და „Саванье сердце“-ს ალგორითი სხვადასხვა ფოკუსშია წარმოდგენილი, მაგრამ, ვფიქრობთ, ძირეული პრობლემა საერთოა. გააკაცება, გაძალადება გოდორის გზაჯვარედინზე დაიწყო ადამიანებისა, რომელთაც ზღვრისა და სიკვდილის ცვლით მოინდომეს ყველაფრის და ყველას დამონება. ამ დრომ და ეპოქამ, რომელმაც შეაზანზარა და საბოლოოდ დასცა რუსეთის ვრცელი იმპერია, დისონანსი შეიტანა მსოფლიოს სულიერ გარემოცვაში. ამდენმა მსხლმა, ამდენმა ხოცვა-ჟლეტამ, რომელსაც დასასრული არ უჩანდა, გადაავგარა ადამიანის ფსიქიკა. თუ მეცხრამეტე საუკუნის ტრაგედია გაორებული სულის ადამიანი იყო, XX საუკუნემ ისე დაანადგურა მისი სული, რომ განზომილებაც ძნელია მოუძებნო, უფრო სწორად, უსულოთა და უფულოთა, ანდაც ძალისგულა ადამიანთა, ან ადამიანად-ნოდებულ ორფება ცხოველთა ახალი სახეობა წარმოშვა, რომელსაც „გოდორის“ პერსონაჟი რაჟენ კაშელი აძლევს სათავეს — „იქიდან იწყება კაშელის სისხლიანი დიხანების ნელთაღრიცხვაც. რაჟენ კაშელი და მისი მუღული, კლავა, ერთ-ერთი პირველები ჩაენერნენ მოხალისეებად ვგრეთნოდებულ მეტერთმეტე არმიამ და შვილიც 21-ში გაუსწდათ, ზუსტად თბილისის ალბის დღეს“. ამ დღიდან იწყება კაშელთა, იგივე ძალისგულათა მიერ ქართველთა უსულგული ხოცვა-ჟლეტა და მათი ისიც მკაცრი ბედისწერის კიდევ უფრო დამძიმება.

მკვლელთა, ჯალათთა ამ სახეობამ ხოცა, ანადგურა, აცამტვერა ყოველივე ღირსეული, ღირებული, ეროვნული, საკაცობრიო, სამომავლო და ყოველივე მშვენიერი და ამაღლებულზე ავადაღრენილთ, ისე ძილაერად ჰქონდა ფესვები გადგმული წარსულსა, აწყყლა თუ მომავალში — ამ სამი დროის შერგნება თითქმის დაუქარგავთ, იყენენ, არიან და იქნებიან, მაგრამ საკუთარ უბემივე ამოუზარდათ, თუმცა ბედისწერთი, თავადაც მკვლელი, მაგრამ მათივე ბრმა გოდრისა და მარტვი მსოფლებდეველობის უარყოფელი და გამანადგურებელი. ევცე, ალბათ გარდაუვალი ბედისწერა იყო. თავად ანტონ კაშელიც ფიქრობს, ავი წინათგრძნობა ყოველთვის დაფარვატებს „გოდორის“ პერსონაჟთა ირგვლივ; ზოგჯერ თითქმის გავაგებულნიც არიან ისინი ამ წინათგრძნობისაგან და ვფიქრობთ, იმდენად დაკომპლექსებულიც — ბედისწერისა და წინათგრძნობის შერგნებით, თავადვე თამაშობენ ავ და სამომ თამაშ კაქკაქტი ტყუილად არ ჩხავის, რაღაცას გვაუწყებს,

მაგრამ ჩვენ არ გვესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებთ, ჩემი ნება რომ იყოს, მისი ნებისმიერი ცდები... ვიდრე ბუნების ენას არ ვისწავლით, ნებისმიერი ცოდნა და მღუპველია“ აცხადებს ანტონ კაშელის მეუღლე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებული, თვითმკვლელობის მცდელობით ვენებებადაჭრილი ლიზიკო, რომელიც კაშელისხარად მოუქცევია ბედისწერას კლანჭებში და თავის ნებაზე თამაშებს...

ეს უკვე თაობის საერთო სენია და ღიზიკოც ამ თაობის სული სულთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. დრო არის ღიზიკოს ჯალათი და თვით ჯალათი მამამთილის ქვედა გრძნობებიც ამძიმებს მის ბედისწერას. სისხლღრევა, გაურკვევლობა, უაზრობა, თვითმკვლელობის უინი ნიადაგამოცლილი თაობის სენია, ყველაფერში მოტყუებული, ყველაფერში გაზნობულებული, სიცრუის და ორპრობის ცაობიდან თავდახსნის მაძიებელთა და უკვე ყველაფრის მიუღწევლობაში დარწმუნებულითა — ხსნის გზად ნარკოზი და თვითმკვლელობა აურჩევითა. ვინ არიან ესენი, ვინაც უკვე დალატის სიმკაცრეც იგემა და მკვლელობის სიამტკბილობაც. აღარც გული აქვს, აღარც — მიზანი, აღარც — ღირსება, აღარც სამშობლო და აღარც — იდეალი. ისინი უკვე მრავალად არიან და ღვთის წყალობით, ზეალ უფრო მეტნი იქნებიან, მამებისა და დედების ხელმეწყობის, ხელისუფალთა უსიტყვო თანხმობით, ზეზეურად ჩამომპაღლი ათასწარი სენითა და სიბიძურით, მარადიული ტუსაღები, ციხეში თუ ციხის გარეთ... მაგრამ არანაკლებ უბედურნი არიან ე.წ. „პომონიკულსები“ თუ „კაქკაქები“, — ბუნებრიობას მოკლებულნი, ხელოვნურად განვითარებულნი, ხელოვნურად აღზრდილნი — ისევე უსულონი და უფულონი არიან, როგორც მორფინისტები, ესენიც დროისა და გარემოს მსხვერპლნი, გორდებსა და ჭურჭელში ამოზრდილნი, საკუთარი „მეს“ გაუთვითცნობიერებულნი არიან. საოცარი სახეები იხატება, საოცარი სიცარიელე შეფობს ირგვლივ. ყოველი დღე ნაცრისფერია, მზიანი დღეები არ თენდება, მზე და ბუნება სიზმრებისა და წარმოსახვების სტუმარია. საერთოდ, თითქმის ყველა პერსონაჟი რეალობიდან ამოვარდნილია. სიზმარ-ცხადის მიჯნაზე რიალებენ და ზოგადადაც თითქმის ნაკლებდამაჯერებელია მათი არსებობა, ეგებ მთელი ეს თაობები, საქართველოს ერთი უამერი სიზმარია, ეგებ ჰიმნოზურ, ანდაც ლეთარგიულ ძილში ხდება ყოველივე, ხელისუფალი არ ხელისუფლობს, თავისუფლობს, საკუთარ ნება-სურვილთა აღსრულებას უფრო ემსახურება, ვიდრე — სახელმწიფოებრივსა, და მით უმეტეს — საკაცობრიოს, მწერალი — არ, ან ვერ მწერლობს, ისიც დოისა თუ „ენისულისა“ და „ბლის“ ცთუნებას აწყობია, დროის შვილთა ტაშს დამონება, მათი ნება-სურვილის ამსრულებელია, ქვეყანას, საზღვრებშიშლილსა

და უფუნქციოს, არცინ ცნობს და თანაც ერთი ც არ არის გამკვირვებული, თუ დამკვირვებელი ამ მეტაფორფონისა. თვად ო. ჭილაძის რომანის. „გზაზე ერთი კაცი მიდიდა“, პერსონაჟი — ბოზია ძლიერ განიცდის იმას, რომ ზღვა მიიპარება და ამას ვერაფერ გრძნობს და ხედავს... „გოდორში“ კი ერთი ბოზიაც არ შემოგვრჩენია, რომ არა თუ ზღვის გაპარვა, სამშობლოს მთელი მინა-წყლის გაპარვა, მთელი ქვეყნის იაყარქმნა იგრძნოს და დაინახოს. ხვალისდელი დღე არც არაღის ინტერესებს და სული ცოცხელი, თითქმის არცის არცა აქვს... ერთგვარი მისტიკურ-ალეგორიული მეგრძნებლის მთელი ნაწარმოებიც წარმოსახვული. თითქმის ყველს და ყველაფერს თავისი სახელი შევია, მაგრამ სინამდვილეში არცინ და არაფერი არ არის, მოშლილი, წამოხილი, თავისმკვლელები, მამის-მკვლელები, გადაგვარებული, გაბითურებულნი...

ვფიქრობთ, „გოდორი“ ერთგვარი საგანგაშო ზარია, რომლის ხმა უნდა მიხედვს ერსა და ბერს, ქართველსა თუ არაქართველს, ხელისუფელსა თუ რიგით მოქალაქეს, ყრმასა თუ ჭარბავს, რომ როგორმე შეჩერდეს, ქართულთა სულიერი კვდომის, მათი სულიერი დეფორმირების პროცესი. თუნდაც ის, რომ იცნება დაკარგული თაობის დრო აღის, რომელსაც ამაღლებული, დიდებული, ან „ამქვეყნიური დიდება სასაცილოდაც არ ჰყოფის და გულწრფელად უქვირს, როცა ხედავს, რას არ კისრულობს ხალხი ამ ნაშიერი თითგაბრიყვებისათვის, ემსახურება იცნებას და იცნობის მარადისობაზე, დიდება დროებითი საყვება მისთვის, რომელსაც ადამიანი დაუფიქრებლად ქაშ და კვდება. ვერ იხელება, უფრო სწორად, ვერ ზომავს, ზედმეტი მოსდის ყოველითვის, ზედმეტი კი ყველაფერი ერთნაირად მავნებელია: საქმელიც, სასმელიც, წარკოტიკიც, სიყვარულიც და თავად დიდებაც... მეტად დამაფიქრებელია ეს აზრი და თანაც ყოველმხრივ, ყალბი დიდება და პათეტიკა, რომელიც წარსულს მართლაც ამცირებდა და აკნინებდა.

ყოველივე ამაღლებულისა და მშენიერის უკვლებელყოფით შეიცვალა და ახლა სულ-გამომიგნული, სულწაჩეკებული ადამიანის უაზრო და უმიზნო გამახებელი ლამის შეაქროს სამყაროს მოძრაობის ბორბლი, ადამიანი შუუძლებელია მიზანსწრაფული არ იყოს და არ აინტერესებდეს, სად გადის მისი როგორც გონებრივი, ისე სულიერი შესაძლებლობის ზღვარი. მისთვის ყოველივე ადამიანური სწრაფვა — ფიზიკური და სულიერი სივანსაღის გამოკვენა, ყველაზე და ყველაფრისადმი „სული ერთია“ დამოკლებულება, ავადმყოფობა, ნიპლიზმი, ვანურჩელობა — სწორედ ეს განწყობილება მოჰყვება თაობებს და აუცილებელია, დროული შეფხიზლება საზოგადოების, ერის, მოშავლის. ჩვენ მოვალენი ვართ როგორც წარსულის, ისე თანამედროვეობისა და მოშავლის წინაშე, რადგან საქართველო და ქართველობა არც ჩვენით

დანებულა და არც ჩვენით უნდა დამთავრდეს, რომ გადასარჩენი უნდა გადავარჩინოთ და მოსაკვეთელი — მოვიკვეთოთ. კაცისმკვლელობა, მამისმკვლელობა და თუნდაც თავისმკვლელობა სხანსები უნდა დამთავრდეს, მხოლოდ საკუთარი ეგოთი ცხოვრება უსამშობლო და უშომშობელია ხალხის ხვედრია.

„გოდორის“ პერსონაჟები მართლაც უსამშობლო და უშომშობლი არიან, როცა ადამიანებს ძალა არ შესწევთ დაეპატრონონ ღვთისბოძებულს, ანდა არც აინტერესებთ პატრონნი და ქომავნი იყვენ საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ლოპე-ყორის, საკუთარი სინდის-ნამუსისა, რა თქმა უნდა, უსამშობლონი და სრულად მიუსაფარი არიან, თუ საკუთარ ლოპე-ყორეს ვერ გასცდება ადამიანის მოვალეობის შეგნება, რა მამულიშვილთა იგი. ზოგჯერ ბედისწერაც განაპირობებს, რომ თავიდანვე უსამშობლობის და მიუსაფარობის განცდა დაუფულოს მოზარდს კამელთა დინასტიის ფუძემდებელით. „სისხლსა და ხორციში გამჯდარი უღირსობისა და უზაფარობის შეგრძნებით გადახვენილს საქართველოდან, მანანაწალა კლავსთან ერთად დაბრუნებულს, სხვათადმი ზიზღისა და ჯალათობის მეტი რა მოეთხოვებოდა და განა ერთი და ორი აღიზარდა კამელთა მსგავსი, ერთი და ორი განირა ბეღმა კამელობისა და ძალისგულლობისათვის და თუნდაც განამარტო საქართველოში? ეს ხომ კაცობრიობის მარადიული დუელის პრობლემა — სიკეთე და მისი ჯალათი, კეთილშობილება და ბოროტება, მაგრამ როგორც უკვე უკვე მივუთითეთ, ამ რკინისა და ატომის საუსუნემ უფრო მკვეთრი და ამაზრზენი ვახადა ამ მარადიული დუელის ფორმა და შინაარსი. საერთოდ, ეს მრავალნახნავა ბოროტება ნთქავს სიყვარულს, სიკეთეს, მშენიერებას და ყოველივე ღირებულს, რისთვისაც ქვეყნად მოსვლა ღირდა, რისთვისაც სიცოცხლესაც უყოყმანოდ წირავდნენ ჩვენი წინაპრები.

დღესდღეობით არც თავშემიწვინი ჩანან, მაგრამ რაც მთავარია, ღირებულებანი გადაფასდა. ის, რაც ადრე თავშემიწვისა და თავგამბების მატარი იყო, აღეს არათვარი ღირებულების საგანებელი უნდა არის, ღირსების გრძნობა დაიკარგა, რამეთუ ცხოვრების მწვერვალებს უღირსნი და ძალისგულისანი დაეპატრონენ — აი, დასკვნა, რასაც „გოდორის“ პერსონაჟთა ასპარეზი და სამოქმედო არეალი გაგვაკეთებინებს... მაგრამ დაცემას ყოველთვის მოსდევს ალდგომბა, სიბნელეს — სინათლე და ამ ჩამოწკარამბული სიბნელიდან, რომელსაც „გოდორი“ წარმოასახავს, უთოდა უნდა გამოცრიკატდეს ნათელი, მამებისა და შვილების მარადიული ომის გამოცდილება საშობლო ვაკეეთილად უნდა ვიგულისხმობთ და ველოდოთ იმებისა და რწმენის აღორძინებას თითქმის განწირული და სულიერად დეფორმირებულ ადამიანებში.



მედაა ჯაფარიძე

ნათელა
ურუშაძე

სსოპსის სახეში

მედაა ჯაფარიძე

პირველად ქუჩაში ვნახე — რუსთაველის გამზირზე არამქვეყნიური მშვენიერება! ეცვა სადა თეთრი კაბა. ხელში ერთი თეთრი ყვავილი ეჭირა. მაღალი და წარმოსადგევი არ იყო, მაგრამ ყველა, უკლებლივ ყველა მას უცქერდა. მსგავსად მცირე ზომის პატრიოსანი თვალისა, ყოველნაირ გარემოში რომ ბრწყინავს, ქართული ხატის მსგავსი თეთრად მოსილი არსება ანათებდა თბილისური ზაფხულის ხალხმრავლობასა და სიჭრელეში.

იმ დღეებში ყველას ის ეკერა პირზე, რომ თბილისში გამოჩნდა კიდევ ერთი მზეთუნახავი — მედეა ჯაფარიძე. ახალგაზრდა გოგონები ყოველნაირად ცდილობდნენ ოდნავ მაინც დამსგავსებოდნენ მას, რა თქმა უნდა, ამაოდ. მაშინ არც თვითონ, არც სხვამ არაინიცოდა, რომ მას იხილავენ სცენაზე, ეკრანზეც, მაგრამ

თბილისელები უკვე იყვნენ მისი ხილვის მოსურნენი ნებისმიერ ადგილსა და ვითარებაში ანუ იყვნენ მისი პოტენციური მაცურებლები, ასეთია ძალა მშვენიერებისა — სადაც იქნებოდა, იქ მივიდოდნენ მის სახილველად. უდიდესია ადამიანთა მიდრეკილება სრულყოფილი ფორმებისადმი, მით უფრო, თუ მშვენიერ გარეგნობაში მშვენიერი სულიც ასხივებს.

საიდან მოვიდა?

ის დაიბადა მეოცე საუკუნის ოციან წლებში. სამყარო იმერეთში იხილა ულამაზეს სოფელ არგვეთში. იმ დროს ეს სოფელი წმინდა ქართული იყო ყველაფრით: ოდები მხოლოდ იმერული, ცხოვრების წესი, ლხინი, გლოვა და ზრდილობაც მხოლოდ იმერული. ქალაქი აქ ჯერ არ შემოჭრილიყო.

დილის ცვრით დანამულ მიწაზე შიშველი ფეხით ურბენია, მდინარის ცივი და გამჭვირვალე წყალი მთელი სხეულით შეუგრძენია, ტყისა და მიწების ხშირი სტუმარი იყო. ისმენდა ზღაპრებს, ძეგლისძველ ამბებს, ხალხურ სიმღერებს. მხიარული ადამიანები იყვნენ მის გარშემო სახლის გარეთ. საკუთარ სახლში კი მწუხარებამ სამუდამოდ დაისადგურა — მედეას დედა მძიმედ განიცდიდა უსაყვარლესი ძმის, ალექსი ჯაფარიძის ტრაგიკულ დაღუპვას, მისი გონება ამ საზარელ ჭეშმარიტებას ვერ შეგუებოდა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ჯაფარიძეების სახლში არ მხიარულობდნენ. ბავშვიც, სიცოცხლით სავსე პატარა მედეა, შინ არასოდეს იცინოდა. მისი გულშია კისკისი მხოლოდ შარავზაზე გაისმოდა.

განსაცვიფრებელი სილამაზით გამოირჩეოდა ბავშვობიდან, ამის გამო მუდმივი ყურადღების ცენტრი იყო. მისი ტოლები ამბობდნენ: არამნიერი იყო ეს სილამაზე და ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი გვეგონაო. ადრე დაიწყო უფროსობა ტოლებში — უხსნიდა როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, უჯერებდებოდა, ტუქუსავდა კიდევ... უჯერებდნენ — მისი მშვენიერებით მოხიბულებს ვერც კი წარმოუდგინათ თუ შეიძლება ანგელოზს შეეპასურო.

იგივე ხელებოდა თბილისშიც, როდესაც მედეა რკინიგზის მე-8 სკოლაში მიაბარეს. აქ მისი აუდიტორია, რასაკვირველია, შეიცვალა — ახლა ეს იყვნენ თანაკლასელები, უფროსკლასელები, მასწავლებლები და მშობლები. ხშირად გამოდიოდა მათ წინაშე და ყოველთვის ლელავდა ისე, რომ სკოლის ექიმმა ყოველნაირი საჯარო გამოსვლა აუკრძალა. დედის ჯანმრთელობა კი ამ დროისთვის იმდენად გაუარესდა, რომ ყმანვილის ოჯახისგან განრიბდა აუცილებელი იყო. ასე აღმოჩნდა ის 1931 წელს მოსკოვში დაღუპული ბიძის ოჯახში, სადაც იგივე ტრაგედია განიცდიდებოდა, ოჯახის მიღმა კი ყველაფერი უცხო იყო.

მოსკოვის მე-7 ჩაქვებულ სკოლაში სამი წელი დაჰყო (1933-1936). სწავლა, რა თქმა უნდა, არ ეადვილებოდა, დრო იყო საჭირო იმისთვის,

რომ სხვა ენაზე გაზროვნა. ისედაც წიგნის მოყვარული, რუსულ კლასიკის დაყნაუბნ. დიდი თეატრში ნახა საოპერო და საბალეტო სპექტაკლები, მოსკოვის სამხატვრო თეატრში დრამატულთა წარმოდგენები.

თბილისში 1936 წელს ჩამოვიდა დედის სანახავად. უკან დაბრუნების რამე ამირებდა, ამ დროს მიიწვია დ. რონდელმა სასინჯ გადაღებაზე ფილმში „დაკარგული სამოთხე“ თავადის ასული გოგონას განსახიერებლად. ნაძალადევის სახალხო თეატრის მუშაობაშიც ჩაება და რამდენიმე როლიც ითამაშა. მათ შორის ტურფა აკაკი წერეთლის „პატარა კახში“. 1940 წელს დ. ესაკიამ გადაიღო ფილმი „ქალიშვილი ვალმიდან“ — აქტორული გოგონა გოგონა განსახიერა.

ასეთი იყო მისი ზეპროფესიული თეატრისაკენ. მსახიობის ხელოვნება მისთვის არავის უსწავლევია.

ზაფხულს ისევე არგვეთში ატარებდა. იმ დროს ხომ არც წყნეთი იყო კურორტი, არც ნაგვისი, არც ბიჭვინთა... რიგისაც და გამორჩენისაც ოჯახი სოფელში მიჰყვებოდა დასასვენებლად. ასე ჩამოდიოდნენ არგვეთში პოეტი პაოლო იაშვილი, მეცნიერი და პუბლიცისტი მისიელ აბრამიშვილი, მუსიკოსი ლუარსაბ იაშვილი. ჩამოყვებადთ ცოლ-შვილი, მეგობრები. მართავდნენ წარმოდგენებს, კითხულობდნენ ლექსებს. იმ წლების ქართული პოეზია მრავალფეროვანი ნიუანსებით, პოეტურ ფორმათა უჩვეულო სინატიფით, ლექსის ბგერადი კულტურის ამადღებულობით, მუსიკალური გამომსახველობის ახალ ფორმათა ძიებით, სიტყვიერი ფერადების მოულოდნელი შეხამებით გამოირჩეოდა. აქ ჩაისახა, ალბათ, პოეზიისადმი მედია ჯაფარიძის ის განსაკუთრებული სიყვარული, რომელიც მრავალი წლის შემდეგ ძალიან საინტერესო ნაყოფს გამოიღებს მის მიერ გამართულ უჩვეულო საღამოებში.

მაშინ კი ყველაფერი იმერული ოდეების აივანებზე იმართებოდა. მაყურებელთა დარბაზი ეზო იყო. „სცენისა“ და „დარბაზის“ მთვლილები ხშირად შენაცვლებოდნენ ხოლმე ერთმანეთს — თუ სცენაზე უფროსები იყვნენ, დარბაზის უმრავლესობა ბავშვებისაგან შედგებოდა და პირიქით. ასე მკვიდრდებოდა ცმანელიების ცხოვრებაში პოეზია. ამავე დროს მოხდა ის, რომ მომავალი ქართული მსახიობის პირველი მაყურებელი გამოჩენილი შემოქმედი ადამიანებისა და ძალზე უშუალო, გამჭვირავი გონებისა და ენაქაზი იმერლებისაგან შედგებოდა.

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე

სასოებით მოვლოდა იმ დღეს, როდესაც ნამდვილი თეატრის სცენაზე შედგამდა ფესს და იქ სიტყვის წარმოთქმის უფლებას მოიპოვებდა. ორი სიტყვა ანდეს სათქმელად სპექტაკლში „მარგარიტა გოტიე“. ის ერთ-ერთ სტუმარს ასახიერებდა იმ მეჯლისზე, სადაც მარგარიტა უნდა მოსულიყო არამთანან განშორების შემდეგ. მას პირველს უნდა დაეცა დარბაზში შე-

მოსული მარგარიტა. უნდა აღმოცნობოდა მისი სახელი და გვარი რათა სტუმართა ყურადღება ახალმოსულზე გადაეცინა. სპექტაკლი თავისი არსებობის მეორე წელს ითვლიდა, მაგრამ მედევასათვის ის პრემიერა იყო, თანაც იმ სცენაზე, სადაც ვერკო ანჯაფარიძის მარგარიტა გოტიე იდგა! რამდენიმე დღის განმავლობაში დიდი მღელვარებითა და სეროზულობით სხვადასხვა ყაიდაზე იმეორებდა თავისი როლის ორი სიტყვა... თურმე რამდენწარაღ შეიძლება ორი სიტყვის თქმა! რამდენი განსხვავებული მინარსითა და მნიშვნელობით...

მართალია, სცენაზე გამოსვლა მხოლოდ მეორედ მოქმედებაში უნდებოდა, თეატრში ყველაზე ადრე ის მოვიდა (შემდეგ ასე აღარ იქნება). სამი საათი იკეთებდა გრიმს, თუმცე ვასაკეთებელი არაფერი იყო. მერე გაოგნებულად დადიოდა კულისებში, არავისთვის ხმა არ გაუქცია, არც შეუხედავს. მარჯანიშვილის თეატრის მუდამ ხალხმრავალ კულისებში ზოგი დაცინვით უყურებდა, ზოგი გაკვირვებით, მაგრამ მისი სილამაზით ყველა ტკბებოდა.



მარცხნივ მედია ჯაფარიძის დედა მეგობრებთან

როგორც იქნა, აიხადა მეოთხე მოქმედების ფარდა. პირველად მოჭრა თვალს დიდი სცენის რამპის შუქზე, პირველად იგრძნო უცნობ ადამიანთა ის სიმრავლე, მაყურებლებს რომ უწოდებდნენ... სცენაზე მეჯლისი იყო, ქრელი და ხმაურიანი, უამრავი ქალი და კაცი ირეოდა, ერთი მათგანი მაინც განსაკუთრებით აქტიურობდა, თავდაუზოგავად ცეკვავდა და ციციონდა, უფრო მეტად, ვიდრე ეს ევალებოდა. აქ გაისმა პირველად ის გაუღიანი სიცილი, რომელიც შემდგომ მედია ჯაფარიძის არა ერთ სცენურ ქმნილებას დაამშვენებს... მაგრამ გამოჩნდა შეუად მოსილი მარგარიტა — ვერკო ტანჯული სახით, უძირო სევდით სახე თვალებით და მედია ცნობისმყოფეად და ფუქსავატი არსების ნაცვლად, თანაგრძნობით აღსავსე, დაბნეულ გოგონად იქცა. ამ გოგონამ ძალზე თავაზიანად და დიდი პატივისცემით, მისთვის განკუთვნილი ორი სიტყვით უწყა საზოგადოებას მისი შობრძანება. ასე გაისმა პირველად მისი ხმა დიდი თეატრის სცენაზე.

ამის მომსწრე აღმოვიწინდი იმიტომ, რომ

მსგავსად არაერთი სხვა იმდროინდელი ახალგაზრდა მაყურებლისა, ამ სპექტაკლს ყოველ რის წარმოდგენაზე ვესწრებოდი. მოვიანებოთ, მოდესაც გავიცანნი მედია ჯაფარიძე, შემდეგ კი მეზობლებზე გავხდით, მიაბამო — სპექტაკლის შემდეგ ქალბატონმა ვერიკომ შეაქო თურმე, მაგრამ ისიც უთქვამს: სამერმისოდ დამიასხოვე, წარმოდგენის ერთი მოქმედი პირის მეორისადმი დამოკიდებულება შენ საკუთარ ცხოვრებისეულ დამოკიდებულებაში არ უნდა აგერიოს. დიდი მსახიობისგან ასეთმა ყურადღებამ ძალიან ვახანრა, მით უფრო, რომ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ახალი მსახიობის პირველი გამოჩენა, ვერიკოს გარდა, არც სცენაზე, არც დარბაზში არავის შეუწინაესა.

მეორედვე მზა სპექტაკლი მოუხდა შესვლა — ვ. ტაბლიაშვილმა მის მიერ დადგმულ ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიძე მეჯღანთაშვილიში“ ჯერ ნუცას როლზე დანიშნა, შემდეგ კი ელენეს როლზე ვერიკო ანჯაფარიძის დუბლიორად.



უდიდესი გამოცდის წინ აღმოჩნდა — ხუმრობაა შეცვალა ვერიკო ანჯაფარიძე თუნდაც ასეთ ეპიზოდურ როლში? თანაც ისეთ ვითარებაში, როდესაც ვერიკოსთანა ოსტატით, როლზე სპექტაკლის სხვა მონაწილეებთან ერთად პირველი დღიდან მუშაობდა, შენ კი რამდენიმე რეპეტიციით უნდა შეხედე მზა წარმოდგენაში. ამ დროს კი მხოლოდ შენთვის დანიშნულ რეპეტიციას შენს მეტი არავინ არაფერს ეძებს, შენს დასახმარებლად მოდიან მხოლოდ. შენ კი ამჟამადვინა ხარ მათთვის — ცეცილია ნუნუნავასთვის, სესილია თაყაიშვილისათვის, შალვა ლამბაშიძისათვის, გიორგი შავგულიძისათვის... ახელი მსახიობების პარტნიორი უნდა გახდე ვერიკოს ნაცვლად!

რამდენი სახის წინააღმდეგობა უნდა გადაელახა სცენაზე ახალფეხადადგმულს, რომელსაც არავითარი თეატრალური განათლება არ მიუღია, არც საკუთარი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი, ძალთა მოსინჯვის შედეგად რომ მიიღება მხოლოდ — მისთვის ხომ ადრე არავის არაფერი არც აუხსნია, არც მით უფრო, უსწავლელია! ყველაფერი თვითონ უნდა აღმოეჩინა.

რატომ დათანხმდა? ჰქონდა კი იმ დროს თავისუფალი არჩევანის უფლება? წარმოდგენაც ძალიან მოსწონდა. არც მხადლი იყო. გაუმართლა. მისი წინდა ქართული მმართველობა და თანდაყოლილი კეთილშობილება ბუნებრივად ჩაიხატა ძველებური სურათების ალბომის ფორცლებში, რომელსაც მთელი ეს წარმოდგენა მოგაგონებდა. ჩაიხატა როგორც ნათელი სხივი, რადგან ასეთი სხივი თვისება იყო მედია ჯაფარიძის არსებობა ცხოვრებაშიც და სცენაზეც.

1942 წელს ვერიკო ანჯაფარიძემ იკისრა ვს. როკის პიესის — „ინფინეტი სერგეის“ დადგმა და მედია ჯაფარიძეს ახალგაზრდა გოგონა შუროჩკას როლი დააკისრა. ბედნიერი იყო. ხედავდა როგორ მუშაობს როლზე სერგო ნაჭარიძე. მედევასთან კი ვერიკო მუშაობდა — ახსენებდა დრამატურგიული ტექსტის ზედაპირიდან როგორ უნდა მიხედვდეს ნაწარმოების ნიაღვრსკენ მამინაც კი, თუ თვით პიესა დიდ სიღრმეებს არ მოიცავს. მასში ასახულ ცხოვრებაშიც ხომ მუდამ არის გარკვეული შრეები.

მართალია, დიდ მსახიობთა რეჟისურა დიდ რეჟისურას არ უდრის, სპეციფიკურია იგი, მაგრამ ამ შემთხვევაში მედეასათვის ყველაზე საჭირო სწორედ ამგვარი იყო — ვერიკო ხომ მასთან ისე მუშაობდა, როგორც თვითონ იმუშაებდა ამ როლზე.

შემდეგ პრემიერის დღესასწაული. გაჩახჩახებული დარბაზი, შესანიშნავი საზოგადოება, ტაბლის გრაილი, ყვავილები... და პირველი სტრიქონები მის შესახებ: „მდიდარ შესაძლებლობათა მსახიობად გამოჩნდა ამ წარმოდგენაში მედია ჯაფარიძე, რომელმაც მოხდენილად და ნიჭიერად განასახიერა პატრიოტიკ გოგონას — შუროჩკას როლი“ (ბ. ელენტი. გაზ. „კომუნისტი“ 1943წ. 5 ივლისი).

დასმა გულთბილად მიიღო. თავისიანად მიიჩინა. მსახიობად მისი კურთხევა შედგა.

ბედმა დამდევდად გაუღიმა — მოხედა თეატრში, სადაც მეფობდა ის, რაც სათეატრო ხელოვნების არსებობის განმაპირობებელია — მსახიობის ხელოვნება. მკვეთრი, საზგასპით დღევანითი ხასიათის სპექტაკლებით აქ არ იყვნენ გატაცებული, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის მოწინავე რეჟისორული ძალები სწორედ ამ თეატრში მოღვაწეობდნენ — ვ. ვუშიტაშვილი, ა. ჩხატარაიანი, ვ. ტაბლიაშვილი. ეს იყო მსახიობის თეატრი. მარჯანიშვილის თეატრის სცენას მაშინ ასეთ მსახიობთა დიდი თანაჯარსკვალავენი ამშვენებდა: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო ვატიციანი, ცეცილია ნუნუნავა, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, შალვა ლამბაშიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ნაჭარიძე, მერი დავითაშვილი, გიორგი შავგულიძე, სანდრო ფორთოლიანი, აკაკი ქვანტალიანი... ყველას ვერ მოთვლი.

ასეთ მსახიობებთან ერთად სცენაზე ყოფნა დიდი ბედნიერება იყო, რადგან ისინი თავის სიმდიდრეს უხვად გასცემდნენ პარტნიორისთვის,

მაგრამ ბევრსაც მოითხოვდნენ მისგან. რამდენ-ჯერ გაუფრინა დამწყებ მსახიობ მედეა ჯაფარიძეს სერგო ზაქარიაძისა და შალვა ლაბინაძის მსუყე სცენური სიტყვა, უნახავს ვერსიოს თვალები, რომლებსაც ყველაფრის თქმა შეეძლოთ. გიორგი შავგულიძის პლასტიკა ახალ-ახალ ნახატებად რომ წარმოაჩენდა ხოლმე მისი იშვიათი მძევნიერების სხეულზე, სესილია თაყაიშვილისა და ვასო გოძიაშვილის ფანტასტიკური იმპროვიზაციები... ასეთი მსახიობები არა მარტომ მაყურებელს ზრდიან ესთეტიკურად, ისინი ერთმანეთსაც ზრდიან. მით უფრო, ახალგაზრდას.

ასე სწავლობდა მედეა ჯაფარიძე სამსახიობო ხელოვნებას ყოველდღიურ, ყოველწამიერ რეპეტიციებზე, სპექტაკლებზე, მათთან ცხოვრებისეულ შეხვედრებში. იშვიათი ხვედრია ასეთი სკოლა, ბეშდა არგუნა იგი მედეა ჯაფარიძეს. საკუთარი ადგილის მოპოვება მსახიობთა ასეთ თანაგარსკვლავედში, რომელშიც იგი თეატრში მოსვლთანავე აღმოჩნდა, ძალიან ძნელაა. მან ეს მოახერხა.

ვინ იყენენ ის ქალები, რომელთა სახით სცენაზე არსებობამ წარმოაჩინა მედეა ჯაფარიძის აქტიურული ინდივიდუალობა და დაუშკვიდრა საკუთარი ადგილი მისი დროის ქართული თეატრის ცხოვრებაში.

პირველი იყო ბიჭი — მიშკა ლავერნიოვი გ. მდივნი ს პიესაში „პარტიზანები“. დადგმა ვ. ყუშიტაშვილის. მხატვარი ი. ჭუბარია. კომპოზიტორი ა. კერესელიძე, პრემიერა — 1942 წლის 18 ნოემბერი.

ხასიათი უფრო კომედორი, თუმც არა კომედორ ნაწარმოებში. გარეგნობის შეცვლა აუცილებელი იყო. დაუნდობლად დაიღო თავის პატარა, ლამაზ ცხვირზე გუმოზის დიდი ნაჭერი და ფორმა ასე შეუცვალა. კალმით მოხატული ნარბი გრიზით დაფარა, მის ნაცვლად მოკლე და ეიზრო დახატა, ტურები პომადით გაისქელა. რამდენიმე ნომრით დიდო ჩექმა ჩაიცვა.

ფეოქრობ, მიშკას როლის შედეგად თავის დაქისრება დიდი გამოცდა იყო ვ. ყუშიტაშვილის მხრიდან — სილამაზეს მოკლებული ვნახოთ, რას იზამსო. მედეას კი ძალიან გაუხარდა — თურმე, სხვადქვევსკენ, ხასიათის შექმნისა კენ სწრაფვა მისთვისაც სასურველი ყოფილა. ახალი უნარიც გამოვლინდა — იუმორი.

სწორედ ამ დროს მიიწვია მ. ჭიაურელმა მეფე ლუარსაბის დის, თინათინის როლზე ფილმში „გიორგი სააკაძე“, კ. პაიბაშვილმა მანანას როლზე ფილმში „ხიდი“, ს. დოლიძემ ვთერის როლზე ფილმში „ჯურღალის ფარი“ და სხვებთან ერთად, სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც გახდა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მოვიდა მედეა ჯაფარიძე ქართულ თეატრშიც და ქართულ კინოშიც. ყველა სპექტაკლი და ყველა ფილმი, რომლებშიც ის მონაწილეობდა თავისებურად

ეხმიანებოდა იმ წლების სულისკვეთებას. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ შემოქმედებით ცხოვრების დასაწყისშივე მედეა ჯაფარიძე აქტიურად იყო ჩართული მისი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარებაში. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იმ დროს და მედეას ასე გაისხლება ღრსამატურევი გ. ნუხაშვილი:

„დიდომიძენივარება და ქვეყნად. მუქშენილბულ ქალაქში ადრე ლამდებოდა. ადამიანები საერთო განსაცდელზე ფიქრითა და გარჯით ათენებდნენ და აღამებდნენ... და მიანიც თეატრები ყოველ საღამოს სავსე იყო. ადამიანებს პურივით სჭირდებოდათ სულიერი საზრდო, იმ წლებში გამოჩნდა ქართულ თეატრში მედეა ჯაფარიძე. ბევისწნარამ იწება ამ მძევნიერი ქალის მოსვლა თეატრში... მისი უბადლო სილამაზე თითქოს უნდა გადაღობებოდა აღზვევებულ ბოროტებას“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1986წ. 4 ივლისი).

ომი დამთავრდა. მედეას შემოქმედებით ცხოვრებაში შემოვიდა სიყვარულის თემა — რეისორმა კ. ანდრონიკაშვილმა გულსუნდას როლი შესთავაზა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“. ეს გოგონა მკვეთრად გამოკვეთილი ხასიათის მქონე იყო. სილამაზეს და სიყვარულს ოუმორიც ახლდა თან. ამიერიდან ეს თვისებები მედეა ჯაფარიძის ყველა მხატვრულ ქმნილებაში იჩენს თავს. განსხვავებულად, მაგრამ უთოოდ.

ქრონფესი გემოვნების მქონე ბ-ნი გვერონტი უთომეც კი, რომელიც ამ დროისათვის თითქმის აღარ წერდა თეატრზე, იმდენად მოიხიბლა, რომ ასეთი სიტყვებით შეამკო ახალგაზრდა მსახიობი:

„არ ვიცი შეიძლება თუ არა უკეთ გულსუნდას როლის შესრულება ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“, ვიდრე ამას მედეა ჯაფარიძე ასრულებს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მხატვრული სახეა, რომელიც ოდესმე სცენაზე მინახავს. შეუდარებელია ეს გულსუნფყვილობა, ეს პირველი ქალური ნაზი გრძნობის გაღვიძება, ეს მთის ყვავილის ღარაფთო თუ წნული, რომლის შესაკვერლად სახიფათო ნაპარლების ნაპირს სიარულია საჭირო“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945წ. 28 ნოემბერი).

ერთი წლით შემოქმედებით მივლინებაში გაემგზავრა მოსკოვის სამხატვრო თეატრში. მეტისმეტად დიდი იყო სწავლის სურვილი. გახდა სკოლა-სტუდიის თავისუფალი მსმენელი. ყოველი დღე წარმეტაცი მინაარსით აივსო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ, მოსკოვში შეხვდა თავის მთავალ მეუღლესა და მეგობარს რეზო თაბუაშვილს. ცხოვრების დინამიკური ხაზი აშკარად აღმა მიერთებოდა... და უცებ — თავზარნი დედა კვლავ შემიშვე ავადდა. ბაქოში ძმის საფლავის ნახვა გახდა ამის მიზეზი. თბილსში დარბუნებულმა მედემ რვა თვე გაატარა ავადმყოფი დედის გვერდით ოთახში, სადაც

დარბები არ იხსნებოდა. ასეთ ვითარებაში ნამდვილი ხსნა იყო ვ. ტაბალიაშვილის ორი მინგევა — კინორეჟისორის როლზე „ქეთო და კოტეში“, თეატრში — ჯულიეტას როლზე შექაპირის „რომეო და ჯულიეტაში“. ამას მოჰყვა ა. ჩხარტიანიშვილის მინგევა ქრიჭინას როლზე მ. ბარათაშვილის პიესაზე „მარინე...“ შემდეგ ელიზა დულიტილი ბ. შოუს „პიგმალიონში“ (დადგმა ლ. იოსელიანის, 1955) და სრულიად მოულოდნელი, უჩვეულო — მ. თუმანიშვილი მაინაჟა კაროენას როლზე ტელედადგმაში „დარისპანის გასაჭირი“, რომელიც მაყურებელმა 1957 წელს იხილა.

კაროენას განსახიერებისათვის უმშვენიერესი მედია ჯაფარიძის არჩევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ შემთხვევით ვერ ეტყვი. ასეთ არჩევანს უთუოდ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა დ. კლდიაშვილის ნაწარმოების თუმანიშვილისეული ნაკითხვისათვის. ამის დასტურია მ. თუმანიშვილის პირად არქივში დაცული ის მასალა, რომლიდან ერთ ამონარიდს ვთავაზობთ მკითხველს:

„ახალი ტექნიკა ზედმინვენით მიცხადაგებოდა ამ გენიალური მინატიურის ჩემ გაგებას. მე ვგრძობდი, რომ ის ჩვენზეცაა დანერგილი, ჩვენ გაჭირვებასა და ნუხილზე, რომ ამ გაჭირვების შესახებ სწორედ ასე ახლო მანძილიდან უნდა ეღიბაპარაკოთ და სულში ჩაახედიოთ პიესის მოქმედ პირებს... ტელევიზია მომცემს საშუალებას გაავანთავისუფლო დავეით კლდიაშვილი ბუფონადისა და გროტესკისაგან, რის გარეშეც იმ დროს არ იდგმებოდა ამ მწერლის ნაწარმოებზე. ეს იყო ჩემი შემოქმედებითი კამათი მათთან, ვინც კარიკატურულად წარმოაჩენდა „დარისპანის გასაჭირს...“ მედია ჯაფარიძე ზედმინვენით შეესატყვისებოდა ჩემ ჩანაფიქრს, რადგან წარმოუდგენლად ლამაზი კაროენა ახათებდა და ყველა ადრე გამომუშავებულ წარმოდგენას ამ ლიტერატურული პერსონაჟის შესახებ. კაროენას არ ირთავენ არა იმიტომ, რომ გონებაჩლუნგია, არამედ იმიტომ, რომ საცოლედ ვაგვიზნადიარ ქალებს ეძებენ, რადგან სხვა საარსებო მდებარეობა არა აქვთ. სავესებით შესაძლებელია ოსიკოცვა ძალიან მოსწონს კაროენას, მაგრამ „აქვს რაზე“ — ეს წყვეტს პრობლემას“.

იმ დროს ტელედადგმები ფორზე არ ისერებოდა — პირდაპირ გადაიცივმოდა ეთერში... მსახიობები მთელ წარმოდგენას უწყვეტილად თამაშობდნენ ერთი კამერის წინ. სანამ გადაცემა მიმდინარეობდა, ტელესტუდიის მთელი ხელმძღვანელობა კაკო ძიძიურის მეთაურობით თავს იყრდა მართვის პულტთან და მსახიობებთან ერთად ლელავდა და განიცდიდა. კარე საგმუშაო ატმოსფერო იყო მაშინ იქ, ზევით, მთან-მინდის პატარა სტუდიაში.

ეთერში გაქრა სევდიანი აშბავი კაროენას და დარისპანის გასაჭირისა... დარჩა მხოლოდ ერთი ფოტოსურათი, ისიც აცდენილი ფოკუსით“.

ასე მთავრდება ეს, როგორც მიხეილ თუმანიშ-

ვილის, ისე მედია ჯაფარიძის შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი ძალიან მნიშვნელოვანი ჩანაწერი.

ძველი მედია კაროენას დავიცვება. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ეკრანული ცხოვრების ის მძიმე წუთი, როდესაც თელეტრევიზია ეს უბრალო იმერელი გოგონა დაიარაზე უჩველად და ცეკვავს. სახეზე იჭარბებს ამ დაღრს, რომ მისი ცრემლი არ დაინახონ, მაგრამ კაროენას, ეტყობა, ცეკვა უყვარს და ამის გამო, რომელიდაც მომენტში ყველაფერი დაავისყდება და მხოლოდ ცეკვას მიცემს. დაიარაზე ხელის მალდა ანე-ვითმოიშორებს სახიდან და გამოჩნდება კაროენას მშვენიერი სახე. ნამიერი იყო ეს გამოჩნალება — კაროენად დაინახა, რომ ყველა წასულა და ის მარტოა, სრულიად მარტო... შეუძლებელია ამის დავიცვება.

იმავე 1957 წელს — მარტა-იზაბელა ა. კასონას პიესაში „ხეები ზეზურად კედებიან“. დამდგმებელ: ვერიკო ანჯაფარიძე და ახალგაზრდა რეჟისორი თ. კანდინაშვილი. ბებია ეუხენია — ვერიკო.

როლზე ვერიკოს მუშაობის მოწმეობა სიხარული იყო მარჯანიშვილის თეატრის ყველა მსახიობისათვის, რადგან ამგვარი მოწმეობა სკოლა იყო. მით უფრო — მისი პარტიციპაობა. ამგვრად კი ამას ისიც ემატებოდა, რომ დიდი მსახიობი მუშაობდა ისეთ როლზე, რომლის განსახიერებითაც უნდა გადაეღება ასაკის ზღვარი და მაყურებელს პირველად მოვლინებოდა მოხუცი მანდილოსნის სახით... სცენაზე კი ისევ ახალგაზრდა ვერიკო იდგა — ჭაღარა იყო, ბეზიას ეძახდნენ, მაგრამ სულით ისევ ახალგაზრდა, კეთილშობილი იდეალების ტრფიალი. ამ იდეალებისთვის ის იბრძოდა ისე, როგორც შეეძლო — თავდაუზოგავად, მზად იყო თავი გაეწირა, მაგრამ უთუოდ ამაყად, ფეხზე მდგარს, ზეზურად. შეიცვალა მხოლოდ ასაკი გმირისა, თემა არ შეცვლილა... ასეთი ქალის გადარჩენისათვის იბრძოდა მედია ჯაფარიძის ახალი სცენური ქმნილება მარტა-იზაბელა... მისი ცეკვური ცხოვრება ფსიქოლოგიური პაუზებით იყო დატვირთული, შინაგან სიმართლით უკიდურესი სავსებით... როლი დუმილის ოსტატობას ითხოვდა, მდუმარებათა განსხვავებულ მიზეზსა და შინაარსს. ეს მდუმარება წარმოქმნიდა სიტყვის მნიშვნელობას წარდიდა და ამრავალფეროვნებდა... თურმე, რამდენი რაბის თქმა შეიძლება პაუზით...

შემდეგ კლეოპატრა განასახიერა ვ. ყუმიტაშვილის მიერ დადგმულ ბ. შოუს „კეისარსა და კლეოპატრაში“. ეს როლი რუსულადაც ითამაშა მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრში (რეჟისორი ვ. ზაგარდაკი) და მაღალა შეფასებაც მიიღო. გაუძლო ისეთ გამოცდას, რომელთან შეჭიდებაც თვით სესილია თაყაიშვილი ვერ გაბედა, როდესაც ვ. ტოვსტონოვოვი სთხოვდა ბებია ოლდა ლენინგრადის დიდ დრამატულ

თეატრში ჩემს მიერ დადგმულ წარმოდგენაში ითამაშეთ გენბავთ რუსულად, გენბავთ — ქართულად.

1967 წლის 19 ივნისს მარჯანიშვილის თეატრში მედია ჯაფარიძის სცენაზე მოღვაწეობის 25 წელი აღინიშნა. სცენის უღამაზესი კაზმულობა ელენე ახელუდიანს ეკუთვნოდა, მედიას შესახებ ილაპარაკეს: ვერიკო ანჯაფარიძემ, მიხეილ მრეველიშვილმა, მარიკა ბარათაშვილმა, ბათუ კრავეიშვილმა, მიხეილ ყვარულაშვილმა, სერგო ფარაჯანოვმა, გოგი გეგეჭკორმა, აკაკი ევანტილიანმა, ელენე ასლამაზიშვილმა... წარმოდგენილი იყო ნაწყვეტები სპექტაკლებიდან: „ჭრიჭინა“ „ოქრო კაცი ბენვის ზიდზე“, „მიგმალიონი“, „კეისარი და კლეოპატრა“, „რომეო და ჯულიეტა“ — ყოველი მათგანის წინ სინათლის შუქი ეცემოდა აფიშას — ასე ცხადდებოდა სპექტაკლის სათაური... ბევრი დაინერა იმ დღეებში მედიას შესახებ. განსაკუთრებით თბილი იყო ვერიკოს წერილის ბოლო სტრიქონები: „მას თავდაიწყებამდე უყვარს თეატრი, სცენა, როლი და ამისთვის მზად არის ყოველივე დასთმოს. მედიას უდიდესი ნებისყოფა და ცხოველყოფილობა აქვს. პირველივე წლებიდან შემოიყარდა მედია. მზიბლავს მისი კომედიური ნიჭი, მისი ნატიფი ხელოვნება, მისი აკკაურა წყაროსავით გამჭვირვალე სათნოება. მისი მოუსვენრობა...“ (გაზ. „კომუნისტი“, 1967წ. 22 ივნისი).

ძნელია დაასახელო სხვა მსახიობი, რომელსაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ასეთი ყურადღებით აკვირდებოდეს და ექცეოდეს მისი დროის უდიდესი შემოქმედი, შემდეგ კი ასეთ ზუსტ შეფასებას აძლევდეს თავის უმცროს პარტნიორს.

მედია ჯაფარიძის 25 წლის საზეიმო აღნიშვნა იმის სრულ იმედს იძლეოდა, რომ მსახიობის ცხოვრების გზა მარჯანიშვილის თეატრში აღმაწარიმართება.

არ მოხდა ასე. მომდევნო ორი წლის მანძილზე ახალი როლი მარჯანიშვილის თეატრში მედია ჯაფარიძეს არ შესთავაზეს. 1972 წელს მარჯანიშვილის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა მოსკოვსა და ლენინგრადში, საგასტროლო რეპერტუარში ის არ იყო დაკავებული. კიდევ ორი სეზონი ჩათავდა ისე, რომ ახალი როლი მას არ მიუღია. სარეპერტუარო კრიზისი ნამდვილად დადგა მისთვის.

სწორედ ამ დროს დაიწყო მუშაობა ფილმზე „მზე შემოდგომის“. ეს იყო ნამდვილი გადარჩენა, რადგან მას ეძლეოდა საშუალება ელაპარაკა იმაზე, რაც აინტერესებდა, აღეღვებდა და იტაცებდა, რაც უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნდა. შეეძლო ელაპარაკა ეკრანიდან, რომელსაც ის რა ხანია არ გახსენებდა. მის ახალ — ეკას სახეს რ. თაბუკაშვილის სცენარიდან წინ უძღოდა თითქმის 10 წლის უმოქმედობა სცენაზე და 16 წლის მღუმარება ეკრანზე.



მარჯანიშვილი III. ლედი ანა

ეკას როლი მისთვის დაინერა. ამის გამო უკონდა მის განსახიერებას ასეთი მნიშვნელობა მედიას შემოქმედებისათვის. ამ ფილმში მთელი თვალსაჩინოებით გამოვლინდა ის, რაც მედია ჯაფარიძისათვის ამ ეტაპზე ახალი იყო — არა ყმანეილი ქალის, არამედ შუახნის გზაზე მდგარი ქალბატონის ურყევი რწმენა ამალღებულის სიძლიერისა — ჯიუტი რომანტიკოსისა. ქართულ ეკრანზე მან გააცოცხლა რომანტიკოსი ქალბატონი.

1975 წლის 26 მაისს მოსკოვში, მსახიობის სახლში შედგა მედია ჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო. ის, რასაკვირველია, წინასწარ იყო დაგეგმილი. მედემ შემატყობინა მათი გადამწვეტილება და საღამოს ნაყვანა შემოშთავაზა. ალბათ იმიტომ, რომ თბილისში ჩატარებულ მის პირველ საღამოზე მე უკვე ვიკისრე ასეთი საპატიო ვალდებულება, მაგრამ ეს იყო რვა წლის წინ, მისი შემოქმედებით ცხოვრების მაღალ ტალღაზე. ასეთ დროს გამართული საღამო თავისთავად ზეიმია თუნდაც იმით, რომ მაყურებელი თვალნათლივ ხედავს როგორა დატირებული მსახიობი შემოქმედებითად. მაშასადამე, როგორ ესაჭიროება მისი ხელოვნება თეატრს. ახლა, რვა წლის შემდეგ, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა — მედიას ახალი არაფერი მეუქმნიდა. მაშასადამე, საღამოზე მოსულთა წინაშე ის დიდი ხნის წინ შექმნილი სახეებით უნდა წარედგეს. არის კი ამგვარი ვითარება საზეიმო? ნამდვილად, არა. გამოსავალი? იძულებული ვიყავი გულსატკეპნი სიმართლი მეთქვა: თუ თანახმა

ხარ, რომ ეუბანბო მაყურებელს როგორ გიჭირს შენ ახლა შემოქმედებითად, მაშინ მეც თანახმა ვარ საღამოში მონაწილეობაზე, უდიდესი სიამოვნებით. თუ არა — ვერ ვიკისრებ მის ნაყვანას, რადგან სიცრუეზე აგებული, წინასწარ განწინრულია. არ იყო ადვილი არც ამის თქმა, არც ამის მოსმენა. რამდენიმე დღე მთხოვა პასუხისათვის, მეც დაშირეკა და მითხრა: მართალი ხარ, ვთქვით სიმართლეო. დიდი ვაჭყაცობაა ასეთი პასუხი მსახიობისგან, იშვიათი და ბევრისმთქმელი მის შესახებ.

ასე ჩავედით მოსკოვში და ვთქვით სიმართლე: მედეა ჯაფარიძე ჩამოვიდა თქვენთან მისთვის ძალიან მძიმე პერიოდში. არ ვფარავთ ამას, რადგან ასეთია სიმართლე, მაგრამ ვამბობთ ამას არა იმისთვის, რომ თავი გამოვარალოთ, არა, - ჩვენ გვინდა ეუთხრათ ყველას, ვინც არაა გულგრილი მსახიობის შემოქმედებისადმი, რომ ურყევად გვანამს: მაღე დადგება დრო, როდესაც უდიდესი სამეცნიერო აღმოჩენებით განებიერებულ ადამიანს, რომლის რაიმეთი გაკვირვება თითქმის შეუძლებელია, სულ უფრო მეტად დასჭირდება ყურადღებას, სიკეთე, გულსხმირება, თანადგომბა, გულის სითბო, — სწორედ ის თვისებები, რომლებიც მუდამ ძვირფასი იყო მედევასათვის და იმავე დროს ასე დამახასიათებელი მისთვის.

განსაცვიფრებელი იყო ამ საღამოს წარმატება.

სიმართლე იყო ისიც, რომ ახალგაზრდა სცენარისტთან განშორების უამრ მთახლოვდა. არც ერთი მსახიობი ქალისთვის ამ ზღურბლის გადალახვა არაა ადვილი. არც ასაკოვანი ქალის განსახიერება — ვინ თქვა, რომ ხანში შესული ქალის განსახიერება ადვილია?! სწორედ ამ დროს დაინერა ლამა თბუკაშვილის პიესა "ძველი ვაღი", რომელიც დადგა მ. კუჭუბიძემ და მთავარი როლი მედეა ჯაფარიძის შესთავაზა.

რომლებმუშაობამ გაიტაკა, რადგან თვით პირესა იკვლევდა პრობლემას, რომელიც მას ახლა აღელვებდა — უახლოეს ადამიანთან შორის ურთიერთობათა სიმშვენიერე და პოეტურობა. ხანს მიღწეულ ადამიანში იმის შენარჩუნება, რაც სიჭაბუკეში თავისთავად არსებობს.

ყოველთვის მიაჩნდა, რომ ხელოვნების დაწინოყლებბა გააღვიძოს ადამიანში მისივე სული. ყველა მისი სცენარის საზე, განსაკუთრებით კი შუახანს მიღწეულ ქალთა სახეები, ამგვარ ფესზე იყო ამოზრდილი, ვინაიდან თვით სინამდვილის ამგვარი აღქმა ასაკთან ერთად მხოლოდ მძაფრდებოდა მასში. ეს იყო ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მედეა ჯაფარიძისთვის მისი შემოქმედებითი ცხოვრების იმ კრიზისულ წლებში.

მსახიობის სული თავისებური საცავია. გინდა თუ არ გინდა, იქ გროვდება მისი სათქმელი და ელის გამოსავალს. თუ სცენაზე ეს არ მოხერხდა წარმოდგენით, გამოვლინდება სხვათირად. მთელი სიძაფრით ამოიზარდა მის წინაშე

ახალი მოთხოვნისება — აუდიტორიასთან პირისპირ შეხვედრა. სწორედ აუდიტორიასთან, რომელიც არ იქნებოდა მაყურებელი — იქნებოდა მსმენელი. ეს ხომ სულ სხვაა... მართლაც, სცენაზე ლიტერატურული პერსონაჟის სახით გამოსვლა პირდაპირ კავშირს მხოლოდ სხვა მოქმედებებთან ვარაუდობს, არამაყურებელთან. ლექსის საკუთარი სახით კითხვა მსმენელთან პირდაპირ, უშუალო კავშირს ეფუძნება. იქ, სპექტაკლი ყველა და ყველაფერი გემარცხება — რეჟისორიც, მხატვარიც, კომპოზიტორიც, პარტნიორებიც, აქ — მარტო ხარ და ყველაფერი მარტო შენზეა დამოკიდებული. მოახერხებ კი ამას?

ეს გაიკრევა იმ უჩვეული საღამოს, რომელიც 1980 წლის 3 ივლისს შედგა საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში.

ჯერ ნ. ბარათაშვილის "ციხა ფერს" წაიკითხა. შემდეგ დარბაზს თხოვნი მიმართა — წამიერი დუმილით ვცეთ პატივი ამ საღამოს რეჟისორს — არჩილ ჩხარტიშვილს, რომელიც ვერ მოესწრო მისთვის ესოდენ უჩვეული წარმოდგენასო. ფეხზე მდგომი მრავალასეული ადამიანი დარბაზში და ერთად ერთი მსახიობი სცენაზე წუთიერი დუმილით გაერთიანდა და გაირინდა...

შემდეგ ამ ერთმა მსახიობმა გულახდილად განაცხადა — არავითარი საგანგებო პრინციპი ჩემს პროგრამას არა აქვს, ჩემ საეკითხვ ქართულ და რუს პოეტულ ლექსებს ნაკეითხვათო. პოეზიისადმი მისი სიყვარულის ეს განდობა იყო პრინციპი. დაიცვა კიდევ იგი მედემ მთელი საღამოს განმეალობაში — პოეზიის სიყვარული.

ის კითხულობდა რუსთაველს, გალაკტიონს, ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, გიორგი ლეონიძეს, ენსინს, პასტერნაკს, ახმატოვას, ცვეტაევას... სად? უზარმაზარ მაღალიარუსიან დარბაზში სულ რომ არაა გათვალისწინებული დრამატული თეატრის ერთი მსახიობისათვის არც სცენის, არც დარბაზის სივრცით (ის ორთახსზე მეტ ადამიანს იტევს). არ განაწილოს ტულებითადი საუბრისათვის. მედემ კი სწორედ ეს მოინდობა და მოახერხა.

პოეზიის ნიმუშებს დედნის ენაზე კითხულობდა, ასეთი იმედოვანი თავის რეჟისორს? სხვა ენის ცოდნის დემონსტრაცია მიზნად არ დაუსახავს. ის გამოვიდა ხალხის წინაშე მხოლოდ იმისთვის, რომ გულახდილად მოეთხრო: სად, როდის, რანაირად შემოვიდა მის ცხოვრებაში ესა თუსი პოეტური ნანარმოები როგორც აუცილებლობა, როგორც სულის მოთხოვნა. ამის გამო ყოველ ლექსს წინ უძღოდა მისი მონაყოლი — რა კარვად ცლოდნია, თურმე, ამბის მიყოლა, ადრინდელს გახსენებია...

ცხოვრებისეული ამბის წიაღში აღმოცენებული ლექსი მსახიობის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა. მთელი საღამო პოეტთა ლექსებისა და მსახიობისეული მონათხრობის

უჩვეულო ნაერთი იყო. დიდი გამბედაობა ახეთი დანყვილება. ჩვენ არა მარტო ვისმენდით იმას, რასაც მსახიობი გვიამბობდა, არამედ ვგახსოვდით როგორ გაუხსნა მას სამყარო პოეზიამ, რა სახის ზნეობრივი ანგარიში ნარუდგინა, რა სულიერი ძალები გააღვიძა მასში, გააღვიძა და სამუდამოდ შეუნარჩუნა. ისიც ვაფიქვით, რომ მის ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი ხანა, პოეზიას რომ განმორებოდა, რომ არ უცხოვრია არასოდეს ლექსის გარეშე...

ის იდგა მარტო უზარმაზარ სცენაზე უამრავი მაცურებლის პირისპირ განსაცვიფრებლად სუფთა, ლამაზი, შექმრთალი, მაგრამ სულით ძლიერი. ამ სულის ზნეობრივი მოქმედების სურვილით ალსავსე და უცდევნი ნდობით გამსჭვალული იმით მიმართ, ვინც დარბაზში იყო. იქნებ, მედეა ჯაფარიძის პიროვნება ყველაზე ნათლად ამ საღამოს გამოვლინდა? ოთარ მამფორიას ლექსიც ხომ ამ საღამოს შემდეგ დაინერა! —

ღვთური სახე სევდით ბრწყინდება,
„მზე თიბათვისა“ შენს ხმაში კვნესის
და მარგალიტის ცისფერ მძივებად
ყელზე გეხვევა ობოლი ლექსი.
დღევანდელ სანთლებს ცრემლები წვეთავს,
გარდასულ შგოსნებს ფრუანტებს მოპვერი,
ტიციანს მოაქვს მიხაკი შენთან,
ხელებს გაგინვადის შორიდან ბლოკი.
ბედების კართან პაოლი იწვის
ლოცვად ჩაესმის ხმა მონარნარე,
თვალებს გიკოცნის ლაშურას ზვირთი,
თიშებზე გეხვევა არგვეთის მთვარე.
და სვეტიცხოვლის ფრესკებს, ჩუქურთმებს,
გელათს, ვარძიას, თერგს და დარიალს,
უკითხავ ლექსებს, ძველ ენს უბრუნებ
შენ საქართველოს, ჩემო დაია.
რა არის წელი თუნდაც სამოცი,
სამჯერ სამოცი როლის მფლობელი!
მადლობელი ვართ, ღმერთმა დაგლოცოს,
ცვიანო ვარდო — დაუჭკნობელი!

მედეა ჯაფარიძის ეს საღამო იყო მეუფება ყოვლისშემძლე სიტყვისა, კიდევ ერთხელ შემახსენებელი იმ ჭეშმარიტებისა, რომ სცენაზე არ შეიძლება სიტყვის სასხვათაშორისო ნარმოტება, რომ ნებისმიერ ფიცარნაგზე მხოლოდ პოეტურ სიტყვას უნდა პუროდეს ადგილი.

და მან გამართა კიდევ ერთი უცნაური საღამო 1985 წელს უკვე კინომსახიობთა ქართულ თეატრში. მას ეწოდებოდა „იმპროვიზაცია განუხორციელებელ როლებზე“.

იმპროვიზაცია წმიდა აქტიორული სტიქიაა. რთულია იგი და ყველასთვის ადვილად ხელმისაწვდომი სულაც არაა — ის ადრე დადგენილი ნახატიის შეფერადებაა, ძიებათა დაუსრულებლობა და ენება როლებს, რომლებიც უკვე განხორციელებულა სცენაზე. მედამ კი განუხორციელებელი როლების იმპროვიზაცია შემოგვთავაზა, რომელთა თამაში უნდოდა, მაგრამ არ მიხერხდა.

ვინ არიან ის ქალები? — კომისარი ქალი ვს. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, ფიროსმანის სატრუფო ფრანგი მსახიობი მარგარიტა. ნინა ზარენჩია ა. ჩეროვის მიესიდან „თოლია“ და ფრანგი მომღერალი ედიტ პიფი. ყოველი მათგანის ცხოვრებიდან თითო მონაკვეთი. მაშასადამე, ნანილის საშუალებით თოელი.



„იმპროვიზაცია განუხორციელებელ როლებზე“ გულადი, უშიშარი ადამიანის განზრახვაა, მცდელობა იმისა, რაც სხვას არასოდეს უცდია და მოსალოდნელი მარცხის არ ეშინია, თუმც კარგად იცის, რომ ეს მარცხი საჯარო იქნება. ყველაფერი კარგად ესმოდა, მაგრამ სცენაზე თავისი სათქმელის გამოტანის სხვა შესაძლებლობა მას არ ჰქონდა. სცენაზე გამოსვლა კი — მოთხოვნილებად ქცეული. სხვისი ცხოვრების გათავისებაც. ესეც რთული. მით უფრო, რომ მაცურებელი შეჩვეულია მსახიობთან შეხვედრას მაშინ, როდესაც როლზე მუშაობის სარეჟისორი პროცესი დასრულდა და სპექტაკლი საჯაროდაა გამოცხადებული. მენ კი მას მუშაობის პროცესს სთავაზობ, თან როდესაც მარტო ხარ. რამდენი უნდა შეეძლოს ერთ ადამიანს პარტნიორის ვარემე, როდესაც მის მიერ არჩეულ პეისაში ის მარტო არაა. საიმპროვიზაციოდ არჩეულში მარტო ხარ და მაცურებელს შენი ცხოვრების მხოლოდ ერთ მონაკვეთს ნარმოდვდენ. ერთი მონაკვეთის ჩვენება მეტყველ საშუალებათა სიძუნწესაც მოითხოვს და დროის ზუსტ განაგარიშებასაც — მხოლოდ ის საშუალება და მხოლოდ იმდენი დრო, რაც უკიდურესად აუცილებელია.

რადგან ის საღამო არც სპექტაკლი იქნება და არც ნანყვეტი სპექტაკლიდან, მხატვრის მიერ საგანგებოდ მოფიქრებული არც სცენური გარემო იქნება, არც სამოსელი. მსახიობმა თვითონ უნდა გაიზაროს და შეარჩიოს ყველაფერი, რაც სცენაზე დასტორდება: ავეჯი, ტანსაცმელი, ნივთები, რაც მის ახალ გმირთა ასე ხანმოკლე და ასე უცნაური სცენური სიცოცხლის ამტყველებას მოემსახურება — კომისარ ქალს, ნინა ზარენჩიას, მარგარიტას და ედიტ პიფის.

მინც რამ განაპირობა მედია ჯაფარიძის ეს არჩევანი? ექნებ იმან, რომ მუდამ აინტერესებდა სულით ძლიერ ქალში ჩვეულებრივი ქალური სისუსტის აღმოჩენა? ასეთი სისუსტე აძლევდა მას, როგორც მსახიობს, თანაგრძნობის ღმინილით გაეთბო საკუთარი ქმნილება სცენაზე. მან ხომ ამჯერადაც თვითონ დაუსვა თავის თავს ურთულესი, წმინდა ლაბორატორიული ამოცანა: ვაჩვენო მაყურებელს როგორ ვცდილობ ჩაწვდევ მწერლის ტექსტის მიღმა მდებარე სიღრმეს, მივაგნო ადამიანის სულის ფარულ საცავებს, იქ მის ქცევათა მოტივაცია აღმოვაჩინო. ამგვარ საიდუმლოთა გამოცნობის გარეშე ხომ არ არსებობს მსახიობის შემოქმედება.

ამიტომ მედია ჯაფარიძის ამ ექსპერიმენტში მთავარი არ იყო მის მიერ აქ წარმოდგენილ სცენურ სახეთა მხატვრული დონე. არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა შეფერვაბა თუ არა მას ასაკობრივ წინა ზარუნაიას როლი, რადგან ის კი არ თამაშობდა ზარუნაიას, არამედ გვიჩვენებდა როგორ ითამაშებდა მას, თავის დროზე რომ მიეღო ეს როლი.

არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, თუ როგორ მღერის ის ედიტ ჰაფის ყველასათვის ასე კარგად ნაცნობ სამღერას — განა თვითონ არ იცოდა, რომ მისთვის ვერაფერი იმღერებდა? მთავარი იყო ის, რომ მედია ჯაფარიძემ ერთი საღამოვ განმავლობაში წარმოგიდგინა მსახიობის როლზე მუშაობის რთული პროცესი და ამით თავისებურად უმღერა მას. მაყურებელი მსახიობის შემოქმედებით ლაბორატორიას ნაწილობრივ მინც აზიარა და ამით ბევრი რამ აუნყა მსახიობის ხელოვნების შესახებ.

ეს საღამოები გაიმართა როგორც კინომსახიობთა თეატრში, ისე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში, ა. ზორავას სახელობის მსახიობის სახლში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგურ ინსტიტუტში, პურპროდუქტების საწარმოო კომპინატში და სხვ. შემდეგ — მოსკოვში. ს. ობრაზცოვის სიტყვის ჩანაწერიდან: „...რაც დღეს ვნახე სასწაულია. მინახავს იმპროვიზაცია ნათამაშებ როლებზე, მაგრამ არნათამაშებუ... არ მინახავს! თანაც ასე საინტერესოდ, ასე არტისტულად, ასეთი ვახერხებთ — მე ძალიან ხნიერი ვარ, მაგრამ ის, რაც დღეს ვნახე — გრანდიოზულია!“ (ჩანაწერი დაცულია მ. ჯაფარიძის პირად არქივში).

შემოქმედების უნარი არ არსებობს ხელოვნის პიროვნებისაგან დამოუკიდებლად. მით უფრო, შემოქმედი მსახიობის პიროვნებისაგან, ყოინიდან იგი თავის ქმნილებას საკუთარი არსებით განასახიერებს. ნიჭი პიროვნების თვისებაა, ღვთის ნაბოძები და ამის გამო ამ პიროვნების გამოვლენების საშუალებაა. იმის გამოვლენისა, რითაც ეს პიროვნება სულდგმობილია. მსახიობის შემოქმედებაში არსებობს დამატებითი ფაქტორი: ყველა მის მიერ გამოძერძილი სახე მისულება. ამის გამო მედია ჯაფარიძის ყველა ქმნილებაც ულამაზესი ქალი იყო.

ანთროპოლოგ, პროფ. მ. აბდუშელიშვილის მოგონებებია:

„...შეველით აუდიტორიის კარი... აუდიტორია სავეს იყო ინდოელი ანთროპოლოგებით, ისტორიკოსებით, არქეოლოგებით, ეთნოგრაფებით, ბიოლოგებით... ჩემი კოლეგები პრეზიდენტში დასვეს, მე კი თეთრჩაღმინაში, შავნეკრანშია და ახვანაში სინგჰმა პირდაპირ ტრიბუნასთან მიმიყვანა და სხდომა გახსნა. აუდიტორია ზრდილობიანი ტაშით მესალმებოდა. როცა ჩემ პირდაპირ კედელს შევხებე და... გაოცებისგან კინალამ შევყვირე — შუა კედელზე მედია ჯაფარიძის სურათი ეკიდა, რომლისთვისაც სამ წყებად სხვადასხვა ფერის გვირგვინები შემოველით. მის წინ კრიშნას ბრინჯაოს ქანდაკება დაედგათ, სანთლები დაენთით და საკმეველი ეკმით“ (მოგონება დაცულია მ. ჯაფარიძის პირად არქივში).

შემოქმედება წარმოდგენილია ხელოვნის ყოველდღიური ცხოვრების გარეშეც, რადგან აქ ირკვევა რა არის მისთვის მთავარი ცხოვრებაში, რა იქცევს მის ყურადღებას, რას აკვირდება, რას უსმენს, რას კითხულობს, ვისთან მეგობრობს, რას გაურბის, რაზე უყვარს ლაპარაკი, რაზე ოცნებობს... მედია არ შექმდო ნიგნის გარეშე. უპირატესად პოეზიისა. უყვარდა ადამიანები, ყველა საინტერესო იყო მისთვის. უშუალო იყო და გულითადი — თუ შენთან იყო, მხოლოდ შენ გვეუთვნადა მისი ყურადღება. ბოროტებას საერთოდ იყო გაუპარებელი. შექმდო ჩაედინა სასაცილომდე გულუბრყვილო საქციელი, მაგალითად — თუ ნიგნში მოთავსებული რომელიმე თავისი სურათი არ მოსწონდა, ამოხვედა და ნიგნის ისე გააშუქებდა.

განსაცვიფრებელი იყო სცენის ფიცარნაგისადმი მისი დამოკიდებულება — გულგრილი და გულმშვიდი ამ ფიცარნაგზე არ გამოსულა — მინდა ადგილი იყო მისთვის სცენა.

თავის ტოლებზეც შექმდო სიტყვის თქმა და მასზე უფროსებზეც. პიროვნება ხომ იმაშიც ჩანს, თუ რას ხედავს სხვაში, რას გრძნობს, რას ფიქრობს მის შესახებ. ნახეთ, როგორ ჩანს მედია ჯაფარიძე იმ სიტყვაში, ვერიკო ანჯაფარიძის რამ: უთხრა მასთან სამუდამო დამშვიდობებისას:

„...თქვენ შემხედვარეთ ვინამეთ ადამიანის ძლიერება, გვიხაროდა, რომ სიცოცხლე ხანმოკლე არ არის. 90 წელი იცოცხლებ, 70 შეალით სცენას. 70 წლის განმავლობაში ყოველდღიურად, როგორც ზღაპრული ფრინველი ფენქისი, იღწოდით და იფერფლებოდით სცენაზე, რომ მეორე დღეს კვლავ აღმდგარიყავით ფერფლიდან თქვენი განუყოფელი მშვენიერებით.“

უკიდევანო აღიარების მიღმა ტკივილებითაც იტირობოდა თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლე, მაგრამ ყველა ტკივილი, საკუთარი შვილის დატირობაც, ისევე სცენას უბრუნდებოდა იმ განუყოფელი ტრავმაში, რომელსაც ჩვენში მეტოქე არ ჰყოლია.

თქვენს გვერდით ყოფნისას, სიხარულის გარდა, იქნებ, ტკივილიც გვიგრძენია, წყნაც, მაგრამ რა არის ის წყნება და ის ტკივილი იმ უზარმაზარ მოვლენასთან შედარებით, რომელიც იყო თქვენი არსებობა ქართულ ხელოვნებაში.

რამდენი ადამიანი მოწყვტილი ყოველდღიური ყოფის სინაცრისფერის და წარბაცვით იმ სივრცეებში, სადაც მხოლოდ რჩეულნი დააბიჯებდნენ. რამდენ ადამიანს მისცა თქვენმა ივლით-მა სულს ზეიმი..."

სწრაფვა ყოფითი წერილმანებისგან განრიდებისკენ ძლიერი ჰქონდა მუდამ. თუ საყოფაცხოვრებო საქმიანობისაგან სრულ თავისუფლებას ვერ აღწევდა, გასაკეთებელს საოცარი სისწრაფით ასრულებდა — იმისათვის, რომ თავიდან მოეპოვებინა.

ახლო მეგობართა უმრავლესობა არ იყო თეატრალური — ეტიმი თამარ კონიაშვილი, ანთროპოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი, ფილოლოგი ნიტა ტაბიძე. საზეიმო ხალხმრავლობა არ უყვარდა. განსხვავებული პროფესიის, მაგრამ სულიერი ინტერესებით დატვირთული, რთული ბიოგრაფიის მქონე ადამიანებთან შეხვედრას ირჩევდა. იქნებ, სწორედ მათიმი ეძებდა მისთვის უძვირფასეს ადამიანურ თვისებებს, შემდეგ რომ ასე სხვადასხვანაირად ირეკლებოდნენ მის შემოქმედებაში? მით უფრო, რომ ძალიან უყვარდა სხვადასხვა მოსმენა, რადგან შეუნელებელი იყო ადამიანისადმი მისი ყურადღება და ინტერესი. მუდამ ეცალბა იმათთვის, ვისაც სჭირდებოდა მისი თანაგრძნობა და დახმარება, წარმოუდგენლად რთულიც რომ ყოფილიყო ეს საქმიანობა. საზუსტად ერთი ფაქტიც დასმარისია — მხოლოდ და მხოლოდ მედეას დამსახურება იყო ის, რომ სანდრო აბეტელის ამერიკაში მცხოვრები უმცროსი ვაჟი ჯუანმეერი ინახულა მისმა დედამ ტასო როსტომაშვილმა. აი, მისი ბარათიც: „ჩემო ძვირფასო მედეა! თითქოს სიზმარში ვარ, ზღაპარი გვეგონა და ასრულდა კიდევ, გენაცვალოს ჩემი თავი... ჯერ ეს ჩვენი გულების ლოცვა-დალოცვა უნდა იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის ბედნიერების საინდივიდუალური, ჩვენი გულმღიდაობი მედეა! როგორ უნდა აწეროს კაცმა ის ბედნიერება, რაც ორ მოხუც დედას გველირსა შენი წყალობით, როცა 29-29 წლის უნახავი შვილები ჩაეიკარით გულში.

შენი ტასო როსტომაშვილი" - (ბარათი დაცულია მედეა ჯაფარიძის პირად არქივში. მეორე დედა იყო ფედოსი პიტავა).

იყო საქირო შენი მაცურებლისათვის მხოლოდ შენზე, თუნდაც შენ ღირსებებზე არაა დამოკიდებული, — ეს თვით მაცურებელზეცაა დამოკიდებული: როგორია მისი საზოგადოებრივი ცნობიერება, რა აღლევებს მას, რა იზიდავს... დროსთან ერთად ყველაფერი იცვლება და სასურველ გმირს მხოლოდ მსახიობის მასზე

წარმოდგენა არ განსაზღვრავს — გმირს მაცურებელი ირჩევს — მისაც ხომ აქვს ცხოვრებაზე საკუთარი წარმოდგენა!

მაცურებლისადმი ყველა მსახიობს განსაკუთრებული ინტერესი აქვს. არც შეიძლება სხვაგვარად. ასე იყო მედეა ჯაფარიძეც. ის ფიქრობდა მაცურებლის სურვილებზე, ინტერესებზე, გემოვნებაზე. არასოდეს ცდილობდა მის გართობას, გუნდურს არ უქმევდა. პირიქით, სურდა რომ დაეფიქრებინა, გეტყვიან, არ მიეცა საშუალება ყოველივე ცხოვრების გულმშვიდი მეთვალყურე. გულიდან გულისკენ მიმავალ გზებს ეძებდა.


როცა ის მოვიდა მარჯანიშვილის თეატრში, მეორე მსოფლიო ომი მძინვარებდა. მაცურებელი ფიქრობდა ცხოვრებაზე, მიმდინარე მშფოთვარე და რთულ მოვლენებზე, საზოგადოებრივ საკითხებზე. ოთხოვდა სინამდვილისადმი მოქალაქეობრივი დამოკიდებულების გარკვეულობას. სცენაზე მეფობდა ადამიანი — მსახიობი.

მის ქმნილებებს სხვადასხვანაირად, მაგრამ უთუოდ შემოჰქონდათ სცენაზე სინათლის, სინმინდის და სიკეთის მანათობელი სხივი. ეს სხივი მაცურებელში სიკეთის საწყისს აღვივებდა წლების მანძილზე. მამასადამე, სულიერად აფაქრებდა, მოყვასისადმი ნრფულ სიყვარულს უწერგავდა. ამ სხივით იყო თვითონ მისი პიროვნება განათებული და ამიტომაც მუდამ თან სდევდა მას სცენაზეც, ეკრანზეც, ესტრადაზეც. თვითონ იყო გულღია და ნათელი. მუდამ შექმლო თვალა გაესწორებინა ადამიანისათვის.

იყო მოსურნე არა ნებისმიერი მაცურებლის, არამედ მაღალზნობრივი, მომთხოვნის მაცურებლის ყურადღებისა და სიყვარულის.

თეატრის გარეშე არ შეეძლო — იმის გარეშე, რომ რამდენიმე ასეული თვალი შესცქეროდეს და მოელოდეს მისგან რაღაცას მისთვის მნიშვნელოვანს. არ შეეძლო სცენაზე სხვისი სახით არსებობის გარეშე. მსახიობის პროფესია იძლევა საშუალებას გაითავისოს სხვისი აზრები, სხვისი სულის სწრაფვანი და ეს სიმდიდრე გაუზიარო ადამიანებს. რა შედარება იმ მათრობელა განწყობილებას, როდესაც შენს სათქმელს სხვის სულში ღვრი... ვინც არ ასულა სცენაზე, მან არ იცის ეს რა გრძნობაა, როცა დარბაზი შენ გეკუთვნის, როცა ის ხარობს, გისმენს სუნთქვამეკრული, როცა ქუხს ტაში... რას არ აიტანს ამის გულისთვის... სხვა რომელი პროფესია მოითხოვს შენგან — ყველაფერი, რაც განუხებს, ავადყოფობა და უბედურებაც კი დაივიწყო და უცნობ ადამიანებს სულის მშვენიერებით ტკბობა განაცდევინო? თანაც გაუმდმებით, თითქმის ყოველ დღე? ეს ხომ იმასაც ნიშნავს, რომ სულის მშვენიერების გაღება შენი ყოველდღიურობაა? ამ დროს ხომ შენც ხარ სულით ამაღლებული! ამაზე მეტად განა ღირს რამე?!

მას არ უღიღრდა.



გრიგოლ ჩიქვაძე

თამარ პეხი

ჩახთანი ეთნოგუნსიოლოგიის პატიჩიჩი

საქართველოში დატრიალებულმა ბოლოდროინდელმა კატაკლიზმებმა არა ერთი მამულიშვილის დანაკლისს გადაფარა. არც ქართული ეთნომუსიკოლოგიის პატრიარქის, ტრადიციული მუსიკალური ხელოვნების ნამდვილი მოჭირნახულის, გრიგოლ ჩიქვაძის (1900-1987) საიუბილეო ასი წლისთავი აღნიშნულა საგანგებოდ, თუმცა პროფ. გრიგოლ ჩიქვაძის ნაამგარი ხალხური სამუსიკო შემოქმედების კათედრის მეცნიერული მიღწევები, პირდაპირ თუ სიმბოლურად ამ ღვაწლმოსილი პიროვნების სახელს უკავშირდება.

ბატონი გრიგოლის ხანგრძლივი და მრავლისმომცველი საქმიანობა ქართული ეთნომუსიკისმცოდნეობის სათავეებთან დაიწყო და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების, ნაციონალური კულტურული ტრადიციების განმტკიცებისათვის მიზანმიმართულ ძალის-

ხმევაზე იყო დამყარებული. მშობლიური მუსიკალური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებაში გრიგოლ ჩიქვაძემ მკვიდრად დანერგა პროფესიული ერთგულებისა და თავდაუზოგაობის მისეული ნორმები. ყველაფერი, რასაც იგი ემსახურა, დღეს მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია.

გრიგოლ ჩიქვაძემ ცნობილი მუსიკოს-მოღვაწის ზაქარია ჩიქვაძის ოჯახში დაიბადა. ბავშობიდანვე შეისისხლხორცა ხალხური პანგები და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე წამითაც არ მოწყვეტია ტრადიციული გლეხური მუსიკით გაჟღენთილ გარემოს.

მისი ყრმობის წლები უკავშირდება ქართულ გიმნაზიას, სადაც იგი სწავლობდა ნიკო კეცხოველის, სანდრო შანშიაშვილის, ქუფი ძიძიშვილისა და სხვათა გვერდით. დაეუფლარა ვიოლინოზე დაკრას პირველი ქართველი მევიოლინე-ვირტუოზის ანდრია ყარაშვილის ხელმძღვანელობით, უკრავდა და მღეროდა ზაქარია ფალიაშვილის მონაფეთა ორკესტრსა და გუნდში, დიდი კომპოზიტორის თანხლებით ასრულებდა სავიოლინო პიესებსა თუ კონცერტებს.

პროფესორ ვიქტორ ვილშაუსთან თბილისის კონსერვატორიაში დაწყებული მეცადინეობა მან თეორია-კომპოზიციის განხრით დაასრულა (პროფ. სერგეი ბარხუდარიანთან). ამ პერიოდს ემთხვევა ახალბედა მუსიკოსის პირველი საქმიანი ნაბიჯებიც — მიხეილ ხერხეულიძისთან ერთად თბილისში საბავშვო თეატრისა და გუნდების დაარსება, საქველმოქმედო კონცერტების გამართვა იყალთოში, ენისელსა და შოგში.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე გრიგოლ ჩიქვაძემ მუსიკალური ფოლკლორის სფეროში აქტიურ მუშაობას შეუდგა და ნახევარ საუკუნეზე მეტი შეაღია ამ საქმეს. მისი მოღვაწეობა მრავალ ასპექტს მოიცავდა. მის მიერ სამეცნიერო, პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ ასპირებზე განეული შრომა ეროვნული კულტურის მსახურების სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენდა. პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით იგი ხალხური მუსიკით, მისი სიყვარულით სულდგმულბდა.

პედაგოგიური მუშაობა გრიგოლ ჩიქვაძემ უსინათლოთა და პირველ საშუალო სკოლებში, შემდეგ კი მუსიკალურ სასწავლებელში დაიწყო (1919). 1935 წლიდან უწყვეტად, სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც მის მიერ ქართული სამუსიკო ფოლკლორის სპეციალური და ზოგადი კურსები იქნა დამუშავებული. აქვე, წლების მანძილზე უძღვებოდა მისი ინიციატივით დაარსებულ

ხალხური სამუსიკო შემოქმედების კათედრას (1970-1977), კითხულობდა ქართული მუსიკის ისტორიის კურსს, რომელიც პროფ. ლადო დავიძისთან ერთად შეადგინა. ბაქოს კონსერვატორიის სტუდენტებს აცნობდა ქართული მუსიკის ისტორიისა და ეროვნული სამუსიკო ფოლკლორის საფუძვლებს. პარალელურად კი საქართველოს რადიოს მუსიკალური ფოლკლორის განყოფილებას განაგებდა.

გრიგოლ ჩხიკვაძის თაოსნობითა და აკადემიკოსების ნიკო ცეცხოველისა და სიმონ ჯანაშიას ხელშეწყობით მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბებულ იქნა ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის განყოფილება, რომელსაც თავდაპირველად გამოიწველი ქართველი სწავლული პროფ: შალვა ასლანიშვილი, ხოლო 1953-1960 წლებში თვით პროფ: გრ. ჩხიკვაძე ხელმძღვანელობდა, ერთდროულად იგი თანამშრომლობდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, იყო სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების სამხატვრო დრა და სამეცნიერო საბჭოების წევრი და ა. შ.

გრიგოლ ჩხიკვაძის პედაგოგიურ პრაქტიკაში კარგად იყო შეხამებული თვითდისციპლინა და დიდი პასუხისმგებლობა. მამობრივ მზრუნველობასთან ერთად იგი სტუდენტებთან სულიერი ერთიანობის ატმოსფეროს აკვიდრებდა. უადრესად მშვიდი, თავმდაბალი და ახალგაზრდების კეთილგონიერი მრჩეველი, უდრტივენელი მწვრთნელი და დამკვალთანადი, ჩინებულად მოუბარი, ხშირად ენაკვიმატო, ზოგჯერ ფიცხიც, მაგრამ განსაკუთრებულად თავდაჭერილი — ასეთი დარჩა ბატონი გრიგოლი მისი მოწაფეების მესხიერებაში.

წლების სიმრავლე ვერაფერს აკლებდა მის სიმხნევებსა და კომუნიკაბელურობას. ლექციებსა თუ ინდივიდუალურ მეცადინეობებზე იგი ტაქტიანი მომთხოვნელიობით წარმართავდა სტუდენტთა შესაძლებლობებს მეცნიერული საფუძვლების ათვისების, პროფესიული თვალსაწიერის გაფართოებისა და ფოლკლორისტიკის თანამედროვე მიღწევების დაუფლებისაკენ. ექსპედიციებში, მოუწყობელ საველე ყოფის პირობებში კი, ამტანობასა და მთის საცალფეხო ბილიკებზე ენერგიულ, სხარტ სიარულში ტოლს არ უდებდა ახალგაზრდებს.

გრიგოლ ჩხიკვაძის შემკრებლობითი მუშაობის ადრეული ცდები 1917-1918 წლებს განეკუთვნება. მისი პირველი ინფორმატორ — მოქმედები იყვნენ მამიადები, კარგი მომღერლები და გიტარაზე დაკვრის გვარიანი ოსტატები. ხოლო პირველი ექსპედიცია ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჩაბნთ გუარიაში განახორციელა. მის მიერ ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების მიზანს მრავალსაუკუნოვანი ქართული მუსიკალური საგანძურის ხალხში გაფანტული არქაული ნიმუშების მოძიება და დაფიქსირება წარმოადგენდა. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში — აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ბარის რაიონებში ჩატარებული ნაყოფიერი შემკრებლობითი მუშაობის შედეგად გრ. ჩხიკვაძემ სხვადასხვა დიალექტების — აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა, ქართლ-კახური, მესხური, ლაზური და ა. შ., შრომის, საისტორიო, სანესკვეულებო, სამგზავრო-სალაშქრო, საფერხულო, ლირიკულ-სატრფიალო და სხვა თანრების სოლო, ორ, სამ და ოთხხმიანი საინტერესო ნიმუშები ჩაიწერა. განსაკუთრებით ფასეულია მის მიერ შედგენილი და მისთვის რედაქტირებით გამოცემული კრებული „ქართული ხალხური სიმღერა“ (1960), რომელსაც წამძღვარებული აქვს ქართულ-რუსულენოვანი გამოკვლევა. მასში წარმოდგენილია უძველესი ქართული ხალხური სიმღერის ჩასახვა-განვითარების ზოგადი ექსკურსი, წარმართული ეპოქის შორეული საუკუნეების არქაული ნიმუშებსა თუ განვითარებული მელოდია—ჰარმონიის მქონე სიმღერებთან დაკავშირებული მოსაზრებანი, სამუსიკო ტერმინოლოგიის, ორიგინალური ქართული მრავალხმიანობის წარგვარი ფორმების, სიმღერათა ფუნქციების საკითხები, მათი დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი. კრებულში დაბეჭდილია აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის მხარეთა მხატვრული ნიმუშები. თითოეულ ნაწილში ცალკე გამოყოფილი ინსტრუმენტული მუსიკა. მასში შესულია როგორც უკვე სხვადასხვა კრებულებში გამოქვეყნებული (ანდრია ყარაშვილის, იაკარგარეთელის, ზაქარია ჩხიკვაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, შალვა მშველიძის ჩანაწერები), ისე მანამდე უცნობი ნოტირებული მასალა. (46 სასიმღერო ტექსტი).

გრიგოლ ჩხიკვაძის სამეცნიერო ინტერესი ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის საწყისების, ამ უნიკალური საგანძურის მრავალმხრივი შესწავლისაკენ იყო მიმართული. მის პირველ ნაშრომს ამ კუთხით წარმოადგენდა 1947 წ. ლენინგრადში მომზადებული თემა „Грузинская музыкальная культура с

древнейших времен до XIX века", რომლისთვისაც საკანდიდატო დისერტაციის დაუცველად ავტორს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ამ ხანით კვლევა-ძიება გაღრმავდა შემდგომ ნაშრომებშიც, სადაც სასიმღერო მუსიკალური ტექსტების საფუძველზე ნათლად და რელიეფურად იქნა წარმოჩენილი ქართული ფოკალური მუსიკის სპეციფიკური ნიშან-თვისებები.

გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ ძიების სფეროში დასმულ საკითხთა შორის განსაკუთრებული აქტიულობით გამოირჩევა ქართულ ეთნომუსიკოლოგიის ერთ-ერთი კარდინალური და ამოუწურავი პრობლემა მრავალხმიანობის სახით. საქართველოს ცალკეულ რეგიონებში სხვადასხვა დროს შეკრებილი თვითმყოფადი სასიმღერო ნიმუშების სეროზული ანალიზის შედეგად კლასიფიცირებულია და გამოქვეყნებულია მრავალხმიანი მუსიკალური აზროვნების სხვადასხვა ტიპები, მათი სტრუქტურული თავისებურებანი. განხილულია წარმართული ეპოქის სამუსიკო შემოქმედების ნიმუშები, რომლებშიც ქრისტიანობის დროინდელი რწმენა-წარმოდგენები და სინკრეტული ხასიათი აირეკლება.

საყურადღებოა გრიგოლ ჩხიკვაძის ნაშრომები ქართული ხალხური ინსტრუმენტარის საკითხებზეც. ხალხურ საკრავებს იგი ქართული მუსიკის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევდა. არქეოლოგიური მასალების (ყაზბეგის განძის ბრინჯაოს ქანდაკება, სამთავროში აღმოჩენილი ძვლის სალაშური) და ხეთურ ბარდღოვზე გამოსახული საკრავების საფუძველზე, წერილობითი წყაროების გათვალისწინებით იგი ადგენს წარმართული ფორმაციის ინსტრუმენტთა ჯგუფს (სიმებიანი და ჩასაბერი საკრავები).

გრიგოლ ჩხიკვაძე არა ერთი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, ოპონენტი თუ რეცენზენტი იყო თბილისში, ბაქოში, ერევანში, მოსკოვში, ლენინგრადში, რიგში. იგი აქტიურად მოღვაწეობდა როგორც პედაგოგიური საზოგადოების ესთეტიკური, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ხელოვნების, უძველესი მუსიკალური კულტურისა და მუსიკალური ფოლკლორის სექციების თავმჯდომარე, საზღვარგარეთთან საქართველოს კულტურული ურთიერთობების საზოგადოების ვამპე, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ა. შ. იგი მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტებით იყო დაკავშირებული ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ, შვედ, გერმანელ, უნგრელ, იაპონელ, რუს, უკრაინელ, და სხვა უცხოელ კოლეგებთან.



გრიგოლ ჩხიკვაძე ფშაშში ექსპედიციის დროს

დრო, როგორც შეუცდომელი და მკაცრი მსაჯული, დაუმსახურებლად არავის არაფერს არგუნებს. ბატონი გრიგოლის სახელმა გაუძლო დროის გამოცდას, ქართული ეთნომუსიკოლოგიის მესაძირკვლის კურთხეული განსჯა დაფასდა — მის მიერ აღზრდილი უფროსი თაობის მუსიკოს-ფოლკლორისტთა უმრავლესობა (მინდია ფორდანია, კახი როსტეაშვილი, კუკუური ჭოხონელიძე, ედიშერ გარაყანიძე და სხვები) მისი სკოლა გამოვილია. მან თავის კეაღში ჩააყენა მოაზროვნე ახალგაზრდა სპეციალისტთა მერსპექტული გუნდი, რომელიც უმაღლესი ზნეობრივი პრინციპებითა და პროფესიული პასუხისმგებლობით გამოირჩეულ შემოქმედებით თანამეგობრობაში გადაიზარდა. ბატონი გრიგოლის სულიერი მემკვიდრენი თავიდანვე უმნიშვნელოვანეს ეთნომუსიკოლოგიურ პრობლემებს შეეჭიდნენ და მძლავრი ბიძგი მისცეს მეცნიერების ამ დარგის განუხრებლ აღმავლობას. მათი პროფესიული ენთუზიაზმი, კვლევით-სამეცნიერო ნაღვანითა და ახალი თაობის ნიჭიერ წარმომადგენელთა იშვიათი შრომისმოყვარეობით ნელგამართული ხალხური სამუსიკო შემოქმედების კათედრა, დღეს ტრადიციულ მუსიკალურ ფოლკლორთან დაკავშირებული საერთაშორისო მოვლენების (კონფერენციები, სიმპოზიუმები) აქტიური მონაწილეა.

საქართველოს დედაქალაქი, როგორც მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრი, უკვე მესამედ მასპინძლობდა გამოჩენილი უცხოელი ეთნომუსიკოსმცოდნეებსა და ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებლებს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თბილისურმა ფორუმებმა მსოფლიოს ეთნომუსიკოლოგიური აზრის ყურადღება მიმართა სწორედ ქართული მრავალხმიანობის სხვადასხვა ასპექტების კვლევასკენ, რომლის გარეშე უკვე წარმოუდგენელია მსოფლიო მრავალხმიანობა.

P. S. 2007 წელს ბატონი გრიგოლის გარდაცვალებიდან 20 წელი უძსრულდა. წინამდებარე წერილი მისდამი მადლიერების გამოხატვის მონიშნული მცდელობაა.



ვაჟა-ფშაველას

საქართველოს მემკვიდრეები

საყვანიძე ვახუშტი

მსურდა მომენერა ორივესათვის, იმ წერილების სამადლობლოდ, რომლებმაც მე ძალზე გამახარეს. ახლა ღამეა, არ მეძინება და მსურს გაგიზიარო ჩემი მოსაზრება ყოველივე იმის შესახებ, რაც შენ განუხეხეს. თუ კი მისაღები იქნება შენთვის—მიიღე, თუ არა და გადაადგე. მე არ მეწყინება.

რაც უფრო მეტს ვიტანავთ თეატრის გამო, მით უფრო მეძნელება მის შესახებ წერა. განსაკუთრებით შენს გამო ველავ, ჩემო პეტრე. ბედმა დაგაჯილდოვა უდიდესი ნიჭით და შენ ვალში ხარ მის წინაშე. შენ ჯერ ძალზე ახალგაზრდა ხარ და სიკვდილზე არ ფიქრობ. სიკვდილი—სულელური სიტყვაა: სიკვდილი არ არსებობს. სწორედ ის, რაც დარჩება შენს შემდეგ არის გამარჯვება ყოველივეზე, რასაც სიკვდილი ანუ სამარადისოდ დავიწყება ეწოდება. აუცილებელია მუდამ გვახსოვდეს ეს და მუშაობისას ყოველთვის ვიყოთ კეთილსინდისიერნი ანუ მართლები.

აი, შენ გაელეგებს ახლის ძიება და მისი მოვლის გზები. ეს კი ძალზე ადვილი მისაღწევია: ნუ ითაღლითებ. სიმართლე მუდამ ერთადერთია, სტანისლავსკისთანაც, მეიერჰოლდთანაც და სხვა ნებისმიერ ხელოვანთანაც, იმიტომ რომ ორჯერ ორი ყოველთვის ოთხია და არასდროს არ ვახდება ხუთი. შენ ილბიანი ხარ, რადგან ბრწყინვალე მასწავლებლები გყავდა შარლემანისა და ლანსიერეს სახით და ეს კარგია იმით, რომ მათ ჩავინერგეს სრულყოფილი ფორმების შექმნის მოთხოვნილება და მათი დეტალიზაციის სურვილი. ამოაო შენი შიში იმისა, რომ მოგიწევს ძველი ტრადიციების არტახებში დარჩენა და ამას შეეწინებო მსხვერპლად შენი ფანტაზია და პრინციპებიც კი. არა ხარ მართალი. ჯერ ერთი არ დაგავიწყდეს, რომ შენ ძირითადად თეატრის მხატვარი ხარ და უნდა იმოღვაწეო ცხოვრების შუაგულში და არა რეალური სამყაროს მიღმა, მისი სოციალური საკითხების გაუთვალისწინებლად და როდესაც შენ განთავისუფლდები ყმაწვილური დაუქმდაყოფილებლობის გრძნობისაგან, დადულდები, იცხოვრებ დღევანდელი მხოლოდ მაშინ უმსხვერპლოდ გაიგნებ გზას იმისკენ, რასაც შენ ძალდატანებას ეძახი. ადამიანს არ ძალუძს „თავის სამყაროში ჩაკეტვა“. თუ იგი დააპირებს ამას, მას გიჟად შერაცხავენ. და თუკი ადამიანებს არ შესძლებიათ იზოლაციაში ყოფნა, მაშინ ისინი ერთმანეთზე გაელენას ახდენენ და რალაც-ნაირად ემორჩილებიან კიდევ ერთმანეთს. ეს საზოგადოების უცილობელი კანონია. შენ ალბათ შემეშინებოდა მომიგებ, რომ ხელოვნება არაა რეალური ცხოვრება. ჭეშმარიტად, რა სიზუსტითაც არ უნდა ასახო შენ ბუნება და ადამიანი, ჩვენ სიუჟეტი ან ზედმიწევნითი სიზუსტე კი არ გვიზიდავს, არამედ პირადული დამოკიდებულება მოვლენისადმი, ის რითაც გააჯერე შენი ქმნილება. სწორედ იქ იბადება ხელოვანისათვის საფრთხე. რა თვალთ უმზერს ხელოვანი სამყაროს, დრამატიულ ნაწარმოებს, მოვლენას?

ჩემს შესახებ ამბობენ, რომ მე პირობითობა მიყვარს. არ ვუარყოფ, ოღონდ თუ ეს პირობითობა შედეგია ხელოვანის გულწრფელი შინაგანი ხედვისა და მხოლოდ მაშინ ხდება პირობითობა მხატვრული ხერხი და არა იდიოტური გამოწავიანი. პირადად მე, მზადა ვარ გავინავარდო მარადიული სიხარულის, სიყვარულისა და ამაღლებული

გრძნობების სამყაროში. აი, მხოლოდ მაშინ ეთელი ჩემს თავს შემოქმედდა, ღმერთად. და მე არ მაშინებს ამის აღიარება. ღმერთები ჩემი მსგავსი არიან. თუ კი თქმულებებს დავუჯერებთ ღმერთები ახდენდნენ არა მარტო სასწაულებს, არამედ აღებოდნენ, თვრებოდნენ, იტაცებდნენ სხვის ცოლებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, მრავალნაირ სარბიელზე მოღვაწეობდნენ.

ასე რომ, ჩემო პეტრე, ხელოვნება დაუსაბამოა, ვერ მოაქცევ ერთადერთ კალაპოტში. შენც მოინდომებ ახალი გზების და ხერხების დაუფლებას. მათ თვით ცხოვრება მიგანიშნებს. იგი კი, ჩემო კარგო, არ გიმტყუნებს.

თქვენ გაინტერესებთ, ალბათ, ჩემი მოსკოვური საქმეები. „ღამურაზე“ მუშაობა უკვე მიმდინარეობს. საშა პაკოვსკი — დელიკატური და საქმიანი ადამიანია. იარონი არა მარტო ხელოვნებით გაჟღერებული ბრწყინვალე მსახიობია, არამედ დიდი ჭკუის პატრონიც. დასმაც კი, თუ არ ვცდები, შემოიყვარა. ასე რომ, მათთან ისე ვარ, როგორც თევზი წყალში. მცირე თეატრშიც აენყო მუშაობა. თეატრის დირექტორი ვლადიმეროვი, ცდილობდა რა ჩემს დასაშარებას, სამარე თავისთვის გაითხარა: მას ამორებენ თეატრს. მსახიობები, განსაკუთრებით პრ. სადოვსკი, გოგოლევა, ლეპსტინი, აქსენოვი, ძალზე კარგები არიან. დედოფალი—ბელეცკევა განგებ მეჯიუტება ანდა ნამდვილად არ ესმის ჩემი. ეშმაკმა უწყის მაგის თავი. ბევრი ვინვალე არაპოვებთან. ნეტა ჩემთან ერთად იყო, ჩემო პეტრე!

ხოლო რაც შეეხება კომპოზიტორ ა. ნ. ალექსანდროვს, იგი დადგმის ავანგარდშია. საამური მუსიკაა. მაგრამ თქვენთან ერთად ბევრად გამომავლიდებოდა მუშაობა.

გადავიდეთ ჩვენს ერთობლივ საქმეებზე. როგორ ვაჩვენოთ ჩრდილები? კინოს გამოყენება, მსახიობთა მასის მოზღვაება და სხვა ამგვარ ხერხებზე ნურც იფიქრებ. ჩემი ძვლები ორჯერ მოასწრებენ დამინებას სამარეში, ვიდრე მცირე თეატრი გადაწყვეტს და ჩართავს კინოს სპექტაკლის მსვლელობაში. ტემპერამენტი, გამოგონება, ფანტაზია—სტუდიებში სასწავლი მეცნიერებების დარგები არ გეგონოს. ისინი ორგანულად არიან შერწყმულნი ხელოვანის არსებობაში... არ შედრკე, დღემდე შენ ყველაფერი ბრწყინვალედ გამოგდიოდა, შენ თვით პიესის არსი-თა და თეატრის თავისებურებებით იყავი

გამსჭვალული. ვითვალისწინებ რა იმას, რომ სპექტაკლი მცირე თეატრში იდგმება, არ იფიქრო გთავაზობდე, რომ ჩრდილებმა იარაღი აქლარუნონ რიჩარდის ცხვირწინ, ხოლო ლედი ანა თავისი შლიეფით სცენაზე წინ და უკან მიმოდიოდა. საქორთა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ამ ტრაგედიის ჩვენულ გაგებას შეესაბამება. ჩემი არ გესწავლება, ჩემო პეტრე! ნუ მოისაწყლებ თავს. არ მომწერო წერილი, რადგან ამ დღეებში აქედან მივემგზავრები.

შენ და თამარს მაგრად გკოცნით.

შენი კ. მარჯანიშვილი.

P.S. როგორაა შენი ჯანმრთელობა? გახსოვდეს, რომ შენი ჯანმრთელობა ჩემი ერთ-ერთი ქრონიკული სანუხარია.

24 თებერვალი, 1933წ.



ზემოდან: პეტრე ოცხელი, ელენე ლოლობერიძე, თამარ ვახვახიშვილი და კოტე მარჯანიშვილი



პეტრა ცხელი და ვერიკო ანჯაფარიძე

ერა ურუშაძე

მეხა თანამეხიოვა

„პეტრე ოცხელი – ამ ქაბუჯის
თავისებური ხელნერა უკვდავია.“
ელენე ახვლედიანი

პეტრე ოცხელის საიუბილეო წელთან დაკავშირებით, საშუალება გვქვდა კიდევ ერთხელ თვალი გადავაგვლით მის გამორჩეულ შემოქმედებას, რომელმაც თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი სამუდამოდ დაიმკვიდრა.

ტრავიკული დალუპვის შემდეგ, წლების განმავლობაში, დროდადრო მოწყობილი გამოფენები, გამოცემული ალბომები, წერილები, მრავალ ჩვენს თანამემამულეს ახსენებს, ხოლო ახალგაზრდებს აცნობს პეტრე ოცხელის შესანიშნავ შემოქმედებას.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის, რომ თეატრალური მხატვრის შემოქმედება თავისი სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა და მისი ნაწარმოების სახე დადგმაში მპოულობს თავის სრულყოფილებას, ხოლო სპექტაკლის მოხსნისთანავე ესკიზებზე რჩება გაფორმების

ძირითადი პრინციპები. მხატვრის, მათ შორის თეატრალური მხატვრის ყველაზე უტყუარი შემფასებელი დროა. იგი დიდი ხნის განმავლობაში სადისკუსიოდ ქცეული საკითხის, მრავალი რთული პროცესის გარკვევის საშუალება ხდება. დრო განსაზღვრავს შემოქმედების სიცოცხლისუნარიანობას.

პეტრე ოცხელის დროით შორეული შემოქმედება წარსულად არასდროს აღიქმება. მის სტილისტიკაში, სასცენო სივრცის თავისებურ გააზრებაში, მხატვრული საშუალებების გამოყენების პრინციპებში ყოველთვის თანამედროვეობა იკითხება. სცენაზე მისი შემოქმედება განხორციელებადია ყველა დროში.

პეტრე ოცხელი დაიბადა 1907 წელს ქ. ქუთაისში, იქვე მიიღო საშუალო განათლება. ხატვა ყოველთვის მისი გატაცება იყო და სკოლასთან არსებულ მცირე სახელოსნო სტუდიაში, პედაგოგ გ. ჭეიშვილთან მიღებული ცოდნა იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების საწინდარი გახდა, რომელსაც პეტრე ოცხელი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა. 1926 წლიდან პეტრე ოცხელი თბილისის სამხატვრო აკადემიაში პროფ. ი. შარლემანის კლასში განაგრძობს სწავლას. იბლიანი იყო 1927 წელი, როდესაც პეტრე ოცხელი სახალხო სახლთან არსებულ მუშათა თეატრში აფორმებდა ა. ლუნაჩარსკის პიესას „ცეცხლის გამჩაღებელი“. ესკიზებმა გამოჩინილი ქართველი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის დიდი მოწონება დაიმსახურა. ასე დაიწყო ახლად დაარსებულ ქუთაისის თეატრში ორი დიდი ხელოვანის შემოქმედებითი ურთიერთობა.

პეტრე ოცხელის ცხოვრება თეატრში შემოქმედებითი ძიებისა და გამარჯვების მხოლოდ 9 წელით შემოიფარგლება. მრავალი მხატვრისათვის შემოქმედების პირველი წლები, როგორც წესი, მხოლოდ და მხოლოდ დაოსტატების, ინდივიდუალური მანერის ჩამოყალიბების გზაა. მისი შემოქმედება კი, რომელიც სულ ერთი ათწლეულით განისაზღვრებოდა, მთლიანად თეატრს დაუთმო.

1920-იან წლებში, ამ მეტად რთულ და საინტერესო პერიოდში, პ. ოცხელი თავის მასწავლებელთან კ. მარჯანიშვილთან ერთად ქართული თეატრისა და დეკორაციული ხელოვნების ჩამოყალიბების პროცესში ერთვება. ეს იყო ახალი გამოშახველობითი ფორმების, სტილის ძიების პროცესი და პეტრე ოცხელი შემოქმედებითი სიახლის გზის მაჩვენებლად

იქცა. იგი ხელნერის თვითმყოფადობით გამოირჩეოდა და შესანიშნავი მხატვრული ინტუიციის გრძნობა გააჩნდა. თითოეულ დადგმაში სასცენო სივრცის ათვისება განსხვავებული მიდგომით მიმდინარეობდა. მხატვრის მიერ სათანადო მოედანი ყოველთვის გააზრებული იყო არა მარტო როგორც მოქმედების ადგილი, არამედ მას აქტიური, მოქმედი მონაწილის ფუნქციები ენიჭებოდა.

სასცენო სივრცეში ჩასმული დანადგარების კომპოზიციები თავისი აგებულებით, მხატვრული გემოვნებით, პლასტიკურობით, ერთიანი გარემოს შექმნის უნარით ხასიათდება, ისინი სპექტაკლის საერთო რიტმულ ნყოფასთან ორგანულ ერთიანობას ქმნიდა. („ბეატრიჩე ჩენჩი“, „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „ოტელიო“).

მისი თითოეული ნამუშევარი პიესის ავტორისა და დამდგმელის ჩანაფიქრთან გამომსახველობითი საშუალებების სრულ შესაბამისობაში მოდის. სწორედ ეს განსაზღვრავს მის მიერ სხვადასხვა ჟანრის პიესების გაფორმებაში მხატვრულ მრავალფეროვნებას. აქედან გამომდინარე თითოეულ დადგმაში, გაფორმების შექმნის პროცესში ის გამოდიოდა, ან იჩივებდა მატერიალურ – საგნობრივ სამყაროში არსებულ საგნებს, ხაზს უსვამდა მათ პლასტიკურ მხარეს. ყოველი საგნის როლი, მისი ადგილი სცენაზე, რაკურსი, ყველა მხატვრული საშუალება პიესის ჩანაფიქრს ემსახურებოდა. გარშემო რეალურად არსებობდნენ სპექტაკლის გმირები, ისინებოდა მოქმედება. სასცენო სივრცეში ჩასმული კომპაქტური, მოცულობითი ელემენტები, რომლებიც რელიეფურად იყო გამოყოფილი უკანა დეკორაციის ნეიტრალურ ფონზე, ერთ შემთხვევაში გამოირჩეოდა სიმკაცრით და დახვეწილობით, მეორეში გროტესკულობით. როდესაც ერთიანი დანადგარი განზოგადოებული ხერხით იყო წარმოდგენილი, ის ოსტატურად აერთიანებდა კონკრეტულ დროსა და მოქმედების ადგილს, რომელიც დადგმას ბოლომდე მიჰყვებოდა.

პ. ოცხელის დეკორაციების საგნობრივ სამყაროში დიდი გემოვნებით, გააზრებულად ფერწერა ირთებოდა, რომელიც განსხვავებული ხერხით ნაწილდებოდა სასცენო სივრცეში, მაგრამ მხატვარი მუდამ ძირითად პრინციპს იცავდა. იგი აქცენტს ყოველთვის შერწყმულ ფერწერულ კომპოზიციაზე აკეთებდა: ეს იყო ხან მსუბუქი, გამჭვირვალე

თბილ ტონებში შესრულებული, ხან კი ცხრივლხატული ფერწერა; ზოგჯერ მიმდინარეობდა კონკრეტული ფერების დაპირისპირება, დრამატული დაძაბულობის გასაძლიერებლად და გროტესკული მხარების ხაზგასმისათვის იყენებდა. მისი პალიტრა მრავალფეროვანია, ყოველთვის სახასიათო და ძალიან ღრმა.

(„აპარკუნე ჭიჭიმიელი“, „ჩატხილი ხიდი“, „ოტელიო“, „ურიელ აკოსტა“, „მშენებელი სოლენსი“), განსაკუთრებული ადგილი ექვრე ოცხელის შემოქმედებაში კოსტუმების სერისს უჭირავს. თითოეული სპექტაკლის გმირების კოსტიუმები, მათი როგორც კონსტრუქციული, ასევე ფერწერული სტრუქტურა, გაფორმების ძირითადი კომპოზიციური ბირთვიდან გამომდინარეობს, მისი ორგანული ნაწილია, დამახასიათებელი შტრიხებით გამოირჩევა. ყველა გმირი — ტიპაჟი მოქმედებაშია წარმოდგენილი, ამით მხატვარი ხაზს უსვამდა არა მარტო გმირის ხასიათს, არამედ საშუალებას იძლეოდა კოსტუმში წარმოესახა თავის პრაქტიკულ ფუნქციაში. პ. ოცხელი ოსტატურად უხამებდა კოსტიუმების ფერწერას სპექტაკლის საერთო ფონს, ითვალისწინებდა ყველა დეტალს, რითაც კოსტიუმის ფორმასა და შინაარსს აძლიერებდა. („ურიელ აკოსტა“, „ოტელიო“, „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „აპარკუნე ჭიჭიმიელი“).



„სურამის ციხე“.



„აპრაკუნე ჭიმიმელი“. 1934წ.

ყველა დადგმის პ. ოცხელისული გაფორმება იყო თვითმყოფადი, სპეციფიკური, ორიგინალური, ღრმა. მის მიერ წარმოდგენილი პლასტიკური გარემო მთელ რიგ დადგმებში ფსიქოლოგიურად იყო გააზრებული და პიესის იმ ატმოსფეროს ქმნიდა, სადაც მსახიობები თავის გმირებს ადვილად განასახიერებენ.

პეტრე ოცხელი მაქსიმალურად ითვალისწინებს კოტე მარჯანიშვილის მოთხოვნებს. ეროვნულ თვისებებთან ერთად მკვეთრად შემოქმედებითი ინდივიდუალურობა გამოავლინა. იგი ყველანაირ ვითარებაში განსხვავებულ, სპეციფიკურ სახეებს ქმნიდა, მისი დეკორაციული სისტემები ზუსტად პიესის ძირითად იდეას ემსახურებოდა.

პ. ოცხელის და კ. მარჯანიშვილის შემოქმედებითი თანამეგობრობა გამოვლინდა მისწრაფებაში, რომ ყველა დადგმაში მიეღწიათ სახვითი და რეჟისორული გამომსახველობის ერთიანობისათვის. მათ ეს შეძლეს და იმ პერიოდის მაყურებელს ბრწყინვალე სპექტაკლები აჩუქეს.

პეტრე ოცხელის ცხოვრება ელვისებური მოვლენებით ვითარდებოდა და ისეთივე სისწრაფით დამთავრდა, მაგრამ მისმა შემოქმედებამ დროს გაუძლო, შეინარჩუნა სიცოცხლისუნარიანობა, შემოქმედებითი ღირსება, ქმედითობა.

კოტე მარჯანიშვილმა, გამოცდილმა, მუდამ ძიების პროცესში მყოფმა რეჟისორმა შესანიშნავად იცოდა პეტრე ოცხელის ნამუშევრების დონე, ფასი და თავის ერთ-ერთ ნერილში უკვდავება უნიანსარმეტყველა; „სიკვდილი სულელური სიტყვაა, სიკვდილი არ არსებობს. ის, რაც დარჩება შენს შემდეგ არის გამარჯვება ყოველივეზე, რასაც სიკვდილი ანუ სამარადისოდ დავიწყება ეწოდება. აუცილებელია მუდამ გვახსოვდეს ეს...“ დაიბ, პეტრე ოცხელის შემოქმედებამ დაამარცხა მისი უდროო სიკვდილი, ის უკვდავია და მუდამ თანამედროვე.



„ოტელ“. 1933წ.



რეზი ინანიშვილი

მთაწილის ხაჩიძიან

დათა თუთაშხიაზე

„დათა თუთაშხია“, დიდი ქართული სახალხო ნიგნი, უფრო მეტიც — დიდი ეროვნული ნიგნი, ჩვენს გვერდით დაინერა: (საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მას „დიდს“ უწოდებენ უკვე სხვა ხალხებშიც). ქართველთა სულიერი ცხოვრების ნაყოფად ამოიშარათა კიდევ ერთი მონუმენტური ტაძარივით თვალსაჩინო მხატვრული სახე. ეს სახე დღეს ჩვენი ქვეყნის იმ საუკეთესო შვილთა შორის დგას, რომლებიც გამუდმებით ფიზიკურად შემართულან ჩვენს უკან და თვალს გვადევნებენ — რასა ვიქმთ და როგორ ვიქმთ, თადარიგს გვაძლევენ, — რაი ექმნათ და როგორ.

თუ როგორ მოხდა ესევეთარი ამაღლება, ამის ნარმოჩინებას ორი ტომი დასჭირდა ნიგნისა. შემავარდნებელ საარაკოდ და უცებ სათქმელად კი (ამჯერად ჩემთვის) ასეა — ზნეკეთილმან შვილმა ქართველ მინადმოქმედთა და მეყო-

გეთა, თავადაც შეჯოგემ, ვითარებათა გამო მონყვეტილმა თავის სისხლხორცეულ საქმეს, როგორც ძველად იტყოდნენ — იბრუნა მრავალგვარ ცეცხლის კალაში, თითქმისდა სრულიად განიცადა განსაცდელი, ნუთისოფელი რომ ჰქვია, და ბოლოს თქვა ჭეშმარიტება, უფრო სწორად — შეუდგა ბურჯად ჭეშმარიტებას, — რაც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა იყოს, იდექ მოყვასთა შენთა გვერდით და ჰქმნენი კეთილი, კეთილი, როგორადაც ეს ესმოდა შენს ნინაპარს, შენს მამა-პაპას. იგი, დათა ლამაზი, ვითარცა ბიბლიური—იოსები (ალბათ უფრო ლამაზიც), სულითაც და ხორციითაც, ჩვენს წინ გაივლის ღმერთთან მეგრძოლი იაკობის ქედმაღლობით და იობის მოთმინებით, ამ ცხოვრებიდან ნაფა ასევე ლამაზი და ამაღლებული, და დაგვიტოვებს სიკვდილთაც ანდერძს—ნუ შეგაკრთობთ ნურცა სიკვდილი, მოვლენილი თვით საკუთარი სისხლითაც კი. ადამიანი ხარ და ყოველთვის ელოდე ადამიანურს, მაღლსაც და ცოდვასაც.

ლიტერატურაში ქართველმა კაცმა პირველად, ნაბიჯ-ნაბიჯ, თავისი მოდგმის შეუბღალავად, საამაყოდ, გაიარა ურთულესი და უიდუმალესი ლაბირინთები, რომელსაც აღზევებული იმპერიები ქმნიან.

დათა თუთაშხიას მადლი თითქმის ყველა ჩვენთაგანშია გადმოსული თავისებურად. მთლად პატარა ბავშვებიც კი (კინოფილმის ზემოქმედებით) ხატავენ მას სიყვარულით, ცდილობენ იმეტყველონ მისებური თავშეკავებულობით, მტკიცედ. ცდილობენ იყვნენ ისეთები, როგორიც ის იყო, ხელი მოემართოთ ამ გზაზე ბავშვებს!

ამ ჩვენს სიამაყეს, ჩვენი დიდი ნიგნის შემ-

ქმნელს, ჭაბუა ამირეჯიბს, სამოცი წელი შე-
უსრულდა და ქართველი ხალხი სიხარულით
აღნიშნავს ამ თარიღს, რაღა შეუძლია უთხრას
ცალკეულმა პირიერებამ მას, ჭაბუა ამირე-
ჯიბს, მათ შორის პირადად მე? ბედნიერი ვარ,
როცა მის გვერდით ვარ, კიდევ უფრო ბედ-
ნიერი ვიქნები თუ ეს გვერდივეგრდ ყოფნა
გაგრძელდება დიდხანს და დიდხანს.

უპირველესად, ჩვენს გვერდით გავიმარჯოს,
ძმარა ჭაბუკ! დიდხანს იდექე ჩვენდა საამაყო დე-
რე, მარად მხნე და თადარიგის მიმცემი ყველა
შეჭირვებულისათვის. შეგაძლებინოს, კიდევ ერ-
თი ძმასავით სახე მაინც ამოგეყენებინოს დათა
თუთაშხიასთვის. იმ დროში და იმ მენსი თანამედ-
როვეებშიც გავიმარჯოს, ასწლებულების იქით
რომ გელთან. შენს ახალ რომანებს გაუმარჯოს!

უკანასკნელი ოცდაათი-ორმოცი წლის
ყველა ქართული ლიტერატურული მოვლე-
ნიდან ყველაზე საინტერესოდ მიმაჩნია ჭაბუა
ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. ეს ნამდვილად
სახალხო წიგნი თავისი დიდი ენერგიით, მძაფ-
რი სიუჟეტით და რაც მთავარია, გაბედული
კონცეფციებით — დიდ ხანს იყოლიებს ტყვეო-
ბაში ქართველი მკითხველის აზრს.*

რეველი II გვ. 79.
დაწყება 19716 XI-28 დამთ. 19745.

ესაუბრობდით მე და ჭაბუა. ვუყურებდი
და მიკვირდა — საიდან აქვს ამდენი ენერჯია!
ან როგორ ყვება! თვალნათლივი მაგალითია
რანაირად აღემატება ხოლმე ერთი ადამიანი
მეორეს.

რეველი II გვ. 299.

ჭაბუა ამირეჯიბმა გივი გმეჭკორის „ცის-
კრის“ რედაქციაში მოუტანა წამალი — მუ-
მიო. დაჯდა, დაუნყო ახსნა გივის, როგორ უნ-
და დაენაწილებინა, როგორ უნდა მიეღო, რა
სიმბტომები აქვს მოქმედებისა, ვინ როგორ
აფასებდა ამ წამალს, ისეთი დაბეჭდვითობით და
სიხუსტით, გატაცებითა და ენერგიით ლაპარა-
კობდა, ტარიელ ჭანტურია იყვირა:

რ... დაამარცხებს ახლა ამ კაცსო?

რეველი II გვ. 199.

პატრივი დამდეს და თბილისიდან ჩამოვიდ-
ნენ: ჭაბუა ამირეჯიბი, ანზორ სალუქვაძე, გივი
ძნელაძე, ჩვენი იური ჩაჩხიანი, ჯემალ შანშიაშ-
ვილი და ვგონებ ბაქოელი-ილია დადაში (თუ
დადექნენიანი). იყვნენ სხვა მეგობრებიც. ჭა-
ბუა, როგორც ყოველთვის, ბრწყინავდა ყოველ
მხრივ, როცა ის სადღეგრძელოებს ამბობდა, მე
გადავიდოდი შორეულ საუკუნეებში, თვალებს

* რეზო ინანიშვილის ჩანაწერები მოგვანოდა მისმა მე-
უღლემ ქალბატონმა როზა ელიოზაშვილმა, რისთვისაც
უღრმეს მადლობას ვუხდით.

ვხუჭავდი დასიგეუსმენდი, როგორც მოვუსმენ-
დი რუსთაველსა და ომარ ჰაიამს, გამორჩევი
მაშინ, როცა დაღამდა, სუფრაზე სანთლები
ავანთეთ, სახლის სახურავ მაღლა კი ამოვიდა
მთვარი. მე ტკივილებამდე განვიციდი ჭაბუას
ამოუნურავ ენერჯიას. კიდევაც დადის, კიდევ-
ვაც სვამს, კიდევაც იცინის მთელი გულით, და
რაც მთავარია, დიდად მანუგეგმეველი ძალა
ბეგრისთვის. ჩემთვის — შეუცვლელი. ჭაბუა
და იურა ჩაჩხიანი.

რეველი VI გვ. 182.
23 ევლისი, 19835.

გკითხულობ „დათა თუთაშხიას“. კიდევ ერ-
თხელ ვიძახი „დიდებულა!“ დაბნეული საქმი-
ანი იკონს საქმიანი ჩანაწერები! მის გვერდით
უგემურ ნაცოხნებად მეჩვენება ჩვენი ნანარმო-
ებები.

ო, ეს ნაცოხნები! მოვიგებთ კევივით პანა-
ნინა რამეს და ვლეჭავთ, ვლეჭავთ დაუსრულე-
ლად. გვეჩვენება კი, თითქოს და ვქმნიდეთ რა-
ღაც საინტერესო სახეებს.

რეველი VI გვ. 363.

ჭაბუას ბიჭს დაუჭრია ვიღაც. ვითომ ნუხან
ჩვენი ძმები, ლიტერატორები, სინამდილეში,
ცას სწვდებიან სიხარულით, — რო გამოდის
ტელევიზიაში და რომ მოძღვრავს ყველას,
ახე მოიქეცით, ისე მოიქეცით და ასეო. თავის
შვილებს მიხეცოვ, ის არ ურჩევიაო?! ერ-
თმანეთს აღარ აცდიან გასაკილავის გახსენე-
ბას, — აქ რომ ეს თქვა, იქ-ის! უბრწყინავთ,
უბრწყინავთ თვალები.

ამაოდ გგონიათ, ძმებო, „დათა თუთაშხიას“
დააკლდეს თქვენი ხტუნვა-ცუნცულით რამე.

რეველი VI გვ. 233.

გუშინ, 22-ს, ვნახე ჭაბუა. მაგნიტოფონზე ჩა-
უნურია ახალი წიგნი, თავისებური ნაწახი და გან-
ცდილი. მე არ ვიცი, ეს მაგნიტოფონი გამწელე-
ბა თუ გადავიღება საქმისა, მაგრამ ვგრძნობ,
წიგნი საინტერესო უნდა გამოვიდეს.

რეველი IV გვ. 167.



გივი მალულარია, რეზო ინანიშვილი,
როზა ელიოზაშვილი



ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახული არიან: გრიგოლ კილაძე, ალექსი მაჭავარიანი, პავლე ხუჭუა, ალექსანდრე შავერზაშვილი, არამ ხაჩატურიანი, იონა ტუსკია და სხვები, საოჯახო არქივიდან მოგვანოდა ქალბატონმა ნინო კილაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მასშტაბით; ხოლო თბილისში რუსთაველის №31, „სახალხო ბანკი“, მთაწმინდა №2 სერვის-ცენტრი.

3 თვით 9ლ.
6 თვით 18ლ.

ჟურნალის გამოწერა ასევე შესაძლებელია სს „მაცნეს“ პუნქტებში.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ ნინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ!

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ამირან ჭანტურია
თამარ ქიტუაშვილი
ნინო აფრიაშვილი

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge



„მუნჯები ალაპარაკდნენ“. გ.ბააზოვი, 1932წ.





ჟურნალი
მე-9 ნომრიდან იწყებს
ვახუშტი კოტეტიშვილის
მემუარების —
„ჩემი წუთისოფლის“
მე-2 ნაწილის ბეჭდვას.